განათლება

რედაქტორი: თემურ ჯაგოდნიშვილი
თანარედაქტორი: რაფაელ გუზმან ტირადო

GANATLEBA

Georgian Technical Unicversity
Georgian Academy of Education Sciences

Editor: Temur Jagodnishvili
Coeditor: Rafael Guzman Tirado

№ 4 (31) 2020
ISSN 2346-8300

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

განათლება

GANATLEBA

ყოველკვარტალური რეფერირებადი და
რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი

4(31)
2020

განათლება

ჟურნალი გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს 2010 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით
(ოქმი №7)

№ 4(31), 2020 წელი

რედაქტორი — თემურ ჯაგოდნიშვილი, სტუ პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

თანარედაქტორი რაფაელ გუსმან ტირადო — პროფესორი, გრანადის უნივერსიტეტი (ესპანეთი)

რედაქტორის მოადგილე - ზურაბ ჩაჩხიანი, სტუ პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

სარედაქციო კოლეგია:

ლია ქათამაძე — პასუხისმგებელი მდივანი - ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კონსტანტინე რამიშვილი — პროფესორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

ანზორ აბრალავა — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გელა ყიფიანი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ელისაბედ ხახუტაშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ივანე ჯაგოდნიშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ვახტანგ მაღრაძე— პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ზურაბ გამეზარდაშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ლია მეტრეველი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თამარ ბონდარენკო — ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თამარ ხოხობაშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნიკო ჯავახიშვილი — პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დავით გოცირიძე — პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი ხუხუნი — მოსკოვის ლინგვისტური უნივერსიტეტის პროფესორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ირჟი კლაპკა — პროფესორი, კარლოსის უნივერსიტეტი (ჩეხეთი)

ტომას შმიდტი — პროფესორი, ბერნის უნივერსიტეტი (შვეიცარია)

სესილია ოდე — პროფესორი, ამსტერდამის უნივერსიტეტი (ჰოლანდია)

გალინა ტროფიმოვა — პროფესორი, მოსკოვის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი (რუსეთი)

რედაქცია: თემურ ჯაგოდნიშვილი, რაფაელ გუსმან ტირადო

ტექნიკური რედაქტორი: ასმათ ფიფია

სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ტელ.: (032) 236 57 07

web-გვერდი: http://gtu.ge/Journals/newsletters

ელ-ფოსტა: ganatleba2018@gmail.com

ISSN 2346-8300

GANATLEBA

International Science-Pedagogical Journal is published according with the decision of Editorial-Publishing Board of 19 December 2010 (act №7)

№ 4(31), 2020

Editor – Temur Jagodnishvili, Professor, Georgian Technical University, Academician of Georgian Educational Sciences

Coeditor – Raphael Guzman Tirado – Professor, University of Granada (SPA)

Sub-editor – Zurab Chachkhiani, Professor, Georgian Technical University,Academician of Georgian Educational Sciences

EDITORIAL BOARD:

Lia Katamadze – Responsible Secretary, Associate professor Georgian Technical University
Konstantine Ramisvhil – Vice-President of Georgian Academy of Education Sciences
Anzor Abralava – Professor, Georgian Technical University
Gela Kipiani – Professor, Georgian Technical University
Elisabeth Khakhutashvili – Associate professor, Georgian Technical University
Ivane Jagodnishvili– Professor, Georgian Technical University
Vakhtang Magradze – Professor, Georgian Technical University
Zurab Gamezardashvili– professor, Georgian Technical University
Lia Metreveli– professor, Georgian Technical University
Tamar Bondarenko – Associate professor Georgian Technical University
Tamar Khokhobashvili – professor, Georgian Technical University
Niko Javakhishvili – Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
David Gothsiridze – Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Giorgi Khukhuni –Professor, Lingvistic University of Moscow
Jiri Klapka – professor, Karlos University (CZE)
Tomas Schmidt – Professor, University of Bern (SUI)
Cecilia Ode – University of Amsterdam (NED)
Galina Trophimova – Professor, Moscow University of Friendship of People (RUS)

Editor office: Temur Jagodnishvili, Raphael Guzman Tirado

Technical editor: Asmat Pipia

The authors are responsible for the accuracy of the facts in the article

Adress: 0175, Tbilisi, str. Kostava 77, GTU
TEL.: (032) 236 57 07
web-said's adress: http://gtu.ge/Journals/newsletters
e-mail: ganatleba2018@gmail.com

ISSN 2346-8300

შინაარსი

განათლების მეცნიერებანი

ნინო გომართელი
ევროპული განმანათლებლური იდეების გავრცელება საქართველოში 13

ქეთევან სოხაძე
ბრუნვაცვალებადი სუბიექტისა და ობიექტის სწავლებისათვის 19

მარინე სურმავა
„ბრწყინვალე დოქტორი" ნაბეჭდი წიგნის ისტორიაში 25

გიორგი მძინარაშვილი
სპორტსმენის ნებელობითი მომზადება 32

ჟურნალისტიკა

ქეთევან გიორგობიანი
დიდი ბრიტანეთის ტელემაუწყებლობა 36

გიგლა გობეჩია, ლანა შენგელია,
საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიპეტიები
1990-1991 წლების ქართულ ბეჭდურ მედიაში 42

ლია ქათამაძე
გაზეთის მომავალი ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში 50

ვაჟა დანელია
სპორტის ჟურნალისტიკა გლობალური მედიაკომუნიკაციის
სისტემაში და მის თავისებურებათა ზოგიერთი ასპექტი 55

თეონა არველაძე
გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველოს" დაარსების წინაპირობები 63

რატი ერისთავი
სომხური და აზერბაიჯანული მედია ადგილობრივი საზოგადოების
დაკვეთით მოქმედებს 68

ნინო ზარიძე
სატელევიზიო ახალი ამბების შეჯამება 2019 წლის მაგალითზე 72

დიანა ლიპარტელიანი
ინფორმაციული საზოგადოება და თანამედროვე ტენდენციები მასობრივ კომუნიკაციაში.....76

ცირა ჟორჟოლიანი
თანამედროვე ქართული ჟურნალიზმის სამართლებრივი პრობლემები ჟურნალისტის პროფესიული სტატუსის ასპექტში 82

ფილოლოგია

მირანდა ბერიშვილი
ზოგიერთი მოსაზრება დარგობრივი თარგმანის სწავლების თაობაზე.....91

ნუგზარ სიხარულიძე
ნეოლოგიური ლექსიკური ერთეულები და მათი თარგმნის ასპექტები 98

ქრისტინე იაკობაძე
ზღვის კონცეპტი მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში (ვახტანგ ორბელიანის შემოქმედების მიხედვით).....102

სოციალური მეცნიერებები

ლია მეტრეველი, ეკა კორძაძე
თანადამოკიდებულება როგორც სოციალური პრობლემა.....109

ქეთევან აბესაძე
პანდემია და „ჩრდილოვანი განათლება" საქართველოში.....114

მირანდა ბორცვაძე
ქართული სამოქალაქო საზოგადოების პოსტ-საბჭოთა კონტექსტი.....120

ზაზა გაბუნია
„გადაწყვეტილების მიღება, მისი შეცვლა და მისი კვლევის ტრადიციები“ 124

სულხან ინაიშვილი
კლასიკური ჩინურ ფილოსოფიის სოციალური და პოლიტიკური მოსაზრებები (770 -221 ძ.წ) 129

ლევან ლევერაშვილი
აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარება ქართულ უნივერსიტეტებში 134

მარიამ პაპიაშვილი
ნიჭიერი მოსწავლეები და სასკოლო გარემო 141

თამარ სილაგავა
არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია 144

ირმა ჩარტია
მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში და ღირებულებებზე ორიენტირებული განათლება..... 148

სანდრო ცოცხალაშვილი
საქართველოს მე-18 საუკუნის ისტორიის ალტერნატიული განხილვა ჩინეთთან და დასავლეთთან ურთიერთობების დამყარებით 153

ამრიტა ჯანაშია
მედიაწიგნიერება უცხოეთში და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში 157

თამთა ჯინჯოლავა
რა ვიცით კლიმატის ცვლილებებზე?..... 161

ეკონომიკა და ბიზნესი

ელისაბედ ხახუტაშვილი
ბიზნესის ახალი გამოწვევები და მომხმარებლის ფსიქოანალიტიკური ანთროპოლოგია..... 166

რამაზ ოთინაშვილი, თეონა გრიშიკაშვილი
მსოფლიო ღვინის ინდუსტრიისა და ღვინის ბაზრის განვითარების თანამედროვე ტენდენციები 171

თამარ როსტიაშვილი, ასმათ ფიფია
დასაქმებულთა შრომის მოტივაციის მექანიზმები 180

ასმათ ფიფია, მაია მარტიაშვილი
პანდემიის გავლენა ეკონომიკის ზოგიერთ მაჩვენებელზე 185

სალომე იმნაიშვილი
კიბერუსაფრთხოების მენეჯმენტი 191

მარიამ ფიცხელაური
აუდიტის ხარისხის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში 197

ვალერიან ჩანჩიბაძე
მართვის ეფექტიანობა და ტრანსფორმაცია Covid-19 პანდემიის დროს 203

ნინო ჭოველიძე
შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმა ლატვიის VS საქართველოს მაგალითზე.....209

სამართალმცოდნეობა

ნიკოლოზ ფიფია
საარჩევნო სისტემების ძირეული რეფორმირების აუცილებლობა და მისი განხორციელების გზები საქართველოში 214

ნიკოლოზ ფიფია
პროპორციული საარჩევნო სისტემა, როგორც დემოკრატიული საარჩევნო სისტემის სახე.....221

ოთარ ხინიკაძე, ნატალია მაისურაძე
სასამართლო ოდონტოლოგია და კბილის კვალის ექსპერტიზა საქართველოში 227

საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი

მზია წულუკიძე
კვების პროდუქტების ხარისხის კვლევის თანამედროვე მეთოდების მნიშვნელობა 236

რუსუდან ბიწაძე, სიმონ ბიწაძე
მეორე რიგის ალგებრული წირების აგების ერთი მეთოდი.....240

რუსუდან ბიწაძე, სიმონ ბიწაძე
მეორე რიგის ზედაპირების ერთი თვისების შესახებ 244

არჩილ გრიგალაშვილი, ქეთევან ილურიძე, თეიმურაზ თუთბერიძე
„ინდუსტრია 4.0“-ის „ჭკვიან“ ქსელურ სისტემებში, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისა და განვითარების პრობლემების მიმოხილვა.....248

მალხაზ ცუცქირიძე, ზაურ ბალამწარაშვილი
ტყესაკაფი სამუშაო პროცესის ეკოლოგიურად უვნებელი ტექნოლოგია მთაგორიან პირობებში.....253

CONTENTS

EDUCATION SCIENCES

Nino Gomarteli
Dissemination of European enlightenment ideas in Georgia.....13

Ketevan Sokhadze
For the teaching of the rotating subject and object.....19

Marine Surmava
Called the Brilliant Doctor, Roger Bacon's greatest role in book history 25

Giorgi Mdzinarashvili
Sportsmen's Volitional Preparation 32

JOURNALIZM

Ketevan Giorgobiani
Broadcasting of United Kingdom.....36

Gigla Gobechia, Lana Shengelia
The vicissitudes of the Georgian National Liberation Movement in
the Georgia print media of 1990-1991 years 42

Lia Katamadze
The Future of Newspapers in the Digital Era 50

Vaja Dabelia
Sports Journalism Global Media Communication
In the system and some aspects of its features 55

Teona Arveladze
Prerequisites for the establishment of the newspaper
"Independent Georgia" 63

Rati Eristavi
Armenian and Azerbaijani media are commissioned by the local community 68

Nino Zaridze
TV News Review Based on 2019 72

Diana Liparteliani
Information Society and Modern Trends in Mass Communication 76

Tsira Zhorzholiani
Legal Problems of Contemporary Georgian Journalism in the Aspect of Journalist Professional Status 82

P H I L O L O G Y

Miranda Berishvili
Some Ideas about Teaching Technical Translation 91

Nugzar Sikharulidze
Neological lexical items and aspects of their translation 98

Kristine Iakobadze
The concept of the "sea" in Georgian literature of the XIX century (based on the work of Vakhtang Orbeliani) 102

SOCIOLOGY

Lia Metreveli, Eka Kordzadze
Interaction as a social problem 109

Ketevan Abesadze
Pandemic and "shadow education" in Georgia 114

Miranda Bortsvadze
Post-Soviet context of Georgian civil society 120

Zaza gabunia
Decision making, its modification and its research traditions 124

Sulkhan Inaishvili
Social and Political Thoughts in Classical Chinese Philosophy (770-221 BC) 129

Levan Leverashvili
Professional development of academic staff 134

Mariam Papiashvili
Talented Students and School Environment 141

Tamar Silagava
Prevention of Juvenile Delinquency 144

Irma Chartia
Parental Involvement with Schools and Value-Oriented Education 148

Sandro Tsotskhalashvili
An alternative discussion of the history of Georgia in the 18th century
with the establishment of relations with China and the West 153

Amrita Janashia
Media literacy abroad and in post-soviet countries 157

Tamta Jinjolava
What do we know about climate change?..... 161

ECONOMICS AND BUSINESS

Elisabed Khakhutashvili
New Business Challenges and Psychoanalytical Anthropology of Users 166

Ramaz Otinashvili, Teona Grishikashvili
Development of the world wine industry and wine market Modern trends 171

Tamar Rostiashvili, Asmat Pipia,
Employee labor motivation mechanisms 180

Asmati Pipia, Maria Martiashvili
The impact of the pandemic on the Georgian economy 185

Salome Imnaishvili
Cybersecurity Management 191

Mariam Pitskhelauri
Main directions of audit quality improvement in Georgia..... 197

Valerian Chanchibadze
Management efficiency and transformation during the Covid-19 pandemic..... 203

Nino chovelidze
Internal Financial Control Reform on the example of Latvia VS GEORGIA.....209

LAW

Nikoloz Pipia
The necessity of fundamental reform of the electoral systems and
the ways of its implementation in Georgia 214

Nikoloz Pipia
Proportional election system as the face of a democratic election system 221

Otar Khinikadze, Natalia Maisuradze
Forensic Odontology and Teeth traces examination in Georgia 227

NATURAL SCIENCES

Mzia Tsulukidze
The value of modern research methods food quality 236

Rusudan Bitsadze, Simon Bitsadze
One method of the algebraic second-order curves (conic section)
construction 240

Rusudan Bitsadze, Simon Bitsadze
On one property of surfaces of second order.....244

Archil Grigalashvili, Ketevan Iluridze, Teimuraz Tutberidze
Overview of problems in the deployment and development of innovative
technologies in the "smart" network systems of "Industry 4.0" 248

Malkhaz Tsutskiridze, Zaur Balamtsarashvili
Environmentally friendly technology of logging activities 253

განათლების მეცნიერებანი

EDUCATION SCIENCES

ევროპული განმანათლებლური იდეების გავრცელება საქართველოში

ნინო გომართელი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატია ეხება ევროპული განმანათლებლური იდეების გავრცელებას და როლს საქართველოს იმდროინდელ საზოგადოებაში. გადმოცემულია შარლ ლუი მონტესკიეს, ჟან ჟაკ რუსოს და სხვა დიდი ფრანგი განმანათლებლების – პიერ ბეილის, ფრანსუა ვოლეტრის, შარლ მონტესკიეს, დენი დიდროსა და სხვათა ნააზრევები.

კაცობრიობის საზოგადოებრივი და პოლიტიკურ-სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში ეპოქა, რომელშიც ცხოვრობდა და იღვწოდა მეფე ერეკლე, „განმანათლებლობის ეპოქის“ სახელწოდებით დამკვიდრდა. ამ იდეებმა ფართო გავრცელება ჰპოვეს მთელს ევროპულ კონტინენტზე და მის ფარგლებს გარეთაც. სწორედ ამან განაპირობა ის აღმატებული შეფასებები, რომლებითაც ამკობდნენ უცხოელები და მისი თანამედროვე მემატიანები „პატარა კახს“.

საკვანძო სიტყვები: „პატარა კახი“, განმანათლებლები, „გარდამავალი“, რელიგიური სისტემები, ევროპული აზროვნება.

შესავალი

კაცობრიობის საზოგადოებრივი და პოლიტიკურ-სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში XVIII საუკუნე განმანათლებლობის ეპოქის სახელწოდებით დამკვიდრდა. ეს იყო შუა საუკუნეებიდან ახალ ეპოქაზე გადასვლის, ე.წ. „გარდამავალი“ საუკუნე, რომელმაც უდიდესი ზეგავლენა იქონია შემდგომი პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამართლებრივი იდეების ფორმირებასა და განვითარებაზე. დადგენილია, რომ განმანათლებლობამ, ბუნებით სამართალზე დაყრდნობით, წინ წამოსწია სამი ძირითადი პრინციპი – სიცოცხლის უფლება, თანასწორუფლებიანობა და თავისუფლება, რომელთა განხორციელების მთავარ საშუალებად და აუცილებელ პირობად განმანათლებლები მიიჩნევდნენ რეალური, დემოკრატიული რეფორმების გატარებას სახელმწიფოს პოლიტიკური მართვის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრებისა და სამართლებრივი საქმი-

ანობის სფეროებში. საყოველთაო ბედნიერების მისაღწევად განმანათ-ლებლები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ადამიანთა აღზრდას, მათი გონების გაწვრთნას, გათვითცნობიერებასა და მომზადებას სამართლებრივი საზოგადოებრივი წყობის დასამყარებლად. თამამად შეიძლება ითქვას, რომ განმანათლებლურმა იდეებმა ფართო გავრცელება, უპირველეს ყოვლისა, საფრანგეთში ჰპოვეს და სწორედ დიდი ფრანგი მოაზროვნეების – ვოლტერის, დიდროს, რუსოს, მონტესკიეს და სხვათა პოლიტიკური თხზულებებისა და ლიტერატურული პამფლეტების მეშვეობით ხდებოდა ამ იდეების გავ-რცელება და პოპულარიზაცია არა მარტო საფრანგეთში, არამედ მთელ ევროპულ კონტინენტსა და მის ფარგლებს გარეთაც.

ძირითადი ნაწილი

ფრანგულ განმანათლებლობაზე გარკვეული ზეგავლენა იქონიეს აღორძინების ეპოქის დიდი იტალიელი მოაზროვნის ნიკოლო მაკიაველის (1469-1527) და XVIII საუკუნის ინგლისელ ფილოსოფოსთა, კერძოდ კი, ლიბერალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის ჯონ ლოკისა (1632-1704) და თომას ჰობსის (1588-1679) შეხედულებებმაც. ჯონ ლოკის მიერ წამოყენებული მოსაზრებანი ხელისუფლების დანაწილების თობაზე, გადაამუშვა და თავის „კანონთა გონში“ დახვეწა შარლ ლუი მონტესკიემ (1689-1755), ხოლო თომას ჰობსის იდეა ხელისუფლების ხელშეკრულების (შეთანხმების) საფუძველზე არსებობისა და ფუნქციონირების შესახებ კიდევ უფრო სრულყოფილი სახით ჩამოაყალიბა თავის „საზოგადოებრივ ხელშეკრულებაში“ ჟან ჟაკ რუსომ (1712-1778). XVIII საუკუნის, თითქმის მთელი მეორე ნახევრის მანძილზე და მომდევნო ხანაშიც, დიდი ფრანგი განმანათლებლები (პიერ ბეილი, ფრანსუა ვოლტერი, შარლ მონტესკიე, ეტიენ კონდილიაკი, ჟიულიენ ლამენტი, დენი დიდრო, კლოდ ჰელვეციუსი, პოლ ჰოლბახი, ჟან რაბინე, ჟან-ჟაკ რუსო, ჟან მელიე, გაბრიელ მაბლი, მორელი, ბაბეფი) იყვნენ ფიქრთმპყრობელნი იმ ადამიანთა, რომელნიც გონებისა და საყოველთაო კეთილდღეობის დროშით გაბედულად გამოდიოდნენ ფეოდალიზმისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში (1,10).

განმანათლებლები, რომლებიც გვიანდელი შუა საუკუნეების ჰუმანისტთა იდეოლოგიის ღირსეული მემკვიდრენი იყვნენ, მიიჩნევდნენ, რომ ადამიანის მთავარი დანიშნულება საიქიო ცხოვრებისათვის მზადება როდია, არამედ, საჭიროა, რომ თითოეულმა ჩვენგანმა ამქვეყნიური ცხოვრება მოაწყოს ღირ-სეულად. ბედნიერების სამეფო მათ მიუწვდომელი და გამოურკვეველი მომავ-ლიდან აწმყოში გადმოქონდათ. განმანათლებლები რაციონალისტები იყვნენ, ისინი გარე სამყაროს შემეცნების ძირითად და კაცობრიობის პროგრესის მთავარ ფაქტორად გონებას თვლიდნენ. მათი ღრმა რწმენით, განათლების გავრცელებით, ყოველგვარი სოციალური ბოროტების, ყოველი ზნეობრივი მანკის მოსპობა შეიძლებოდა. ისინი აცხადებდნენ, რომ რამდენადაც უფრო განათლებულია ადამიანი, მით უფრო ზნეობრივად საღი და ბედნიერია იგი და რომ ყოველი უბედურება და დანაშაული გონებრივი სიბნელით უნდა აიხსნებოდეს. აქედან გამომდინარე, ფრანგმა განმანათლებლებმა

დენი დიდროს (1713-1784) მეთაურობით, ხელი მიჰყვეს გრანდიოზული ენციკლოპედიის გამოცემას, რომელშიც სისტემურად დაალაგეს და ფართო მასებისათვის გასაგებ ენაზე გადმოსცეს მთელი იმდროინდელი ცოდნა მედიცინის, ხელოვნებისა და ტექნიკის დარგებში. ენციკლოპედისტების მიერ გამოქვეყნებული შრომის მსგავსი გამოცემები მოგვიანებით სხვა ქვეყნებში, კერძოდ, რუსეთშიც გამოიცა. რელიგიისა და პოლიტიკის საკითხებში განმანათლებელთა შეხედულებებს შორის არ იყო სრული თანხმობა. მათი ახალგაზრდა თაობა, დიდროს მეთაურობით, მატერიალიზმსა და ათეიზმს აღიარებდა, უფროსი თაობა კი, ვოლტერის (1694-1778) მეთაურობით, ე.წ. დეიზმს ემხრობოდა. დეისტები ფიქრობდნენ, რომ ღმერთი არის გონიერი არსება, რომელსაც სამყარო საათის მექნიზმივით აქვს აწყობილი, მაგრამ ახლა ის არ ერევა მის მოძრაობაში, ბუნებრივი მოვლენები კი საკუთარ კანონებს ექვემდებარება. მათი აზრით, ღმერთი შეიცნობა არა გამოცხადების, არამედ გონების მეშვეობით. არსებობს ბუნებრივი რელიგია, რომელიც უარყოფს ისტორიულად წარმოშობილი რელიგიური სისტემების დოგმატებს და თავისი წმინდა ზნეობრივი შინაარსით გასაგებია ყოველ გონიერი ადამიანისათვის.

ევროპეიზმისაკენ ლტოლვა, ევროპული აზროვნებით დაინტერესება და დასავლეთის სახელმწიფოებთან კავშირ-ურთიერთობათა დამყარების დიდი სურვილი საქართველოში მართალია, ჯერ კიდევ გვიანდელ შუა საუკუნეებში შეინიშნებოდა, მაგრამ უფრო მიზანმიმართული სახით, ეს ტენდენცია, XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან გამოიკვეთა, რაშიც მეტად მნიშვნელოვანი იყო იმდროინდელ ევროპაში უკვე საკმაოდ პოპულარული ახალი პოლიტიკური იდეოლოგიის – ფრანგული განმანათლებლობის ზეგავლენის კვალი. სწორედ აღნიშნული პერიოდიდან იწყება ჩვენს ქვეყანაში ხელსაყრელი ნიადაგის შემზადება განმანათლებლურ იდეათა გასავრცელებლად და ეს ბუნებრივიც იყო, ვინაიდან საქართველოს იმ დროისათვის უკვე გააჩნდა მდიდარი კულტურული ტრადიციები, აზროვნების განვითარების მაღალი დონე, ევროპის ქვეყნებთან და რუსეთთან დაახლოების ტენდენციები, რაც სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ საქართველოშიც გაჩენილიყვნენ განმანათლებლები (3, 186).

საქართველოს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიული სინამდვილე იმ პერიოდის მოღვაწეებს საშუალებას აძლევდა, რომ მათ საკუთარი შეხედულებები გამოეთქვათ ქართულ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებზე,ხელიშეეწყოთახალიაზროვნებისადაქვეყნისცხოვრებაშიგადადგმული პროგრესული ნაბიჯების დამკვიდრებისათვის, ამასთან, აღმოეფხვრათ ის მანკიერი, დრომოჭმული მოვლენები, რომლებმაც სულ უფრო მკვეთრად იჩინეს თავი ჩვენს სახელმწიფოში ფეოდალური წესწყობილების რღვევის ეტაპზე. შესაბამისად, ჩვენი დაინტერესება იმდროინდელ საქართველოში ჩამოყალიბებული იდეებით, რომლებიც, ადგილობრივი ტრადიციების გარდა, მნიშვნელოვნად განიცდიდნენ ევროპელი განმანათლებლების მოძღვრებათა ზეგავლენას, განპირობებულია არა მხოლოდ პრაქტიკული შედეგებით, არამედ თეორიულ-კონცეპტუალური თვალსაზრისითაც. ქართველი განმანათლებლები, უმთავრესად, თავადაზნაურული წრიდან

იყვნენ გამოსულნი. ქართულ ბურჟუაზიას XVIII-XIX საუკუნის პირველ ნახევარში არ შეეძლო ქვეყნისათვის მოევლინა აღმავალი ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველი და დამცველი იდეოლოგები. სწორედ ამიტომ, იმხანად, უდიდესი ისტორიული მისია საქართველოში იტვირთა თავადაზნაურობის იმ პროგრესულმა ნაწილმა, რომელმაც, მართალია, ევროპელ განმანათლებელთა მნიშვნელოვანი გავლენა განიცადა, მაგრამ, ამავე დროს, შეძლო საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება. XVIII საუკუნის ქართველმა განმანათლებლებმა ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, გაამახვილეს იმ პრობლემებზე, რომლებიც მათ საქართველოში შექმნილმა რეალობამ უკარნახა. ეს იყო ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული აღორძინების, ძლიერი სამეფო ხელისუფლების შექმნის, სახელმწიფოს გონივრული მოწყობის, სამართლებრივი და საკანონმდებლო საკითხების შემუშავების აუცილებლობა. ქართველმა განმანათლებლებმა, ქვეყნის პოლიტიკურ-კულტურული აღორძინების მიზნით, თავისი ერის ისტორიულ-ფილოსოფიურ, ლიტერატურულ და სამართლებრივ მემკვიდ-რეობასთან ერთად, დასავლეთ ევროპის განმანათლებლური იდეებიც მოიმარჯვეს. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ ფრანგული განმანათლებლობა და მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების პრობლემა XVIII საუკუნის დამლევსა და XIX საუკუნის დამდეგს რამდენიმე საყურადღებო ასპექტს მოიცავს, რომელთაგან, ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის საკითხი, თუ როგორ გამოეხმაურა ქართველობა იმ დროის ყველაზე პროგრესულ და ფართოდ გავრცელებულ მოძრაობას – განმანათლებლობას და როგორ სცადა მან ამ მიმდინარეობის უმთავრესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებანი გამოეყენებინა, თავდაპირველად, ქართული საზოგადოების, თავისი ქვეყნის გაჯანსაღება-გაძლიერებისათვის, ხოლო XIX საუკუნის პირველ ათწლეულში – მისი დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.

როგორც ცნობილია, საქართველოში „...რენესანსული ჰუმანიზმი XI-XIII საუკუნეებში ჩაისახა და საკმაოდ განვითარდა. არაერთი ავტორი მის გაგრძელებას ხედავს მომდევნო საუკუნეთა, განსაკუთრებით, XVII-XVIII საუკუნეების ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაშიც... თუ გიორგი მერჩულე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, იოანე პეტრიწი და შოთა რუსთაველი ქართული რენესანსული ჰუმანიზმის დამწყებნი იყვნენ, არჩილ ბაგრატიონი და სულხან-საბა ორბელიანი ერთგვარად მის „დამამთავრებლად“ გვევლინებიან. მათი საქმე განაგრძეს ვახუშტი ბაგრატიონმა, ანტონ ბაგრატიონმა, ალექსანდრე ამილახვარმა, დავით გურამიშვილმა და სხვებმა მაგრამ ესენი ჰუმანიზმის აბსტრაქტულ იდეებს შემდგომ აკონკრეტებენ და, ფაქტობრივად, ადრინდელი ქართული განმანათლებლობის ფუძემდებლები ხდებიან. „ადრინდელი ქართული განმანათლებლობა“ ჩისახა ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში. იგი, თავის მხრივ, იყოფა „საწყის“, „შუა“ და „ბოლო“ ეტაპებად... „ადრინდელი ქართული განმანათლებლობა, უწინარეს ყოვლისა, მემკვიდრე იყო მანამდელი ქართული ჰუმანისტური აზროვნებისა შოთა რუსთაველიდან და

იოანე პეტრიწიდან არჩილ ბაგრატიონამდე და სულხან-საბა ორბელიანამდე“. საწყისი ეტაპის ქართული განმანათლებლობის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ წარმომადგენლად სამართლიანად არის მიჩნეული ალექსანდრე ამილახვარი, რომელიც, შესაძლებელია, თავისი მასწავლებლების, ფრანგი მისიონერების – თეათინელთა ორდენის ბერების მეშვეობით, ერთ-ერთი პირველი ეზიარა დასავლეთის განმანათლებლურ იდეოლოგიას და სიცოცხლის ბოლომდე მისი ერთგული დარჩა (1, 15-16).

ფრანგული განმანათლებლობის წარმომადგენლები – პიერ ბეილი, ჟან მელიე, აბატი მაბლი, აბატი ეტიენ ბონო და კონდილიაკი თავიანთი მოღვაწეობის დასაწყისში კათოლიციზმის აქტიური მსახურები იყვნენ. მკვლევარი ნანა ციხისთავი აღნიშნავს: „თუ ვივარაუდებთ, რომ საქართველოში ჩამოსული ფრანგი მისიონერები განმანათლებლობისადმი კეთილად იყვნენ განწყობილნი, მაშინ ცხადი გახდება – საიდან და ვისგან ეზიარა ალექსანდრე ამილახვარი ფრანგული დანმანათლებლური მოძრაობის იდეებს“ (5,314). ნანა ციხისთავის ამ აზრს არ იზიარებს პროფესორი ვაჟა კიკნაძე. მისი ვარაუდით, „ალექსანდრე ამილახვარი რუსეთში ყოფნის პერიოდში (1771-1781) ეზიარა ევროპულ ისტორიულ და ფილოსოფიურ ლიტერატურას. ჩანს, სწორედ მაშინ გაეცნო იგი ფრანგი განმანათლებლების იდეებს და დაებადა სურვილი ეს იდეები საქართველოს სინამდვილისათვის მიესადაგებინა“ (7,167).

ხსენებულ ეპოქაში ძნელია დავასახელოთ მეორე ისეთი ქართული ძეგლი, რომელიც ალექსანდრე ამილახვრის პოლიტიკური ტრაქტატივით თავისუფალი იყოს შუა საუკუნეების სქოლასტიკური გავლენისაგან. თუ მის თანამედროვე სხვა ქართველ მოაზროვნეებთან (ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი), ანტონ ბაგრატიონი, იოანე ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონი და სხვა) დასავლურ იდეოლოგთა მხოლოდ მოწინავე ცალკეული შეხედულებები ფიქსირდება, „ბრძენი აღმოსავლეთისა“ მთლიანად გამსჭვალულია ამგვარი შეხედულებებით და ამავე დროს, ერთიანი სისტემური სახით არის წარმოდგენილი (3, 45).

„ბრძენი აღმოსავლეთისა“ რომ აშკარად განიცდის ევროპულ ზეგავლენას, ამაზე თავად ტრაქტატის ავტორიც მიუთითებს თავისი ნაშრომის დასასრულს: „თუ ჩემებრ ძმანი, ცდილობენ სხვანი, ბედნიერ ჰყოფენ ყოველთა მისთა, აქ ჰქონდეთ თვისი, ივასხონ სხვისი, კვლავ შეიწევდნენ ზე ძალთა ღმრთისა“. ამონარიდში გარკვევითა ნათქვამი: ჩემი მოძმენიც ჩემსავით რომ ცდილობდნენ თანამოძმეთა გაბედნიერებას, საკუთრი აზრების უქონლობის შემთხვევაში, უნდა ისესხონ, გადმოიღონ სხვისიო".

ყოველი ზემოთქმულიდან, ცხადი ხდება, რომ ალექსანდრე ამილახვრის მსოფლმხედველობაზე უდავოდ დიდი გავლენა მოახდინეს ევროპელი (განსაკუთრებით, ფრანგი) განმანათლებლების იდეებმა. მიუხედავად ამისა, განმანათლებლობის პროპაგანდისტი დიდი ქართველი ცდილობდა თავის თხზლებებში სიტყვა-სიტყვით კი არ გადმოეტანა, არამედ თავისებური ინტერ-პრეტაციით ჩამოეყალიბებინა წინამორბედთა შეხედულებანი, რის გამოც, მათთან აზრობრივი მსგავსების მიუხედავად, ქართველი განმანათ-ლებლის მსოფლმხედველობას აშკარად ატყვია საკუთარი ორიგინალური ხელწერა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მიხეილ გაფრინდაშვილი, „ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ნარკვევები“, თბ., 1988.
2. პეტრე გელეიშვილი, ალექსანდრე ამილახვარი, „ბრძენი აღმოსავლეთისა“, თბ., 1941.
3. ალექსანდრე ტალიაშვილი, „იოანე ბაგრატიონის განმანათლებლური იდეები“, ჟურნ. „მნათობი“, N8, 1939.
4. გერონტი ქიქოძე, „გეორგიანული ისტორიის“ წინასიტყვაობა, ჟურნ. „მნათობი“, N8, 1939.
5. ნანა ციხისთავი, ფრანგი განმანათლებლები და XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართველი განმანათლებელი ალექსანდრე ამილახვარი – იხ.: ჟურნ. „საუნჯე“, N1, თბ., 1993.
6. შალვა ხიდაშელი, დასახელებული ნაშრომი, იხ.: ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ნარკვევები, წიგნი V, თბ., 1977.
7. ვაჟა კიკნაძე, „ალექსანდრე ამილახვარი და ევროპელი განმანათლებლები“, ჟურნ. „მნათობი“, N1, 1993, გვ. 167.

Dissemination of European enlightenment ideas in Georgia

Nino Gomarteli, Porfessor

Georgian Technical University

Summary

However, aspiration to Europeanism, interest in European thinking and great desire to establish relationships with Western states in Georgia has been evidenced still in late Middle ages, but in goal-oriented shape this trend has been determined from the second half of XVIII century, wherein the trace of French enlightenment's influence, new political ideology that was very popular in Europe of that time, was essential. Just from the mentioned period of time has begun a preparation of fertile ground for conveyance of ideas of enlightenment in our country and that was natural, since at that time Georgia already had rich cultural traditions, high level of thinking's development that turned out to be quite sufficient for appearance of enlighteners in Georgia.

ბრუნვაცვალებადი სუბიექტისა და ობიექტის სწავლებისათვის

ქეთევან სოხაძე, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულის ქართული ენის სწავლების ისეთი პრობლემური და საკვაძო საკითხი, როგორიცაა ბრუნვაცვალებადი სუბიექტისა და ობიექტის სწორად სწავლება და პრაქტიკული გამოყენება საკომუნიკაციო ენასა თუ წერით კულტურაში.

ზმნები დაჯგუფებულია ე.წ. **მანიან** და **ვინიან** ზმნებად და ეს უკანასკნელი ჯგუ- ფი თავის მხრივ კიდევ ორ ჯგუფადაა დიფერენცირებული: **აქტიურ** და **პასიურ** ზმნებად. განმარტებულია, რომ **S**-სა და **O**-ს ბრუნვაცვალებადობა მხოლოდ აქტიუ- რი ზმნებისთვისაა დამახასიათებელი, თორემ მანიანი და პასიური ზმნები ყველა სერიაში ერთნაირი აკონსტრუქციით წარმოგვიდ- გებიან. კონკრეტულად, **მანიანები: S** მიცემით ბრ.-ში (ნაცვალსახელი მას), **O-** სახე- ლობითში (ის), **პასიურები: S** სახელობით ბრ.-ში (ნაცვალსახელი ის), **O-** მიცემითში (მას). **აქტიური ზმნები** სერიების მიხედვით იცვლიან კონსტრუქციას: I სერიაში **პასიურ ზმნებს ჰგვანან (S** სახელობით ბრ.- ში (ნაცვალსახელი ის), **O-** მიცემითში (მას)), II სერიაში **ერგატიული კონსტრუქციით** წარმოგვიდგებიან (**S** მოთხრობით ბრ.-ში (ნაცვალსახელი მან), **O-** სახელობითში (ის), ხოლო III სერიაში **დატიურ კონსტრუქციას** გვიჩვენებენ (**S** მიცემით ბრ.-ში (ნაცვალსახელი მას), **O-** სახელობითში (ის)), რითაც **მანიან ზმნებს** ემგვანებიან.

საკვანძო სიტყვები: გათვითცნობიერებული სწავლების მეთოდი, გაზეპირებული სწავლება, სუბიექტი (S), ობიექტი (O), მწკრივები, ნაცვალ- სახელი, აქტიური ზმნა, პასიური ზმნა, მედიოაქტივი, მედიოპასივი, ერგატი- ული კონსტრუქცია, დატიური კონსტრუქცია.

შესავალი

ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის შეწავლას დღესდრეობით ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა,. ყველა, ვინც შესჭიდებია ამ პროცესს, დამეთანხმება, რომ მრავალი წლის მანძილზე აქილევსის ქუსლად რჩებოდა და რჩება ბრუნვაცვალებადი სუბიექტისა და ობიექტის სწავლების საკითხები. ჩენს მსმენელებს ძალიან უჭირთ იმის გარკვევა, როდის რომელ ბრუნვაში უნდა დასვან სუბიექტი და ობიექტი, წინადადება რომ სწორად გამართონ. მხოლოდ მსმენელთა 5-7 ან 10% ახერხებს და, ისიც დიდი ძალისხმევის შემდეგ, სწორი ფორმის მიგნებასა და პრაქტიკაში გამოყენებას. ამიტომ მოვკიდეთ ხელი ამ საკითხის კვლევას.

ძირითადი ნაწილი

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ქართული ენის ყველა შემსწავლელი, ჩვეუ- ლებრივ, თა ვისი მშობლიური ენის კონსტრუქციებს „იყენებს“, ანუ ამოდიან

მშობლიური ენიდან და სუბიექტს (S) წინადადებაში პირველ ადგილზე სვამენ სახელობით ბრუნვაში.

კაცმა სახლი ააშენა, ან ბიჭმა მანქანა იყიდა-ს ნაცვლად ამბობენ:

კაცი სახლი ააშენა, ბიჭი მანქანა იყიდა.

ქართული ენის ახალ სასკოლო სახელმძღვანელოებში ზმნის შესასწავლად აკადემიური მეთოდი, ანუ ზმნების **მწკრივთა მიხედვით წარმოებაა** მოცემული, რაც თავის მხრივ, **გათვითცნობიერებული სწავლების მეთოდ-ზეა** დაფუძნებული. ვინაიდან მწკრივთა წარმოების მხოლოდ გაზეპირებით ჩვენი მსმენელები ვერასოდეს შეძლებენ ახალი ფორმების რეპროდუცირებასა და ვერასოდეს მოახერხებენ წინადადებების თავად შექმნას. **გათვითცნობიერებული სწავლება** კი 10-11 წლის ასაკიდანაა შესაძლებელი, როცა მშობლიურ ენაზე უკვე ფლობენ გარკვეულ მასალას გრამატიკული ტერმინების სახით და აქვთ განვითარებული შედარება-შეპირისპირების უნარი.

ქართული ენის შემსწავლელთათვის ამჟამად რამდენიმე სახელმძღვანელოა შექმნილი. ავტორებმა თავი კარგად გაართვეს ზმნის სწავლების პროცესებს, მაგრამ პრობლემა ისევ პრობლებად რჩება, რადგან ზმნათა ტიპებად დაყოფის დროს სხვადას ხვა და მრავალი ტიპის გამოყოფა [ნ.შარაშ. 2, გვ. 237-242] შემსწავლელებს ძალიან აბ- ნევთ, უჭირთ ერთი ტიპის მეორესაგან გარჩევა იმის გამო, რომ მსგავსი რამ მათ ენაში არ არსებობს. **ამ არარსებობის** გამო ისინი ვერ ახერხებენ „საკუთარი ცოდნის“ შედარება-შეპირისპირებას ქართული ზმნების თავისებურებებთან. განსაკუთრებით უჭირთ ცალ-ცალკე დამახსოვრება ზმნათა კონსტრუქციების ტიპებისა, რომლებიც ზემოთ აღნიშნულ სახელმძღვანელოშია მოცემული. და ამასაც თავისი ფსიქოლოგიური სარჩული უდევს. ყველამ კარგად იცის, რომ სწორედ ქართული ზმნაა წინადადების ხერხემალი და მისი ცოდნის გარეშე შეუძლებელია სწორად საუბარი და წერა. ლექსიკონებში კი დაახლოებით 30 000 ქართული ზმნაა ფიქსირებული და ისიც ზმნისწინების გარეშე და ამიტომ მათი ცალ-ცალკე კონსტრუქციების დროთა (მწკრივების) მიხედვით დამახსოვრება თითოეული შემსწავლელისათვის ათეული წლების მანძილზე სწავლის ტოლფასია, რაც დიდ ნებისყოფასა და დროს მოითხოვს და თანდათან უკარაგავს მსმენელებს ენის შესწავლის სურვილს. ხშირია შემთხვევები, როცა ისინი საერთოდ თავს ანებებენ სწავლას ან მხოლოდ გარკვეული დონის (ძირითადად ა1 და ა2) შეთვისებით კმაყოფილდებიან...

რამდენიმე ათეული წელია, ვასწავლი ამ საკითხებს... მრავალი ხერხისა და მეთოდის გამოყენების შემდეგ მივედი დასკვნამდე, რომ ზმნათა ბევრი ტიპის გამოყოფა მიზანშეწონილი არ არის და მსურს კოლეგებს გავუზიარო სწავლების ჩემი მეთოდი. ვფიქრობ, სწორედ მისი მეშვეობით მოვახერხე იმ შედეგების მიღწევა, რაც ჩემი ყოფილი მსმენელების ცოდნის დონის განმსაზღვრელია. მათ არ უჭირთ არც კომუნიკაცია და არც წერა ქართულად, იშვიათად უშვებენ შეცდომებს და თუ მაინც დაუშვეს ისინი, შესწორებაც ადვილად შეუძლიათ...

თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ სუბიექტის I და II მეორე პირის ფორმებთან დაკავშირებული პრობლემები არ გვაქვს, რადგან ამ პირის

ფორმათა ნაცვალსახელები უბრუნველია. სამაგიეროდ, მსმენელეთათვის III პირის ფორმებია რთული და გაურკვეველი. თხრობასა და კომუნიკაციას ისინი ხომ ძირითადად ამ პირში აწარ- მოებენ და ამიტომ კარგად უნდა ავათვისებინოთ **პირის ის** ნაცვალსახელისა და III პირში ზმნასთან შეწყობილი არსებითი სახელის ბრუნვების საკითხი. ამისათვის თავიდანვე ვახსენებ ზმნის პირებთან შეწყობილი სახელების **3 ბრუნვასა** და **ის** პირის ნაცვალსახელის ბრუნებას.

ნაცვალსახელი ის

			არსებითი სახ.		
მხ.რ.				მრ.რ.	
		ხმოვანფ.	თანხმოვანფ.		
სახ.	**ის**	**0**	**- ი**	**ისინი**	-ებ-ი
მოთხ.	**მან**	**-მ**	**-მა**	**მათ**	**-ებ-მა**
მიც.	**მას**	**-ს**	**-ს**	**მათ**	**-ებ-ს**

მასალის გამარტივების მიზნით, ქართულ ზმნებს მსმენელებს თავიდანვე 2 ჯგუფად ვაყოფინებ: **ვინიან** და **მანიან** ზმნებად. აქვე ეძლევათ განმარტებები, რომელი ზმნა როგორია. კონკრეტულად: **ვინიანია** ზმნა, თუ ახლანდელ დროში (რას ვაკეთებ? რას ვშვრები?) S_1-ის ნიშნად **ვ- პრეფიქსი** აქვთ, ხოლო **მანიანია,** თუ S_1-ის ნიშნად - **მ-პრეფიქსი**. ვუსახელებ რამდენიმე ზმნას და არკვევენ რა ტიპისაა თითოეული (მაგ.: ვარ, მაქვს, ვწერ, მყავს, ვფიქრობ, მინდა...). ასევე ვაძლევ განმარტებას, რომ **მანიანი ზმნები** ძალიან ცოტაა, მაგრამ ისინი ყველაზე ხშირად გამოიყენებიან კომუნიკაციაში და ვიწყებ ორი ზმნის **მაქვს** და **მყავს** ზმნის მაგალითის ახსნას. ჩემი ყველა კოლეგა ხომ ამ ორი ზმნით (არის ზმნასთან ერთად)[1] იწყებს ქართული ენის სწავლებას.[2]

სწორედ ამ ორი ზმნის მაგალითზე ხდება შემდეგში ახალი ზმნების სწავლება, როგორებიცაა: **მიყვარს, მინდა, მსურს, მჭირდება, მშია, მწყურია...** ეს ის ზმნებია, რომლებსაც ჩვენი მსმენელები დაწყებითი კლასებიდან იცნობენ და უკვე IX კლასში, როცა III სერიის მწკრივებს **შეგნებული სწავლების** დონე-ზე ითვისებენ, კარგად აცნობიერებენ მათ თავისებურებებს. კონკრეტულად, ამ ზმნებს **S** მიცემით რუნვაში აქვთ, ხოლო **O-** სახე- ლობითში[მელიქიშ-ვილი, გვ.43]:

S O S O

ბიჭს უყვარს ნაყინი. გოგონას სჭირდება კალამი.

მანიან ზმნებში ყველა **S**-ურ პირს ამ პირის შესაბამისი **O**-ური პირის ნიშანი გამოხატავს, ხოლო **O-** პირს კი ამ პირის შესაბამისი **S**-ური პირის ნიშანი. რადგანაც მათ **O** მუდმივად **III პირის** ფორმა აქვთ, მისი ნიშანიც შესაბამისად S_{III} მხოლობითის **-ა** და **-ს** გახლავთ.

მხოლოდ ამის შემდეგ ვაძლევ დასასწავლად ყველა მანიან ზმნას: **მაქვს,**

[1] მსმენელები ამ ორი ზმნის კონსტრუქციაში **არის** ზმნას იყენებენ, რადგან მათ ენაში სწორედ ეს ზმნა **არსებობა-ყოფნასთან** ერთად აღნიშნავს **ქონა-ყოლის** მოდალობას.

[2] **მყავს** ზმნასთან დაკავშირებით აუცილებელია განმარტება, რომ ტრანსპორტი ამ სემანტიკურ კონსტრუქციაში აზრობლივი კალკირების გზით მოხვდა. 3.

მყავს, მქვია, მაცვია, მახურავს, მიკეთია, მინდა/მსურს/მნებავს, მაწუხებს/ მიწუხს, მჭირდება, მესაჭიროება, მირჩევნია, მგონია, არა მგონია, მშია, მწყურია, მიხარია, მწყინს, მომწონს, მიყვარს, მძულს, მეზარება, მძინავს/ მეძინება, მღვიძავს/მეღვიძება, მტკივა, მაცემინებს, მახველებს, მცივა, მაციებს, მაჟრჟოლებს, მცხელა, მაცხელებს, მახურებს,მედარდება, მეფიქრება, მენაღვლება, მეჩხირება, მებლანდება, მიბნელდება, მინათდება, მცალია/არ მცალია, შემიძლია...[1]

ამის შემდეგ ვიწყებ **ვინიანი ზმნების** განხილვას, რომ ვინიანი ზმნები თავის მხრივ 2 ჯგუფად იყოფა: **აქტიურ** და **პასიურ** ზმნებად. ვუკონკრეტებ, რომ **აქტიურია** ისეთი ზმნა, რომლის სუბიექტიც (S) თვითონ მოქმედებს და შეიძლება გააჩნდეს სამოქმედო ობიექტი (ორ და სამპირიანი ზმნები) და შეიძლება ის არც ჰქონდეს (ერთპირიანი მე- დიოაქტიური[შანიძე 304] ზმნები): ცხოვრობს ის, თამაშობს ის , მაგრამ წერს ის მას, კითხულობს ის მას, უხატავს ის მას მას...

პასიურია ისეთი ზმნა, რომლის სუბიექტიც (S) თვითონ არ მოქმედებს ან განიცდის სხვის მოქმედებას, მააგრამ არ ჩანს ვისგან ან რისგან: იწერება ის, იკითხება ის, იხატება ის, თამაშდება ის, ეხატება ის მას... ეს ზმნები ერთ ან ორპირიანებია.

იმისათვის რომ გავარჩიოთ, ზმნა **აქტიურია** თუ **პასიური,** უნდა გადავიყვანოთ **რას აკეთებს? (რას შვრება?) ფორმაში** - S უნდა ჩავსვათ ახლანდელი დროის მე-3 პი- რის მხოლობით რიცხვში და თუ პირის ნიშანი იქნება **-ს**, ის **აქტიურია,** ხოლო თუ **-ა** - ზმნა **პასიურია.** მაგ.: აშენებ**ს**, კერავ**ს**, აკეთებ**ს** ... აქტიური ზმნებია, ხოლო იხატებ**ა,** ემალებ**ა,** ედარდებ**ა** - პასიური. **აქტიურთაგან გამონაკლისია 5 ზმნა,** რომელთაც **S_{III} - ს,** მაგრამ ისინი პასიურებია, ესენია: **არის, დგას, ზის, წევს, ვალ-/ ვედ-** (-დის ზმნა ყველა ზმნისწინით).

სქემატურად ვინიანი ზმნები ასე შეიძლება გამოვსახოთ:

რას აკეთებს? (ახლანდელი დრო)



მხოლოდ აქტიური და პასიური ზმნების გათავისების შემდეგაა შესაძლებელი ამ ზმნათა კონსტრუქციებში გარკვევა.[2] და ამის შემდეგ ხდება იმის ახსნაც, რომ სწორედ აქტიურ ზმნებსა აქვთ ბრუნვაცვალებადი სუბიექტი და ობიექტი, თორემ პასიურ ზმნებს ყველა მწკრივსა და სერიაში **S** სახ, ბრ-ში აქვთ **(ის: -ი; 0)** და **O** მიც.-ში **(მას: -ს)**. მხოლოდ ამის შემდეგ უკვე ვიწყებთ ტექსტებიდან ამოკრებილი ზმნების გარჩევასა და კონსტრუქციების შეწყობას მწკრივთა მიხედვით.

ამის შემდეგ ვიწყებთ პრაქტიკულ მეცადინეობებს და წინასწარ

[1] შეძლებისდაგვარად ამოვკრიბეთ ყველა ის მანიანი ზმნა, რომელთა გამოყენებაც ყველაზე ხშირია.

[2] აქტიურ ზმნებში ჩვენ ვგულისხმობთ მოქმედებით და საშუალ-მოქმედებით (მედიოაქტიურ) ზმნებს, პასიურებში კი-ვნებით და საშუალ-ვნებითებს (მედი- ოპასივებს [შანიძე 306]).

მიცემული ზმნებით ქმნიან წინადადებებს სხვადასხვა მწკრივში (წერა, კითხვა, ხატვა, შენება, კეთება...) : აწმყო, უწყვეტელი, მყოფადი, წყვეტილი და II კავშირებითი. თვითონ გამოაქვთ დასკვნა, რომ აქტიურ ზმნებთან 3 მწკრივში **აწმყო, უწყვეტელი, მყოფადი** S -სა და O-ის სხვა ბრუნვებს გვიჩვენებს - **S ის (სახ. ბრ.)** და **O- მას (მიც. ბრ.),** ხოლო 2 მწკრივში - **წყვეტილი** და **II კავშირებითი -** სხვას: **S მან(მოთხ. ბრ.)** და **O ის(სახ.ბრ.)**. ისიც არ უნდა დაგავიწყდეთ შეახსენოთ, რომ ეს 2 და 3-პირიან გარდამავალ ზმნებს ეხებათ. ამავე დროს კიდევ ერთხელ უნდა შევახსენოთ, რომ S -სა და O-ის ბრუნვები დამოკიდებულია გარდამავლობასთან და სერიებთან: **I სერიაში ის (S) მას (O) კონსტრუქციით, II-ში - მან(S) ის (O).**

მაგრამ გვაქვს **I თურმეობითის** მწკრივიც , როცა გარდამავალი ზმნების (ე.წ. **ვინიანი ზმნები) S მესამე პირში მიცემოთ ბრუნვაშია წარმოდგენილი.**

I თურმეობითის სწავლების პროცესი კი გარკვეულწილად სალექციო მეთოდით უნდა გადავცეთ. პირველ რიგში ამ მწკრივის წარსული დროის 3-ვე ნიუანსი [თალაკვაძე, გვ.215] უნდა მივაწოდოთ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ინვერსიულ ფორმებზე საუბარი [შანიძე, გვ. 310] და საჩვენებელი ზმნების უღლება აწმყოსა და წარსული დროის სხვა მწკრივებთან ერთად:

აწმყო	**უწყვეტელი**	**წყვეტილი**	**I თურმეობითი**
მე ვ-წერ **შენ** წერ **ის** წერ-ს	ვ-წერ-დ-ი წერ-დ-ი წერ-დ-ა	და-ვ-წერ-ე და-წერ-ე და-წერ-ა	და-მ-ი-წერ-ი-ა და-გვ-ი-წერ-ი-ა **ჩვენ** და-გ-ი-წერ-ი-ა და-გ-ი-წერ-ი-ა-თ **თქვენ** და-უ-წერ-ი-ა და-უ-წერ-ი-ა-თ **მათ**
მე ვ-ფიქრ-ობ **შენ** ფიქრ-ობ **ის** ფიქრ-ობ-ს	ვ-ფიქრ-ობ-დ-ი ფიქრ-ობ-დ-ი ფიქრ-ობ-დ-ა	მო-ვ-ი-ფიქრ-ე მო-ი-ფიქრ-ე მო-ი-ფიქრ-ა	მო-მ-ი-ფიქრებ-ი-ა მო-გვ-ი-ფიქრებ-ი-ა **ჩვენ** მო-გ-ი-ფიქრებ-ი-ა მო-გ-ი-ფიქრებ-ი-ა-თ **თქვენ** მო-უ-ფიქრებ-ი-ა მო-უ-ფიქრებ-ი-ა-თ **მათ**
მე ვ-ა-კეთ-ებ **შენ** ა-კეთ-ებ **ის** ა-კეთ-ებ-ს	ვ-ა-კეთ-ებ -დ-ი ა-კეთ-ებ -დ-ი ა-კეთ-ებ -დ-ა	გა-ვ-ა-კეთ-ე გა-ა-კეთ-ე გა-კეთ-ა	გა-მ-ი-კეთებ-ი-ა გა-გვ-ი-კეთებ-ი-ა **ჩვენ** გა-გ-ი-კეთებ-ი-ა გა-გ-ი-კეთებ-ი-ა-თ **თქვენ** გა-უ-კეთებ-ი-ა გა-უ-კეთებ-ი-ა-თ **მათ**

ეს მსმენელებს შედარების შესაძლებლობას აძლევს და კარგად ხედავენ, რომ აწმყოსა და წარსული დროის 2 მწკრივში ამ ზმნებს **ვინის რიგის ნიშნები** აქვთ, **თურმე- ობითში** კი ისინი სათანადო პირის **მანის რიგით** არის შეცვლილი და ზუსტად ისეთივე აგებულება და დანიშნულება აქვთ პირის ნიშნებს, როგორც **მქვია, მაცვია, მშია, მწყურია...** ტიპის ზმნებში. და სწორედ აქ ვუხსნით, რომ პირის ნიშანთა გამოხატვის ფუნქციები „შებრუნდა“: **ობიექტური პირის** ნიშნები გამოხატავენ სუბიექტს და, პირიქით, **სუბიექტური ნიშნები**-ობიექტს (ჩვენს შემთხვევაში **-ა** სუფიქსი, ხოლო **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიან ზმნებთან **-ს**). კონსტრუქცია კი ამ ტიპის ყველა ზმნას ერთნაირი აქვს:

S O S O

ბიჭს უყვარს ნაყინი. **კაცს აუშენებია სახლი** (მე ამიშენებია).

გოგონას სჭირდება კალამი. **გოგონას დაუწერია დავალება** (მე დანიწერია).

სუბიექტი (ქვემდებარე) მიცემით ბრუნვაში - პირის ნაცვალსახელი ფორმით **მას** და ობიექტი (დამატება) სახელობითში -პირის ნაცვალსახელი ფორმით **ის.**

დასკვნა

ეს ანალოგია ჩვენი მსმენელებისათვის სრულიად საკმარისია, ფორმისა და კონსტრუქციის აღსაქმელად და, რაც მთავარია, დასამახსოვრებლად. ეს კი წინაპირობაა იმისა, რომ შემდეგში კომუნიკაციისათვის გამოიყენებენ ამ ფორმებს და საკუთარ აზრს უფრო სხარტად და ლოგიკურად გადმოსცემენ. თორემ ყველა ფილოლოგმა საკმაოდ კარგად იცის, რომ მესამე სერიის ფორმების წარმოებისას უფრო რთულ ოდენობასთან გვაქვს საქმე. კერძოდ, ინვერსია გამოწვეულია ირიბობიექტური პირის დაკარგვით (სამპირიანი ზმნა აღარ არსებობს) და აქტიური (მოქმედებითი გვარის) ზმნების მიერ პასიური (სტატიკური ვნებითის) ფორმების ჩანაცვლებით.

ზმნათა კონსტრუქციები სერიების მიხედვით კი ასეთია:

N	მანიანი		აქტიური		პასიური	
	S	O	S	O	S	O
I სერია	მას -ს	ის -ი/-0	ის -ი/-0	მას -ს	ის -ი/-0	მას -ს
II სერია	მას -ს	ის -ი/-0	მან -მა/-მ	ის -ი/-0	ის -ი/-0	მას -ს
III სერია	მას -ს	ის -ი/-0	მას -ს	ის -ი/-0	ის -ი/-0	მას -ს

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი, ტ.III, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი 1980.
2. მარაიამ თალაკვაძე, ქართული ენის გრამატიკის სწავლების საკითხები, განათლება, თბილისი 1959.
3. დამანა მელიქისვილი, მიჭირს ზმნა და მასწავლებლის გასაჭირი, ჟ. ქართული ენა და ლიტერატურა N3, თბ, 1978

For the teaching of the rotating subject and object

Ketevan Sokhadze, Processor
Georgian Technical University

Summary

The article discusses teaching methods for series (verb tenses) of Georgian verb constructions. From the beginning, 2 groups of verbs of Maniana (S1- მ-) and Viniana (S1- ვ) are highlighted, then it is shown that Viniana verbs are divided into 2 more groups: Active and Passive. And these Active verbs change constructions (cases S and O) by series. Therefore, during the teaching of Georgian verbs, each teacher should pay great attention to these points.

„ბრწყინვალე დოქტორი” ნაბეჭდი წიგნის ისტორიაში

მარინა სურმავა, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

XIII საუკუნეში გაჩნდა ბიბლიოთეკების მოწყობის პირველი მითითებები. მისი ავტორი იყო ამიენის ეკლესიის მოძღვარი, თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებულესი ადამიანი რიშარ დე ფურნევალი (1201-1260). მისი ნაშრომი „წიგნთმცოდნეობა“ არკვევს ბიბლიოთეკების შესაძლებლობებს მკითხველთა მომსახურებისას. ბიბლიოთეკების ფონდები, რომლებიც შეიცავენ თხზულებებს ღვთისმეტყველების, ფილოსოფიის, სიმართლის, მედიცინის დარგში, მომავალში იქცნენ სორბონის ბიბლიოთეკის შექმნის საფუძვლად.. ამ მითითებებმაც საბიბლიოთეკო პრაქტიკის მხოლოდ კერძო შემთხვევა გამოხატა და არ გაითვალისწინა ეპოქის ყველა სამეცნიერო მიღწევა, განსაკუთრებით ცოდნის სისტემატიზაციის სფეროში. რიშარ დე ფურნევალმა არ გაითვალისწინა ცნობილი ინგლისელი ბერის, ფილოსოფოსისა და ბუნების-მეტყველის როჯერ ბეკონის (1214-1294) მოწინავე იდეებიც. ბეკონის მეცნიერებათა კლასიფიკაცია ეფუძნებოდა თეორიული და პრაქტიკული დისციპლინების თანასწორობის აღიარებას. თუ თანამედროვეთა მიერ მიღებულ იქნებოდა როჯერ ბეკონის იდეები, შესაძლებელი გახდებოდა გაჩენილიყო უფრო სრულყოფილი საბიბლიოთეკო კლასიფიკაცია და ფონდების განაწილების რაციონალური მეთოდები, კატალოგებში წიგნების სისტემატიზაციის ხერხები. როჯერ ბეკონის მოძღვრებამ მხოლოდ XVII საუკუნეში ჰპოვა ასახვა საკვალიფიკაციო თეორიებში.

საკვანძო სიტყვები: ბიბლიოთეკები, ფონდები, კატალოგები, წიგნები, ეკლესია, ლიტურგია.

შესავალი

XII-XIV საუკუნეებში ევროპაში მნიშვნელოვნად გაიზარდა საბიბლიოთეკო ფონდები, რომლებიც შედგება არა მარტო ორიგინალური თხზულებებისგან, არამედ ანტიკური და არაბი ავტორების თარგმანებისაგან. სულ უფრო იზრდება მოთხოვნილება წიგნებზე, რაც თავის მხრივ განაპირობებს გადამწერთა რაოდენობის ზრდას. ისინი ხელნაწერთა დამზადებაზე იღებდნენ შეკვეთებს. XII საუკუნეებში მათი რიცხვი განუხრელად მატულობს. მათი დახმარებით სარგებლობენ სკოლები და ცალკეული პირები. გაჩნდნენ წიგნის გამყიდველები, რომელთა შეკვეთებითა და სახსრებითაც გადამწერები ამზადებდნენ წიგნებს.

ძირითადი ნაწილი

შეიცვალა ევროპულ ბიბლიოთეკებში არსებულ წიგნთა ხასიათიც. ძირითადი ლიტერატურა საღვთისმეტყველო შინაარსისაა, თუმცა მისი ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად დაეცა. სამაგიეროდ, გაიზარდა საერო წიგნების მო-

თხოვნილება. მაგალითად, კენტერბერში არსებულ ბენედიქტური მონასტრის ბიბლიოთეკა ცნობილი გახდა საერო წიგნების სიმრავლით. გაჩნდა უფრო მრავალფეროვანი ჟანრისა და თემატიკის მქონე თხზულებები, მრავლდება მშობლიურ ენაზე შექმნილი ნაწარმოებები. კატალოგებში არის „არაბი“ მეცნიერების: ავიცენასა და ავეროესის ტრაქტატები, ასევე შესამჩნევად იცვლება ლიტერატურული ფორმები და ჟანრები- წარმოიშვა ნოველა, რომანი, პოემა, ქრონიკა, ენციკლოპედიური შინაარსის საცნობარო ლიტერატურა და სხვა. ევროპის სულიერი ინტერესებისა და ცვლილებების შესაბამისად გაფართოვდა მკითხველთა წრე. ბიბლიოთეკაში ხშირად სტუმრობენ მწერლები, პედაგოგები, სტუდენტები, მეცნიერები, უმაღლესი სკოლების მოსწავლეები.

XIV საუკუნის სამონასტრო და საეკლესიო ბიბლიოთეკები უწინდებურად საბიბლიოთეკო კულტურის ერთადერთ კერას როდი წარმოადგენდნენ. ბიბლიოთეკები ყალიბდება უნივერსიტეტებში, სპეციალურ სკოლებში, ასევე არსდება მეფეთა, ფეოდალთა, ვაჭართა, ბიბილიოფილთა, მეცნიერთა, მწერალთა ბიბლიოთეკები. თავად ის ფაქტი, რომ სამონასტრო და საეკლესიო ბიბლიოთეკებში მატულობს საერო ხასიათის ლიტერატურის ხვედრითი წილი, განაპირობებს კატალოგთა შედგენის მეთოდების ცვლილებებს.

XIV საუკუნის სამონასტრო და საეკლესიო ბიბლიოთეკების კატალოგები რაიმე განსაკუთრებული სისტემატიკით არ გამოირჩევა, მაგრამ ძველი დროისაგან განსხვავებით, კატალოგებში უკვე შეინიშნება მასალის უფრო სრულყოფილად განლაგების ცდა. მაგალითადა, გერმანიის ერთ-ერთი დიდი საეკლესიო ცენტრის, ნეიბურგის ეკლესიის ბიბლიოთეკის კატალოგში მკაფიოდ იყო ცალკე გამოყოფილი წიგნები მედიცინის, სამართლის, გრამატიკის, არითმეტიკის, მათემატიკის დარგში. ანალოგიური მეთოდი შეინიშნება სხვა ბიბლიოთეკების კატალოგთა გაცნობის დროსაც.

XIII- XIV საუკუნის ბიბლიოთეკარებს კარგად ესმოდათ კატალოგების, როგორიც საცნობარო აპარატის დანიშნულება და მნიშვნელობა, რაც ბიბლიოთეკათა წიგნადი ფონდების გაცნობის საშუალებას იძლეოდა. სორბონის პირველი ბიბლიოთეკის (1289 წ.) შემდგენლები, ასევე, უდიდეს მნიშვნელობას აძლევდნენ კატალოგების შედგენას და მას საცნობარო ფუნქციას ანიჭებდნენ. უკვე დაიწყეს მკითხველთათვის ახსნა განმარტებანი იმის თაობაზე, თუ როგორ დგება კატალოგები. ეს მიზნად ისახავდა ბიბლიოთეკარებისა და მკითხველთათვის კატალოგების ხმარების წესის გაცნობას. ამ მხრივ აღსანიშნავია კენტერბერში არსებული დოვრესის მონასტრის (1389) კატალოგი. აქ სპეციალურად შემუშავებული გეგმის მიხედვით ახდენდნენ წიგნების განლაგებასა და სისტემატიზაციას, რათა მკითხველს და ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალს გაადვილდებოდა წიგნების მოხმარება. მსგავსი კატალოგებიც ჩნდება ევროპის დიდ სამონასტრო ბიბლიოთეკებთან.

XIII- XIV საუკუნეების კატალოგებში უფრო ხშირად ხდება წიგნების დაჯგუფებადამათიჟანრობრივიკუთვნილებისთვალსაზრისით:„ქრონიკები“, „კომენტარები“, და ა. შ. გლასტონბერიის სააბატოს ბიბლიოთეკის (1247 წ.) კატალოგებში წიგნები სათაურით „დარიგებანი“, „მითითებანი“ ცალკეა

დაჯგუფებული. კენტერბერის ეკლესიის ბიბლიოთეკის (1313 წ.) კატალოგში ცალკეა გამოყოფილი „ინგლისური წიგნები“, „წიგნები, რომელთა გატანა მონასტრიდან აკრძალულია“, „ქრონიკები“ და ა. შ. იორკის ავგუსტინური მონასტრის ბიბლიოთეკა (1372 წ.) კატალოგებშიც გვხვდება წიგნების დაჯგუფება შემდეგი სახით: „სასკოლო ისტორია“, „ხალხთა ისტორია“, „ისტორია და ქრონიკა“, „მაჩვენებლები“, „უცხოელი ფილოსოფოსები და მწერლები“ და ა. შ.

კატალოგებში არსებული ზოგიერთი მინიშნება გვიჩვენებს, რომ პრაქტიკაში უკვე იყო დამკვიდრებული სამონასტრო და საეკლესიო ბიბლიოთეკებიდან წიგნების გატანის პრაქტიკა, ან სხვა ბიბლიოთეკებში, ან მკითხველთა მიერ სახლში.

XIV საუკუნისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა კერძო ბიბლიოთეკების რიცხვი. განსაკუთრებით აღსანიშნავია საფრანგეთის მეფის შარლ V-ის ბიბლიოთეკის კატალოგი, რომელიც შეადგინა მისმა ბიბლიოთეკარმა ჟიულ მალემ (1373 წ.). იგი ითვლიდა 910 წიგნს-საღვთისმეტყველო, ასტროლოგიური, სამართლის, პოლიტიკის და მედიცინის ჟანრის თხზულებებს. განსაკუთრებით მრავლად იყო წიგნები ისტორიასა და მხატვრულ ლიტერატურაში. კატალოგების მნიშვნელობის ზრდა განსაკუთრებით განაპირობა ბიბლიოთეკათშორისი წიგნების გაცვლის აუცილებლობამაც. კატალოგებს უფრო მეტად ენიჭება საცნობარო ფუნქცია. XII-XIV საუკუნეებში, ადრეული შუა საუკუნეების მსგავსად, მეცნიერებას ჯერ კიდევ ბერები და უმაღლესი სამღვდელოება აკონტროლებდნენ. ფრანცისკანელ ბერთა მიერ 1250-96 წლებში შედგენილ იქნა „ინგლისის წიგნთა კატალოგი“, რომელშიც შევიდა ყველა სახის თარგმნილი ახალი ლიტერატურა.

უდიდესი როლი წიგნების განვითარების ისტორიაში ეკუთვნის ცნობილ გერმანელ გამომგონებელს, პირველ მესტამბეს იოჰან გუტენბერგს (1394-1468). მის მიერ დასტამბული წიგნები „განკითხვის დღის ფრაგმენტი“, ელიუს დონატუსის „ლათინური ენის გრამატიკა“, „თურქული კალენდარი“, „კათოლიკური ეპარქიის ეკლესიათა სია“ და სხვ. ამშვენებდა და დღემდე ამშვენებს დასავლეთ ევროპული ბიბლიოთეკების კატალოგებს. XIV-XV საუკუნეებში ბიბლიოთეკების ყველაზე გავრცელებულ ტიპად კვლავ სამონასტრო ბიბლიოთეკებია მიჩნეული, რომელთა რიცხვი საეკლესიო სხვა სახეობების ბიბლიოთეკების გვერდით ყველა ქვეყანაში მატულობს. მნიშვნელოვნად გაიზარდა საეკლესიო ბიბლიოთეკების ფონდები. XVI საუკუნის ევროპის თითოეული ბიბლიოთეკა ათასხუთას და ზოგჯერ მეტ ტომსაც მოიცავს. იზრდება მკითხველთა წრეც, შესამჩნევად გამოცოცხლდა მწერალთა საქმიანობაც. XV საუკუნეში წიგნის ბეჭდვის გამოგონებასთან ერთად საბიბლიოთეკო ფონდებში ნაბეჭდი წიგნებიც გაჩნდა. ყველა საეკლესიო ბიბლიოთეკაში უწინდებურად ჭარბობდა საღვთისმეტყველო ლიტერატურა. საერო კულტურის ელემენტების გაძლიერებამ, საეკლესიო ერესის გავრცელებამ მოითხოვა რელიგიური დოგმების ფილოსოფიური განმტკიცება. საეკლესიო პირებს ეხმარებოდა სქოლასტიკა- „ღვთისმეტყველების მსახური“. ამიტომ საეკლესიო ბიბლიოთეკების ფონდებში მნიშვნელოვანი

ადგილი სქოლასტიკოსთა შრომებს ეკავა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბიბლიოთეკებში აღწევდა ნამდვილი სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც ყველასათვის არ იყო ხელმისაწვდომი. მისი გამოყენება შეეძლოთ განსაკუთრებით მცოდნე და წარჩინებულ სამღვდელოებას. ასეთები კი ძალზე მცირენი იყვნენ. საეკლესიო პირთა განათლების დონეზე შუა საუკუნეების ერთ-ერთი ცნობილი მეცნიერი პიერ აბელიარი (1079-1142) წერდა: „ისინი, ვინც ახლა მონასტრებში ეუფლებიან სწავლას, იმდენად სისულელით არიან მოცულნი, რომ კმაყოფილდებიან სიტყვების ხმოვანებით, არ სურთ რაიმეს გააზრება და გაგება... ისინი ყურს უგდებენ არა გულს, არამედ მხოლოდ ენას... რა შეიძლება იყოს ამ საქმიანობაზე უფრო სასაცილო - იკითხო და ვერაფერი გაიგო ? ეს იგივეა, ვირი იქნება ჩანგლით, თუ მკითხველი წიგნით - როცა მას არ შეუძლია მისი გამოყენება იმისათვის, რისთვისაც იგი არის განკუთვნილი“

ბიბლიოთეკების ფონდების კატალოგების გარკვეული ნიმუშები დღემდეა შემორჩენილი. ბიბლიოთეკარები კატალოგებს განიხილავდნენ, როგორც საცნობარო საშუალებებს, რომელთა დახმარებით შესაძლებელი იყო ფონდთა შემადგენლობის გაცნობა, თაროზე წიგნების მოძებნა. ჩნდება კრებითი კატალოგებიც. ინგლისელმა ფრანცისკანელმა ბერებმა შეადგინეს „ინგლისის წიგნთა ჩამონათვალი“, რომელიც შეიცავდა ცნობებს სამონასტრო ბიბლიოთეკების წიგნად ფონდთა შესახებ. 1210 წელს სავინის მონასტერში თავმოყრილი იყო ნორმანდიის სამონასტრო ბიბლიოთეკების კატალოგები.

უკვე XIV საუკუნეში ბიბლიოთეკების წესები მონასტრებიდან წიგნების გატანის ნებას იძლეოდა, ამიტომ კატალოგებში შემოიღეს სპეციალური რუბრიკა- „წიგნები, რომელთა მონასტრიდან გატანა არ შეიძლება“.

საეკლესიო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდები ორ ნაწილად იყოფოდა: წიგნები, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო ყველა მკითხველისათვის და წიგნები, განსაკუთრებით ფასეული, ან იდეოლოგიური მოტივებით მხოლოდ რჩეულთათვის განკუთვნილი.

XIII საუკუნეში გაჩნდა ბიბლიოთეკების მოწყობის პირველი მითითებები. მისი ავტორი იყო ამიენის ეკლესიის მოძღვარი, თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებულესი ადამიანი რიშარ დე ფურნევალი (1201-1260). მისი ნაშრომი „წიგნთმცოდნეობა“ არკვევს ბიბლიოთეკების შესაძლებლობებს მკითხველთა მომსახურებისას. ბიბლიოთეკების ფონდები, რომლებიც შეიცავენ თხზულებებს ღვთისმეტყველების, ფილოსოფიის, სიმართლის, მედიცინის დარგში, მომავალში იქცნენ სორბონის ბიბლიოთეკის შექმნის საფუძვლად.. ამ მითითებებმაც საბიბლიოთეკო პრაქტიკის მხოლოდ კერძო შემთხვევა გამოხატა და არ გაითვალისწინა ეპოქის ყველა სამეცნიერო მიღწევა, განსაკუთრებით ცოდნის სისტემატიზაციის სფეროში. რიშარ დე ფურნევალმა არ გაითვალისწინა ცნობილი ინგლისელი ბერის, ფილოსოფოსისა და ბუნების-მეტყველის როჯერ ბეკონის (1214-1294) მოწინავე იდეებიც. ბეკონის მეცნიერებათა კლასიფიკაცია ეფუძნებოდა თეორიული და პრაქტიკული დისციპლინების თანასწორობის აღიარებას. თუ თანამედროვეთა მიერ მიღებულ იქნებოდა როჯერ ბეკონის იდეები, შესაძლებელი გახდებოდა გაჩენილიყო უფრო სრულყოფილი საბიბლიოთეკო კლასიფიკაცია და

ფონდების განაწილების რაციონალური მეთოდები, კატალოგებში წიგნების სისტემატიზაციის ხერხები. როჯერ ბეკონის მოძღვრებამ მხოლოდ XVII საუკუნეში ჰპოვა ასახვა საკვალიფიკაციო თეორიებში რ. ბეკონის მიერ ჩამოყალიბებულ კლასიფიკაციის გაცნობამდე. მოკლედ შევეხოთ რ. ბეკონის ცხოვრებისა და შემოქმედების ძირითად ასპექტებს

როჯერ ბეკონის მთავარი ნაშრომია „ Opus majus“ და მისი დამატებანი „Opus minus“ და “Opus tertium“, რომლებსაც ვერ მივიჩნევთ ენციკლოპედიურ გამოკვლევად, ამიტომ რ. ბეკონის კლასიფიკაცია უნდა განვიხილოთ როგორც ბიბლიოგრაფიული ხასიათის კლასიფიკაცია. მასში მოცემულია მეცნიერების ამსახველი მრავალი მასალა, რომელიც განლაგებულია ძალზე გონივრულად. ყოველივე ეს კი საშუალებას გვაძლევს რ. ბეკონი მივიჩნიოთ კლასიფიკაციური აზროვნების განვითარების ისტორიის უმნიშვნელოვანეს ფიგურად.

„ბრწყინვალე დოქტორად“ წოდებული ბეკონი აღიზარდა ოქსფორდის უნივერსიტეტებში, მოგვიანებით ფრანცისკელთა ორდენის ბერი და

ღვთისმეტყველების პროფესორი გახდა. იგი იბრძოდა იმ სასულიერო ხელისუფალთა წინააღმდეგ, რომელნიც ხალხის შევიწროებას ცდილობდნენ. იგი ააშკარავებდა რომის პაპის „წმინდა ტახტის“ დაცემას, ტახტისა, რომელიც „შეიქმნა სიცრუისა და თაღლითობის მსხვერპლი“, იგი უმაღლეს სამღვდელოებას მიიჩნევდა „ამპარტავნობის, ქედმაღლობის, სიხარბის ერთგულად“. მას აღაშფოთებდა, რომ „დიდებულები და რაინდები ცდილობდნენ ხალხის, თავიანთ ქვეშევრდომთა ძარცვას, გაპარტახებას გაუთავებელი ომებითა და გადასახადებით“. ყოველივე ამის გამო ბეკონმა ციხეში გაატარა თოთხმეტი წელი (თუ ჩავთვლით მონასტრის უმკაცრეს რეჟიმში ბეკონის მიერ გატარებულ პერიოდსაც, მაშინ 24 წელი). ბეკონი უარყოფდა კვლევის სქოლასტიკურ მეთოდებს, ხედავდა ჭეშმარიტი მეცნიერების ღირსებას, გრძნობდა მის სიდიადეს და რეალურად განსაზღვრავდა მის ფასს; მას ესმოდა, რა დიდი სამსახურის მოტანა შეეძლო მეცნიერებას ხალხისათვის. მისი მეცნიერული კვლევის საფუძველი იყო ცდა. ბეკონი ბევრს მუშაობდა ოპტიკის, მექანიკის სფეროში, მაგრამ ბეკონი „უმაღლეს მეცნიერებად“ თვლიდა ღვთისმეტყველებას, რომელიც მისი აზრით, გრამატიკის, არითმეტიკის გეომეტრიის, ასტრონომიის, ფიზიკის ეთიკისა და ლოგიკის ცოდნის გარეშე შეიძლება არასწორად ყოფილიყო გაგებული.

როჯერ ბეკონმა, რომელიც პროფესიით მათემატიკოსი და ფიზიკოსი იყო, მთელი სიცოცხლე იმუშავა ფიზიკის ექსპერიმენტებზე. წარჩინებული და მდიდარი ოჯახის შთამომავალმა თავისი მთელი ქონება ამ საქმეს მოახმარა. მოხუცებულ როჯერ ბეკონს ეკლესია სდევნიდა, როგორც ურწმუნოსა და მოღალატეს. ბეკონის გარდაცვალების შემდეგ მისი მოძღვრება კათოლიკურ ეკლესიას დიდხანს ბოროტების და სატანის მოციქულის ნაღვაწად მიაჩნდა.

ბეკონის ინტერესის საგანს აღარ წარმოადგენდა თეოლოგია, მას აინტერესებდა „უბრალო და დაბალი მეცნიერების ამ მამამთავრისათვის ძირითადი არსი საკუთარი, უშუალო დაკვირვება ბუნების მოვლენებზე. იგი სასტიკად აკრიტიკებს სქოლასტიკის ფორმალიზმს, თეოლოგიას და ავტორიტეტების გამოყენების მეთოდს, მიაჩნია, რომ ცოდნის მოცემა

ავტორიტეტს არ შეუძლია, რომ ცოდნას მხოლოდ გამოცდილება და ექსპერიმენტი იძლევა. იგი დასცინოდა თომა აქვინელს, რომელმაც სქელ-სქელი ნაშრომები დაწერა არისტოტელეზე და ერთი სიტყვა ბერძნული არ იცოდა. მართალია, ბეკონი ძალიან მაღალ შეფასებას აძლევს არისტოტელეს, მაგრამ არ სწამს მისი თომისტური ინტერპრეტაცია. ბეკონი თავს ავიცენას მოწაფედ თვლის და მიიჩნევს, რომ შემეცნების წყაროა ცდა, და რომ დასაბუთება უნდა მოხდეს გონებით.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როჯერ ბაკონი სავსებით არ განთავისუფლებულა სარწმუნოებისაგან. პირიქით, მას სურდა სარწმუნოება გონიერ პრინციპზე დაეფუძნებინა, იგი ცრუ იდეებისაგან გაეთავისუფლებინა და ბუნებრივი საშუალებებით განემარტა. ბეკონს ქრისტიანობა ესმოდა, როგორც ღმერთის მიერ ქრისტეს სახით გამოცხადებული ბუნებრივი რელიგია. ბეკონი ფიქრობდა, რომ თუ იგი ბუნების შემეცნების ნამდვილ წყაროს, ექსპერიმენტს მოიმარჯვებდა, მაშინ კარგად მოემსახურებოდა ნამდვილ სარწმუნოებას.

ბეკონის თეორიულ გამოკვლევებში უმთავრესი ადგილი უჭირავს მის მოძღვრებას „ძალთა გავრცელების“ შესახებ, კერძოდ იმის შესახებ, რომ ყოველი სხეული წარმოადგენს სხვადასხვა მიმართულების ძალთა აქტივობისა და რადიაციის ცენტრს. ბეკონი ექსპერიმენტალურ მეცნიერებას „თეორიული მეცნიერების“ შედეგების სისწორის შემოწმების მთავარ კრიტერიუმად მიიჩნევს. სწორედ თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთობამ ჰპოვა ასახვა ბეკონის კლასიფიკაციაში. ბეკონი უდიდეს ყურადღებას უთმობდა მეტაფიზიკის, ასტროლოგიის შესწავლას.

შუა საუკუნეების ტრადიციების თანახმად ქრისტიანული ღვთისმეტყველება მოიხსენიებოდა ან მეცნიერებათა თავში, და იგი „უმაღლესი მეცნიერების“ სახით იწყებდა მეცნიერებათა რიგს (ასე იქცეოდნენ ბრუნეტო ლატინი, ალბერტ დიდი, ბარტოლომეო ინგლისელი, რაიმუნდ ლულიელი და სხვ.), ან სულ ბოლოში, როგორც „ფილოსოფიისა და მორალის“ მწვერვალი. ბეკონმა მეორე გზა აირჩია. იგი ეთიკის სფეროში ახლებურად მოაზროვნე ადამიანად წარმოჩინდა. იგი აბელიარის კვალდაკვალ ამტკიცებდა, რომ ეთიკის საკითხებში ბერძენი და არაბი ფილოსოფოსები ქრისტიან ფილოსოფოსებზე მაღლა იდგნენ.

დასკვნა

სამღვდელოების კრიტიკა, მათი აღვირახსნილობისა და სიხარბის აღნიშვნა არ იყო უცხო იმ პერიოდში, მაგრამ ძნელია მოიძებნოს იმ დროის თუნდაც ერთი პიროვნება, რომელსაც იმგვარი სიმძაფრით ჰყავდეს გაკრიტიკებული სასულიერო სფეროს მესვეურნი, როგორც ბეკონს. ამ უკანასკნელმა სავსებით გულახდილად განაცხადა, რომ „რომის პაპის ტახტი სიცრუის, სიხარბის, ღალატის სათავსოდ იქცა“. რ.ბეკონის მსოფლმხედველობის ძირითადი ასპექტები აისახა არა მხოლოდ „Opsus majus”-ში, არამედ მის სხვა ტრაქტატებშიც.

ბეკონის კლასიფიკაცია ხშირად გამოიყენება საბიბლიოთეკო ლიტერატურაში მოკლე სქემის სახით, რომელიც შედგენილია მისი ძირითა-დი

ნაშრომის „Opsus majus“ (1266) საფუძველზე და ამდენად ვერ იძლევა ბეკონის მიერ ჩატარებული მუშაობისა და იმ ეპოქის ყველა მეცნიერების განზოგადების საშუალებას. იმისათვის, რომ სრულყოფილად იქნას მისი კლასიფიკაცია შესწავლილი, უნდა გაანალიზდეს არა მარტო „Opsus majus“ და მისი დამატებები “Opsus minus“, არამედ აგრეთვე “Communia maturalium“, რომელსიც მოცემულია ბეკონის მიერ შექმნილი ოთხტომეული კაპიტალური ნაშრომის “Scriptum principale”-ს სქემა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Талаликина О. И. История библиотечного дела за рубежом. М., 1982.
2. Средневековые в его памятниках М., 1913.3.
3. Аберял П., История моих бедствий, Исд. Подготовили Д. А., Дрбоглав, Н. А., Сидоров и др. Ред. Н. А. Сидорова, М., 1959.
4. Ивановский В., Роджер Бекон, Книга для чтения по истории средних веков, под ред. П. Виноградова, вип 4, М., 1923.
5. Шанурин Е. И., Очерки по истории библиотечно- библиографической классификации. М., 1955.
6. Краткие очерки истории философии, под ред. М. Т. Иовчука М., 1971.
7. Трахтенберг О. В., Очерки по истории западноевропейской средневековой философии, М., 1957.

Called the Brilliant Doctor, Roger Bacon’s greatest role in book history

Marine Surmava, associate professor
Georgian Technical University

Summary

The library practice ant the theory has a particular place.During the studding of the history of book and library the period of Middle Ages has the great importance, because in that period was founding the base of the library Theory, catalogue, systematization of books, were workind up the principles of book making; Codex Bopok was gaining a foothold hardly, was taught the technique of parchment. The paper was gradually used and it took the dominate place, all that crowend by the inventing of printing-press.

During the studdinf of Library eork the great importance had the early systematization and catalogue of Book Funds.

Thought the most books in th Europian Libraries of the period had theologian content, but gradually was increasing the demand of secular books.

Lately appeared the first instructions to the Library organization. On this concern the ideas of famous Englis monk, Philosopher and naturalist Roger Bacon (1214 1294 expressed in his book had great importance, which made possible the Library classification and rational distribution of book founds in catalogues and systematization of books.

Keywords: Libraries, Foundations, Catalogs, Books, Church, Liturgy.

სპორტსმენის ნებელობითი მომზადება

გიორგი მძინარაშვილი, ასისტენტ - პროფესორი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

რეზიუმე

სპორტსმენის ნებელობითი თვისებების აღზრდას, მის ფსიქოლოგიურ მომზადებას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც სასწავლო - საწვრთნო პროცესის მიმდინარეობის დროს, ასევე შეჯიბრზე. რაც არ უნდა კარგად იყოს მომზადებული სპორტსმენი ტექნიკურად,ტაქტიკურად,ფიზიკურად და თეორიულად, თუ მას არა აქვს სათანადო ფსიქოლოგიური მომზადება, ის ვერ შეძლებს სასურველი შედეგის მიღწევას.

სპორტსმენის ფსიქოლოგიური მომზადება (მდგომარეობა)-დამოკიდე-ბულია მის ნებისყოფაზე ე.ი. ნებელობით თვისებებზე , რომელიც კავშირშია ადამიანის ფსიქოლოგიური მოღვაწეობის ყველა სახეობასთან. საერთო ჯამში ყველაფერი ეს ეყრდნობა იმას თუ რას და როგორ მიზანს ისახავს სპორტსმენი.თუ სპორტსმენი შეჯიბრის რეჟიმში ფსიქოლოგოური განწყობის თვალსაზრისით ჯდება უშუალოდ შეჯიბრის დაწყების წის, ან შეჯიბრის მიმდინარეობისას მაშინ როდესაც მას ხვდება დიდი წინააღმდეგობა ,ის ვერ შეძლებს სათანადო დონეზე მობილიზაციასა და მომზადებას და ყველაფერს ამ შეჯიბრში გააკეთებს დაბალი ეფექტურობითა და ხარისხით.მიზნისადმი დამოკიდებულება , ჩვენი აზრით უნდა იყოს მუდმივი და უწყვეტი.

საკვანძო სიტყვები: სპორტსმენი,ნებელობითი,ფსიქოლოგიური,სას-წავლო, მომზადება, ფიზიკური.

შესავალი

სპორტსმენების მრავალწლიანი გამოცდილება გვიჩვენებს,რომ დიდ წარმატებას და დიდი შედეგების ჩვენებას სპორტსმენისა და მწვრთნე-ლის ერთობლივმა თავდაუზოგავმა შრომამ შეიძლება მიაღწიოს იმ შემთხვე-ვაში, როდესაც იქნება დაცული რაციონალური და მჭიდრო ერთობლიობა სპორტსმენის მომზადებაში: ტექნიკურად,ტაქტიკურად,ფიზიკურად,ფსიქო ლოგიურად,ინტელექტუალურად.

ფსიქოლოგიური(ნებელობითი) მომზადება - ამ მყარი ერთობლიობის არა მარტო შემადგენელი ნაწილია არამედ მართველიც,რომლის გარეშეც წამოუდგენელია სპორტში რაიმე წარმატების მიღწევა.

ბოლო ათეული წლების განმავლობაში მსოფლიო სპორტის განვითა-რებაში შეიმჩნევა ტენდენცია ,რომ ამ მომზადების მხარეს დიდი დრო და ადგილი უნდა დაეთმოს ,როგორც წვრთნაში ასევე შეჯიბრზე.

ძირითადი ნაწილი

პიროვნება, რომელიც არის დაკავებული ფიზიკური აღზრდითა და სპორტით უნდა მიისწრაფებოდეს განა მარტო იმისკენ,რომ გაავითაროს და აამაღლოს თავისი ფიზიკური შესაძლებლობები და მოახდინოს სამოძრაო

უნარ-ჩვევების ფორმირება და სრულყოფა, არამედ უნდა გამოწვრთნას თავისი ნებელობითი თვისებები - მოახდინოს ნებისყოფის მორალური და ინტელექტუალური საფუძვლის აღზრდა. ამ რიგად,სპორტული მოღვაწეობა ერთის მხრივ სპორტული შედეგების მისაღწევად მოითხოვს ნებელობითი თვისებების გამოვლენას დიდი დოზირებით, მეორეს მხრივ კი არის უებარი და ძლიერი საშუალება მისი განვითარებისა და ფორმირებისა. აქედან გამომდინარე ,მწვრთნელის ამოცანა შეადგენს იმას,რომ სპორტში მეცადინეობები და სპორტით დაკავება უნდა მოხდეს შეგნებულად და მიზანმიმართულად, სისტემატური ვარჯიშების გამოყენებით.ინტენსიური ვარჯიშების შედეგად შესაძლებელია საპასუხისმგებლო შეჯიბრისათვის ხარისხიანი მზადება და ამ სპორტსმენის ნებელობითი თვისებების აღზრდა. ამასთან ერთად მწვრთნელს კარგად უნდა ახსოვდეს ის,რომ სპორტსმენს მარტო თეორიულად არ უნდა ახსოვდეს რა არის ნებისყოფა - არამედ მას უნდა ჰქონდეს ნებელობითი თვისებების გამოვლენის პრაქტიკა სპორტსმენის ქმედებების საფუძველზე. ამისათვის საჭირო არის სპორტსმენის ცოდნა სწორი ქცევის შესახებ რომელიც უნდა გადაიზარდოს მის ჩვევაში,და მისი ნებელობითი თვისებების გამოვლენის ცალკეული,ერთეული-ფრაგმენტები გადაიზრდება სპორტსმენის მუდმივ ხასიათში.

იმისათვის, რომ ავღზარდოთ სპორტსმენებში მუდმივი და მყარი ნებელობითი თვისებები რომლებსაც გამოავლენენ ისინი ყველა რთული საშეჯიბრო პირობების გათვალისწინებით - ფსიქოლოგიური მომზადების წარმოება უნდა ხდებოდეს არა ეპიზოდურად (შეხვედრიდან - შეხვედრამდე) არამედ მუდმივად, სისტემატურად და შეგნებულად, როგორც სასწავლო -საწვრთნო პროცესის მიმდინარეობისას ასევე შეჯიბრზე.ფსიქოლოგიური მომზადება უნდა იყოს ყველგან,სპორტსმენის ყველა ვარჯიშზე,იქნება ეს ტექნიკური,ტაქტიკური თუ ფიზიკური მომზადებაზე ორიენტირებული ვარჯიში. მწვრთნელმა არჩეულ სპორტის სახეობაში, სპორტის სპეციალისტმა და სპორტსმენმა კარგად იციან რა უდიდესი როლი ენიჭება ადამიანის ნებისყოფას სპორტული პაექრობის გადამწყვეთ ბრძოლებში. სპორტსმენის ნებისყოფის ჩამოყა-ლიბებას,მყარი ნებელობითი თვისებების აღზრდას,იმას თუ რა თვისებებს გამოავლენენ სპორტსმენები სპორტული პაექრობის რთულ პირობებში აწარმოებს პირველ რიგში მწვრთნელი. სისტემა „მწვრთნელი - სპორტსმენი“ მუდმივი და უცვლელია . შინაარსობრივად და პრაქტიკულად მწვრთნელი არის ფსიქოლოგი, აღმზრდელი,რომელიც ზეგავლენას ახდენს სპორტსმენის ფსიქიკასა და შეგნებაზე.

აღზრდისა და სწავლის ერთობლიობა არის პედაგოგიკის პრიორიტე-ტული პრინციპი და ამით შესაძლებელია სპორტული ოსტატობის თვალ-საზრისით ეფექტური შედეგის მიღწევა. როდესაც ჩვენ განვიხილავთ სისტემას „მწვრთნელი - სპორტსმენი“, უნდა აღინიშნოს - ამ სისტემაში,როგორც სწავლების პრაქტიკაში ისე აღმზრდელობით საკითხებში - აქტიური უნდა იყოს ორივე მხარე : მწვრთნელი და სპორტსმენი.ამასთან ერთად მმართველ პოზიციას ყოველთვის იკავებს მწვრთნელი. თანამედროვე მწვრთნელი - არის განა მარტო სპეციალისტი არჩეულ სპორტის სახეობაში,არამედ - პედაგოგი,

აღმზრდელი. ამიტომ მწვრთნელს ეკისრება დიდი პასიხისმგებლობა,რომ ყველაფერი გააკეთოს სწორად და ამით მან და მისმა საქმემ მიიღოს შედეგი. ხშირად, როგორც წესი სპორტსმენები ბაძავენ თავის მწვრთნელებს,

იღებენ მათგან მაგალითს,ამიტომ აუცილებელია მწვრთნელმა თავისი დამოკიდებულებით საქმისადმი და თავისი პიროვნული თვისებებით იყოს მაგალითი სპორტსმენების აღზრდის პროცესში.

მწვრთნელს უნდა ჰქონდეს პროფესიონალური ცოდნა, მწვრთნელმა უნდა აწარმოოს დიდი და დეტალური სამუშაო სიახლეების შესწავლისათვის,რაც იქმნება სპორტული მომზადების თეორიასა და მეთოდიკაში.მან უნდა მოახდინოს არა მარტო თავისი და თავისი მოსწავლეების გამოცდილების განზოგადება და ანალიზი,არამედ სწავლობდეს და იცოდეს წამყვანი და გამოცდილი მწვრთნელების და სპეციალისტე-

ბის მაგალითებიდან.სპორტული მიღწევების სწრაფი და უწყვეტი პროცესი ახალი მეთოდური ხერხებისა და საშულებების ოპერატიულ ათვისებას.

აღზრდა ეს არის გარკვეული მიზანმიმართული,სისტემატური ზეგავ-ლენა აღსაზრდელის ფსიქოლოგიაზე სასურველი შედეგის მისაღწევად.ჩვენ ნამდვილად ვეთანხმებით,რომ აღზრდის ყველა პროცესს,როგორც გონებრივს ასევე ფიზიკურს სჭირდება ამ პრინციპების დაცვა.

დასკვნა

აქედან გამომდინარე იმისათვის, რომ სპორტსმენის ნებელობითი თვისებების ფორმირების პროცესი გაუმჯობესდეს, უნდა ტარდებოდეს დიდი აღმზრდელობითი მუშობა. სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს ბევრი რეკომენდაცია,რომლის ცოდნა და რომლის პრაქტიკაში გამოყენებამ შეიძლება დიდი დახმარება გაუწიოს სხვადასხვა სპორტის სახეობაში ფსიქოლოგიური მომზადების შესახებ საკითხების ცოდნის ასამაღლებლად.

შეჯიბრის მსვლელობის პროცესში სპორტსმენების ქცევის ფსიქოლო-გიური კანონზომიერებები - მათი გაგება და ახსნა ეს არის მთავარი ,რაზეც მიმართული უნდა იყოს მწვრთნელის,პედაგოგის მაქსიმალური ყურადღება.

სპორტული ოსტატობის ჩამოყალიბების პროცესს ახასიათებს ისიც, რომ სწავლების საწყის ეტაპზე როდესაც მოძრაობით ჩვევამ ჯერ არ მიაღწია ავტომატიზმის მაღალ საფეხურს,მოძრაობის ტექნიკის შეგნებული გამოყენება,მოძრაობის რეგულირება და მართვა - ხორციელდება მხოლოდ იდეალურ პირობებში, შეფერხებების და ნეგატიური ემოციური აღზნების გარეშე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ.კახიძე ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკა, თბილისი 2013წ.
2. თენგიზ რატიანი., თამაზ ჯაში , ფეხბურთი, გამომცემლობა ,,ქართული წიგნის სახლი'' , თბილისი ,2008.
3. П.А.Рудик , В.В. Медведев , А.В.Родионов . Психология и современный

спорт, М ., ФиС., 1973.
4. К.П.Жаров,Волевая подготовка спортсменов , М., ФиС.,1976.
5. Роберт М.Найдиффер,Психология соревнующегося спортсмена , М.,
6. ФиС., 1979.
7. Г.Д.Горбунов , Психопедагогика спорта , М., ФиС , 1986.

Sportsmen's Volitional Preparation

Giorgi Mdzinarashvili, Assistant-Professor
Gori State Teaching University

Summary

Psychological preparation of an athlete is very important not only during trainings but while participation in tournaments as well. It does not matter how physically and theoretically prepared and well trained the athlete is if he/she is not ready for the tournament psychologically, he/she will not be able to achieve it's desired goal.

Psychological preparedness and well being of an athlete depend on his will which is in contact with psychology. In whole, the whole process depends on what goal the athlete sets for himself/herself. If the athlete is trying to set his/her mindset psychologically right before or during the tournament, in case he/she has to face a strong competitor, he/she will not be able to mobilize himself/herself and will compete in the tournament with low quality. In my opinion, approach towards the goal of an athlete, should be constant and invariable.

The key words: Sportsmen, volitional, psychological, educational, training, preparation, physical.

ჟურნალისტიკა

JOURNALIZM

დიდი ბრიტანეთის ტელემაუწყებლობა

ქეთევან გიორგობიანი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში საუბარია იმის შესახებ, რომ ტელევიზია დიდ ბრიტანეთში საკმაოდ პოპულარული მედიასაშუალებაა და ახსნილია ამ პოპულარობის მიზეზები; მოწოდებულია ცნობები დიდ ბრიტანეთში ტელემაუწყებლობის პირველ ნაბიჯებსა და მის დღევანდელ მდგომარეობაზე; ყურადღება გამახვილებულია ბრიტანული ტელეარხების მრავალფეროვანი პროგრამების, ტელეაუდიტორიის შესწავლისა და რეიტინგების კვლევის შესახებ. ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა კორპორაცია „BBC"-ის, რომელიც 4 არხზე მაუწყებლობს და ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ კონტენტს სთავაზობს მედიამომხმრებელს; აღნიშნულია, რომ ბი-ბი-სი თავის რეპუტაციას და მაღალ რეიტინგს ტელერადიომაუწყებლობის სფეროში გარკვეულწილად თავის ცნობილ ეთიკის კოდექსს უმადლის და გაანალიზებულია მისი ძირითადი დებულებები; აღნიშნულია, რომ ყველა განვითარებული ქვეყნის, მათ შორის, ბუნებრივია, დიდი ბრიტანეთის ტელემაუწყებლობაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქმიანობის რეგულირების გამჭვირვალობას, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების შესაბამისად. მათთვის პრიორიტეტულია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ფარგლებში, ასევე მოქალაქეთა განწყობისა და წინადადებების გათვალისწინება საზოგადოებრივი ინტერესების უკეთ გამოხატვის მიზნით.

საკვანძო სიტყვები: დიდი ბრიტანეთი, ტელემაუწყებლობა, პოპულარობა, რეიტინგი, ბი-ბი-სი, ეთიკური კოდექსი, მოთხოვნები და მოვალეობები, რეკომენდაციები, მრავალფეროვანი კონტენტი, საზოგადოებრივი ინტერესები.

შესავალი

დიდ ბრიტანეთში ტელევიზია საკმაოდ პოპულარული მედიასაშუალებაა. ამას განაპირობებს არხების მრავალფეროვნება, ჟურნალისტთა პროფესიონალიზმი და კარგი მენეჯმენტი. ტელემაყურებელს ეძლევა საშუალება მიიღოს სრულფასოვანი ინფორმაცია, თვალსაწიერი გაიფართოვოს,

ამასთანავე გაერთოს და ტელევიზიის რეკრეაციული ფუნქციითაც სრულად ისარგებლოს. მაუწყებლობის მესვეურნი მუდმივად ზრუნავენ პროგრამების ხარისხის ამაღლებისთვის და დიდ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ მედიაპროდუქტმა ნებისმიერი მაყურებლის ინტერესი და გემოვნება მაქსიმალურად დააკმაყოფილო, რამეთუ კარგად უწყიან, ამას უცილობლად მოჰყვება აუდიტორიის გაფართოება.

ძირითადი ნაწილი

დიდ ბრიტანეთში სატელევიზიო მაუწყებლობა 1936 წლიდან დაიწყო, დღესდღეობით კი 500-მდე სატელევიზიო არხს ითვლის, რომელთა შორის არის როგორც უფასო, ასევე ისეთი არხებიც, რომლებიც სააბონენტო გადასახადის ხარჯზე არსებობენ. დიდ ბრიტანეთში არსებობს საზოგადოებრივი და კომერციული მაუწყებლობა. ნებისმიერ მსურველს შეუძლია შეიძინოს სპეციალური მომსახურების პაკეტი, ადგილობრივი პროვაიდერებისგან. პაკეტში შედის როგორც სატელევიზიო არხების მისაწვდომობა, ასევე ინტერნეტის მომსახურებაც. კომერციული ტელევიზია ბრიტანეთში 1955 წლიდან გამოჩნდა. 2012 წლის 24 ოქტომბრიდან ბრიტანული მაუწყებლობა სრულად გადავიდა ციფრულ ფორმატზე.

ვერ ვიტყვით იმას, რომ დიდ ბრიტანეთში ტელევიზიამ დაარსებისთანავე მოიპოვა ისეთივე პოპულარობა, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში. მხოლოდ 1947 წლიდან, დაარსებიდან 11 წლის შემდეგ, დაეტყო ამ ახალ მედიასაშუალებას ერთგვარი გამოცოცხლება, თუმცა ეს პროცესი საკმაოდ ნელა მიმდინარეობდა. 1951 წელს ქვეყანაში მხოლოდ 2 გადამცემი სადგური არსებობდა - ლონდონსა და ბირგმინტემთან ახლოს. ბრიტანელი ოჯახების მხოლოდ 9 %-ს ჰქონდა ტელევიზორი.

ბრიტანული ტელეარხები მრავალფეროვან პროგრამას სთავაზობენ ტელემაყურებელს - ახალი ამბები, დოკუმენტური ფილმები, სერიალები, სხვადასხვა სახის შოუები და ა.შ. ძალზე პოპულარულია შემდეგი პროექტები: „ბრიტანეთის საუკეთესო მცხობელი“, „ბრიტანეთი ეძებს ტალანტებს“, „შერლოკი“ . ბრიტანელები ტელეეკრანებიდან ინტერესით ადევნებენ თვალს ჯეიმს ოლივერის კულინარიულ ექსპერიმენტებს, ეცნობიან სხვადასხვა რესტორნის სამზარეულოს გორდონ რამზისთან ერთად და „მოგზაურობენ“ ჯუნგლებში სათავგადასავლო გადაცემაში შეუცვლელი წამყვანის - ბეარ გრილლსონის თანხლებით. პოპულარულია გასართობი პროექტები, სადაც ბრიტანელები ერთმანეთს ეჯიბრებიან ცეკვაში, სიმღერაში და სხვა უნარებში. ბრიტანელები ამაყობენ თავიანთი ტელევიზიით და და მას ნაციონალური კულტურის ნაწილად თვლიან. სატელევიზიო ცენზურა ამ ქვეყანაში, ფაქტობრივად, არ არსებობს, თუმცა ზოგიერთი შეზღუდვა მაინც გვხვდება. მაგ. მოზარდათთვის განკუთვნილი პროგრამები ეთერში გადის მხოლოდ 21 საათის შემდეგ, ბილწსიტყვაობა აკრძალულია და ყველა შეუფერებელი სიტყვა თუ ფრაზა იფარება შესაბამისი ხმით. მაყურებელს აქვს შესაძლებლობა გამოხატოს თავისი შეხედულება ან პრეტენზია გასული გადაცემების შესახებ და თუ რაიმეს კატეგორიულად არ ეთანხმება, საჩივარი შეიტანოს ოფკომში

(ოფიციალურ კომიტეტში), სადაც გაერკვევიან ვითარებაში, ჩაატარებენ გამოძიებას, და თუ საჭიროდ ჩათვლიან, არც ჯარიმის გამოწერაზე იხევენ უკან.

ბრიტანეთში არსებობს სპეციალური ბიურო („BARB"), რომელსაც ევალება ტელეაუდიტორიის შესწავლა და ამა თუ იმ ტელეარხის რეიტინგის გარკვევა, კვლევის შედეგები იდება ბიუროს საიტზე და ყველასთვის ხელმისაწვდომია.

როდესაც ყველაზე პოპულარულ ტელეარხებზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება პირველ რიგში არ ვახსენოთ ბი-ბი-სი (BBC), რომელიც 4 არხზე მაუწყებლობს და ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ კონტენტს სთავაზობს მედიამომხმარებელს. მაგ. „BBC One" - განსაზღვრულია მაყურებელთა ფართო წრისთვის; „BBC Two" -გამოირჩევა ინტელექტუალური სერიალებისა და გადაცემების სიუხვით; „BBC Three" - ძირითადად განკუთვნილია ახალგაზრდებისთვის და ხშირად მიმართავს სხვადასხვა ექსპერიმენტს; „BBC Four"- შემეცნებითი ფილმებით ანებივრებს დაინტერესებულ მაყურებელს. კორპორაცია ბი-ბი-სი სამეფო ბრძანებულებით დაარსდა და დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელსაც დედოფალი ნიშნავდა 5 წლის ვადით. საბჭო 12 წევრისგან შედგებოდა და ის არჩევდა აღმასრულებელ გენერალურ დირექტორს. 2007 წლიდან „BBC"-ის მიზნობრივმა ორგანომ ჩაანაცვლა მმართველთა საბჭო.

„BBC"-ის მთავარი კონკურენტი არის "ITV", რომელიც კომერციული არხია და საეთერო სივრცეში დიდ დროს და ადგილს რეკლამას უთმობს. წარმატებას აღწევს და რეიტინგში მეორე ადგილს საინტერესო კონტენტის წყალობით იკავებს. მაგალითისთვის გამოდგება ერთ-ერთი პოპულარული და ბრიტანელებისთვის საყვარელი სერიალი „დაუნტონის სააბატო", რომელიც ჩვენთანაც გადიოდა და კარგი რეიტინგიც ჰქონდა. რაც შეეხება ახალი ამბების არხებს, ტელემაყურებლის განსაკუთრებული ნდობით სარგებლობს „BBC World Neus" და "Sky Neus".

ბი-ბი-სი თავის რეპუტაციას და მაღალ რეიტინგს ტელერადიომაუწყებლობის სფეროში გარკვეულწილად თავის ცნობილ ეთიკურ კოდექსსაც უმადლის. რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა უნდა იქმნებოდეს ახალი ამბების პროგრამა, მუშავდებოდა პროფესიონალთა 70-წლიანი გამოცდილების გათვალისწინებით. „BBC"-ის ეთიკის კოდექსში ჩამოყალიბებულია ძირითადი პრინციპები და მოთხოვნები, რომლებიც უნდა დაიცვან ბი-ბი-სის ჟურნალისტებმა. მათ შორის უმთავრესია მედიამომხმარებლის ნდობის მოპოვება და შენარჩუნება, რაც ობიექტურობით, მიუკერძოებლობით, პატიოსნებით, პროფესიონალიზმით, კორექტულობით მიიღწევა. დიდი ყურადღება ექცევა იმას, რომ ნებისმიერ ადამიანს ან კომპანიას, რომლებიც კრიტიკის ობიექტი ხდება, ჰქონდეს პასუხის და თავის მართლების საშუალება; მნიშვნელოვანია ის, რომ ყველა ფაქტი, რომელზედაც სიუჟეტშია მოთხრობილი, იყოს მაქსიმალურად ზუსტი, ამასთანავე საჭიროდ მიიჩნევენ იმის გათვალისწინებასაც, რომ სხვა მედიასაშუალებებიდან მოპოვებული ინფორმაცია შეიძლება აღმოჩნდეს მოძველებული ან უბრალოდ სიცრუე, ამიტომ ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია უნდა გადამოწმდეს.

აუდიტორიას დაბალანსებული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს. ჟურნა-

ლისტმა გულდასმით უნდა გააანალიზოს ამა თუ იმ მოვლენასა თუ ფაქტთან დაკავშირებული ყველა გარემოება. თუკი მაინც გაიპარა უზუსტობა, დაშვებული შეცდომა მაქსიმალურად სწრაფად უნდა გამოსწორდეს, მოხდეს შესაბამისი რეაგირება და ცდომილების აღიარება. თუ ამ ფაქტის გამო სამართლებრივი დავა წარმოიშვება, მაგ. ცილისწამების შემთხვევაში, აუცილებელია იურისტის კონსულტაცია.

როდესაც ჟურნალისტს უწევს გააშუქოს კატასტროფები, უბედური შემთხვევა, მასობრივი უწესრიგობა და არეულობა, ის მოვალეა, ერთი მხრივ, ზუსტად და შეულამაზებად გადმოსცეს ფაქტი და, მეორე მხრივ, მაყურებელს არ შეუქმნას უიმედობის და სასოწარკვეთილების შეგრძნება, ზედმეტად არ ააფორიაქოს. „BBC“-ის ეთიკური კოდექსის თანახმად, ჟურნალისტთან ერთად ოპერატორსაც ევალება ე.წ. ოქროს შუალედის დაცვა ნებისმიერი სიუჟეტის მომზადების დროს. ოპერატორმა მსხვილი ხედი მხოლოდ მაშინ უნდა გამოიყენოს, როცა ეს ნამდვილად არის გამართლებული. არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ მედიის წარმომადგენელს საქმე აქვს ახალ ამბავთან და არა დრამასთან, ახალი ამბები კი თავადაა დრამატული და არ არის საჭირო გამძაფრება. საარქივო მასალის გამოყენებისას განსაკუთრებული სიფრთხილე და წინდახედულებაა საჭირო, რათა მაყურებელი არ დაიბნეს და არ შეექმნას შთაბეჭდილება, რომ ხედავს იმას, რასაც სინამდვილეში ვერ ხედავს. მოძველებული მასალების და საარქივო კადრების გამოყენებისას აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ სიუჟეტში შეიძლება ის ადამიანები ჩანდნენ, რომლებიც უკვე ცოცხლები აღარ არიან და მათ ახლობლებს ტკივილი განუახლდეთ. ამიტომ შეძლებისდაგვარად ამგვარი მასალის გამოყენებისგან თავი უნდა შევიკავოთ.

შემდეგი პუნქტი ბი-ბი-სის ეთიკის კოდექსში არის ანონიმურობის დაცვის მიზანშეწონილობა. ზოგჯერ ჟურნალისტი იძულებულია ეს ნაბიჯი გადადგას, მაგ როდესაც საქმე ეხება ძალადობის მსხვერპლთ, რომელთაც ახალი თავდასხმის ეშინიათ, ან ადამიანებს, რომლებსაც რეპრესიული რეჟიმის პირობებში უწევთ ცხოვრება. მაგრამ ასეთ დათმობაზე არ შეიძლება წასვლა იმ ადამიანებთან მიმართებით, რომლებიც კანონს ემალებიან. თუკი, სიტუაციიდან გამომდინარე, საჭირო გახდა ანონიმურობის დაცვა, რესპოდენტს სრული გარანტია უნდა ჰქონდეს იმისა, რომ რომ მას ვერავინ იცნობს ვერც გარეგნობით და ვერც ხმის მიხედვით. ზოგჯერ ხმის ტექნიკური საშუალებებით შეცვლას სჯობს სხვა ადამიანის ხმის დადება.

ბი-ბი-სის ჟურნალისტები ცდილობენ მოახერხონ ნებისმიერი ასაკის, რწმენის, ფიზიკური თუ გონებრივი შესაძლებლობების, სქესის და ა.შ. ადამიანთა ინტერესის დაკმაყოფილება და თავიანთი სიუჟეტებით სავარაუდო კითხვებზე პასუხის გაცემა. „BBC “-ის ეთიკურ კოდექსში საგანგებოდ არის მითითებული, რომ ძლიერი და პატიოსანი კომპანიის რეპუტაციის შესანარჩუნებლად, ზოგჯერ გამართლებულია საერთო ზოგად ნორმებთან დაპირისპირება და მათი უგულებელყოფა, რათა სააშკარაოზე გამოიტანონ ის, რაც დამალულია საზოგადოებისგან.

კარგი ჟურნალისტის პოზიცია ყოველთვის ნეიტრალური უნდა იყოს,

თუმცა იგი მოვალეა ზუსტად გადმოსცეს ფაქტი და დაპირისპირებულ პირთა შეხედულებები და არგუმენტები. მაყურებელს უნდა მიეცეს საშუალება თავად გააკეთოს დასკვნა. ჟურნალისტს და რეპორტიორს უფლება აქვს გამოხატოს თავისი შეხედულებაც, მაგრამ მისი მსჯელობა უნდა იყოს სიღრმისეული, გასაგები და სათანადოდ დასაბუთებული. ტელეაუდიტორიამ არ უნდა განსაჯოს მოვლენები ტელეწამყვანებისა და ტელერეპორტიორების პერსონალურ შეხედულებებზე დაყრდნობით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ყველა მხარეს დებატებისთვის თანაბარი დრო დაეთმოს საკუთარი პოზიციის ასახსნელად. . ჯვარედინი ინტერვიუ უნდა იყოს პრინციპულად, მაგრამ კორექტულად წარმართული; უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი აგრესია, უხეშობა, თუმცა შეიძლება მიღებული პასუხი სინამდვილედ არ მიიღო და გაამძაფრო საუბარი; თუ საჭიროდ ჩათვლი, დაუბრუნდე შეკითხვას. ზოგადად ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ტელეაუდიტორიას, უნდა გაითვალისწინოს საზოგადოების განწყობა.

უნდა ითქვას, რომ საერთოდ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ტელე-ჟურნალისტებს განსაზღვრული მოვალეობები ეკისრებათ და გარკვეული მოთხოვნები წაეყენებათ და ამ მოთხოვნების და ეთიკური ნორმების დიდი ნაწილი თითქმის იდენტურია. ავიღოთ თუნდაც საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, რომლის მე-16 მუხლში, სადაც საუბარია შინაარსობრივ ვალდებულებებზე, ჩამოყალიბებულია დებულებები, რომ-ლებშიც, ფაქტობრივად, იმასვე მოითხოვენ ჟურნალისტებისგან და ზოგადად მაუწყებლობისგან, რასაც ბი-ბი-სის ეთიკური კოდექსი ითვალისწინებს; კერძოდ, მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს პროგრამების სარე-დაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა, აუდი-ტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება; პროგრამებში არ გამოხატოს თავისი აზრი, ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი; ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობების და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას.

დასკვნა

ზოგადად ყველა განვითარებული ქვეყნის, მათ შორის, ბუნებრივია, დიდი ბრიტანეთის ტელემაუწყებლობაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქმიანობის რეგულირების გამჭვირვალობას, სამართლიანობისა და მოუკერძოებლობის პრინციპების შესაბამისად. მათთვის პრიორიტეტულია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ფარგლებში, ასევე მოქალაქეთა განწყობისა და წინადადებების გათვალისწინება საზოგადოებრივი ინტერესების უკეთ გამოხატვის მიზნით.

ლიტერატურა:

1. https://ru.wikipedia.org/wiki/Телевидение в Великобритании
2. https://Библиотека: Этический кодекс телерадиожурналистов BBC

Broadcasting of United Kingdom

Ketevan Giorgobiani, Associate Professor
Georgian Technical University

Summary

The paper discusses the fact that television is a fairly popular media outlet in Great Britian and explains the reasons for this popularity; provides information on the first steps of television broadcasting in the UK and its current state; The focus is on a variety of British TV programs, TV audience surveys and ratings research. A large part of the work is devoted to the BBC Corporation, which broadcasts on 4 channels and offers completely different content to media users; It is noted that the BBC owes its reputation and high rating in the field of broadcasting to some extent to its well-known code of ethics and analyzes its main provisions; It is noted that the broadcasting of all developed countries, including, of course, the United Kingdom attaches great importance to transparency in the regulation of activities, in accordance with the principles of fairness and impartiality. Their priority is freedom of speech and expression, within the framework of rights recognized and protected by law, as well as taking into account the mood and suggestions of citizens in order to better express the public interest.

Keywords: UK, Broadcasting, Popularity, Rating, BBC, Code of Ethics, Requirements and Duties, Recommendations, Diverse Content, Public Interests.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიპეტიები 1990-1991 წლების ქართულ ბეჭდურ მედიაში

(გაზეთების - „ახალგაზრდა ივერიელის“ და „ლიტერატურული საქართველოს“ მაგალითზე)

გიგლა გობეჩია, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ლანა შენგელია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

წინამდებარე სტატია ეხება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფ-ლებელი მოძრაობის ეტაპებს 1990-1991 წლებში და ამ მოძრაობის ასახვას ქართულ ბეჭდურ მედიაში. აღწერილია 1918-21 წლების საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების პერიპეტიები და მისი შედეგები. შემდგომ 1956 და 1989 წლების ტრაგიკული მოვლენები და ქრონოლოგიურადაა აღწერილი 1990-1991 წლების პოზიცია-ოპოზიციის მოქმედებები.

აღნიშნულ პერიოდში ქართული ბეჭდური მედიიდან სწორედ ამ ორ გაზეთს ,,ახალგაზრდა ივერიელსა“ და ,,ლიტერატურულ საქართველოს“ ჰქონდათ ყველაზე მეტი ტირაჟი და განსაკუთრებული ინტენსივობით აშუქებდნენ ეროვნული მოძრაობის პერიპეტიებს. სწორედ აღნიშნულმა ფაქტორებმა განაპირობა ჩვენი დაინტერესება ამ პერიოდული ორგანოებით.

საკვანძო სიტყვები: გაზეთი ,,ახალგაზრდა ივერიელი“, გაზეთი ,,ლიტერა-ტურული საქართველო“, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ზვიად გამსახურდია, ეროვნული ფორუმი, აკაკი ბაქრაძე.

შესავალი

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უახლესი ისტორიისა და საზოგადოებრივი აზრის მკვლევარები ვერაფრით აუვლიან გვერდს 1990-იანი წლების ქართულ ბეჭდურ მედიას ზოგადად, კონკრეტუ-ლად კი მის ორ გამოცემას -,,ახალგაზრდა ივერიელსა“ და ,,ლიტერატურულ საქართველოს.“

ძირითადი ტექსტი

საქართველოს ისტორიული ალანებიდან ყურადსაღები და აუცილე-ბელია იმ წლების გახსენება, როცა ჩვენი ქვეყანა პირველ ნაბიჯებს დგამდა საქართველოს დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად. ჯერ კიდევ ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მისი თანამებრძოლების დაუღალავმა ბრძოლამ თავი-სუფლებისათვის ეროვნული დამოუკიდებლობის მუხტი გააღვივა და გააჟ-ღერა ქართველ ხალხში. ჩოლოყაშვილი, პოლიტიკური პარტიებისაგან განსხვავებით, არაფერს დაჰპირებია ხალხს და ხალხი მაინც მას გაჰყვა. ის ამბობდა: „თავისუფლება ბრძოლით მოიპოვება, ვისაც დამოუკიდებლობა

გსურთ - მომყევით.“ [1] ეს გააკეთა არა პოლიტიკოსმა, არამედ „ხმლის კაცმა“, რომელიც საღი ისტორიული ალღოთი მიუდგა საერთო ვითარებას. ქაქუცა იყო ხალხის ნების გამომხატველი, ის იქცა ეროვნულ გმირად და ეს ხარისხი ანიჭებდა მას დიდ ზნეობრივ გავლენას ერის ყველა წესსა და მიმართულებაზე.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის გვერდით უნდა მოვიხსენიოთ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, სამხედრო მხედართმთავარი, ქართველი გენერალი გიორგი მაზნიაშვილი. ის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურაა თავისუფალი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისი უდიდესი დამსახურება აჭარის თურქთაგან გათავისუფლებაა.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს აუხდა საუკუნეობრივი ოცნება - ქვეყანამ მოიპოვა ნანატრი დამოუკიდებლობა, რაც, სამწუხაროდ, დიდხანს არ გაგრძელებულა. 1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის მიერ დამარცხებული საქართველო კვლავ სისხლიანი დღეების მოწმე გახდა. ქვეყანამ დაკარგა საუკეთესო შვილები. საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში წავიდა. ბოლშევიკური რუსეთის ტყვეობაში 70 წლიანმა კომუნისტურმა რეჟიმმა ვერ ჩაკლა ქართველ ერში დამოუკიდებლობის დაბრუნების სურვილი. ეროვნული თავისუფლების სიყვარულმა იფეთქა 1956 წლის მარტის დღეებში. კიდევ ერთი ტრაგედია დატრიალდა ქვეყანაში - კერძოდ, თბილისში. სტუდენტთა აქციას საბაბად დაედო სტალინის სახელის შებღალვა. ხალხმრავალი მიტინგი სისხლში ჩაახშეს.

1956 წლის მარტის ტრაგედიამ გამოძახილი ჰპოვა უკვე მე-20 საუკუნის 90-იან წლებში. 1989 წლის 9 აპრილს, რუსთაველზე, დამოუკიდებლობის მოთხოვნის ლოზუნგით გამოსულ უიარაღო ახალგაზრდობას ტანკებითა და ნიჩბებით დაუპირისპირდნენ საბჭოთა არმიის ჯარისკაცები. ტანკებმა იერიში მიიტანეს მშვიდობიან მომიტინგეებზე.

1989 წლის 9 აპრილის მოვლენებმა უფრო მეტად გააღვივა ქართველ ერში ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის წყურვილი. მოვლენებს ფართოდ ეხმაურებოდა პრესა და ტელევიზია.

გაზეთების - „ლიტერატურული საქართველოსა“ და „ახალგაზრდა ივერიელის“ ფურცლებზე სტატიებს აქვეყნებდნენ საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, მეცნიერები, პოლიტიკური პირები. იყო ურთიერთსაპირისპირო დამოკიდებულება, სწორი და არასწორი მიდგომა მაშინდელი პოლიტიკური ვითარების მიმართ, იმართებოდა დისკუსიები და ხალხის აზრიც, ხშირად, ორად იყო გაყოფილი.

„ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე მწერალი და საზოგადო მოღვაწე აკაკი ბაქრაძე იხსენებს რა 1989 წლის ტრაგიკულ მოვლენებს საქართველოში, ამბობს, რომ „მართალია, ეს წელი ტრაგიკული იყო ქვეყნისათვის, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ ამ წელს დაიწყო სოციალიზმის საფუძვლების შერყევა მსოფლიო მასშტაბით.“ [2]

ახალი ათწლეულის დასაწყისში, ახალი ძალით განმეორდა აპრილის დღეები. თბილისში, მთავრობის სახლის წინ იმართებოდა ხალხმრავალი მანიფესტაციები. კრიტიკულ წერილში „მიზანს მაინც მივაღწევთ“ („ლიტერატურული საქართველო“, 12.10.1990) საქართველოს ლიბერალურ-

დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარე მიხეილ ნანეიშვილი და სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების გამგეობის წევრი ვაჟა ადამია საუბრობენ ქვეყნის მთავარ სატკივარზე, რაც გამოიხატა საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარებით. წერილის ავტორები შეშფოთებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ოპოზიციურ დაჯგუფებათა შორის წარმოებდა ნამდვილი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ამ ფონზე ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ლიდერი გიორგი ჭანტურია) სამომავლო პროექტებს გეგმავდა.

მერაბ კოსტავას საზოგადოებისათვის მისაღები იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაციის მიზანსწრაფვა, რაც მეტ-ნაკლებად ეხმიანებოდა მერაბ კოსტავას უკვდავ იდეებს - საქართველო უნდა გამოსულიყო იმ საერთაშორისო იზოლაციიდან, რომელშიც ჩაყენებული ჰყავდა იმპერიას.

1990 წლის 5 იანვარს, საყოველთაო აქციის ფონზე, გამოიკვეთა ქართველი ერის ნება, რომ მას სურდა პოლიტიკური სუვერენიტეტი. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით ქვეყანას მოედო საყოველთაო გაფიცვებისა და დემონსტრაციების ტალღა.

ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის წარმომადგენელთა მოთხოვნა ემსახურებოდა მიზანს - დაკმაყოფილებულიყო ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესები, ქვეყანას დაბრუნებოდა ბოლშევიკური რუსეთის მიერ წართმეული დამოუკიდებლობა იმ დემოკრატიული წყობილებითა და მრავალპარტიული სტრუქტურით, რომელიც დამოუკიდებლობის სამწლიან პერიოდში იყო დამკვიდრებული (1918-1921 წწ.).

„ლიტერატურული საქართველოს“ 1990 წლის 14 სექტემბრის ნომერში საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე ირაკლი წერეთელი და საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გიორგი ჭანტურია აფასებდნენ საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას. ისინი ხაზს უსვამდნენ იმ ფაქტს, რომ პოლიტიკური ვითარება საქართველოში დაძაბული და გართულებული იყო, ხოლო ეროვნული მოძრაობა, რომელიც იბრძოდა საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის, გათიშული.

პროფესორო კარლო გოგსაძე წერილში - „განვიკითხოთ თუ მოვინანიოთ“ [3] აკრიტიკებდა იმ პასუხისმგებელ პირთა საქციელი, ვისაც ენდობოდა ხალხი, მაგრამ შეცდა, რადგან ე.წ. ზემდგომი პიროვნებები, თანამდებობის პირები მორჩილებისაკენ მოუწოდებდნენ ხალხს და არა გამოფხიზლებისაკენ.

1990 წლის 28 ოქტომბერს, პირველად საქართველოში, გაიმართა მრავალპარტიული არჩევნები. „ლიტერატურული საქართველოს“ 1990 წლის 9 ნოემბრის ნომერში, თენგიზ ბუაჩიძე ეხება ქვეყანაში მრავალპარტიული არჩევნების ჩატარების საკითხს. წერილის „რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ“ ავტორი ულოცავს ბატონ ზვიად გამსახურდიასა და მისი მეთაურობით შექმნილ მრავალპარტიულ ბლოკს _ „მრგვალი მაგიდა“ _ თავისუფალი საქართველო“ _ შთამბეჭდავ გამარჯვებას საარჩევნო მარათონში. წერილის ავტორი იმედს გამოთქვამს, რომ მომავალი პარლამენტი ნაყოფიერად იმუშავებს.

ზვიად გამსახურდია „ლიტერატურული საქართველოს“ 1990 წლის 5 ოქტომბრის ნომერში თავის დამოკიდებულებას გამოხატავს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ. საქართველოში ნამდვილ, შეურიგებელ და დემოკრატიულ ოპოზიციას უპირისპირდება ცრუ ოპოზიცია, რომელიც ირჩევს ეროვნულ კონგრესს და ეს უნდა იყოს, მათი აზრით, მეორე ხელისუფლება, რაც გამოიწვევს დაძაბულობას ქვეყანაში. გამსახურდიას აზრით, ყოველივე ამას უთუოდ მოჰყვებოდა ანარქია, ქაოსი და, შესაძლოა, სამოქალაქო ომიც. ეს წინასწარმეტყველება, სამწუხაროდ, ახდა 1991 წელს, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტის პოსტიდან განდევნის შემდეგ.

საქართველოში მიმდინარე მაშინდელ მოვლენებს აქტიურად ეხმიანებოდა გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“. ის 1990 წლის პირველ ნომერში აქვეყნებს ეროვნული ჰიმნის ამონარიდს, რომელიც 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გაჟღერდა. ჰიმნს ეპიგრამად გასდევს სიტყვები: „სადიდებლად ქართველი ერისა იჟღერეთ, სიმნო ოქროისანო!“ (კომპოზიტორი საქართველოს სსრ სახალხო არტისტი კოტე ფოცხვერაშვილი).

ეროვნული ჰიმნი იმ სახელმწიფოს მისწრაფებას, იმ ხალხის ხასიათს გამოხატავს, რომელიც მას ასრულებს. მისი ფესვები თავად ხალხშია.

ჰიმნი, რომელმაც პირველად 1918 წლის 26 მაისს გაიჟღერა, 1990 წლისათვის ერთგვარ მოწოდებად გაისმა გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ ფურცლებიდან. ეს იყო მოწოდება დაკარგული დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად.

1990 წლის 13-15 მარტს, თბილისში, ფილარმონიის დიდ დარბაზში მუშაობდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენცია. თავყრილობის ორგანიზატორები იყვნენ: ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, მონარქისტული პარტია, მერაბ კოსტავას საზოგადოება და თეთრი გიორგის კავშირი. კონფერენციას თავმჯდომარეობდა ზვიად გამსახურდია; შესავალი სიტყვით გამოვიდა ირაკლი წერეთელი.

კონფერენციაზე მიიღეს დადგენილება, რომლის ძალითაც საქართველოს განესაზღვრა ოკუპირებული ქვეყნის სტატუსი. ბათილად იქნა მიჩნეული ყველა ხელშეკრულება, რომლებიც ამ ხნის მანძილზე დადო საქართველოს ხელმძღვანელობამ. კონფერენცია ბოიკოტს უცხადებდა 1990 წლის 25 მარტის საქართველოს ე.წ. უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. გაჟღერდა მოთხოვნა _ მოსახლეობის თანასწორი ფარული კენჭისყრით უნდა არჩეულიყო გარდამავალი კოალიციური ოპოზიციური ხელისუფლება. არჩეულ იქნა ეროვნული ფორუმი, რომელიც გახდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მაკოორდინირებელი ცენტრი. სწორედ მას უნდა მოემზადებინა საყოველთაო ეროვნული ყრილობა.

ეროვნული ხსნის მთავარმა კომიტეტმა თავი დაშლილად გამოაცხადა და ძალაუფლება ახლად არჩეულ ფორუმს გადასცა. კონფერენციის შედეგად, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი ძალები გაერთიანდნენ.

„ლიტერატურული საქართველოს“ 1990 წლის 23 მარტის ნომერში ნოდარ

ნათაძე (საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარე) ხაზს უსვამდა მრავალპარტიული წესით არჩევნების ჩატარებას, გამოხატავდა ღრმა რწმენას, რომ ეროვნულ მოძრაობაში ჩაერთვებოდნენ ისეთი პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც თანაბრად ძლიერნი იქნებოდნენ როგორც მოედანზე, ისე - დარბაზში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომაზე, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე წამოაყენეს ზვიად გამსახურდიას კანდიდატურა (14.04.1991). არჩევნები უნდა დანიშნულიყო 1991 წლის 26 მაისს. გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ 16 აპრილის ნომერში ვკითხულობთ: „1991 წლის 9 აპრილს, რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ აღასრულა ქართველი ხალხის ნება და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით საქართველო სუვერენულ სახელმწიფოდ გამოცხადდა.“ აქვე გამოქვეყნებულია ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი დადგენილებით, ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია არჩეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად.

1991 წლის 31 მაისს, „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია (რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე) მრავალრიცხოვანი მკითხველის სახელით ულოცავს მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს _ ზვიად გამსახურდიას რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევას. ამავე გაზეთის 7 ივნისის ნომერში კი ზვიად გამსახურდიას საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, მუხრან მაჭავარიანის, სახელით ულოცავენ ქართველი მწერლები.

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ მიმოიხილავს 1991 წლის შემოდგომაზე მიმდინარე რთულ პოლიტიკურ ვითარებას. როგორც აქ ვკითხულობთ, დღითიდღე მიმდინარეობდა დაპირისპირება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. ქუჩებში იყო უკიდეგანო ვნებათაღელვა, რასაც გამოეხმაურა პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. მან განაცხადა, რომ ოპოზიცია ავრცელებდა ჭორებს, ათასგვარ დეზინფორმაციას, ავრცელებდა ხმებს, რომ აკაკი ასათიანი, დილარ ხაბულიანი და სხვები განუდგნენ პრეზიდენტს, რაც სიცრუეს წარმოადგენდა. პრეზიდენტს დაუპირისპირდა ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელმაც პრივილეგიები დაკარგა. ოპოზიციურ ძალთა ეს გარკვეული ფრთა მართავდა მიტინგებს. მომიტინგეებთან შესახვედრად მივიდა უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ბატონი თამაზ გამყრელიძე, რომელმაც აღნიშნა ოპოზიციურ ძალთა შემადგენლობის არაერთგვაროვნება, გაურკვეველი პერსპექტივა და გამოთქვა აზრი, რომ უმჯობესი იქნებოდა, ოპოზიციის მოთხოვნებს ქუჩიდან პარლამენტში გადაენაცვლა და ყოველივე იქ გადაწყვეტილიყო.

იმავე წლის 16 სექტემბერს, რესპუბლიკის მოედანზე გამართულ ოპოზიციის მრავალათასიან მიტინგზე, ტრიბუნაზე იდგნენ ნოდარ ნათაძე, ზურაბ ჟვანია, გიორგი ხოშტარია, ვაჟა ადამია, ავთანდილ მარგიანი, ელდარ და გიორგი შენგელაიები, ირაკლი წერეთელი, გიორგი ჭანტურია, თენგიზ სიგუა, ლანა ღოღობერიძე და ვახუშტი კოტეტიშვილი. ისინი მოითხოვდნენ პრეზიდენტის გადადგომას, პრეზიდენტის პოსტის გაუქმებასა და საპარლამენტო

რესპუბლიკის აღდგენას. უთანხმოების მიზეზად თენგიზ სიგუამ დაასახელა ეკონომიკის, საკადრო და, საერთოდ, პოლიტიკის არასწორი მიმართულებები, რაც მისი მხრიდან, ზვიად გამსახურდიას არასწორი პოლიტიკით აიხსნებოდა.

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ 1991 წლის 12 ოქტომბრის ნომერში, ომარ ფხაკაძე წერილში - „აკრიტიკე ხელისუფლება“ კონფლიქტის გამწვავებაში უმთავრეს როლს აკისრებს თავად ხელისუფლებას. მართალია, არ უარყოფს, რომ პირადი ამბიციებით შეპყრობილი ოპოზიცია დანაშაულს სჩადის, მაგრამ, მისი აზრით, ბრძოლის ასეთ მეთოდს ხელისუფლებაც მიმართავს.

ბარიკადების ორივე მხარეს ქართველები აღმოჩნდნენ, შედეგად კი ქვეყანამ მიიღო მოშლილი ეკონომიკა, ქაოსი, სტიქია, რაც, საერთოდ, პოლიტიკურ კონფლიქტს ასაზრდოებს.

„ახალგაზრდა ივერიელის“ 1991 წლის 26 ოქტომბრის ნომერში, გია თვალავაძე წერილში „ფარული სამოქალაქო ომი საქართველოში“ გამოხატავს ღრმა შეშფოთებას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების მიმართ. ამბობს, რომ ქართველთა ურთიერთმოძულებას მოჰყვა სრული ანარქია, გახშირდა მკვლელობა, სხეულის განზრახ დაზიანება, ძარცვა, გაუპატიურება, სულიერი და მორალური მკვლელობები.

ვაჟა ხორნაული გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1991 წლის 29 ნოემბრის ნომერში დიდ გულისტკივილს გამოხატავს არსებული ვითარების გამო. შეშფოთებით აღნიშნავს, რომ პრეზიდენტს დაუპირისპირდა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი ირაკლი წერეთელი, რომელსაც უსასტიკესი ჩანაფიქრი ჰქონია - თურმე ისე უნდა გაემწარებინა ქართველი ხალხი, რომ ხალხს თვითონვე ჩამოეგდო თავისივე არჩეული პრეზიდენტი.

ზვიად გამსახურდია დაპირისპირებულ მხარეს გონიერებისაკენ მოუწოდებდა, მათი მხრიდან კი მხოლოდ სტვენა და შეურაცხმყოფელი სიტყვები გაისმოდა.

ვაჟა ხორნაული პრეზიდენტის მოწინააღმდეგეებს შადიმანის სახელით ნათლავდა. ის გულისტკივილით უსვამდა ხაზს ერთ რეალობას - პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვდნენ ისეთი ადამიანები, რომელთაც მამულისათვის ერთი ჩხირიც არ გადაუბრუნებიათ. სწორედ ისინი არ სცნობდნენ გამსახურდიას, როგორც პოლიტიკოსს, როგორც მწერალს, მთარგმნელს, მეცნიერს, პიროვნებას, რომელსაც სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში საპყრობილის სუსხიც რომ უგრძვნია. „სავალალოა და სატირალი ეს ფაქტი“, - დასძენს წერილის ავტორი. ვაჟა ხორნაული დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული ეროვნული მოძრაობის პერიოდს, უკავშირებდა მას მომავალს და სჯეროდა, რომ დადგებოდა დღე, როცა ამ მოძრაობის მომსწრენი და თვითმხილველნი სიამაყით მოიგონებდნენ ამ ბობოქარ დღეებს და აღიარებდნენ ეროვნული მოძრაობის დიდ მნიშვნელობას ქვეყნის ცხოვრებაში.

სამოქალაქო ომის ტრაგედიამ ლამის დაავიწყა ხალხს 1989 წლის 9 აპრილი. მაშინ თუ მტერი გვკლავდა, ახლა ქართველი კლავს ქართველს. ძმამ ძმა გაიმეტა, სისხლი დაიღვარა ქაშუეთისა და სიონის სიახლოვეს, გურამიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ძმამ მოუდო ძმასა ყისტი“. ვაჟა

ხორნაული საქართველოს ისტორიის ამ შავბნელ ფურცელს მკრეხელობად და ღვთის გმობად მიიჩნევდა.

სამოქალაქო ომს მოჰყვა პრეზიდენტის განდევნა სამშობლოდან, მისი საიდუმლოებით მოცული სიკვდილი. რუსთაველზე განადგურდა მრავალი შენობა, ტყვიებით დაიცხრილა ქაშუეთი. სამწუხარო და სამარცხვინო თარიღები ჩაიწერა საქართველოს ისტორიის ფურცლებზე.

დასკვნისთვის უნდა ვთქვათ, რომ 1989-1991 წლების რთული პოლიტიკური ვითარება საქართველოში ძირგამომთხრელი აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისათვის. მომდევნო პერიოდი არანაკლები დანაკარგითა და ტრაგიზმით განვითარდა. საქართველომ დაკარგა ტერიტორიის გარკვეული ნაწილი - კონკრეტულად, აფხაზეთი, რასაც მოჰყვა ქართველი მოსახლეობის სახლებიდან გამოდევნა, მსხვერპლი.

აღნიშნული წლების პოლიტიკური ვითარების გაშუქებისას, ჟურნალისტები, ლიტერატორები, მწერლები და საზოგადო მოღვაწეები ამხელდნენ ოპოზიციის ამბიციურობას, რომლისთვისაც მთავარი მამულის კეთილდღეობა კი არა, პირადი განდიდების მანია გახდა. ამ სამარცხვინო ბრძოლაში დაეცა ქვეყნის ეკონომიკა, დიდხანს გასაქანი აღარ მიეცა მართალ სიტყვას და ხალხში გაჩნდა უიმედობა, ეჭვი ყოველივე არსებულის მიმართ.

დასკვნა

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოკლედ მიმოვიხილე რა 1989-1991 წლების მოვლენები, რომლებიც შუქდებოდა როგორც ტელევიზიის მეშვეობით, ასევე პრესის ფურცლებზე, ძირითადად, დავეყრდენი გაზეთ „ლიტერატურული საქართველოსა“ და „ახალგაზრდა ივერიელის“ სტატიებს, რის შედეგადაც მივედი იმ დასკვნამდე, რომ ეს გაზეთები გმობდნენ ოპოზიციონერთა თავგასულობას, სიმართლეს აწვდნენ თავის მკითხველს და არ ერიდებოდნენ საზოგადოებამდე სწორი ინფორმაციის მიტანას.

სამწუხაროდ, დღეს, კვლავაც მსგავსი სიტუაციის მომსწრენი ვართ. გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ არ უღალატია თავისი კურსისათვის, ის კვლავ სიმართლეს ემსახურება და დღესაც ხალხისა და არსებული ხელისუფლების ერთგული რჩება (რაც, უნდა აღინიშნოს, წინა ხელისუფლებაზე არ ვრცელდება). ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილი ძალები კი ყველაფრის ფასად ცდილობენ ქვეყანაში არეულობის შექმნას. რაც შეეხება მეორე გაზეთს, ,,ახალგაზრდა ივერიელს,“ სამწუხაროდ, მან 2007 წელს დააპაუზა გაზეთის გამოცემა, მაგრამ ცნობილი მოვლენების შემდეგ გაუჭირდა გამოცემის აღდგენა და 8-9 ათეული წლის ისტორიის მქონე გაზეთის გამოცემა გაურკვეველი ვადით გაჩერდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. ბაქრაძე „პორტრეტის ესკიზი“, „ლიტერატურული საქართველო“, 05.01.1990, გვ.13;
2. ა. ბაქრაძე „გაერთიანება აუცილებელია“, „ლიტერატურული საქართველო“, 19.01.1990, გვ. 6;
3. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“. 07.09.1990, გვ. 11;
4. 9 აპრილი - შემდგენელი გურამ გვერდწითელი, თბილისი, 1990 წელი.

The vicissitudes of the Georgian National Liberation Movement in the Georgia print media of 1990-1991 years (based on the example of the newspapers - „Akhalgazrda iverieli (“Young Iveriel”) and „Literaturuli Saqartvelo” (“Literary Georgia”)

Gigla Gobechia, associate professor
Georgian Technical University

Lana Shengelia, PhD student
Georgian Technical University

Summary

This article deals with the stages of the Georgian National Liberation Movement in 1990-1991 and the reflection of this movement in the Georgian print media.

During the above mentioned period, exactly these two Georgian newspapers ,,Akhalgazrda Iverieli” (“Young Iveriel”) and ,,Literaturuli Saqartvelo” (“Literary Georgia”) had the largest circulation in Georgian print media and covered the vicissitudes of the national movement with special intensity. These factors led to our interest in these periodic bodies.

გაზეთის მომავალი ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში

ლია ქათამაძე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

საბეჭდი მანქანის გამოგონებამ ტექნოლოგიური აფეთქება გამოიწვია კომუნიკაციაში. შედეგი კი იყო კომუნიკაციის პროცესის გამასობრივება. წიგნი და გაზეთი ბეჭდვამ ხელმისაწვდომი გახადა ფართო მასებისთვის და ამით ბიძგი მისცა მეცნიერების განვითარებას, ჰუმანისტური იდეალების გავრცელებას, განახლებული და პროგრესული ევროპის ჩამოყალიბებას. კომუნიკაციის მასობრიობამ გაათავისუფლა წიგნი და გაზეთი ელიტური ტყვეობიდან. თანამედროვე მსოფლიოში ბეჭდური მედიის, კერძოდ კი გაზეთების, კრიზისს უკავშირებენ ტექნოლოგიურ ინოვაციებს და წამგებიან ბიზნესმოდელებს. ოპტიმისტები კრიზისიდან გამოსავალს ხედავენ გაზეთებში ანალიზის ხარისხის, პროფესიონალიზმისა და გადამოწმებული ინფორმაციის გაზრდას. მაგრამ ცხოვრება და ასევე კვლევებიც გვიჩვენებს, რომ ეს ყოველივე არის ის, რასაც გაურბის თანამედროვე მკითხველი. დღევანდელი მომხმარებელი თვითონ აკომენტარებს, აფასებს, კამათობს. ინტერაქტივი, როგორც დემასიფიკაციის მონაპოვარი, კოლოსალურ სიამოვნებას ანიჭებს ინტერნეტის მომხმარებელს, რომელსაც აღარ სურს გაზეთის პასიური მკითხველი იყოს. ასე რომ, ერთადერთი ადგილი, რომელიც შეუძლია დაიკავოს ბეჭდურმა ტექსტმა, ეს ტრადიციული ბრენდების ციფრული ვერსიებიც კი არ არის, არამედ ჰიპერტექსტია, მისი მულტიმედიური შესაძლებლობებით. ასევე სოციალური ქსელები, სადაც შესაძლებელია ბეჭდური ტექსტების მეშვეობით ახალი ამბების გაცნობა.

საკვანძო სიტყვები: გაზეთი, ბეჭდური ტექნოლოგიები, ციფრული ტექნოლოგიები, მასობრიობა, დემასიფიკაცია.

შესავალი

გაზეთის მომავალზე საუბარი გარკვეულ საფრთხეს იმთავითვე შეიცავს, რაც არსებული მდგომარეობის წმინდა ტექნოლოგიური კუთხით განხილვაში მდგომარეობს. ბეჭდური მედიის დასაწყისი ასეთი მიდგომის არათუ შესაძლებლობას, არამედ საჭიროებასაც შეიცავდა, რადგან გაზეთის არსებობის ისტორიაში სწორედ ტექნოლოგიურმა გარდატეხამ დაუდო სათავე ბეჭდური პერიოდიკის აღმოცენებას. ამ ფაქტის განსაკუთრებული მნიშვნელობა და გრანდიოზულობა განჭვრიტა ჰერბერტ მარშალ მაკლუენმა და ასახა კიდეც წიგნის სათაურში („გუტენბერგის გალაქტიკა“). ბეჭდვის ტექნიკამ ახალი ეპოქა შექმნა, რომელსაც გუტენბერგმა გალაქტიკა უწოდა. ბეჭდვის ტექნოლოგიამ ახალი ტიპის კომუნიკაციას, ახალ აზროვნებას, სოციალური და კულტურული არსებობის ახალ ფორმებს ჩაუყარა საფუძველი. მაგრამ რაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, სწორედ მან შექმნა კომუნიკაციის

ახალი ფორმა - მასობრიობა. მარშალ მაკლუენის მიდგომის ერთგვარი ტექ-ნიციზმი იმაში ვლინდება, რომ აქცენტს ახალ საკომუნიკაციო ენაზე, თავად ტექნოლოგიაზე აკეთებს. ამას საფუძველიც აქვს, რადგან სწორედ საბეჭდი მანქანა აღმოჩნდა მამოძრავებელი ძალა, რომლის მეშვეობითაც ამუშავდა ბეჭდური ინდუსტრია. მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანია პასუხი პირველივე კითხვაზე, რომელიც ამ განცხადების საფუძველზე ჩნდება, ასევე იმ შეხსენებაზე, რომ ბეჭდვის ტექნიკა გაცილებით უფრო ადრე ჩინეთშიც არსებობდა, მაგრამ გარდამტეხი ცვლილებები არც აზროვნებაში და არც სოციოკულტურულ განვითარებაში არ შეუტანია. პასუხი მასობრიობაშია. გუტენბერგის არაჩვეულებრივმა მანქანამ კომუნიკაციურ-ინფორმაციული პროდუქტი მასობრივად აქცია. ფაქტობრივად, მასობრივი კომუნიკაცია გახდა ყველა იმ სიკეთის წამომწყები, რომელმაც განახლებული და პროგრესული ევროპა შექმნა.

ძირითადი ნაწილი

ცოდნისა და სამეცნიერო მიღწევების გამასობრივებამ, ხელმისაწვდომობამ განმანათლებლური იდეების, ჰუმანისტური იდეალების ფართო გავრცელებას, აზროვნების ვიწრო ჩარჩოებიდან გამოსვლას დაუდო სათავე. ნაბეჭდმა წიგნმა, გაზეთმა და ჟურნალმა მათ ხელნაწერ წინამორბედებზე გაცილებით უფრო გააფართოვა ადამიანის გონებრივი განვითარების ჰორიზონტი. სწორედ ნაბეჭდმა ფორმამ გაათავისუფლა წიგნი თუ გაზეთი შუასაუკუნეობრივი ელიტურობისგან. მასობრივი კომუნიკაცია გახდა ამ ეპოქალური გარდატეხის საფუძველი და მასობრიობა იყო ბეჭდვის ტექ-ნოლოგიური სიახლის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებრივი შედეგი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, არა იმდენად ახალმა ტექნოლოგიამ, რამდენადაც ამ ტექნოლოგიით განპირობებულმა არსებითმა თვისებრივმა შედეგმა - მასობრიობამ - შეცვალა საკომუნიკაციო რეალობა. იმავეს ვერ ვიტყ-ვით შემდგომ ეპოქალურ ტექნოლოგიურ ინოვაციებზე, რომელთა ზემოქმე-დების სიძლიერე სწორედაც რომ ტექნოლოგიურ განსაკუთრებულობაში, კომუნიკაციის პრინციპულად განსხვავებულ ფორმებში მდგომარეობდა. მასობრიობას ახალი თვისებრივი ცვლილება არ შეხებია. შესაძლოა, ამაში უნ-და ვეძიოთ იმის მიზეზი, რომ ელექტრონულმა საშუალებებმა (ტელევიზიამ) ბოლომდე ვერ ჩაანაცვლა ბეჭდური მედია. აქვე გაჩნდა საყოველთაოდ მიღებული ახსნაც, რომ როცა ძველი საკომუნიკაციო საშუალებები კარგავენ დომინანტურ მდგომარეობას - ინფორმაციის მთავარი წყაროს პრივილეგიას - დანარჩენი საკომუნიკაციო საშუალებების მსგავსად იკავებენ მათთვის მი-ჩენილ ნიშას, რომელსაც საინფორმაციო ინდუსტრიის ბაზარი შესთავაზებს. ასე გამოიკვეთა ბეჭდური სივრცის უპირატესობა ანალიტიკური, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, შემეცნებითი და დარგობრივი მიზნებისთვის. მთავარი ინფორმაციული მომმარაგებლის, ყველაზე ოპერატიული მიმწოდებლის ფუნქცია ჯერ გაზეთებმა, შემდეგ კი რადიომ დათმო და მეორეხარისხოვნად აქცია. სამაგიეროდ, წინა პლანზე წამოვიდა რადიოსა და სატრანსპორტო საშუალებების სრულიად ახალი ტანდემი. საქმიანი ადამიანების, დარგის

სპეციალისტების, მეცნიერების, ფინანსისტების, ეკონომისტების, ხელოვნების ელიტარული ფორმების მოყვარულების შეფასებითი და ანალიტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ფუნქცია ბეჭდურმა პრესამ ითავა. და აქვე გაჩნდა ოპტიმისტური პროგნოზების საფუძველი, რომ უკვალოდ არც ერთი მედიასაშუალება არ ქრება. გაზეთის მომავლის თეორიული თუ ემპირიული წანამძღვრების განსაზღვრა, ფაქტობრივად, პასუხია კითხვაზე - საბოლოო გაქრობა ელის გაზეთს თუ მელტიმედიურ კონვერგენციულ სივრცეში სტატუს-კვოს ფორმალური შენარჩუნება.

საგაზეთო კრიზისის ანალიტიკა ორი, ფინანსური და ტექნოლოგიური, მიმართულებით იქცევს ყურადღებას. თანაც ერთი მეორით არის განპირობებული - ბიზნესმოდელების წამგებიანობა ჯერ ელექტრონული და შემდეგ ციფრული ტექნოლოგიების მონოპოლიურმა ბატონობამ მოიტანა. ქაღალდის ვერსიების გაყიდვები ეცემა, შესაბამისად, ბიზნესგათვლების მორგება ციფრულ მომავალზე ხდება. ციფრული ვერსიების მომენტალური და უფასო წვდომის შესაძლებლობა ყოველწლიური მზარდი პროგრესიით ცვლის მოხმარების სტატისტიკას. მოსახლეობის უმრავლესობა უკვე დიდი ხანია, რაც პირდაპირ კითხულობს ან ტვირთავს ონლაინ ახალ ამბებს. მაგალითად, 2020 წლის 19 აგვისტოს მდგომარეობით, დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის 70% ონლაინ ნიუსებს, გაზეთებსა და ჟურნალებს ეცნობა. ეს სამჯერ მეტია 2017 წლის მონაცემებზე. გაზეთების ფიზიკური, ქაღალდის ვერსიები ყოველწლიურად, საშუალოდ, მომხმარებლის 4-5 %-ს კარგავს. მიახლოებით ანალოგიურია საშუალო მაჩვენებელი ევროკავშირის ქვეყნებში, თუმცა არის უფრო მაღალი ნიშნულიც, მაგალითად, ნორვეგიაში, სადაც 92 % მოიხმარს ონლაინ ახალ ამბებს, ლუქსემბურგში - 87% და შვედეთში - 81%. აქვე აღსანიშნავია რუმინეთის ყველაზე დაბალი, 38%. (1) მაგრამ პროგნოზირებისთვის მართებულია აგრეთვე იმის გათვალისწინება, რომ გაზეთისადმი დამოკიდებულება სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. მსოფლიო საგაზეთო ინდუსტრიაში ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციები იკვეთება. ევროპისა და აშშ-ს საგაზეთო კრიზისის ფონზე აღმოსავლეთის ქვეყნებში აღმავლობაც შეინიშნება. თუ აქამდე ინდოეთი ითვლებოდა აღმოსავლეთის ყველაზე განვითარებულ საგაზეთო ქვეყნად, მას ჩინეთმა გადაასწრო. კრისტოფ რაისის თქმით: „ტირაჟები მზის მსგავსია. იზრდება აღმოსავლეთში და კლებულობს დასავლეთში“. (1)

ციფრულმა ტექნოლოგიებმა, თანამედროვე გაჯეტებმა ინფორმაციის ფორმისა და მოცულობის კორექტირებაც მოითხოვა. დღეს საფრთხე ექმნება არა მხოლოდ გაზეთის ფიზიკურ ვერსიას, არამედ მის ციფრულ ანალოგებსაც. კვლევები ადასტურებს ინტერნეტში ტექსტის მინიმუმამდე დაყვანის მოთხოვნილებას მომხმარებლის მხრიდან. მკითხველი ეძებს მოკლე პასუხებს. ყოველგვარი განზოგადება და შესავლები განწირულია გამოტოვებისთვის. ეს განსხვავებული მიდგომა ინფორმაციული საზოგადოების გულგრილ დამოკიდებულებას გამოკვეთს ანალიტიკის მიმართ. როგორც აუდიოვიზუალური, ისე ბეჭდური ტექსტებისადმი აუდიტორიისგან წაყენებული მოთხოვნა არის მაქსიმალურად კონცენტრირებული, დაწურული ინფორ-

მაციულობა. თავად ანალიტიკოსებისგან მსჯელობის ნაცვლად შედეგებს, პროგნოზებსა და რეკომენდაციებს ელიან.

საახალამბებო ბრენდების ინტერნეტში დამკვიდრებას ხელს უწყობს გადამოწმებული მედიატექსტებისა და მედიაპასუხისმგებლობისადმი გაზრდილი ინტერესი, რაც ფეიქ ნიუსებითა და კიბერსივრცეში არსებული ეთიკური განუკითხაობით იქნა გამოწვეული. მაგალითად, BBC News Online-ს ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი ჰქონდა დიდ ბრიტანეთში (45%) (Statista-ს კვლევის დეპარტამენტის მონაცემებით). მეორე და მესამე ადგილებს Guardian online (18%) და Mail Online (15%) ინაწილებენ. (1) აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური ქსელების პლატფორმებზე ზემოხსენებული ბრენდები გაცილებით უფრო ეფექტურად მოქმედებენ, რამდენადაც იყენებენ ინტერაქტივის სრულ შესაძლებლობებს, მომენტალურ ფუნქციებს, ინფოგრაფიკას, ვიდეოსა და პარალელურ საზოგადოებრივ აზრს. საზოგადოებაში მაღალია ინტერაქტივის მოთხოვნილება, რაც საუკუნეების მანძილზე იყო შეზღუდული მასობრივი კომუნიკაციის ცალმხრივი, ასიმეტრიული კომუნიკაციური პროცესით. ამ ერთმიმართულებიანობითა და ფართო მასებზე ერთდროულად ერთი და იმავე ინფორმაციით ზემოქმედებით ხორციელდებოდა საზოგადოების მართვა. ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც ჩაეჭიდა ინფორმაციული საზოგადოების რიგითი მოხმარებელი დემასიფიკაციის შედეგად, იყო ინტერაქტივი. ინტერპერსონალური და ინტრაპერსონალური შესაძლებლობები მთელი სიძლიერით ამოქმედდა და აღმოჩნდა, რომ სწორედ ეს უწევს კონკურენციას ბეჭდური მედიის ფიზიკურ ვერსიებს. დახვეწილ პუბლიცისტიკას, პროფესიონალურ მსჯელობას ჯაბნის მოკლე ტექსტური ნიუსები, რომელსაც თავად აუდიტორია აფასებს, ეცნობა სხვათა კომენტარებს. ბევრ შემთხვევაში კომენტარები მიუღებელია ან კონფლიქტური შეუსაბამობა არსებობს მათ შორის, მაგრამ ეს არის არარაფინირებული, უშუალო პროცესი, სადაც ადამიანი თავისი მნიშვნელოვნობის განცდას იკმაყოფილებს. ფაქტობრივად, დემასიფიკაციას მოჰყვა ავტორიტეტული ინტერპრეტაციების გაუფასურება, ინფორმაციის პასიური მიმღების მდგომარეობიდან კომენტატორის აქტიურ როლში გადასვლა. აქედან გამომდინარე, თუ მასობრიობა (როგორც ბეჭდვის ტექნოლოგიის შედეგი) გახდა ბეჭდური მედიის აღზევების საფუძველი, დემასიფიკაცია (ციფრული კომუნიკაციური შედეგი) მისი საბოლოო დაუძლურების მიზეზი ხდება.

დასკვნა

ამრიგად, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ბეჭდური პერიოდული მედიის კრიზისი არც ტექნიციზმშია საძიებელი და არც ფინანსურ მოდელებში. მთავარი არის შედეგი, რაც მოიტანა ახალმა ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა - დემასიფიკაცია. დემასიფიკაციის თვისებრივი და პრინციპული განსხვავებულობა მდგომარეობს მასობრივი კომუნიკაციური ურთიერთობების ინტრაკომუნიკაციურ და ინტერკომუნიკაციურში გადასვლაში.

გამოყენებული ლიტერატურა:
1 . http://www.statista.com

The Future of Newspapers in the Digital Era

Lia Katamadze, associated professor
Georgian Technical University

Summary

There was a technological explosion in communication after the invention of the printing press . The result was mass character of communication. And it gave an impetus to the development of science, to the spreading humanistic ideals, to the renewed and progressive Europe. Mass character of communication brought books and newspapers out of elite confinement. In the modern world the crisis of print media, in particular newspapers, is associated more with technological innovations and losing business models. Optimists suggest improving the quality and professionalism of analysis and the reliability of information in newspapers. But the life and also researches show that this is what the modern reader avoids. Internet consumer himself comments, evaluates, argues. Interactive gives a tremendous pleasure. Modern consumer doesn't want to be a passive reader of newspaper anymore . So not the technologies themselves turns a person away from one-sided information of mass character to interactive on internet but technological result - demassification.

And the only place a printed text can take is not even digital versions of traditional brands but hypertext with its multimedia capabilities. And the best place to read news in print is on social media.

Key words: newspaper, print technology, digital technology, mass character, demassification

სპორტის ჟურნალისტიკა გლობალური მედიაკომუნიკაციის სისტემაში და მის თავისებურებათა ზოგიერთი ასპექტი

ვაჟა დანელია
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

რეზიუმე

სპორტი ბოლო დროს მსოფლიოში ძალიან პოპულარული გახდა და მისი მნიშვნელობაც სოციალურ პროცესებზე ზემოქმედებით საგრძნობლად გაიზარდა, რაც მასშტაბური შეჯიბრებების - ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების, საერთაშორისო ტურნირების გამართვას უკავშირდება. ისიც აშკარაა, რომ სპორტი ადამიანთა ცნობიერებასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში ღრმად იდგამს ფესვებს, როგორც პრესტიჟული და მიმზიდველი მასშტაბური მოვლენა. შესაბამისად, აქტიურად ვითარდება სპორტის ჟურნალისტიკაც - სოციალური მართვის მექანიზმი, როგორც თანამედროვე მედიკომუნიკაციის სისტემის ნაწილი, რომელიც მკაფიოდ ასახავს სასპორტო მოვლენებს, აანალიზებს შეჯიბრებებსა და მთლიანად სპორტის განვითარებას, ამასთანავე თეორიულად და მეთოდურად განიხილავს საზოგადოებრივი პროცესების მდგომარეობას, რომლებიც რაღაცით მაინც ესადაგება ფიზიკურ კულტურასა და სპორტს და მასობრივი ცნობიერების ჩამოსაყალიბებლადაა მოწოდებული.

სპორტის განვითარებასთან დაკავშირებული მედიაპროცესების გამო სპორტი მედიამოვლენად, სპორტის ჟურნალისტიკა კი მიზნობრივ აუდიტორიაზე ზემოქმედების მნიშვნელოვან საშუალებად იქცა. მისი როლი განსაკუთრებით XX საუკუნის მიწურულსა და XXI საუკუნეში გაიზარდა სპორტის კომერციალიზაციით, სასპორტო ტელეარხების, ინტერნეტსაიტების, გაზეთებისა და ჟურნალების ინტერნეტში მისაწვდომობით. ამდენად, სპორტთან ერთად სპორტის ჟურნალისტიკასაც ღირსეული ადგილი უკავია ბეჭდურ მედიაში, რადგან ეს არის ამ სფეროს აქტუალური ინფორმაციების მოძიების, გადამუშავებისა და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით გადაცემის სოციალურად მნიშვნელოვანი საქმიანობა.

საკვანძო სიტყვები: მედიაკომუნიკაცია, მედიასისტემა, გლობალიზაცია, სპორტის ჟურნალისტიკა, სასპორტო მედიაკომუნიკაცია, ბიზნესი, სასპორტო ინდუსტრია.

შესავალი

დღევანდელი სპორტის ჟურნალისტიკა, უმთავრესად, პროფესიულ და მაღალი მიღწევების სპორტზეა ორიენტირებული, რადგან ის სანახაობითია, საზოგადოების უმეტეს ნაწილს აღაფრთოვანებს, შეუდარებელ ვნებებსა და ემოციებს უკავშირდება. თუმცა სპორტის ჟურნალისტიკის თანამედროვე გაგებისთვის მხოლოდ საშეჯიბრო და გასართობი კომპონენტები საკმარისი არ არის. მის გასააზრებლად საჭიროა რიგი გარემოებების გათვალისწინება, მათ შორის:

1. სპორტის მჭიდრო კავშირი ბიზნესთან, რადგან სპორტსმენებისა და ასპარეზობის ორგანიზატორებისთვის შეჯიბრება, უპირველესად, შემოსავლის წყაროა;

2. სპორტი არის ესთეტიკური სანახაობა. ის უამრავ ადამიანს იზიდავს - როგორც გულშემატკივრებს, ასევე, ჩვეულებრივ მაყურებელს, რომელიც სანახაობით ტკბება. მიმზიდველი ფაქტორი კი ის არის, რომ სპორტის ბევრი სახეობა სხეულის, მოძრაობისა და სულის სილამაზეს წარმოაჩენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვილაპარაკოთ სასპორტო მედიაკომუნიკაციის ძირითად მიმართულებებსა და ფუნქციებზე, რომლებსაც ის საზოგადოებაში ასრულებს.

კომერციულად წარმატებულმა და ეკონომიკურად მომგებიანმა სპორტმა კარგა ხანია, მოწინავე პოზიციები დაიკავა მსოფლიოს მედიასივრცეში. დღეს თითქმის არ არსებობს თემატური არხი თუ გამოცემა, რომელიც სპორტზე არ იყოს ორიენტირებული. ამიტომ საინფორმაციო სააგენტოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მესვეურები ფართოდ განიხილავენ განვითარების თანამედროვე ძირითად ტენდენციებსა და გამოწვევებს, რომლებიც გლობალური საინფორმაციო საზოგადოების წინაშე დგას.

მაღალსიჩქარიანმა ინტერნეტმა და ციფრულმა ტელევიზიამ გადაცემების ინფრასტრუქტურა საგრძნობლად შეცვალა. საინფორმაციო სივრცეს საზღვრები აღარ აქვს. ამიტომაც მედიაგლობალიზაცია თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა. საბაზრო ურთიერთობების პირობებში გლობალური მედიაკომუნიკაციის მთავარი ამოცანაა მოგების მიღება. გამონაკლისს არც სპორტის ჟურნალისტიკა წარმოადგენს.

სასპორტო ინდუსტრიის სწრაფმა განვითარებამ სპორტის ჟურნალისტიკის სარეკლამო ფუნქციის წარმოქმნას შეუწყო ხელი. რაც უფრო ფართოდ შუქდება სასპორტო სფეროს ესა თუ ის მოვლენა, მით უფრო მეტი ეკონომიკური უკუგებაა მისგან მოსალოდნელი, რადგან თანამედროვე პირობებში სპორტის ჟურნალისტიკა საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა სფეროში იკიდებს ფეხს და თავადაც მძლავრ ბიზნესად იქცა [6, 529].

სპორტში ვარჯიშმა, სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებებმა გლობალიზაციამდე დიდ ხნით ადრე მიგვიყვანა. ეს პროცესი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო, როცა სპორტის სახეობები მთელ მსოფლიოში გავრცელდა. სწორედ იმ პერიოდიდან ზოგიერთი სასპორტო შეჯიბრება ჯერ საერთაშორისო, შემდეგ კი გლობალური გახდა, როგორც ოლიმპიური თამაშები. მათი რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. 1912 წელს მსგავსი ტურნირები მსოფლიოში სულ 20 თუ იყო, 2006 წელს ათასს გადააჭარბა. კორონავირუსის გავრცელებამდე დღეში საშუალოდ, სულ მცირე, სამი მეგამოვლენა მაინც იმართებოდა. ყველაფერი ეს კი, ცხადია, პრესის ფურცლებზე აღინუსხება და მედიაკომუნიკაციაც, მათ შორის - ქართული სასპორტო მედიაც გლობალურია, რადგან სასპორტო მედიაკომუნიკაცია, ზოგადად, დღევანდელი მედიაკომუნიკაციის კომპონენტს წარმოადგენს.

თანამედროვე სპორტი - ეს არის ყველაზე ხელმისაწვდომი და კულტურათაშორისი კომუნიკაციის ეფექტური საშუალება, რომელიც აუმჯობესებს

ადამიანის შემოქმედებით შესაძლებლობებს, აკაჟებს ორგანიზმს და საზოგადოებაში ნერგავს ცხოვრების ჯანსაღ წესს. სპორტი არცთუ უსაფუძვლოდ აღიქმება, როგორც მსოფლიოს და ეროვნულ კულტურათა ნაწილი, რადგან მას განეკუთვნება თანამედროვე გართობა და ტრადიციული თამაშები, რომლებიც ეროვნულ წეს-ჩვეულებებთან არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, სპორტის კიდევ ერთი მხარე იკვეთება - როგორც მსოფლიოს ხალხების კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი კომპონენტი და ეთნოკულტურული თვითიდენტიფიკაციის ფორმა. მეცნიერთა მტკიცებით, სასპორტო შეჯიბრებები აღიქმება არა მხოლოდ გლობალიზაციის ერთ-ერთ გამოვლინებად, არამედ როგორც გადამწყვეტი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს ეროვნებათა სიმბოლურ გაერთიანებას.

ძირითადი ნაწილი

XIX საუკუნის დასაწყისში, მართალია, სპორტი ნელ-ნელა მიიკვლევდა გზას პრესის ფურცლებისკენ, მაგრამ მას სოციალურად დაბალი წრის წილხვედრად და საშინელ უხამსობად მიიჩნევდნენ, ხოლო სპორტის ჟურნალისტობა სამარცხვინო და არაპრესტიჟული იყო. დღეს კი სპორტის ჟურნალისტიკა ძალიან პოპულარულია. მისი სპეციფიკა თავისებურებათა მახასიათებლებში მჟღავნდება. ის არა მხოლოდ აღსაწერი სპეციალური მოვლენითა და აუდიტორიით, არამედ ოპერატიული მასალების წინასწარ დაგეგმვითა და მუშაობისას მრავალი სტატისტიკური მონაცემის გამოყენებით გამოირჩევა. ჟურნალისტიკის სხვა სფეროების წარმომადგენელთაგან განსხვავებით, სპორტის ჟურნალისტმა წინასწარ იცის, სად და როდის გაიმართება ესა თუ ის ღონისძიება, რომელზეც უნდა მოუთხროს აუდიტორიას. ამის საშუალებას იძლევა სასპორტო კალენდარი. სხვადასხვა სახეობის საერთაშორისო, კონტინენტური თუ ეროვნული ფედერაციები სეზონის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე ადგენენ საშეჯიბრო მოვლენათა ნუსხას, რომლებშიც ტურნირებისა თუ მატჩების გამართვის ადგილი, თარიღი და დრო ზუსტად არის გაწერილი.

სპორტის ჟურნალისტიკის გამორჩეული თავისებურება სტატისტიკაზე მუშაობაა. სპორტის ჟურნალისტი უამრავ ციფრს იყენებს: ეს არის მატჩის ოქმების მონაცემები და თამაშის სხვადასხვა პარამეტრისთვის საკუთარი გამოთვლები, ასევე, ცხრილები თუ გრაფიკები. სერიოზული სასპორტო პრესის არც ერთი მნიშვნელოვანი მასალა არ არის დასრულებული სტატისტიკური მონაცემების გამოუყენებლად, რადგან სპორტის ინფორმაციის მომხმარებლებისთვის საინტერესოა არა მარტო შედეგი ტაბლოზე, არამედ ისიც, თუ როგორ იასპარეზა ამა თუ იმ სპორტსმენმა; მაგალითად, ფეხბურთში, გოლების გარდა, ითვლიან გუნდების ჯარიმებს, ყვითელი და წითელი ბარათების, თამაშგარე მდგომარეობის, კუთხურიდან თუ გვერდითი ხაზიდან მოწოდებული ბურთების რაოდენობას, ბურთის ფლობის პროცენტსა და დროს, შეცვლებსა თუ ფეხბურთელის მიერ მინდორზე გატარებულ წუთებს, მთელ მის პირად სტატისტიკას და სხვა მრავალ წვრილმანს. ყველა ეს მაჩვენებელი კონკრეტული შემსრულებლის თამაშის შეფასებას ემსახურება.

სპორტის ჟურნალისტმა ისიც უნდა განსაზღვროს, როგორია შეჯიბრის შედეგები პერსპექტივის გათვალისწინებით, როცა ტურნირი შესაძლოა გაგრძელდეს ერთი კვირა, ერთი თვე ან სულაც მთელი წელიწადი, ცხადია, ასპარეზობის სპეციფიკიდან გამომდინარე. საკუთარი მოსაზრებების დასასაბუთებლად კი მას ფაქტები სჭირდება და, რასაკვირველია, ციფრებთან უწევს ურთიერთობა.

მესამე თავისებურება, რომელიც სპორტის ჟურნალისტიკას ახასიათებს, ეს არის ისეთი ტერმინოლოგიის გამოყენება, რომელიც მხოლოდ სასპორტო მოვლენებისთვისაა დამახასიათებელი. მაგალითად, გოლი, დამატებითი დრო, აუტი, თამაშგარე მდგომარეობა, ნახევარმცველი და სხვ. [7].

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთებისგან განსხვავებით, რომლებიც მხოლოდ მნიშვნელოვან სასპორტო მოვლენებს (ოლიმპიური თამაშები, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატები) აშუქებს, სასპორტო პრესა ნებისმიერ სასპორტო ამბავს ეხმაურება.

აღსანიშნავია ისიც, რომ სპორტის ჟურნალისტებს, სხვა სფეროში დასაქმებულ კოლეგებთან შედარებით, მეტ სირთულეებთან უწევთ გამკლავება: ჯერ ერთი, სასპორტო ღონისძიებები არასამუშაო დროს იმართება; მეორეც - სხვადასხვა მიზეზით ზოგჯერ სასპორტო ინფორმაციის მოპოვება საკმაოდ ძნელია: ღონისძიებათა ორგანიზატორები თავიანთი საიდუმლოებების გასაცნობად პრესის თანამშრომლებს არცთუ ისე დიდი ხალისით უთმობენ გზას. ყოველივეს მიუხედავად, სპორტის ჟურნალისტებმა ტრადიციულ ნორმებს არ უნდა გადაუხვიონ - მკაცრად უნდა დაიცვან პროფესიული და ეთიკური სტანდარტები.

ჟურნალისტიკაში, ჩვეულებრივ, პირველ საინფორმაციო შენიშვნად მიჩნეულია ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი საუკუნის რომის „სენატის აქტები“. ჩვენი მოსაზრებით კი, ყველაზე ადრეული და ისტორიულად სარწმუნო ინფორმაცია არის სასპორტო ქრონიკა, რომელიც ძვ.წ. 776 წლით თარიღდება, მაშინ ელადელმა მზარეულმა კოროიბოსმა ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა. ეს არის პირველი წერილობითი ინფორმაცია, მარმარილოს კოლონაზე ამოტვიფრული, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, ანუ იულიუს კეისრის „სენატის აქტებამდე“ შვიდი საუკუნით ადრინდელი. ზემოაღნიშნული ინფორმაცია პასუხობს კითხვებს - რა? (პირველი ოლიმპიური თამაშები), როდის? (ჩვენს ერამდე 776 წელს), სად? (ოლიმპიაში), ვინ? (ათენელი მზარეული კოროიბოსი გახდა ოლიმპიური ჩემპიონი).

შეიძლება კი ეს ინფორმაცია მივიჩნიოთ ჟურნალისტურ ჟანრად, რადგანაც ის გაზეთში ან ჟურნალში არ დაბეჭდილა? ალბათ, ზოგი დაგვეთანხმება, ზოგი - არა.

1970 წელს გამოქვეყნდა პროფესორ ტარიელ კვანჭილაშვილის წიგნი „საბჭოთა ჟურნალისტიკის თეორიის საკითხები“ [1]. ავტორი სულხან-საბა ორბელიანის თხზულებას („მოგზაურობა ევროპაში“) განიხილავს როგორც სამოგზაურო ჟანრის რეპორტაჟს. თანაც იქვე მიუთითებს: „მაგრამ შეიძლება თუ არა ვილაპარაკოთ რეპორტაჟზე, როგორც პუბლიცისტურ ჟანრზე ისე, რომ არ გვქონდეს პრესის ორგანო - გაზეთი ან ჟურნალი?“ მეცნიერი საკუთარ კითხვას თავადვე პასუხობს: „ალბათ, არა...

ერთი შეხედვით, შესაძლოა, ეს სწორადაც მოგვეჩვენოს, მაგრამ ამ მოსაზრებას რომ გავყვეთ, მაშინ უარი უნდა ვთქვათ ზეპირსიტყვიერ ლექსზე ან სხვა ლიტერატურულ ჟანრზე, რომელიც წიგნის და, საერთოდ, დამწერლობის გაჩენამდეც წარმოიშვა ამა თუ იმ ხალხში და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ახლა რომ ვამტკიცოთ, წიგნის გაჩენამდე ლექსი არ არსებობდაო, ხომ არავინ დაგვიჯერებს“ [1, 51-52].

ავტორის აზრით, მხატვრულ ლიტერატურასა თუ ზეპირსიტყვიერებაშიც შეიძლება ვეძებოთ ბევრი რამ რეპორტაჟული, ინფორმაციული შენიშვნის მაგგვარიც. ცნობილი მეცნიერის ასეთი მოსაზრება იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ პირველ სასპორტო ინფორმაციად მივიჩნიოთ ჩვენს ერამდე 776 წლით დათარიღებული მარმარილოს სტელაზე ამოკაწრული ცნობა პირველი ოლიმპიური ჩემპიონის შესახებ.

დასავლელი მეცნიერები უფრო შორს წავიდნენ. მათი აზრით, რა ასრულებდა საკომუნიკაციო ფუნქციას იმ დროს, როცა არ იყო ჟურნალისტიკა? უპირველესად, მასობრივი კომუნიკაციის ე. წ. წინარეჟურნალისტურ საშუალებებზე მიანიშნებენ. მიაჩნიათ, რომ ინფორმაცია წარმოიშვა შრომით საქმიანობასა და ენასთან ერთად. შემდეგი იყო საზოგადოებრივი შეხედულებების ფორმირება. ამ ეტაპზე მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ორატორები. მათი საქმიანობა ადამიანთა მასებში ცნობების მიზანმიმართული გავრცელების ნათელი მაგალითია, რაც ხალხზე იდეურ-ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენდა წარმოდგენების, შეხედულებების, მისწრაფებების ჩამოსაყალიბებლად. ეს კი წინარეჟურნალისტური საქმიანობის საფუძვლად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

მეცნიერები ჟურნალისტიკის საწყისებს ეძებენ მითოლოგიაშიც. უძველესი ჟურნალისტის როლის შემსრულებლად მიაჩნიათ ჰერმესი - „ახალი ამბების სამსახურის“ მფარველი, რომელსაც ოლიმპოს ღმერთებსა და ადამიანებს შორის საურთიერთობოდ მაცნეს თანამდებობა ეკავა.

მათივე აზრით, ინფორმაციის ზეპირი გზით გავრცელებას უკავშირდება ჟურნალისტიკაში შემონახული და დღემდე ფართოდ გამოყენებული სიტყვები: ფორუმი - შეკრების მოედანი, ტრიბუნა - სიტყვის წარმოსათქმელი ადგილი, დუმა - მრჩეველთა შეკრება... სიტყვა „ჰონორარიც“ წარსულს უკავშირდება, რაც გასამრჯელოს ნიშნავს. ანაზღაურებული შრომა მხოლოდ მონების ხვედრი იყო. თავისუფალი ადამიანები უსასყიდლოდ მუშაობდნენ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ბერძენი პოეტ ჰომეროსის „ილიადაზე“ [5]. პოემის 23-ე ქება თითქმის მთლიანად სპორტს ეძღვნება. აქ აღწერილია ორთაბრძოლები სპორტის რვა სახეობაში. ამ შეჯიბრებას ტროას ომში დაღუპული პატროკლეს სახელისთვის პატივის მისაგებად აქილევსის ხელმძღვანელობით მართავენ პელაზგები, რომლებსაც მეცნიერები კოლხების წინაპრებად მიიჩნევენ [4].

პოემაში შეუდარებელია ეტლებით შეჯიბრების ეპიზოდი, რომელსაც დასავლელმა მკვლევრებმა, სრულიად სამართლიანად, პირველი სასპორტო რეპორტაჟი უწოდეს. [5, 502-507]...

არანაკლებ შთამბეჭდავია ჭიდაობის სცენა, რეპორტაჟის სტილში

აღწერილი: ავტორი ემოციურად მოგვითხრობს მეტოქეთა პაექრობას - ერთმანეთს წელზე ხელები „შემოაჭდეს“ თუ არა, ღონიერ მკლავთა სალტეში მოხვედრილმა ხერხემალმა ჭახანი დაიწყო, „სხეული დაცვარა ოფლმა, ფერდებზე, ზურგზე აელეწათ გმირებს კუნთები“ [5, 513-514].

„ილიადას“ ამ მონაკვეთში რამდენიმე მომენტია საგულისხმო:

1. ოდისევსი და ტელამონიდი საჭიდაოდ რომ წამოდგნენ, მყისვე ქამრები შემოირტყეს;

2. წრეში ჩადგნენ,

3. მძლავრად ხელები შემოაჭდეს ერთმანეთს წელზე (ქართული ფანდი - ჩავლება დაწნული თითებით). ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ფეხზე ხელის წავლება, ხელის კვრა ან მტკივნეული ილეთის ჩატარება არც უცდიათ;

4. ოდისევსმა ფანდი იხმარა - კვირისთავს ქუსლი გამოუკრა. ქართული ჭიდაობის ცნობილი ფანდია - გარეცერული.

5. მყისვე მეტოქე პირაღმა დასცა, თვითონ ზედვე დავარდა, მაგრამ პაექრობა არ გაუგრძელებიათ, რამაც არგიველები (ბერძნული ტომი) გააოცა, რადგან მუშტი-კრივისა და ჭიდაობის ნაზავ ელინურ პანკრატიონს ნაჩვევთათვის ორთაბრძოლის ასეთი რაინდული წესი უცხო აღმოჩნდა.

ზემოაღნიშნულ ნიუანსებზე დაკვირვებითა და მათი ქართული ჭიდაობის წესებთან შედარება-შეპირისპირებით იმ დასკვნამდე მივედით, რომ „ილიადაში“ აღწერილ შერკინება და ქართულ ჭიდაობას შორის მსგავსება აშკარაა.

გვესმის, რომ ჩვენი ჰიპოთეზა დაფუძნებულია მხოლოდ ლიტერატურული წყაროების ანალიზზე და იგი არ არის შეჯერებული ისტორიული ფაქტებითა თუ არქეოლოგიური აღმოჩენებით, თუმცა დასტურად ისიც გამოდგება, რომ ბერძნებმა საქართველოს წაჰგვარეს ამირანის მითი, ანუ, როგორც პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი ბრძანებს, „ცივი ჭედვიდან“ რკინის „ცეცხლში დნობა-წრთობაზე გადასვლის“ ამბავი, ასევე, ოქროს ქიმიურად დამუშავების წესი, ანუ ოქროცურვილობის ტექნოლგია და მედეას საიდუმლო - სამედიცინო ცოდნა, დღეს მსოფლიოში მედიცინად წოდებული.

აქვე შეგვიძლია დავიმოწმოთ გერმანელი არქეოლოგი იოჰან შლიმანიც (1822-1890), რომელმაც ქალაქი ტროა და მეფე „პრიამოსის განძი“ აღმოაჩინა. ამით მან დაამტკიცა, რომ ჰომეროსის პოემებს რეალური საფუძველი აქვს, რომ „ილიადაში“ მოყვანილი ფაქტები გამოგონილი არ არის. შლიმანმა ჰომეროსის მითები ისტორიად აქცია.

სპორტის ჟურნალისტიკის ზემოთ დასახელებულ თავისებურებებთან ერთად კიდევ ერთ განმასხვავებელ თვისებაზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება - ეს არის მისი საორგანიზაციო ფუნქცია, რადგან სასპორტო ღონისძიებების მომზადება და გამართვა საზოგადოების ყურადღებას იპყრობს. მსოფლიოში აღიარებულ ველომარათონ „ტურ დე ფრანსს“ მეოცე საუკუნის დასაწყისში გაზეთ „ეკიპის“ (ფრანგულად გუნდს ნიშნავს) წინამორბედმა - „ლ აუტომ“ ჩაუყარა საფუძველი. ამ უკანასკნელს ნაცისტებთან თანამშრომლობის გამო მეორე მსოფლიოს ომის შემდეგ ფუნქციონირების უფლება არ მისცეს. 1946 წელს დაარსებულ „ეკიპს“ წინამორბედის ყვითელი

ქაღალდის (ამის გამოა „ტურ დე ფრანსზე“ ლიდერის კვართი ყვითელი) გამოყენების ნება არ დართეს - ის თეთრ ქაღალდზე იბეჭდება.

აღორძინებული პირველი ოლიმპიური თამაშების გასაშუქებლად მილანში 1896 წლის 3 აპრილს დააარსეს გაზეთი „გაძეტა დელო სპორტი“, რომელმაც 1907 წელს საერთაშორისო ველოტურნირ „ჯირო დ’იტალიას“ ჩაუყარა საფუძველი; 1920-1922 წლებში პირველი ქართული სასპორტო ჟურნალ „შევარდენის“ ინიციატივით რამდენიმე რესპუბლიკური ტურნირი მოეწყო ტანვარჯიშში; 1966 წლიდან თბილისში ხელბურთელ ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრება ტარდებოდა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე.

განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ სასპორტო გაზეთ „ლელოს“ დამსახურება - ჯერ კიდევ საბჭოთა იმპერიის პირობებში მის რედაქციას ეკუთვნის საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ჩამოყალიბების იდეა. მეტიც - 1989 წლის ზაფხულში აქ შეიქმნა ჯერ საინიციატივო ჯგუფი, მერე კი - საორგანიზაციო კომიტეტი გაზეთის რედაქტორ თენგიზ გაჩეჩილაძის ხელმძღვანელობით. ქართველმა ხალხმა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის იდეა სიხარულით აიტაცა [2]. 1989 წლის 6 ოქტომბერს თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა სეოკ-ის დამფუძნებელი ყრილობა და მის პირველ პრეზიდენტად ჭადრაკში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი და მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადების თერთმეტგზის გამარჯვებული ნონა გაფრინდაშვილი აირჩიეს.

დასკვნა

თანამედროვე მედიაკომუნიკაციის სისტემაში შემავალი სპორტის ჟურნალისტიკა, მასმედიის სხვა მიმართულებებთან ერთად, ბოლო წლების ჰიპერტექსტურ, მულტიმედიურ და ინტერაქტიურ ტექნოლოგიებს იყენებს. სპორტის განვითარებასთან დაკავშირებულია ბევრი მედიაპროცესი, რაც მას მედიაკომუნიკაციის ფენომენად, ხოლო სპორტის ჟურნალისტიკას მიზნობრივ აუდიტორიაზე ზემოქმედების მნიშვნელოვან საშუალებად აქცევს.

სპორტის ჟურნალისტიკა თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში უდიდეს როლს თამაშობს: უზრუნველყოფს სასპორტო კომუნიკაციას სპორტსმენებსა და გულშემატკივრებს შორის, ამავე დროს მოსახლეობაში სპორტის პოპულარიზაციასა და საერთაშორისო დონეზე ქვეყნის სახელის განმტკიცებას უწყობს ხელს. გამომდინარე იქიდან, რომ სპორტი მსოფლიო მასშტაბის მოვლენა გახდა, სპორტის ჟურნალისტიკამ, როგორც გლობალური მედიაკომუნიკაციის სისტემის ნაწილმა, ჟურნალისტიკის სხვა მიმართულებებს შორის ღირსეული ადგილი დაიკავა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კვანჭილაშვილი ტ. „საბჭოთა ჟურნალისტიკის თეორიის საკითხები“, თბ.: „განათლება“, 1970, 174 გვ.;
2. „ლელო“, #146 (8504), 1989, 30 ივლისი;
3. ნაცვლიშვილი პ. საქართველოს ოლიმპიური პოტენცია, „ლელო“, #132 (8490), 1989, 11 ივლისი;

4. ყაუხჩიშვილი ს. ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ.: უნ-ტის გამ-ბა, 1949, 435 გვ.;
5. ჰომეროსი, „ილიადა“ (რომან მიმინოშვილის წინასიტყვაობით), თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1979, 570 გვ.;
6. Данилова М.Н. (2018). Спорт как медиакоммуникационный феномен // Вопросы теории и практики журналистики. Т.7. №3. С. 519-538
7. URL: http://ru.wikipedia.org/wiki/Категория:Спортивная – терминология, ბოლო ნახვა14.11.2020;

Sports Journalism Global Media Communication In the system and some aspects of its features

Vaja Dabelia
Doctor of Social Sciences

Summary

Sport has recently become very popular in the world and its importance has significantly increased due to its impact on social processes. It is also obvious that sport is deeply rooted in people's consciousness and daily life, therefore, sports journalism is also actively developing.

Due to the media processes related to the development of sports, sport has become a media phenomenon, and sports journalism has become an important means of influencing the target audience. The main task of global media communication in market relations is to make a profit. Sports journalism is no exception. Media communication, including Georgian sports media, is global, as sports media communication in general is a component of today's media communication.

The specifics of modern sports journalism are revealed in the characteristics of the features. It is distinguished not only by the descriptive special event and audience, but also by the pre-planning and operation of operational materials using numerous statistical data. Unlike representatives of other fields of journalism, a sports journalist knows in advance where and when this or that event will take place, which he has to tell the audience about. This allows the sports calendar. Another feature is that sports journalism is characterized by the use of terminology that is specific only to sporting events.

Journalism is usually considered to be the first informative note in the "Acts of the Senate" of Rome in the first century BC. In our opinion, the earliest and historically reliable information is the sports chronicle of BC. About the Olympic championship in 776 by the Greek cook Koroibos, seven centuries before the "Acts of the Senate" of Julius Caesar. This information answers the questions - what? (First Olympic Games), when? (776 BC), where? (In Olympia), who? (Athenian chef Koroibos became Olympic champion).

Sports journalism plays a huge role in the life of modern society: it provides sports communication between athletes and fans, at the same time promoting sports among the population and strengthening the country's name internationally. Since sport has become a worldwide phenomenon, sports journalism, as part of the global media communication system, has taken a worthy place among other areas of journalism.

Keywords: media communication, media system, globalization, sports journalism, sports media communication, business, sports industry.

გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველოს“ დაარსების წინაპირობები

თეონა არველაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

1921 წლის თებერვალ - მარტში, საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, ბოლშევიკური რუსეთის ოკუპაციის მიერ კვლავ დაირღვა.

ქართულ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც XX საუკუნის პირველ ოცწლეულის, საქართველოს საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებას წარმართავდნენ (ესენი იყვნენ ძირითადად: სოციალ - დემოკრატიული, სოციალ - ფედერალისტური, ეროვნულ - დემოკრატიული და სოციალ - რევოლუციონერთა (ესერები) პარტიები) მოუწიათ ემიგრაციაში გახიზვნა, კერძოდ საფრანგეთს, პარიზს, შეაფარეს თავი. პოლიტ ემიგრან-ტებმა შეძლეს საერთო ეროვნული ღირებულებების გარშემო პარტიათა გაერთიანება და ქვეყნის სასიკეთო მომავლის მიზნების დასახვა. სწორედ პარიზში შეიქმნა, პოლიტიკური პარტიების მიერ, ქართული ემიგრანტული ჟურნალიტიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი, გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველოს“ სახით.

გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“ გამოდიოდა 1926 – 1939 წლებში. იგი წარმოადგენდა პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანებულ ორგანოს.

გაზეთს სხვადსხვა დროს რედატორობდნენ ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები: იოსებ გობეჩია; გრიგოლ ურატაძე და სამსონ ფირცხელავა.

გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“ 1926 -1928 წლებში (NN 1-24) იბეჭდებოდა გაზეთის ფორმატზე, 1928 წლიდან 1939 წლის ჩათვლით გამოდიოდა ჟურნალის სახით (NN 25 – 159). სულ დაიბეჭდა 159 ნომერი.

გაზეთ „დამოუკიდებელი საქართველოს“ მნიშვნელობა და როლი, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიაში მნიშვნელოვანია, როგორც გამოცემის ხანგრძლივობით, პერიოდულობით თუ მასალათა სიმდიდრით, ისე თემათა მრავლფეროვნებით და პროფესიული ანალიზის სიღრმით.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკა, პარტიები, საქართველო, დამოუკიდებლობა, ემიგრაცია, ემიგრანტული ჟურნალიტიკა, გაზეთი, პუბლიკაციები.

შესავალი

„ერი ცოცხალი ორგანიზმი არის, მას აქვს თავისი სახეობა, ნების - ყოფა, მაშასადამე, ის მთლიანია და განუყოფელი.

თქმა არ უნდა ერის შიგნით სწარმოებს ცვალებადობა, გარდაქმნა, ბრძოლა... მაგრამ სულ სხვაა, როცა მას ემუქრება როგორც მთელს გარეშე ძალა, ეს უკანასკნელი ხდება ამ შემთვევაში ერის დამრღვევ ფაქტორად. ის იჭრება მის ცოცხალ სხეულში, სწამლავს, აფორიაქებს იქაურობას და შეგნებულად ადუნებს მის მაჯის ცემას. იწყება რღვევის პროცესი...“ (1926წ. N1 („დამოუკიდებლობისაკენ“).

ასეც მოხდა, დაირღვა ერის მთლიანობა...

1918 წელს მოპოვებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მხოლოდ სამი წელი გაგრძელდა და 1921 წელს ქართველი ერი კვლავ დაბრუნდა იმ მძიმე ყოფაში, რასაც რუსეთის ბატონობა ჰქვია. ერმა, როგორც ცოცხალმა ორგანიზმა, ისევ შეწყვიტა განვითარება და განაგრძო რუსეთის ბატონობის ქვეშ არსებობა. დამოუკიდებელი საქართველოს სხეულში ისევ შეიჭრა გარე ძალა, შეანელა მაჯის ცემა და დაიწყო მრავალგზის ნაშენები და ბრძოლით მოპოვებული დამოუკიდებლობის, ისევ ნგრევა.

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობამ, ბოლშევი-კური რუსეთის მიერ, თავის მხრივ იძულებული გახადა, საქართველოს ეროვნული მთავრობა და პოლიტიკური პარტიები, მიეტოვებინათ სამშობლო და გახიზნულიყვნენ ემიგრაციაში, კერძოდ დასავლეთ ევროპაში და იქიდან გაეპროტესტებინათ ოკუპაცია.

ქართველი ერი, რომელიც დამარცხდა ფიზიკურად, აღარ აპირებდა მორალური დაცემის განმეორებას. დამოუკიდებლობა მოპოვებული ერისთვის, განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა, ისევ სხვის ბატონობაში დაბრუნება. დაიწყო ახალი ტალღა აქტივობების, გააქტიურდნენ პოლიტიკური პარტიები. ძირითადი პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ჩართული იყვნენ ყველა ეროვნულ თუ სოციალურ პრობლემათა მოგვარებაში და გავლენას ახდენდნენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, გახლდათ : სოციალ - დემოკრატიული, სოციალ - ფედერალისტური, ეროვნულ - დემოკრატიული და სოციალ - რევოლუციონერთა (ესერები) პარტიები.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, ემიგრაციაში წასვლით, თავი აარიდა ახალ სისხლისღვრას და ქვეყანაში სამოქალაქო ომის გაჩაღების საშიშროებას, რათა შემდეგ პოლიტიკური გზებით, მსოფლიოს საზოგადოების ჩართულობით და თანადგომით დაებრუნებინათ საქართველოსთვის დაკარგული დამოუკიდებლობა. ქართველი ემიგრანტები სხვადასხვა ქვეყნებში გადანაწილდნენ. თუმცა ყველაზე მეტმა ლტოლვილმა საფრანგეთში მოიყარა თავი.

ძირითადი ნაწილი

ემიგრაციაში მოხვედრისთანავე მათ შექმნეს თავისუფალი, დემოკრატიული პრესის პრინციპებზე დაფუძნებული ფრიად საინტერესო ჟურნალისტიკა, რომელიც ბრძოლის მთავარ იარაღად იქცა, პოლიტ ემიგრანტებისთვის. მათ შეძლეს, მეფის რუსეთის ცენზურიდან შეუზღუდავად დაებეჭდათ და გაევრცელებინათ ეროვნული პრობლემები და დაესახათ ქვეყნის სასიკეთო მომავლის მიზნები. გამოხატვის თავისუფლების უფლება, რომელიც კომუნისტური დიქტატურის გამო მიუღწეველი იყო საკუთარ სამშობლოში, დიდი შრომის და ბრძოლის შედეგად მიღწეულ იქნა ემიგრაციაში.

ემიგრაციაში გახიზვნამ და საერთო ეროვნული ღირებულებების გარშემო პარტიათა გაერთიანებამ, განაპირობა გაზეთ „დამოუკიდებელი საქართველოს“ დაარსებაც.

გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“ წარმოადგენდა საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანებულ ორგანოს. იგი გამოდიოდა 1926

წლის იანვრიდან 1939 წლის ივლისის ჩათვლით, ყოველთვიურად პარიზში. გაზეთი დაარსა ბოლშევიკური ოკუპაციის (1921წ.) შემდეგ საქართველოდან დევნილმა პოლიტიკურმა პარტიებმა: სოციალ დემოკრატებმა, ეროვნულ - დემოკრატებმა, სოციალისტ - ფედერალისტებმა და სოციალისტ რევოლუციონერებმა, როგორც პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანებული ორგანო.

გაზეთის არსებობის ისტორიაში, მართალია განსხვავებული პოლიტიკური მსოფლმხედველობის, მაგრამ ერთიანი ეროვნული ფრონტის პოზიციაზე მდგომი რედაქტორები ყავდა. კერძოდ, დაარსების დღიდან - 1926 წლის იანვრიდან 1929 წლის ნოემბრამდე (N1-N47) რედაქტორობდა ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე სოციალისტ - რევოლუციონერი (ესერი) იოსებ გობეჩია. 1929 წლის დეკემბრიდან (N48) შეცვალა ქართველმა პოლიტიკურმა მოღვაწემ სოციალისტ - დემოკრატმა გრიგოლ უარატძემ, ხოლო 1936 წლიდან (N128) გაზეთს რედაქტორობდა სოციალისტ - ფედერალისტი, დიდი ქართველი ეროვნული მოღვაწე სამსონ ფირცხალავა.

„დამოუკიდებელი საქართველოს“ დამაარსებლებმა გაზეთის პროგრამა, მიზანი და მიმართულება, სულ სამი სიტყვით განმარტეს გაზეთის პირველსავე ნომერში: „ მთლიანი ფრონტით დამოუკიდებლობისაკენ“.

წერილში ვკითხულობთ: „ერი რა ერია, თუ ის არ ეკვეთა მთელის თავის ენერგიით, მთელის თავის შემადგენლობით ამ გარედან შემოჭრილ ფათერაკს! და რაც უფრო მომწიფებულია ერი, რაც უფრო მძლავრია მასში თავდაცვის ინსტიქტი და ბროლის ტრადიცია, მით უფრო მთლიანად და მწყობრად ირაზმება ის გარეშე მტრის წინააღმდეგ“.

და სწორედ ის ჟამი იდგა, როცა განსაკუთრებით მომწიფდა ქართველი ერი და მასში იფეთქა თავდაცვის ინსტიქტმა, როცა დამოუკიდებლობის მოპოვებით მიღებულმა სიკეთეებმა ერი გამოაფხიზლა და ნათლად დაანახა თავისი სამომავლო პერსპექტივები.

გაზეთის გარშემო გაერთიანდნენ ისეთი ეროვნული თვითშეგნების ადამიანები, როგორებიც იწყვნენ: ნოე ჟორდანია, გიორგი გვაზავა, ნოე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე, მიხაკო წერეთელი, ექვტმე თაყაიშვილი, ივანე ზურაბიშვილი და სხვები. მთლიანი ძალებით, დაუნდობლად, რომ იბრძოდნენ ამას მოწმობს მათი კრიტიკული წერილები და მოწოდებები. ის აქტივობები, რომელსაც ეწეოდნენ პარიზში და რომელიც მიმართული იყო ევროპელი კოლეგების ყურადღების მისაპყრობად და საქართველოს დაკარგული დამოუკიდებლობის არსადგენად.

ვინაიდან გაზეთი წარმოადგენდა, ეროვნულ ძალთა გაერთიანებული ფრონტის ორგანოს, მასში გამოქვეყნებული მასალებიც თანამბრად იყო გადანაწილებული პოლიტიკური პარტიების წევრებზე. ამის მაგალითია, პირველსავე ნომერში დაბეჭდილი წერილები, სადაც ნ. ჟორდანიას წერილის „ერთი ფრონტი“ პარალელურად დაიბეჭდა ეროვნულ -დემოკრატიული პარტიიდან გიორგი გვაზავს „საერთაშორისო სამართალი“ და შალვა ამირეჯიბის „ ჩვენ და ისინი“, სოციალისტ - რევოლუციონერები (ესერები) - იოსებ გობეჩიას „ ბრძოლა გამარჯვებამდის“, სოციალისტ - ფედერალისტები სამსონ ფირცხალავას „ ჩვენი სამი მცნება“ პუბლიკაციით.

1926-1939 წლებში, გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველოში“ გამოქვეყ-

ნებული მასალები თემატურად შეიძლება ასე დაიყოს: I. მეთაურები, II. წერილები, III. საქართველოს საკითხის გარშემო, IV. კავკასია, V. კორესპონდენციები, VI. ქართველები უცხოეთში, VII. საქართველოს ამბები, VIII. უცხოეთი, IX. ნეკროლოგები, X. ბიბლიოგრაფია, XI. სხვადასხვა.

გაზეთში ასევე ვხვდებით უნიკალურ ფოტოპორტრეტებსა და სხვადასხვა ფოტომასალებს, ახლო წარსულის გამოჩენილ ისტორიულ ან ნაკლებად ცნობილ პირთა შესახებ, მაგალითად: მიტროპოლიტი ნაზარი - ლეჟავა (N3); გენ. კოტე აფხაზი (N5); პეტრე მელიქიშვილი (N16); ასევე სრულიად უცნობ ან ნაკლებად ცნობილ დოკუმენტებს (მაგალითად: უცნობი მასალები თბილისის უნივერსიტეტის ისტორიისთვის (N25), 1928წ.

ქართულ ემიგრანტულ ჟურნალისტიკაში და ზოგადად ქართულ რეალობაში ბევრი დაწერილა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეზე, თუმცა ბევრი წერილი ვერ დაიკვეხნის ამ დღესთან დაკავშირებულ იმდენ უცნობ დეტალებსა და ცალკეულ გარემოებებზე, რასაც შეიცავს გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“.

გაზეთს ჰქონდა აგრეთვე მუდმივი რუბრიკები: საქართველოს საკითხი უცხოეთში, „რუსთაველიანი“, „უცხოელები საქართველოს შესახებ“; „ბიბლიოგრაფია“, „შემოწირულება“ და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ გაზეთი მიჩნეულია, როგორც წმინდა პოლიტიკური თემატიკის მატარებლად, უნდა აღინიშნოს, რომ იგი ასევე ეხმიანებოდა და ემსახურებოდა ყველა ქართულ ლიტერატურულ თუ კულტურულ აქტივობას, ხელს უწყობდა ქართული - ეროვნულის პოპულარიზაციას.

გაზეთის ფურცლებზე აქტიურობდნენ და საქართველოს სასიკეთოდ გამოდიოდნენ, არა მხოლოდ ქართველი მოღვაწეები, არამედ ისეთი უცხოელი ავტორები, როგორიც იყვნენ: ედუარდ ბერნშტეინი („საქართველოს უფლება“), ფრანკ. თომა („ძვირფას ქართველ მეფობრებს“), ჟან მარტენი („ვინც ესხმის ერთს, ესხმის მეორესაც“), ფილიპე სნოუდენი („თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველ მეგობრებს“) და სხვა.

1926- 1939 წლებში დაიბეჭდა გაზეთის 159 ნომერი. 1926 -1927 წლებში (N N 1-24) იბეჭდებოდა გაზეთის, ხოლო 1928 წლიდან 1939 წლის ჩათვლით (N N 25- 159) გამო-დიოდა ჟურნალის სახით. დღეს ინახება გ. შარაძის კერძო კოლექციაში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმში.

დასკვნა

ჟურნალი „დამოუკიდებელი საქართველო“ ნათლად ასახავს პოლიტ ემიგრანტების ფსიქოლოგიურ სურათს, თავისი მკაფიოდ გამოხატული ეროვნული კონტურებით. ისევე, როგორც ემიგრანტული ჟურნალისტიკის ეკლიან გზას, რომლის გავლა მოუწიათ „დამოუკიდებელი საქართველოს“ შემქმნელებს.

ქართული ემიგრაციული ჟურნალისტიკის განვითარების გზაზე, მიუხედავად არაერთი სიძნელისა, იქნებოდა ეს ეკონომიკური სიძნელე, საბჭოთა საქართველოში მიმდინარე პროცესებზე უტყუარი ინფორმაციის მოპოვება, თუ მიმღები ქვეყნის მიმართ ჟურნალისტების ვალდებულებების

დაცვა, უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ ეპოქის, ქართველი ავტორებისთვის, ეს იყო სიტყვის ნამდვილი თავისუფლება, თანამემამულეთათვის ხმის გაგონების და კომუნიკაციის დამყარების საუკეთესო საშუალება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გურამ შარაძე, „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. II, თბ.2004წ.
2. კ. გვარჯალაძე, „საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში“, პარიზი, 1936წ.
3. რ. დაუშვილი, „ქართული ემიგრაცია 1921-1939 წ.წ „თბილისი, 2007წ.
4. ი. ჩიქავა „ჟორდანიას მთავრობის და ეროვნული ძალების მოღვაწეობ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის“ (1921-1933წ.წ). თბ. 2001წ.
5. გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“. 1926 -1928 წ.წ (N 1 - N 25).
6. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი.

Prerequisites for the establishment of the newspaper "Independent Georgia"

Teona Arveladze, PhD student
Georgian Technical University

Summary

In February-March of 1921, the independence of the Georgian state was again violated by the occupation of Bolshevik Russia.

Georgian political parties, which led the public and political life of Georgia in the first twenty years of the XX century (they were mainly: Social-Democratic, Social-Federalist, National-Democratic and Social-Revolutionary (S-R) parties) had to emigrate, particularly to France, and found shelter in Paris. Political emigrants were able to unite parties around common national values and set goals for the prosperous future of the country. It was in Paris that one of the most prominent examples of Georgian emigrant journalism was created by political parties in the form of the newspaper “Independent Georgia”.

The newspaper "Independent Georgia" was published in 1926-1939. It was a unified body of political parties.

The newspaper was edited by famous Georgian political figures at different times: Ioseb Gobechia; Grigol Uratadze and Samson Pirtskhelava.

The newspaper "Indepe ndent Georgia" was published in 1926-1928 (NN 1-24) in the format of a newspaper, from 1928 to 1939 it was published as a magazine (NN 25 - 159). A total of 159 issues were printed.

The importance and role of the newspaper "Independent Georgia" in the history of Georgian emigrant journalism is important, both in terms of length of publication, periodicity or richness of materials, as well as the variety of topics and the depth of professional analysis.

Keywords: Politics, Parties, Georgia, Independence, Emigration, Emigrant Journalism, Newspaper, Publications.

სომხური და აზერბაიჯანული მედია ადგილობრივი საზოგადოების დაკვეთით მოქმედებს

რატი ერისთავი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სომხურ და აზერბაიჯანულ მედიაზე დაკვირვების პროცესში აქტიურად ხორციელდებოდა მათ მიერ გამოქვეყნებული მასალების შესწავლა.

კერძოდ, მონიტორინგი მიმდინარეობდა და გაანალიზდა 5 სომხური და 5 აზერბაიჯანული ვებ-პორტალის: www.news.am, www.lragir.am, www.armtimes.am, www.azatutyun.am, www.tert.am, www.armenpress, www.trend.az, www.haqqin.az, www.minval.az, www.turan.az, www.azernews.az, www.oxu.az, საინფორმაციო სააგენტოებში გასული ახალი ამბები.

მონიტორინგის ფარგლებში აქცენტი გაკეთდა რაოდენობრივ და შინაარსობრივ კომპონენტებზე. ყურადღება დაეთმო კონფლიქტის თემატიკის გაშუქების სიხშირეს, მრავალფეროვნებას, ასვე იმ განსხვავებებს და თანხვედრას, რაც განხილული ახალი ამბების ერთმანეთთან შედარების გზით გამოიკვეთა. შეფასდა გაშუქების ტონი, ინფორმაციის წყაროების და ობიექტურობის კომპონენტი.

ქვემოთ მოცემულია ის 2 ძირითადი საკითხი, რომელთა გამოყენებით ხელმძღვანელობს როგორც აზერბაიჯანული, ასევე სომხური მედია და ადგილობრივი საზოგადოებების უპირობო დაკვეთას ასრულებენ.

საკვანძო სიტყვები: სომხეთი, აზერბაიჯანი, სამხრეთ კავკასია, მედია, საკვანძო საკითხები, ისტორიული მეხსიერება, „სტალინური მემკვიდრეობა, ჟურნალისტიკა.

შესავალი

ისტორიული მეხსიერება. სამხრეთ კავკასიის რეგიონში ისტორიულად არაერთ იმპერიას/სახელ-მწიფოს განუხორციელებია სამხედრო ინტერვენცია, რომელთა შორის იყვნენ რომაელები, არაბები, ოსმალები/სელჩუკები, სპარსელები, რუსები და ა.შ.

სომხურ საზოგადოებაში არსებობს ისტორიული მეხსიერება ძველი სომხური სამეფოს შესახებ, რომელიც ძვ.წ. 300 წლიდან იღებდა სათავეს და მათი სახელმწიფოს წარსული დიდების სიმბოლოდ ითვლება. შესაბამისად, სომხებისთვის მთიანი ყარაბაღის რეგიონის შესახებ დაწყებული ნებისმიერი დისკუსიის ამოსავალი წერტილიც სწორედ ეს თემაა და ამაზე მითითებით იწყება ტერიტორიის კანონიერ მფლობელზე საუბარი. თანამედროვე სომხები ამ მთაგორიან ტერიტორიას ხშირად უწოდებენ არცახს, რომელიც ძველი სომხური სამეფოს ნაწილად არის მოხსენიებული.

ზემოხსენებული იყო „სანახევროდ დამოუკიდებელი“ (ავტონომიური) რეგიონი ძირითადად ქრისტიანი სომხებით დასახლებული, რომელიც ისტორიის მანძილზე მუსლიმი ლიდერების მიერ იმართებოდა - ზოგ

შემთხვევაში თურქული, ხოლო ზოგ შემთხვევაში სპარსული გავლენით. 1800-იანი წლების დასაწყისიდან, მთიანი ყარაბაღის რეგიონზე კონტროლი ჯერ რუსეთის იმპერიამ, ხოლო 1920-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირმა დაამყარა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ წარმოშობილი ე.წ. ვაკუუმისა და რუსეთში დაწყებული სამოქალაქო ომის დროს, ტერიტორიის გამო რამდენჯერმე მოხდა შეტაკება სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის. საბოლოოდ კი 1920 წელს „წითელმა არმიამ“ სამხრეთ კავკასიის რეგიონის ოკუპირება მოახდინა და რუსული ლოგიკით ამიერკავკასიის ტერმინის შემოღებით „საბოლოო წერტილი დაუსვა“ საკითხს.

„სტალინური მემკვიდრეობა“. მანამ, სანამ საბჭოთა კავშირის ავტოკრატი ლიდერი გახდებოდა, იოსებ სტალინმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომელმაც მოგვიანებით არაერთი დაძაბულობა და საბოლოოდ მთიანი ყარაბაღის რეგიონის ომი გამოიწვია.

1920-იან წლებში, მაშინ როდესაც ვლადიმერ ლენინი კომუნისტური მმართველობის განმტკიცების პროცესში იყო, სტალინი ე.წ. ეროვნებათა საკითხების კომისრის ფუნქციას ითავსებდა, სადაც მან დასახა გეგმები, თუ როგორ უნდა ემოქმედა კომუნისტურ პარტიას „შორეული პროვინციებთან და მულტი ეთნიკურ ჯგუფებთან დაკავშირებით“.

სტალინი თავად აკონტროლებდა შესაბამისი რუკების შედგენას, ადმინისტრაციული საზღვრების გავლებას (ზოგიერთ შემთხვევაში თვითნებურად ადგენდა საზღვრებს) და სხვადასხვა თემების მიზანმიმართულ დაყოფას, რათა მინიმუმამდე შემცირებულიყო მათი პოტენციური პოლიტიკური ძალაუფლება.

სამხრეთ კავკასიაში, საიდანაც წარმოშობით (საქართველო) თავად სტალინიც იყო, მთიანი ყარაბაღის რეგიონის საზღვრები ოფიციალურად 1923 წელს გაფორმდა და გახდა აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური ოლქი, რომელშიც ძირითადად ეთნიკური სომხები სახლობდნენ.

დამატებით, ასევე შეიქმნა ეთნიკურად აზერბაიჯანელებით დასახლებული ნახჭევანის ავტონომიური რეგიონი, რომელიც მოცემულ ეტაპზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუვერენული ტერიტორიაა და მოქცეულია სომხეთს, ირანსა და თურქეთს შორის (აზერბაიჯანის პირდაპირი სახმელეთო საზღვარი არ აქვს).

საბჭოთა კავშირში მკაცრად იყო აკრძალული ნებისმიერი სახის ნაციონალისტური ან რელიგიური ნარატივის გაღვივება, რომელიც შესაძლოა პოტენციურად პრობლემების გამომწვევი ყოფილიყო. ეს ხდებოდა 1988 წლამდე.

დასკვნა

1994 წელს მიღებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებასა და 2020 წლის სექტემბრამდე არსებულ პერიოდს შორის, სიტუაციის ესკალაცია 2016 წლის აპრილში მოხდა, როდესაც შეტაკებებს 200-მდე ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოსახლე ემსხვერპლა.

მიმდინარე სამხედრო კრიზისზე უარყოფით გავლენას ახდენს თანამედროვე შეიარაღების ტიპიც: უპირველეს ყოვლისა, უპილოტო საფრენი აპარატები. აზერბაიჯანულმა მხარე დიდი ინვესტიციები ჩადო ისრაელისა და კიდევ უფრო დახვეწილი თურქული დრონების შესყიდვაში, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ არცერთ სახელმწიფოს გააჩნია სრული საჰაერო დომინაციის უპირატესობა, შეტაკებები ძირითადად სახმელეთო ძალებით მიმდინარეობს.

აშკარაა, რომ 2020 წელს, სამშვიდობო პროცესის უზრუნველყოფაზე დიდი ყურადღება არ გამახვილებულა და ეს პირველ რიგში გლობალური კორონავირუსული პანდემიითა და შეერთებულ შტატებში ჩასატარებელი საპრეზიდენტო არჩევნებით არის გამოწვეული.

პარალელურად, დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოებაზე მეტი აქცენტი გააკეთა თურქეთის რესპუბლიკამ, აზერბაიჯანის ტრადიციულმა მოკავშირემ, რომელიც სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ფედერაციის ინტერესებს მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის და ანკარა-მოსკოვს შორის გადაკვეთის მორიგ წერტილს ქმნის.

თავის მხრივ, კრემლი სომხეთსა და აზერბაიჯანს მილიონობით დოლარის ღირებულების შეიარაღებას აწვდის და სამხრეთ კავკასიაზე გავლენის ბერკეტების შესანარჩუნებლად არანაირად არ სურს მთიანი ყარაბაღის რეგიონის სტატუს-ქვოს შეცვლა. ამავდროულად, რუსეთისთვის დისკომფორტს იწვევს თურქეთის ქმედებები, რადგან თვლის, რომ ოფიციალური ანკარა მისი ტრადიციული გავლენის სივრცეში იჭრება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Caucasus Edition, Journal of Conflict Transformation (2018)
2. "კავკასიური ბალანსი", 2019 წელს სომხეთი, საქართველო და აზერბაიჯანი ახალი გამოწვევების წინაშე იდგებიან; http://eurasia.expert/zakavkazskoe-uravnenie/?fbclid=IwAR3L38so7rjbwhE0GMvd1dx-JXl4DkulJJbyYV7VId9Z2NFp-1_wpAuQMU3U
3. „მშვიდობა შესაძლებელია სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის"; http://www.aniarc.am/2019/03/21/peace-might-be-possible-between-armenia-and-azerbaijan-the-washington-post/?fbclid=IwAR2pT_iRvvzkPL_gs-77sUsJpHnqd8LHoKlcDQqi1E2PSu9JFh5wYIeWmBCk
4. https://www.bbc.com/news/world-europe-54882564 - Armenia, Azerbaijan and Russia sign Nagorno-Karabakh peace deal, November 10, 2020;
5. https://www.bbc.com/news/world-europe-54324772 - Armenia-Azerbaijan: Why did Nagorno-Karabakh spark a conflict?, November 12, 2020.

Armenian and Azerbaijani media are commissioned by the local community

Rati Eristavi, PhD student
Georgian Techcnical University

Summary

In the process of monitoring the Armenian and Azerbaijani media, the materials published by them were actively studied.

In particular, 5 Armenian and 5 Azerbaijani web-portals were monitored and analyzed: www.news.am, www.lragir.am, www.armtimes.am, www.azatutyun.am, www.tert.am, www.armenpress, www .trend.az, www.haqqin.az, www.minval.az, www.turan.az, www.azernews.az, www.oxu.az, news published in news agencies.

The monitoring focused on the quantitative and content components. Attention was paid to the frequency, diversity of coverage of the conflict, as well as the differences and coincidences that were revealed by comparing the news items with each other. Coverage tone, information sources, and objectivity component were assessed.

Below are the 2 main issues used by both the Azerbaijani and Armenian media and the unconditional ordering of local communities.

სატელევიზიო ახალი ამბების შეჯამება 2019 წლის მაგალითზე

ნინო ზარიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

მკითხველისთვის შეთავაზებული სტატია ჩვენი სადოქტორო ნაშრომის თემიდან გამომდინარეობს, რომლის სათაურიცაა „ახალი ამბების გაშუქების ძირითადი ტენდენციები თანამედროვე ქარულ ტელემედიაში („რუსთავი 2“, „იმედი“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“; 2018-2019წწ.).

მოცემულ სტატიაში ტელევიზიების მონიტორინგს გაეცნობით, საკვლევ პერიოდად 2019 წლის ბოლო თვე - დეკემბერი შეირჩა. ე.წ. ფრაიმ თაიმის დროს გასული, ახალი ამბების გამოშვებებს ვაკვირდებოდით, რაც არჩეული მედიების პრიორიტეტებს, მიკერძოებულობასა თუ ობიექტურობას უფრო ნათლად დაგვანახებს.

მოგეხსენებათ, დეკემბერი წლის ბოლო თვეა, ამ დროს ყოველი მაუწყებელი გასულ წელს აჯამებს, საზოგადოებას განვლილ მნიშვნელოვან მომენტებს სთავაზობენ. პოლარიზებული მედიის პირობებში საინტერესოა თუ როგორ გადმოგვცემენ განვლილ წელიწადში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს განსხვავებული იდეოლოგიისა თუ პრინციპების მქონე მაუწყებლები.

რადგანაც სტატიაში მხოლოდ დეკემბრის თვეში გაშუქებულ სიახლეებს მიმოვიხილავთ, ჩვენ მიერ არჩეული სამი ძირითადი საკვლევი არხის გარდა, სხვა მაუწყებლების შესახებაც გვექნება საუბარი.

საკვანძო სიტყვები: ტელევიზია, გაშუქება, მედია, პოლარიზება, მიკერძოება.

შესავალი

მედია საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს. შესაბამისად, მაყურებლისთვის ინფორმაციის სწორი რაკურსით მიწოდებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტის ეპოქაში ვცხოვრობთ, სხვადასხვა კვლევები ადასტურებს, რომ ტელევიზია სანდოობის მაჩვენებლით პირველ ადგილზეა. რამდენად ობიექტურ რეალობას ასახავს ქართულიმაუწყებლების მიერ მაყურებლისთვის შეთავაზებული ინფორმაცია, ახერხებენ თუ არა მთლიანად მოიცვან საინფორმაციო ველი, რა ძირითად ტენდენციებს შეიცავს თანამედროვე სამაუწყებლო მედიანაკადი, რა საკითხების გაშუქებას უთმობენ დიდ ყურადღებას დარომელი საკითხები რჩებათ ყურადღების მიღმა-ეს ის თემებია, რომლებზე პასუხიც არა მხოლოდ მედია მკვლევარებს, რიგით მაყურებლებსაც დააინტერესებთ.

ძირითადი ნაწილი

თავდაპირველად, უნდა ითქვას, რომ ქართული მედია მეტწილად სკანდალსა და სენსაციაზეა ორიენტირებული. მაგრამ ისიც უნდა აღნიშნოს, რომ ჟურნალისტიკის, როგორც პროფესიის, ხიბლიც ამაში მდგომარეობს. თუმცაღა, სენსაციის მოპოვების მცდელობისას ქართული მაუწყებლები ბევრ

შეცდომებსაც უშვებენ.

კრიმინალური თემები ერთ-ერთი პირველია, რომელიც წინა პლანზეა წამოწეული და ამ საკითხების გაშუქებისას, ყოველი მაუწყებელი ცდილობს მაყურებელს ინფორმაციარაც შეიძლება მალე მიაწოდონ. ამ სიჩქარეში კი, ბევრ შეცდომასაც უშვებენ.

2019 წელსაც ბევრი ამგვარი გადაცდომა იყო. მაგალითად, როდესაც მკვლელობა ხდება, სხვადასხვა მაუწყებელი ამბავს თავისი ინტერპრეტაციით გადმოგვცემს ხოლმე, მსხვერპლის ასაკს და ზოგჯერ სახელსაც ხშირად შეცდომით აცხადებენ. მაგრამ ყველაზე თვალშისაცემი მაინც ისაა, რომ თუკი ტრაგიკული ამბავი ოდნავ მაინც საშუალებას იძლევა, ოპოზიციური მედიის წარმომადგენლები ყველანაირად ცდილობენ მომხდარი პოლიტკას დაუკავშირონ და საზოგადოებამდე ინფორმაცია ამავე სახით მიიტანონ. ეს ყოველივე კი ქართული მედიაგარემოს პოლარიზებას შეიძლება დავაბრალოთ.

პოლარიზებული მედიაგარემოს უარყოფით მხარეებს კი ყველაზე ხშირად პოლიტიკური საკითხების გაშუქებისას ვხვდებით.

რადგანაც ქართული მაუწყებლების სატელევიზიო ბადე ძირითადად პოლიტიკურ სიახლეებს შეიცავს, ქართველი მაყურებელის მოთხოვნაც სწორედ აღნიშნულ საკითხებზე მოდის. გავიხსენოთ 2019 წლის ბოლოს პარლამენტის წინ გამართული აქციები. ამ კადრების ნახვისას თავისუფლად შეგვიძლია გავარჩიოთ ტელევიზიები, როგორც მხარე. თუკი ტელეკომპანია „მთავარი“,აქციის მსვლელობისას მიახლოებულ კადრებს გვთავაზობდა, „იმედისა“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერით დრონით გადაღებულ კადრებს ვხედავდით. ცხადია, თითოეულ ტელევიზიას ისეთი პოლიტიკური ფონის შექმნა სურდა და სურს დღესაც, როგორიც მის საინფორმაციო პოლიტიკას გასდევს.

მეტი ობიექტურობისთვის უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თბილისში გამართულ ბოლო აქციის მსვლელობისას, რომლის ორგანიზატორიც „ქართული ოცნება“ გახლდათ, ყველა არხი პირდაპირ ეთერში აჩვენებდა. გამონაკლისი მხლოდ ტელეკომპანია „მთავარი“ და „ფორმულა“ იყო, რაც მათ მყარ პოლიტიკურ პოზიციასა და უბრალოდ სუბიექტურობაზე მიგვანიშნებს.

პოლარიზებული მედიაგარემო მაყურებელზე დიდ გავლენას ახდენს, თითოეული მედია ცდილობს თავისკენ გადაიბიროს მოქალაქე და მისეული ხედვა შესთავაზოს. ხშირ შემთხვევაში, მაუწყებლები ამას ახერხებენ. დღევანდელ რეალობაში, ადამიანების უმრავლესობა, პოლიტიკური შეხედუ-ლებებისამებრ ხდება ამა თუ იმ ტელევიზიის მაყურებელი.

ბოლო პერიოდიში, საქართველოში თვითმკვლელობის შემთხვევები გახშირდა, დაღუპულები მეტწილად ახალგაზრდები არიან. წლის ბოლოს ყველაზე გახმაურებული საქმე 15 წლის ბიჭის, ლუკა სირაძის თვითმკვლელობა იყო, რომელიც ამ შედეგამდე გამომძიებლის ზეწოლამ მიიყვანა. ამ ფაქტს კარგა ხანი ტელეკომპანია „იმედი“ უარყოფდა, მხოლოდ მათ ჰქონდათ გამომძიებელთან პირადი, ექსკლუზიური, ინტერვიუ, რომელიც თავის მართლების რეჟიმში მიმდინარეობდა. ამის პარალელურად კი, ოპიზიციური არხები მოძალადე სისტემის შესახებ სიუჟეტებს ამზადებდნენ.

ამავე თვითმკვლეობის შემდეგ, ტელევიზიით თუ ინტერნეტნეტმედიით

ძალიან ხშირად ვხვდებოდით ფრაზას „ამ ცხოვრების დედაც“,რომელიც, სავარაუდოდ, გარდაცვლილს ეკუთვნოდა. სწორედ ეს ერთგვარი მოწოდება გახდა მეორე არასრულწლოვნის თვითმკვლელობის მაპროვოცირებელიც. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჟურნალისტები თუ ცნობილი სახეები ხშირად არც კი უკვირდებიან მედიითხშირად გაჟღერებულ აზრსრამხელა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს.

მხოლოდ მეორე თვითმკვლელობის შემდეგ გააკეთა ტელე კომპანია „რუსთავი 2“-მა განცხადება, ბავშვთა სუიციდის ფაქტების შესახებ და თქვეს, რომ ამ საკითხს მაქსიმალური სიფრთხილით გააშუქებენ.

პასუხისმგებლობას მხოლოდ ერთი კი არა, ყველა მაუწყებელი უნდა გრძნობდეს.

მედიის პოლარიზებაზე მეტყველების ისფაქტიც, რომ სოციალურ სიუჟეტებს მხოლოდ ოპოზიციურ არხებზე ვხვდებით, სამთავრობო არხებზე, ამ მხრივ, ქვეყანაში სრული სიმშვიდეა.

რაც შეეხება საოკუპაციო თემების გაშუქებას, ქართული მედია ამ თემით 2019 წელსაც ნაკლებად ინტერესდებოდა. საოკუპაციო ხაზი ობიქტივში მხოლოდ მაშინ ექცევა, როდესაც საზღვარს კიდევ გადასწევენ ან რომელიმე ადამიანი ოკუპანტებს ტყვედ აჰყავთ. ისიც რამდენიმე დღით, სანამ ამბავი ცხელია. ამ მხრივ, შედარებით გამონაკლისი იყო ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის დაკავების შემთხვევა, თუმცაღა, შიგა და შიგ, ეს ფაქტიც სხვა ამბებმა გადაფარა.

მძიმე თემების ფონზე, კულტურის საკითხების გაშუქება უკანა პლანზე ინაცვლებს. მეტწილად, კულტურის სფეროში განვითარებულ მოვლენებს დილის გადაცემების ეთერით ვიგებთ, რომლებიც უმეტესად დაგეგმილი პრემიერების, გამოფენის ანდაც კონცერტის გაშუქებით შემოიფარგლება.

ეს არის ზოგადი ფონი, რასაც ქართული მაუწყებლები გვთავაზობს. რაც შეეხება კონკრეტულად 2019 წლის დეკემბრის თვეს, საკვლევ არხებად, ამ შემთხვევაში, „იმედი“; „რუსთავი 2“ და „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ავარჩიეთ. რადგანაც წლის შემაჯამებელი გადაცემები ყველაზე მნიშვნელოვანია, სწორედ მათ ვაკვირდებოდით.

„საზოგადოებრივი მაუწყებელის“ სიუჟეტში განვლილი პოლიტიკური წელი გაიხსენეს: გავრილოვის საქმე; ივნისის მოვლენები, სასამართლოების საქმე (მოსამართლეების შერჩევასთან დაკავშირებით). ბოლო პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პოლიტიკური წელი იყოო, აღნიშნა ჟურნალისტმა. საოკუპაციო ხაზზე ვითარების დაძაბვასაც შეეხენ, ვაჟა გაფრინდაშვილის ამბავსაც. გავრილოვის ღამე გაიხსენეს - ჯერ გაზი გამოიყენესო, მერე პარლამენტზე შტურმი სცადეს და აქციის დარბევის შედეგად უდანაშაულო მოქალაქეები დაშავდნენო, მაგრამ დარბევის მეთოდებზე არ დაკონკრეტებულან.

რაც შეეხება „იმედს“ - წლის შემაჯამებელი მოკლე სიუჟეტი ჰქონდა. მთავრობის სხდომის შეჯამება იყო ნაჩვენები. გიორგი გახარია მიღწეულ შედეგებსა და სამომავლო მიზნების შესახებ საუბრობდა. ასევე, ცალკე სიუჟეტი დაეთმო ტურიზმის რეკორდულ მაჩვენებელს, რომელიც 2019 წელს საქართველოში დაფიქსირდა. ეს საკითხი უყურადღებოდ არც დანარჩენ არხებს დარჩენიათ.

აღსანიშნავია, „ქრონიკის“ წლის შემაჯამებელ ეთერში 2019 წლის არც

ერთი უარყოფითი მოვლენა არ გაშუქებულა.

ხოლო-„რუსთავი 2“-ის ეთერში გავიდა სიუჟეტი სახელწოდებით - პოლიტიკური ახალი წელი. წლის მთავარი ამბები იყო განხილული. წამყვანმა ჩაგდებული პროპორციული არჩევნები საკუთარ ტექსტშივე ახსენა.

რესპონდენტები: კახა კალაძე - შეცდომები იყო, მაგ: გავრილოვის პარლამენტში შეყვანაო. დავით ბაქრაძე, გიორგი გახარია, ადა მარშანია; ეკა ბესელია - ამბობდნენ, რომ დამოუკიდებელი სასამართლოსთვის მოსამართლეების უვადოდ არჩევა ძალიან საზიანო იყო. ქართული ოცნება 25-მა წევრმა დატოვაო - ამ სიტყვებით დაასრულა წამყვანმა სიუჟეტი. ქრონ-10წთ.

ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებითაც გავიდა სიუჟეტი, სადაც ვითარება დღითიდღე მძიმდება. ერთი სიუჟეტი კი - 2019 წელში ჩატარებულ რეფორმებს დაეთმო.

აქვე ავღნიშნავთ, რომ 2019 წლის დეკემბერში „რუსთავი 2” უკვე ახალი შემადგენლობით მუშაობდა, რაც მათ საინფორმაციო გამოშვებასაც დაეტყო.

დასკვნა

მოკლედ რომ ვთქვათ, 2019 წელი საკმაოდ მძიმე ამბებით იყო დატვირთული, შესაბამისად ტელევიზიები უფრო მეტ ნეგატიურ ამბავს აჟღერებდნენ.

ცხადია, ნებისმიერ ჩვენგანს მაუწყებლებისგან ზუსტი, მიუკერძოებელი ინფორმაციის მიღება სურს, მაგრამ პოლარიზებული მედიაგარემოს პირობებში, ეს ძალიან რთულია. უბრალოდ, მედიამ ახალი ამბის გაშუქებისას ელემენტარული ეთიკის ნორმები მაინც უნდა დაიცვას და ბოლომდე ერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესების გამტარებლად არ უნდა მოგვევლინოს.

TV News Review Based on 2019

Nino Zaridze, PhD student,
Georgian Technical University

Summary

The article offered to the readers is based on the topic of our doctoral dissertation, entitled ‘Main Trends in News Coverage in Modern Georgian TV Media’ (‘Rustavi 2’, ‘Imedi’, ‘Public Broadcaster’; 2018-2019).

In this article you will learn about the monitoring of televisions, the last month of 2019 - December was selected as the study period. We observed the news releases, broadcast during the so-called ‘Prime Time’, which will show us more clearly the priorities, bias or objectivity of the chosen media.

As you know, December is the last month of the year, at which time each broadcaster summarizes the past year, offering the public important moments from the past. In the context of polarized media, it is interesting how broadcasters with different ideologies or principles convey the important events of the past year.

Since the article only covers the news broadcast in December, apart from the three main research channels we have chosen, we will also talk about other broadcasters.

Keywords: Television, Coverage, Media, Polarization, Bias.

ინფორმაციული საზოგადოება და თანამედროვე ტენდენციები მასობრივ კომუნიკაციაში

დიანა ლიპარტელიანი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

დროის სვლასთან ერთად მასკომუნიკაციის საშუალებებიც ვითარდება, შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ე. წ. ახალი მედიასაშუალებების ძველისგან გამოყოფა და მათი მეცნიერული შესწავლა.

გამოიკვეთა, რომ „ძველ მედიებს“ „ახალი მედიებისგან“ განასხვავებს: **დეცენტრალიზაცია, გამტარობის დიდი შესაძლებლობა, ინტერაქტიურობა და ფორმის, შინაარსისა და გამოყენების მოქნილობა.** მასობრივი კომუნიკაციების ტენდენციებს შორის, კი ოთხი მიმართულება გამოიყო: პირველი: **გლობალიზაცია,** რომლის გავლენითაც სახეზე გვაქვს თანამედროვე მასმედიის ტრანსფორმაცია, ხოლო მისი გავლენით მასობრივი კომუნიკაციების უზარმაზარი სისტემა გარდაქმნებს და ტექნოლოგიური რევოლუციას განიცდის მთელ მსოფლიოში. მეორე: **დემასობრივიზაციას,** რომლის პირობებშიც თანამედრვე მედიასაშუალებები მომართული არიან მასობრივი აუდიტორიის კონკრეტულ, თემატურ სეგმენტზე. მესამე: **კონგლომერაცია,** რომლის პროცესიც მოიცავს ყიდვა-გამოსყიდვის შერწყმას, რის შედეგადაც მასმედია ხვდება კომპანიების მცირე ჯგუფის ხელში და მეოთხე: **კონვერგენცია,** რომელიც გულისხმობს საკომუნიკაციო მოწყობილობების, საშუალებების და პროცესების ერთად თავმოყრას. ამ მხრივ საგულისყუროა **ინტერაქტიური საზოგადოების** რაობა და როლიც, რომელიც უდიდესი შესაძლებლობებით ხასიათდება. ინტერაქტიულობა ახასიათებს ელექტორნულ კომუნიკაციებს, მეტი სიცხადისთვის რომ წარმოვიდგინოთ, ინტერქტიული პროცესი, ეს შესაძლოა იყოს ორი ადამიანის ჩვეულებრივი საუბარი, ორმხრივი პროცესია, სადაც ნებისმიერ მხარეს შეუძლია შეაწყვეტინოს მეორეს საუბარი, შეცვალოს არასასურველი თემა სასურველი, გამოთქვას მოსაზრებები და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: დეცენტრალიზაცია, კონგლომერაცია, კონვერგენცია, დემასობრივიზაცია, გლობალიზაცია, ინტერაქტიური საზოგადოება, ინფორმაციული საზოგადოება, მასობრივი კომუნიკაცია

შესავალი

ინფორმაციული საზოგადოების პირობებში მასობრივი კომუნიკაციების საშუალებები განვითარებას განაგრძობს. მასკომუნიკაციის საშუალებები, რომლებსაც დღეს ახალს ვუწოდებთ, 1970-იანი წლებში შეიქმნა. პირველ ეტაპზე ე.წ. ახალი მედიასაშუალებები არ იყვნენ გამოყოფილი ძველისგან. დროთა განმავლობაში დადგა დღის წესრიგში მათი გამოცალკევება და თეორიული შესწავლა.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რა განასხვავებს „ახალ მედიებს“ „ძველისგან“? პასუხი, შესაძლებელია ასე ჩამოვაყალიბოთ: „პირველი, **დეცენტრალიზაცია**

- შეთავაზებასა და არჩევანს ახლა მხოლოდ ინფორმაციის მიმწოდებლები ვეღარ განსაზღვრავენ; მეორე, **გამტარობის დიდი შესაძლებლობა** - კაბელითა და თანამგზავრით გადაცემით შესაძლებელია გადაილახოს მკაცრი შეზღუდვები, რომლებიც საეთერო მაუწყებლობას ახასიათებს; მესამე, **ინტერაქტიურობა** - მიმღებს შეუძლია აირჩიოს ინფორმაცია, უპასუხოს მას პირდაპირ. შუამავლის გარეშე დაუკავშირდეს სხვა მიმღებებს და მათ ერთმანეთში გაცვალონ ინფორმაცია და, მეოთხე, **ფორმის, შინაარსისა და გამოყენების მოქნილობა.**“ [1, 212]

ძირითადი ნაწილი

მასობრივი კომუნიკაციების ტენდენციებს შორის, გამოყოფენ შემდეგ ოთხ მიმართულებას: გლობალიზაციას, დემასობრივიზაციას, კონგლომერაციასა და კონვერგენციას. განვიხილოთ თოთეული მათგანი.

გლობალიცაზია შესაძლოა ჩაითვალოს ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად, რომლის გავლენითაც სახეზე გვაქვს თანამედროვე მასმედიის ტრანსფორმაცია. მისი გავლენით განიცდის მასობრივი კომუნიკაციების უზარმაზარი სისტემა გარდაქმნებს და ტექნოლოგიური რევოლუციას მთელ მსოფლიოში. [2]

ინგლისელი მკვლევარი ენტონი სმიტი აღნიშნავს, რომ გლობალიზაციის სხვადასხვა მოტივები, (ინსტიტუციური, სამართლებრივი, პოლიტიკური და სხვა), მართალია აქტიურად მუშაობს, თუმცა, დღეს არ დგას განხილვის წინაშე დამდგარი შედეგები. „შესაბამისად, არ არის გამორიცხული, ერთ დღესაც ვინმე გამოვიდეს და გვითხრას, რომ ყოველივე ზემოთთქმული არც კი აარსებობს და არც მისი ინფორმაციული საქონელია სხვა ღირებულებებისგან გამორჩეული,“- ამბობს მკველვარი. [1,234]

დემასობრივიზაცია არის პროცესი, რომლის პირობებშიც თანამედროვე მედიასაშუალებები მომართული არიან მასობრივი აუდიტორიის კონკრეტულ, თემატურ სეგმენტზე. აღნიშნული პროცესი, ძალიან დიდ გავლენას ახდენს მასობრივი კომუნიკაციების საშუალებებზე.

მაგალითად, 1950-იან წლებში, მას შემდეგ რაც რადიო დემასობრივი გახდა, ფართო აუდიტორიის მომცველი ფორმატები მსმენელთა გარკვეული ჯგუფებისთვის მკვეთრად შეცვალა. იმავე გზას დაადგნენ 60-70-იან წლებში ჟურნალებიც. მე-20 საუკუნის ბოლოდან კი, პერიოდიდან, როდესაც ხალხისთვის მედიასაშუალებების სხვადასხვა სახეობა გახდა ხელმისაწვდომი, დემასობრივიზებული გახდა ტელევიზიაც. [1.236]

სწორედ აღნიშნული საკითხია აღწერილი ელვინ ტოფლერის წიგნში „მესამე ტალღა“, რომელშიც ის გვეუბნება: „მესამე ტალღის პირობებში არა მხოლოდ დაჩქარეულია ინფორმაციული ნაკადი, არამედ, შეცვლილია ინფორმაციის სიღრმისეული სტრუქტურა, რომელზეცაა დამოკიდებული ჩვენი ყოველდღიური აქტივობები“. [3, გვ.226]

ტოფლერი საკმაოდ მკაფიოდ აყალიბებს დემასობრივიზებული მედიის კონცეფციას. ის მიიჩნევდა, რომ წინაინდუსტრიულ პერიოდში, ანუ პირველი ტალღის დროს, მასობრივი კომუნიკაციების არხების მხოლოდ შეზღუდული რაოდენობა არსებობდა. საუბარია იმ პერიოდზე, როდესაც საზოგადოება ჯერ

კიდევ წერილების და პირადი კომუნკაციების გზით იღებდა ინფორმაციას. ამ ყველაფრის შესაბამისად, ნელი იყო კომუნიკაციის ტემპიც და იმ პერიოდში ყოვლად წარმოუდგენელი იყო საერთო საზოგადოებრივი ხედვის ჩამოყალიბება.

რაც შეეხება მეორე ტალღას, ამ პერიოდში გაიზარდა საინფორმაციო/საკომუნიკაციო არხების რაოდენობა, გაჩნდა ჯერ ბეჭდური მედია, შემდეგ რადიო, ტელევიზია... ამ პერიოდში, მედიასაშუალებები, არამხოლოდ მოწოდებული ინფორმაციებით კმაყოფილდებოდნენ, არამედ თავადვეც დაიწყეს მათი საავტორო პროდუქციების წარმოება. მეორე ტალღის პირობებში მნიშვნლოვნადაა გაზრდილი საინფორმაციო ნაკადები. შესაბამისად აჩქარდა ინფორმაციის გავრცელების ტემპი. გაჩნდა პოლაროიდის სწრაფი ფოტოები, ქსეროქსი... დადგა ლოგიკური შედეგიც და მივიღეთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დემასობრივიზაცია. აღსანიშნავია, რომ ტოფლერმა თავისი ხედვები იმ პერიოდში ჩამოაყალიბა, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ინტერნეტი. ალბათ, ის ვერც კი წარმოიდგენდა, თუ რამდენად გაძლიერდებოდა დემასობრივიზაციის ეფექტი.

კონგლომერაცია - კონგლომერიაციის პროცესი მოიცავს ყიდვა-გამოსყიდვის შერწყმას, რის შედეგადაც მასმედია ხვდება კომპანიების მცირე ჯგუფის ხელში. მედიის კრიტიკოსების აზრით, ამ პროცესს ზარალი მოაქვს, ვინაიდან ხელი ეშლება მედიის მრავალფეროვნებას. როდესაც რამდენიმე მედიასაშუალება ერთი მმართველის ხელშია, კომპანიებს აქვთ შესაძლებლობა ინფორმაციული პროდუქტის შექმნის მთელი პროცესი აკონტროლონ. მაგალითად: ბეჭდურ მედიაში დაბეჭდილ მასალას ეძლევა ჯერ წიგნის სახე, რომელსაც აცოცხლებნ ჯერ საკუთარი ტელეარხისთვის, რომელიც გადაიქცევა ფილმად, ფილმისთვის მუსიკა იწერება მათივე სტუდიაში, სოლისტის ფოტოსურათი კი მათივე ჟურნალის გარეკანზე იბეჭდება.

ერთდროულად ტრადიციული და თანამედროვე მედიების პირობებში, დღეს კითხველს შეუძლია მიიღოს ყველა ტიპის ინფორმაცია, რასაც მოისურვებენ: სასურველი მუსიკა, რომლიც უნდათ და როცა უნდათ. სასურველი წიგნები, როგორც ბეჭდურად, ასევე ელექტრონულად, ფილმები, ჟურნალ-გაზეთები, ტელევზიორი, კომპიუტერი, ტელეფონი. უკაბელო ინტერნეტი. ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ სამომავლოდ, ტელევიზიასა და ინტერნეტს შორის ზღვარი მთლიანად წაიშლება.

დღეს აშკარაა, რომ მიმდინარეობს მასმედიის ინდუსტრიის ინტეგრაცია ელექტრონული კომუნიკაციების სხვა საშუალებებთან, ასევე სხვადასხვა საინფორმაციო ტექნოლოგიებთან, მათ შორის, საყოფაცხოვრებო ტექნიკის და პროგრამული უზრუნველყოფის წარმოებებთან. ამ ყველაფრის შედეგი კი არის ის, რომ იქმნება ახალი ინტეგრირებული ბაზარი, სადაც ერთამანეთთან მჭდრო კავშირში გვევლინება, როგორც ქსელური და მულტიმედიური მომსახურებები, ასევე პროგრამული პროდუქციის შექმნაც.

კონვერგენცია - დროთა განმავლობაში ყველა მედიასაშუალება იცვლება. დროსვე მიჰყვება ის განსხვავებები, რომლებიც მათ ერთმანეთისგან განარჩევდა.

ტელეკომუნიკაციების, კომპიუტერების და მასობრივი ინფორმაციების სხვადასხვა საშუალებების ტექნოლოგიური შერწყმის მეშვეობით ყალიბდება გლობალრური გაერთიანებები, სადაც საკაბელო ტელესადგურები, სატელეფონო ქსელები, კომპიუტერული კომპანიები და ა.შ. კონკურენციის პირობებში ცდილობენ მინიმუმამდე შეამცირონ რისკი ახალ ბაზარზე. სხვადასხვა ფანტაზიებს ეძლევათ გასაქანი და და სხვადახვა პროგრამული მწარმოებლები გარკვეულ ვირტუალურ რეალობებში იძრებიან. კონვერგენცია ინტერნეტის პირობებში ხშირად მასმედიის გარდაქმნის სინონიმად გვევლინება.

კონვერგენცია გულისხმობს საკომუნიკაციო მოწყობილობების, საშუალებების და პროცესების ერთად თავმოყრას. ის შეიძლება ჩაითვალოს მედიატექნოლოგიების განვითარების ძირითად ნიშან-თვისებად 1990-იანი წლებიდან დღემდე. [1, 238]

ევერეტ დევის კონვერგენციის ფორმების შესახებ წერს: "მედიური ფორმები თავს იყრიან ერთიან ელექტრონულ ბაზაში, კომპიუტერულზე დაფუძნებულ ერთიან ფორმაში, რომელიც შეიძლება აღვწეროთ როგორც იმ სისტემების, საშუალებების თითქმის უნივერსალური ინტეგრაცია, რომლებიც აწარმოებენ და ინახავენ ტექსტებს, მონაცემებს, ბგერებს და გამოსახულებებს". [4]

მედიის კონვერგენციას სხვაგვარი ახსნაც აქვს, კერძოდ, ის, რომ კონკურენტებმა გააანალიზეს რამხელა სარგებელი მოაქვს პარტნიორობას ყველა მხარისთვის. კონვერგეცია ასევე წარმოდგენილია, როგორც პროცესი, რომელსაც აქვს იმის უნარი, რომ ძირეულად შეცვალოს როგორც მასობრივი ინფორმაციების საშუალებები, ასევე მასთან დაკავშირებული ინდუსტირები.

მედიის მკველვარებისთვის თვალსაზრისით, იმ პრობლემებს შორის, რომლებიც გვხვდება მათ თვალში, არის მასმედიის სტატუსიც, კერძოდ, მოხდეს მასობრივი კომუნიკაციების რეგულაცია და დერეგულაცია, როგორი უნდა იყოს მასობრივი კომუნიკაციების საშუალებების ფუნქციები, როდესაც ყველა კომუნიკაციიური საშუალებები კომერციული ინტერესების გატარებაზეა გათვლილი და ნაკლებად არის შეხებაში საზოგადოების ინტერესებთან.

ინტერაქტიული საზოგადოება - ახალ კომუნიკაციურ ტექნოლოგიებს ინტერაქტიული ხასიათი აქვთ, რაც ყველაზე რევოლუციურ მახასიათებლად ითვლება. სწორედ ეს მახასიათებელი ხდის მეცნიერთა უმეტესობას იძლებულს, რომ გადახედონ მოძველებულ კვლევის მეთოდებს და გამოიყენონ კვლევის ახალი მეთოდები.

ინტერაქტიულობა უდიდესი შესაძლებლობებით ხასიათდება. ინტერაქტიულობა ახასიათებს ელექტორნულ კომუნიკაციებს. მეტი სიცხადისთვის რომ წარმოვიდგინოთ, „ინტერქტიული პროცესის პროტოტიპია ორი ადამიანის ჩვეულებრივი საუბარი. ეს, საერთო ორმხრივი პროცესია. ნებისმიერ მხარეს შეუძლია შეაწყვეტინოს მეორეს, შეცვალოს თემა, გამოთქვას იდე-ები. მასობრივი კომუნიკაციების საშუალებები, ელეტრონული და სხვა უპირატესად ინტერქატიული.“ [1, 243]

მასმედიის ახალი საშუალებები ინტერაქტიული საუბრებისკენ მიდრეკილი არიან. მათთვის დამახასიათებელია სისწრაფე და ელექტრონული

კომუნიკაციის ორმხრივობა. მაგალითად, რომელიმე კომპიუტერული თამაში, სადაც პროცესები ერთამნეთთან, მოთამაშესა და თამაშს შორის შეთანხმებულად ხდება. ამ პროცესს, მაგალითად ბეჭდური მედიისგან განასხვავებს ის, რომ კომუნიკაციის საშუალება, თავადვეა თავისი აუდიტორიის მაკონტროლებელი, რის შედეგადაც მას აქვს უნარი შეინახოს ინფორმაცია მის შესახებ და მოახდინოს რეაგირება.

აუდიტორიისთვის, ინტერაქტულობა მისაღებია. ადამიანებს მოსწონთ, როცა თავად არიან ჩართული ამა თუ იმ ქმედებებში: შეუძლიათ გამოტოვონ სარეკლამო ჭრა, გამოხატონ თავიანთი აზრი, თუმცა არავის არ უნდა დაავიწყდეს, რომ აუდიტორიის მიერ მასობრივი კომუნიკაციების საშუალების მართვა, არ უნდა იყოს უსაზღვრო. წინააღმდეგ შემთხვევაში სერიოზულ შედეგებამდე მივალთ.

მიჩნეულია, რომ ინტერაქტიულობა კომუნიკაციური პროცესების შემადგენელი ნაწილია. მისთვის დამახასიათებელია პიროვნებათაშორისი ურთიერთობების გარკვეული ნიშნები. ჩვეულებრივი კომუნუკაცია ინტერაქტიულად ვერ ჩაითველბა, ვინაიდან, ცალმხრივი კომუნიკაციის ნაკადი არ გულისხმობს იმას, რომ საზოგადოებისგან მყისიერი და სრული უკუკავშირია მოსალოდნელი. ინტერატიულობისთვის, ასევე დამახასიათებელია კომუნიკაციის შინაარსის ნაკადის ერთობლივი კონტროლი. მაგალითისთვის, შეიძლება მოვიყვანოთ პიროვნებათაშორის კომუნიკაციაში პარტნიორების მიერ ურთიერთაგვლენა.

დასკვნა

ინტერაქტიული მომავალი სხვადასხვაგვარადაა შეფასებული. მის მომავალს ორნაირად წარმოსახავენ: ინგლისელი პუბლიცისი და მწერალი ჯორჯ ორუალი მიიჩნევდა, რომ მოსალოდნელი იყო ადამიანების სახლში ჩაკეტვა, ტელევიზორების წინ, ნაცვალდ იმისა, რომ გარეთ გამოსულიყვნენ. „ტახტზე წამოწოლილი მცონარეები“, ასე აქვს მას დანახული ინტერაქტიული საზოგადოების მომავალი.

მეორე მოსაზრება ბევრად მეტი ოპტიმიზმის საშუალებას იძლევა - ამ მოსაზრების თანახმად, ტელევიზია ვერ შეძლებს ადამიანთა ჩათრევას იმდენად, რომ ჩვეულებრივი ადამიანური ურთიერთობები ჩაკლას და ამას ანაცვალოს, რომელიმე სატელევიზიო გადაცემის ნახვის სიამოვნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მალაღურაძე თ. „თანამედროვე მასკომუნუკაციური თეორიები და კონცეფციები,“ თბ. უნივერსალი, 2013
2. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0periodika--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-en-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL2.6&d=HASHbcdd7d86d0383faa7ab3e7.3 /ბოლოს ნანახია 25.09.2020/
3. Тоффлер Э. Третья волна. М.: ООО "Фирма "Издатетьство АСТ", 2004, გვ 226
4. http://mediapeda.ge/term/convergence /ბოლოს ნანახია 27.09.2020/

Information Society and Modern Trends in Mass Communication

Diana Liparteliani, PhD student
Georgian Technical University,

Summary

The means of mass communication are developing over the course of time, therefore, it has become essential to separate the so-called new media outlets from the old ones and study them scientifically.

It appears that "old media" differs from "new media" by decentralisation, high probability of throughput, interactivity and flexibility of form, content and use. Four directions have been identified among the trends of mass communications: First: Globalisation, under the influence of which we are witnessing the transformation of modern mass media, and under its influence, a huge system of mass communications is transforming and undergoing a technological revolution all over the world. Second: Demassification, which means that modern media outlets focus on a specific, thematic segment of the mass audience. Third: Conglomeration, the process of which involves a merger of buy-ins, resulting in the media falling into the hands of a small group of companies, and fourth, Convergence, which involves bringing together communication devices, tools, and processes. In this regard, it is important to take into account the nature and role of the interactive society, which provides a great opportunity. Interactivity is characterized by electronic communications, in order to imagine an interactive process, it may be seen as a normal two-person conversation, a two-way process where either party can interrupt the other, change the unwanted topic to the desired one, express opinions, and so on.

Keywords: Decentralisation, Conglomeration, Convergence, Demassification, Globalisation, Interactive Society, Information Society, Mass Communication

თანამედროვე ქართული ჟურნალიზმის სამართლებრივი პრობლემები ჟურნალისტის პროფესიული სტატუსის ასპექტში

ცირა ჟორჟოლიანი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ანოტაცია

ჟურნალისტის პროფესია საქართველოში აღარ არსებობს, ვინაიდან იგი არ ფიგურირებს პროფესიათა ჩამონათვალში. სამართლებრივად დადგენილი არ არის ჟურნალისტის მოქმედების და საქმიანობის სფერო და საზღვრები. ქართულ სახელმწიფოში მოქმედი სამართლებრივი მექანიზმებისა და განახლებულ კანონმდებლობასთან დაკავშირებული პრობლემების ფონზე, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იურიდიულად გამართული დახვეწილი სამართლებრივი ურთიერთობის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას, საქართველოს კონსტიტუციის და საქართველოს მიერ აღიარებული საერთაშორისო ვალდებულებების ფარგლებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის გამჭირვალე საკანონმდებლო ბაზის შექმნას, შესაბამისი უფლებებით, მოვალეობებით და მორალურ-ეთიკური პასუხისმგებლობებით, რომელშიც აისახება პროფესიული ვალდებულება და განსაკუთრებულობა, რაც მას განასხვავებს წარმოებით თუ სამომსახურეო ორგანიზაციათაგან.

საკვანძო სიტყვები: ჟურნალისტის სტატუსი, ჟურნალისტური საქმიანობის ხელისშეშლა, სარედაქციო პოლიტიკა, მედია სივრცის მონოპოლიზაცია, პროფესია ჟურნალისტი,

შესავალი

ქართული ჟურნალისტიკა გამორჩეულია თავისი თვითმყოფადობით და ისტორიული წარსულით. სწორედ ეს 200 წლიანი გამოცდილება იქცა ჯერ კიდევ პოსტკომუნისტურ სივრცეში იმ პირველი ნაბიჯების გადადგმის საფუძვლად, რომელიც 1991 წლის 10 აგვისტოს კანონის „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ მიღებით დასრულდა. საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრა ჟურნალისტის სტატუსი, შემოიფარგლა სამართლებრივი უფლებებით და გაუთანაბრდა ისეთ პროფესიებს, როგორებიცაა ექიმი, იურისტი, ადვოკატი, ნოტარიუსი, პოლიციელი და სხვა... ეს იყო უპრეცენდენტო ფაქტი მთელ საბჭოთა კავშირში.

გარდა იმისა, რომ აღნიშნულმა კანონმა უდიდესი როლი შეასრულა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ჟურნალისტის პროფესიის ჩამოყალიბების საქმეში, იგი დემოკრატიის შექმნის იმ გარანტორადაც იქცა, რომლის ზედნაშენი გახდა არამარტო ქართული ჟურნალისტიკა, არამედ სოციალისტური სივრციდან გასული სახელმწიფოების, განსაკუთრებით, ბალტიისპირეთის ქვეყნების მედია. 2004 წელს საპარლამენტო დონეზე მოხდა ამ კანონის უგულებელყოფა. საკანონმდებლო დონეზე გაუქმდა ჟურნალისტის სტატუსი.

ძირითადი ნაწილი

2004 წლის 26 ივნისის მიღებულმა კანონმა „საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, ჩაანაცვლა 1991 წლის 10 აგვისტოს კანონის „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ კანონი_ რომელიც: 1) სიტყვისა და თავისუფლების გამოხატვის სრულ შესაძლებლობას და გარანტიებს იძლეოდა; 2) ცალკე და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საინფორმაციო სივრცეს და ინფორმაციის თავისუფლების საზღვრებს; 3)გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისას სრულ ჰარმონიაში იმყოფებოდა კონსტიტუციურ და საერთაშორისო სამართალთან; 4)აწესებდა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას კანონსაწინააღმდეგო ინფორმაციის გავრცელებისთვის და იძლეოდა ამ მიმართებით გარანტიებს; 5)არეგულირებდა ისეთ ფუნდამენტურ საკითხებს, როგორიც იყო მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დაფუძნება და ასევე, საქმიანობის შეწყვეტა; 6) იძლეოდა ჟურნალისტის პროფესიის განმარტებას; 7)ანიჭებდა სტატუსს, უფლება-მოვალეობებს და პასუხისმგებლობას, როგორც ეთიკური ისე პროფესიული თვალსაზრისით. 8)აკონკრეტებდა ჟურნალისტის მოვალეობებს და ვალდებულებებს. ასევე, საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა საავტორო და მომიჯნავე უფლებებს, მათ შორის, კომერციულ ინტერესს.

ცნება „სიტყვის თავისუფლება,“ დღეს, განსხვავებულად ინტერპრეტირდება, მიუხედავად იმისა, რომ იგი გარანტირებულია, როგორც კონსტიტუციით, ასევე, საერთაშორისო და სამართლებრივი აქტებით, რომელსაც მიუერთდა საქართველო. თუმცა, ეს უკანასკნელნი შინაარსით და ტერმინგანმარტებებით სრულად ვერ პასუხობენ იმ მოთხოვნებს, რასაც 21-ე საუკუნე უყენებს ქართულ მედიას საზოგადოებრივი წინსვლა-განვითარების თვალსაზრისით. ამის შედეგია ის, რომ სიტყვის თავისუფლება სცილდება დემოკრატიული იდეების საზღვრებს და აღიქმება თვითნებობასა და განუკითხაობაში, ასევე ზნეობრივ-ეთიკური ნორმების უგულვებელყოფაში.

ქართულმა სახელმწიფომ, არ გვინდა, ვივარაუდოთ, რომ წინასწარგანზრახული მიდგომით, ხელი შეუწყო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ჟურნალისტური ცნობიერების განსაკუთრებული ვალდებულების და პასუხისმგებლობის გაქრობას. იმას, რომ ჟურნალისტებმა კეთილსინდისიერად გამოიყენონ მათთვის მინიჭებული უფლებები და თავისუფალი სიტყვის ინდივიდებამდე მიტანით, ხელი შეუწყონ ეროვნული თვითმყოფადი ცნობიერების ჩამოყალიბებას, დემოკრატიული აზროვნებით და ცხოვრების წესით.

დღეს საქართველო თავის პოლიტიკურ-სამართლებრივი მდგომარეობით განვითარებადი დემოკრატიის პირობებში ცხოვრობს, რომელიც ვერ გათავისუფლდა მეზობელი სახელმწიფოების პოლიტიკური ზემოქმედებისგან. რუსული აგრესიის, დაკარგული 20% ტერიტორიისა და ნახევარმილიონამდე ლტოლვილის არსებობის პირობებში მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭება ინფორმაციის გავრცელებას. ინფორმაციის საშუალებებს, რომელთა სამართლებრივი მოწყობის და საქმიანობის საფუძვლები წინააღმდეგობრივია. ერთი ნაწილი მოქცეულია არაპროფესიონალ მეპატრონეთა ხელში, განიცდის პოლიტიკურ გავლენებს და ახდენს იმ ნარატივის ტირაჟირებას,

რომლის ზემოქმედების შედეგია მოსახლეობის მუდმივი დეზინფორმირება სხვადასხვა მიმართულებით.

მაშინ, როცა ჟურნალისტის პროფესია უგულებელყოფილია საკანონმდებლო დონეზე, პასუხისმგებლობაც ე.წ. „საზოგადოებრივი პროფესიის წარმომადგენლის", რომლადაც ყოფნა-არყოფნის სამართლებრივი პრეზუმპცია ყველა ადამიანს აქვს, კარგავს ვალდებულებას აღჭურვოს იგი იმ პროფესიული სტანდარტების პასუხისმგებლობით, რასაც მას აღნიშნული ჟურნალისტის პროფესია ანიჭებს, საკანონმდებლო დონეზე, მის შემოქმედებით საქმიანობაში. საქართველოს კანონი ,,შემოქმედებით მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ" და საქართველოს კანონი ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" არათუ ავსებენ და სამართლებრივად აძლიერებენ ერთმანეთს, არამედ გარკვეული დოზით ანტაგონიზმს იჩენენ ერთმანეთის მიმართ.

თუ პროფესია ჟურნალისტი არ არსებობს, მაშინ: ა) რატომ და რის საფუძველზე ანიჭებენ უმაღლესი სასწავლებლები თავიანთ კურსდამთავრებულებს ჟურნალისტის კვალიფიკაციას? ბ) რის საფუძველზე ენიჭებათ სამეცნიერო ხარისხი? გ) რას ნიშნავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლი: ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლა, რომელიც შესაბამის სანქციებს გულისხმობს?

2004 წლამდე არსებული კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ" გარკვეულწილად არეგულირებდა აღნიშნულ საკითხებს და ქმნიდა პასუხისმგებლობის გარკვეულ სტანდარტს.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 19 მუხლით: ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს თავისუფალი მრწამსი და თავისუფლად გამოხატოს ის. ეს უფლება გულისხმობს იმას, რომ მას შეუძლია დაუბრკოლებლად უერთგულოს ამ მრწამსს და თავისუფლად ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებებისა და სახელმწიფო საზღვრებისგან დამოუკიდებლად, მაგრამ აღნიშნული დანაწესი ვერ გახდება მასობრივი ინფორმაციის წარმომადგენლის მოქმედების საფუძველი, რადგან ამ შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვაქვს არა ინდივიდთან, არამედ საზოგადოების ცნობიერებაზე, მის ინფორმაციულ უზრუნველყოფის (სუბიექტური ან ობიექტური) `განხორციელებაზე, კონკრეტულად, პროფესიული იურიდიული ობიექტის მიერ, რომლის ფორმა და სტატუსი სრულად განსხვავდება ადამიანის ინდივიდის ცნებისაგან, თუმც ამ შემთხვევაში გაიგივებულია მასთან. ჩნდება ლეგიტიმური კითხვა: ასეთი ორგანიზმი ანუ მასმედიის საშუალება (ტელევიზია, გაზეთი და სხვა) უნდა მოქმედებდეს თუ არა შესაბამის სამართლებრივ სივრცეში, რომლითაც განსაზღვრული იქნება: უფლება; მოვალეობა; პასუხისმგებლობა; მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შექმნის და ფუნქციონირების მეთოდოლოგია.

დღესდღეობით, საქართველოში ასეთი მეთოდოლოგია და სამართლებრივი საფუძვლები ემყარება ზოგად საერთო სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მითითებებს, რომელიც მასმედიის საშუალების პასუხისმგებლობას განიხილავს იმ საერთო ჭრილში, რომელსაც არ გააჩნია:

მორალური, ზნეობრივი და ეთიკური ვალდებულებების აუცილებლობა. ეთიკური პასუხისმგებლობა დაყვანილია მასმედიის საშუალების პირად სურვილზე, თავად დაუწესოს თავის თავს ეს ეთიკური საზღვრები, ან გახდეს ამ თუ იმ ეთიკური ნორმების ირგვლივ გაერთიანებული სხვადასხვა მედია საშუალებების მონაწილე.

მაშინ, როდესაც, სამართლებრივად ქმედება ავლენს ნებას იურიდიული შედეგის დასადგომად, როგორ შეიძლება მივიღოთ შედეგი იურიდიულად მართებული, თუ ქმედების განმახორციელებელი საკანონმდებლო დონეზე არ ფუნქციონირებს, ხოლო ნება ამ შემთხვევაში დაკარგავს თავის დანიშნულებას. ხარვეზი იმდენად მასშტაბურია, რომ შექმნილი სამართლებრივი სივრცე იძლევა იმ შედეგს, რომელიც დღეს გვაქვს და სახეზეა - ქმედება და ნება ყოველგვარი კაზუისტური ვალდებულებების გარეშე.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი განგვიმარტავს: 1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვა საშუალებით; 2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია, ცენზურა დაუშვებელია; 3. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება; 4. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შეიძლება კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში;

აღნიშნული კონსტიტუციური ნორმა-დანაწესი იძლევა პირდაპირ მითითებას „მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე," ანუ აუცილებელია ამ მიმართულებით იმ იურიდიული საფუძვლის შექმნა, რომელიც მოგვცემს განმარტებას, თუ რა არის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, მისი შექმნის და ჩამოყალიბების საფუძველი, მისი საქმიანობის სფერო და ა.შ.

თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებას კონსტიტუციურად მინიჭებული აქვს თავისუფლება, მაშასადამე იგი წარმოადგენს სამართლებრივ ორგანიზმს, რომელიც ეწევა საქმიანობას და თუ ეს სამართლებრივი ორგანიზმია, მას უნდა არეგულირებდეს შესაბამისი კანონი, ხოლო ქმედების განხორციელებისთვის მას სჭირდება შესაბამისი გონებრივი რესურსი, ანუ ადამიანი, რომელსაც ექნება შესაბამისი განათლება, პროფესიული უნარ-ჩვევები და იგი პასუხისმგებელი იქნება გარკვეულ ეთიკურ ჩარჩოებში.

კონსტიტუციურად გვაქვს მასობრივი ინფორმაციის საშუალება, რომელიც თავისუფალია და რომლის მიმართაც ცენზურა დაუშვებელია, მაგრამ არ ვიცით კაზუისტურად რას წარმოადგენს ეს საშუალებები, რომელ თავისუფლებაზეა მითითება და რა იგულისხმება ცენზურაში. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი, მხოლოდ კონსტიტუციაშია ასახული, რომელსაც არანაირი სხვა სამართლებრივი, უფლებრივი და ვალდებულებითი განმარტება არ გააჩნია. აღნიშნული იწვევს გაურკვევლობას, თუ ვინ უნდა წარმართოს მასში საქმიანობა.

ჟურნალისტის პროფესია საქართველოში აღარ არსებობს, ვინაიდან იგი არ ფიგურირებს პროფესიათა ჩამონათვალში. ამდენად, აქაც სრული ქაოსური ვითარებაა.

კონსტიტუციის იმავე 24-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის, ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება. საკონსტიტუციო დანაწესი საკმაოდ კონკრეტული და იმპერატიულია, მაგრამ რჩება კონსტიტუციურ ნორმად, რომლის რეალიზაცია შეუძლებელია, იმ მარტივი ლოგიკით, რომელიც ემყარება არსებით ფაქტიურ ვითარებას. ის კი პირდაპირ იძლევა საშუალებას, რომ მოხდეს მონოპოლიზაცია.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დაფუძნება და ფლობა, შესაბამისი სამართლებრივი ფორმით, საქართველოში დომინირებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ე.წ. შპს (LTD). მისი დამფუძნებელი და დირექტორი, საჯარო რეესტრის რეგისტრაციის შემდგომ, შეიძლება იყოს ერთი პირი ანუ პირი, რომელიც წილის 100% მფლობელია და არის დირექტორიც. მსგავსი სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული ორგანიზაციები იქმნება კომერციული თვალსაზრისით ანუ მოგების (კაპიტალის) მისაღებად, ხოლო კომერციული საქმიანობა კონფიდენციალურია. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტსაც, რომ არ არსებობს ჟურნალისტის პროფესია, რომელიც გარკვეული უფლებების და მოვალეობების მატარებელი უნდა იყოს, სამართლებრივად მასმედიის მფლობელის მონოპოლიზაციის უფლების შებოჭვა შეუძლებელია. ამდენად, არსებული სამართლებრივი მოცემულობებით შექმნილი ფაქტობრივი ვითარებით, აღნიშნული საკონსტიტუციო დანაწესი არაეფექტური და შეუსრულებადია. მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის 154-ე მუხლი: ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა შესაბამისადაა სანქციონირებული, მაგრამ მაშინ, როდესაც ვრცლად ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ არ არსებობს ჟურნალისტის პროფესია და შესაბამისად, არც ჟურნალისტი საკანონმდებლო დონეზე, როგორ შეიძლება არსებობდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის სანქცირებული ნორმა მისი პროფესიული საქმიანობისთვის. აღნიშნული 154-ე მუხლით დაკონკრეტებულია, რომ: ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ე.ი მისი იძულება, გაავრცელოს ინფორმაცია, ან შეიკავოს თავი მისი გავრცელებისგან, კოდექსი იძლევა გარკვეულ ინფორმაციას ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაზე, რომ მას შეუძლია გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისაგან;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, მუხლი 18, განსაზღვრულია ადექვატური მოთხოვნა პატივის, ღირსების საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების განსაჯაროების შესახებ, კერძოდ: თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაცის ან პირადი ცხოვრების საიდუმოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფა უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით; პირს, რომლის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, უფლება აქვს გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები ინფორმაციის ამავე საშუალებებში.

კანონმდებელი ჯიუტად, საქართველოში მოქმედ სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში იმეორებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რომლის

წინააღმდეგაც მიმართულ ყველა ქმედებას მისი საქმიანობის ხელის შეშლაშიც და მის მიერ სხვათა უფლებების დარღვევაში აკისრებს სხვადასხვა სანქციებსა და სახდელებს, მაგრამ არ იძლევა მის საკანონმდებლო ცნებას, სამართლებრივად დადგენილი არ არის მისი მოქმედების და საქმიანობის სფერო და საზღვრები. იგი საკანონმდებლო სივრცის მიღმაა, როგორც იურიდიული ზემოქმედების ობიექტი. როგორც სისხლის სამართლებრივი, ასევე, სამოქალაქო კოდექსით დადგენილი პასუხისმგებლობები, ასევე თვით საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები არაქმედითუნარიან, იურიდიულად არა რელევანტურ დანაწესებად იქცევიან. ასეთ შემთხვევაში კი საუბარი აღნიშნული მუხლების ქმედითუნარიანობაზე, რომ მათ შეიძინონ კაზუისტური ძალა და იყვნენ შესაბამისი იურიდიული ზემოქმედების საშუალებანი, კარგავს ძალას, რადგან ის, რაც არ არსებობს სამართალებრივ მოცემულობაში, ვერ გახდება სამართლებრივი ზემოქმედების ობიექტი.

2004 წლის 24 ივნისის საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება განიხილავს, როგორც მასმედიის საკანონმდებლო ბაზას, ნონსენსია იურიდიული თვალსაზრისით, ვინაიდან მასში მოქმედი ხუთი თავი 20 მუხლით. მათ შორის: თავი 1 შვიდი(7) მუხლით, თავი 2- შეზღუდვის საუძველი და წესი სამი(3) მუხლით, თავი მესამე ასევე სამი(3) მუხლით, თავი-4 ცილისწამება 7მუხლით და თავი 5 დასკვნითი დებულებანი. კანონმდებელი იძლევა სიტყვის და გამოხატვის ზოგად არაკონკრეტიზებულ ქმედებათა ერთობლიობას. ამ კანონის მუხლი 1 „ო“ პუნქტში ხმარობს პროფესიული საიდუმლოების ცნებას, რომელიც ჟურნალისტისთვის, პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე მისთვის განდობილი ინფორმაციაა.

ამავე კანონის 3 მუხლის 2 ნაწილის „დ“ პუნქტი საუბრობს მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობასა და პლურალიზმზე, აქვე ჟურნალისტის უფლებაზე დაიცვას ინფორმაციის წყაროს საიდუმლოება. ამავე კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი მედიაში ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებულ ცილისწამებასთან დაკავშირებულ სასამართლო დავისას მოპასუხეა მედიის მესაკუთრე. კანონმდებელი აღნიშნულ საქართველოს კანონში ასახელებს ჟურნალისტს, რომელსაც გააჩნია: ა) პროფესიული საიდუმლოება, ე.ი. მას ჟურნალისტს ამ მუხლის დანაწესში აძლევს პროფესიის სტატუსს და აღჭურვა იგი იმპერატიულად პროფესიული საიდუმლოების არგათქმით; ბ) მიანიჭა მას უფლება, რომ ჟურნალისტს აქვს უფლება დაიცვას ინფორმაციის წყაროს საიდუმლოება; გ) დააკისრა პასუხისმგებლობა სასამართლოს დავის პირობებში, მის მიერ მედიაში გამოქვეყნებულ ცილისწამებასთან დაკავშირებით, მართალია, მოპასუხე მედიის მესაკუთრეა, მაგრამ საფუძველი ჟურნალისტის მიერ განხორციელებული ქმედებაა. ამავე მუხლში სრულიად გაურკვეველია „მედიაში გამოქვეყნებული“ და „მედიის მესაკუთრე,“ რაც მას კრებსით და არა კონკრეტულ მნიშვნელობას სძენს და რაც უნდა იყოს პირდაპირი, გასაგები და აღქმადი და არა საერთო შინაარსის. კონკრეტულ შემთხვევაში კი „მედია საშუალებაში“ და არა მედიაში.

ამდენად, აღნიშნული მუხლებით, აღნიშნული კანონი: ადასტურებს ჟურნალისტის პროფესიას და მედიას; აღჭურავს მას უფლებითა და მოვალეობით; აკისრებს მას პასუხისმგებლობას. მაგრამ არ იძლევა სამართლებრივ განმარტებებს და არ აძლევს მას იურიდიულად დასაბუთებულ პროფესიის ცნებას თუ: ა) ვინ არის ჟურნალისტი; ბ) რა არის ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობა; გ) რა არის მასობრივი ინფორმაციის საშუალება; დ) როგორ ხდება მასობრივი ინფორმაციის საშუალების დაარსება, საქმიანობა და გავრცელება.

საქართველოს კანონი ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" სრულ შეუსაბამობაშია იმ სამართლებრივ მოთხოვნებთან, რომელსაც მაღალი სტანდარტით აღნიშნულ საკანონმდებლო აქტებს უწესებდა როგორც ქართული იურისპრუდენცია, ასევე, საერთაშორისო სამართალი.

დასკვნა

შექმნილი ვითარება ქმნის იმ ჩიხს, რომელშიც დღეს არის შესული ქართული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომლებიც თავიანთი სამართლებრივი სტატუსით გათანაბრებული არიან საწარმოო თუ სამომსახურეო სფეროს იურიდიულ პირებთან და არ განიხილება, როგორც ინფორმაციის გამავრცელებელი ორგანიზმი, რომელიც შესაბამის ზემოქმედებას ახდენს მასებზე, რასაც არა მარტო პროფესიული უნარ-ჩვევების მაღალი სტანდარტი, არამედ მორალურ-ზნეობრივი ანუ ეთიკური პასუხისმგებლობა უნდა ახასიათებდეს.

ცალსახაა, რომ საქართველოს კანონმდებლობა უნდა დაიხვეწოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიმართულებით და საერთო სამართლებრივ სივრცეში წარმოდგეს მაღალი სტანდარტით, რაც უფლება-მოვალეობებთან ერთად გულისხმობს პასუხისმგებლობასაც.

ამისთვის კი აუცილებელია: 1:ჟურნალისტის პროფესიის აღდგენა საკანონმდებლო დონეზე და მისი შეტანა იმ პროფესიათა ჩამონათვალში, რომელსაც ადგენს საქართველოს კანონმდებლობა. 2: საქართველოს კანონის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ დახვეწას. კერძოდ: ა) მასში ჟურნალისტის პროფესიის განმარტებას და მისი უფლება-მოვალეობების, ასევე პასუხისმგებლობის განსაზღვრას; ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობის განმარტებას;

ბ)მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შექმნის, საქმიანობის და გავრცელების სამართლებრივ შეფასებას და გარანტიებს;

გ)მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დაცვას მონოპოლიზაციისგან, რაც მის ერთპიროვნულ მესაკუთრეობასა და მის ხელმძღვანელ ქმედუუნარობაში, ჟურნალისტთა წარმომადგენლების არმონაწილეობაში გამოიხატება;

დ) ჩამოყალიბდეს ერთიანი სამართლებრივი მიდგომა მორალურ-ეთიკური პასუხისმგებლობით, შესაბამისი ეთიკური დოკუმენტის შექმნით;

ე)აუცილებელია ჟურნალისტური საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნა საკანონმდებლო დონეზე, რომელთა საქმიანობა მიმართული იქნება ჟურნალისტიკის სფეროს სრულყოფისა და პოპულარიზაციისკენ, რომლებსაც შეიძლება დაეკისროთ ვადებულება, როგორც ჟურნალისტური ეთიკის, ასევე,

ჟურნალისტთა დაცვის და მათი პროფესიული დონის ამაღლებისათვის;

ვ)საქართველოს კონსტიტუციის და საქართველოს მიერ აღიარებული საერთაშორისო ვალდებულებების ფარგლებში, მოახდინოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის გამჭირვალე საკანონმდებლო ბაზის შექმნა შესაბამისი უფლებებით, მოვალეობებით და პასუხისმგებლობებით, რომელშიც აისახება ის პროფესიული ვალდებულება და განსაკუთრებულობა, რაც მას განასხვავებს წარმოებით თუ სამომსახურეო ორგანიზაციათაგან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, 2017წ.
2. ქართველი ერის ისტორია, მიხეილ ჯავახიშვილი, თბილისი, 1983 წ.
3. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, თამაზ ჯოლოგუა, თბილისი, 2018წ.
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 2012წ.
5. ქართული სამართლის მიმოხილვა- ევროპული საკონსტიტუციო ცენტრი „ჯეპლაკი“)
6. ,,საკანონმდებლო მაცნე,“ საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, თბილისი, 2004 წ.
7. ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, 1948 წ.
8. ქართული პრესის შესახებ- ილია ჭავჭავაძე
9. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, 1970წ. 30 სექტ. ოქმი N3.
10. ,,ჟურნალისტური გამოძიება - ისტორია, თეორია, პრაქტიკა,“ გიგლა გობეჩია, თბილისი, 2017წ. სტუ-ს ბიბლიოთეკა, (ელვერსია)
11. ,,მედიასამართალი,“ თამარ ალფაიძე, თბილისი, 2006 წ.

Legal Problems of Contemporary Georgian Journalism in the Aspect of Journalist Professional Status

Tsira Zhorzholiani, PhD student
Georgian Technical University

Summary

Georgian journalism is distinguished by its originality and historical past. On August 10, 1991, Georgia adopted the Law on the Press and Other Mass Media. The status of a journalist has been defined at the legislative level. And equated such professions as doctor, lawyer, notary, policeman and others… In 2004, this law was ignored at the parliamentary level. The status of a journalist has been abolished at the legislative

level. The Law of Georgia on Freedom of Speech and Expression, adopted on June 26, replaced the old law. The Georgian state has contributed to the disappearance of the special obligation and responsibility of journalistic awareness in the mass media.

Today, Georgia is living in a developing democracy with its political and legal situation, which could not be freed from the political influence of neighboring countries. In the face of Russian aggression, 20% of the lost territory and up to half a million refugees, information is important. Media legal arrangements and activities are contradictory. One part is in the hands of unprofessional owners, experiencing political influences. Freedom of speech transcends the boundaries of democratic ideas and is perceived in arbitrariness and disorder, as well as in disregard for moral and ethical norms. Georgian mass media, which by their legal status are equal to legal entities in the field of production. And is not regarded as an information-disseminating organism having a corresponding impact on the masses.

Georgian legislation should be improved in the field of mass media and presented in a common legal space with a high standard, which, along with rights and duties, also implies responsibility. Necessary: 1: Restoration of the profession of journalist at the legislative level and its inclusion in the list of professions established by the legislation of Georgia. 2: Improving the Law of Georgia on Freedom of Speech and Expression.

keywords: The Law on the Press and Other Mass Media, Restoration of the profession of journalist at the legislative level, Improving the Law of Georgia on Freedom of Speech and Expression.

ფილოლოგია
PHILOLOGY

ზოგიერთი მოსაზრება დარგობრივი თარგმანის სწავლების თაობაზე

მირანდა ბერიშვილი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატია ეხება დარგობრივი ტექსტების თარგმნის თავისებურებებსა და ტიპიური შეცდომების ანალიზის საფუძველზე ამ თავისებურებების სწავლებას ტექნიკური მიმართულების მაგისტრანტებისათვის.

სტატია ეხება იმ სირთულეებს, რასაც მაგისტრანტი დარგობრივი ტექსტის თარგმანის დროს აწყდება. მასში მოცემულია, როგორც ლინგვისტური, ასევე ექსტრა-ლინგვისტური ფაქტორების ზემოქმედებას თარგმანის პროცესზე. სტატიაში ასევე მოცემულია პრაქტიკული რჩევები იმის თაობაზე თუ როგორ განვუვითაროთ მთარგმნელობითი პრაქტიკული უნარები მაგსტრანტ სტუდენტებს. სტატიაში გაანალიზებულია ქართველი სტუდენტებისათვის დამახასიათებელი ტიპიური შეცდომები და იგი იძლევა რეკომენდაციებს თუ რა სახით სჯობია ტიპიურ შეცდომებზე სტუდენტებთან მუშაობა.

ყოველწლიურად სტუდენტების ნაშრომების გაანალიზების საფუძველზე დგინდება სტუდენტების მიერ ხშირად დაშვებული ზოგიერთი ტიპიური შეცდომა. შემდეგ ხდება ამ შეცდომების ანალიზი და განმეორებადი შეცდომების გამოყოფა-დაჯგუფება. მომდევნო წელს კი, სტუდენტთა ახალ ჯგუფთან ერთად ხდება ტიპიური შეცდომების გაანალიზება, რათა მათ მსგავსი შეცდომები აღარ დაუშვან. დარგობრივი თარგმანის სწავლება სტუდენტებს საშუალებას აძლევს განივითაონ თარგმნის უნარ-ჩვევა, რაც, თავის მხრივ, ენის კომპეტენციის განუყოფელი ნაწილია. სტატია შეიცავს პრაქტიკულ რეკომენდაციებს და გამოადგება, როგორც თარგმანით დაინტერესებულ სტუდენტებს, ასევე პრაქტიკოს მასწავლებელებს.

საკვანძო სიტყვები: დარგობრივი თარგმანი, სპეცტერმინოლოგია, ტიპიური შეცდომები, ანალიზის უნარი, მყარი ცოდნა.

შესავალი

წინამდებარე სტატიაში საუბარია თუ რაში მდგომარეობს დარგობრივი ტექსტების თარგმნის თავისებურებები; ასევე მოცემულია პრაქტიკული რჩევები თუ როგორ შევასწავლოთ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს

დარგობრივი თარგმანის პრაქტიკული უნარები. გარკვეული მახვილი კეთდება ამ პროცესში ექსტრალინგვისტური ფაქტორების მნიშვნელობაზე. დარგობრივი თარგმანის სწავლება ტექნიკური მიმართულების სტუდენ-ტებისთვის უზრუნველყოფს თარგმნითი უნარების ფორმირებას, რომელიც, თავის მხრივ, ენობრივი კომპეტენციის შემადგენელი ნაწილია.

ძირითადი ნაწილი

დავიწყებთ იმით, რომ შევეცდებით განვსაზღვროთ თუ რას გულისხმობს ტერმინი „დარგობრივი თარგმანი". დარგობრივი თარგმანის უმთავრესი მიზანია სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე კონკრეტული სფეროს სპეციალისტებმა შეძლონ მათ ხელთ არსებული ტექნიკური ინფორმაციის ერთმანეთისთვის გაზიარება. დარგობრივი თარგმანი განიხილება, როგორც უცხოური ენის, ჩვენს შემთხვევაში, ინგლისური ენის შესწავლის ერთ-ერთ საშუალებად.

ტერმინიდან გამომდინარე დარგობრივი თარგმანი გულისხმობს კონკრეტული დარგის ტექნიკური და სამეცნიერო ტექსტების თარმანს. თუ მხატვრული თარგმანის დროს ტექსტიდან გარკვეული გადახვევა (არა შინაარსობრივი, რა თქმა უნდა) დასაშვებია, ტექნიკურ ტექსტში მაქსიმალურად ზუსტად უნდა აისახოს ტექსტი რომ არ მოხდეს უმთავრესი აზრის დამახინჯება, ვინაიდან უზუსტობამ შეიძლება სერიოზული პრობლემა შექმნას. (ეს განსაკუთრებით ტექნიკური ინსტრუქციების თარგმანს შეეხება.)

დარგობრივი ტექსტების თარგმანის უმთავრესი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მთარგმნელისგან სპეცტერმინოლოგიის კარგ ცოდნას მოითხოვს. აქვე გვსურს ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ მთარგმნელმა ასევე საუკეთესოდ უნდა იცოდეს მშობლიური ენა, მისი თავისებურებები. განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვიქცეთ ტერმინების ქართულ ენაზე თარგმნისას, ვინაიდან ტექნიკური ტექმინოლოგია შედარებით სუსტად არის განვითარებული ქართულ ენაში. ეს განსაკუთრებით ცხადად ჩანს ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ტერმინების შემთხვევაში. ამჟამად არა მხოლოდ ქართულ, არამედ სხვა ენებშიც აშკარად ვლინდება ინგლისურენოვანი ტერმინების ინგლისურიდან უცვლელად გადმოტანის მცდლობა, მაშინაც კი თუ მისი შესატყვისი ქართულ ენაში არსებობს. თუმცა, ეს ალბათ სხვა სტატიის თემაა. ჩვენი სტატია ამჯერად ეფუძნება იმ დარგობრივ ტექსტებს, რომლებიც ევროპისმცოდნეობის ინსტიტუტში ისწავლება.

უნდა გვახსოვდეს, რომ დარგობრივი ტექსტის თარგმანის დროს მთარგმნელმა მაქსიმალურად ზუსტად უნდა გადმოსცეს ავტორის მოსაზრება, თუმცა სტილი რომლითაც მთარგმნელმა უნდა იხელმძღვანელოს უნდა იყოს ქართული ენისთვის დამახასიათებელი ტექნიკური სტილი.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მაგისტატურის სტუდენტებს მეორე სემესტრში აქვთ საგანი: **დარგობრივი თარგმანის თეორია და პრაქტიკა.** თუ თეორიის ნაწილი ყველა სპეციალობისათვის მეტ-ნაკლებად ერთნაირი, სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებს სხვადასხვა მასალა ეძლევათ პრაქტიკული მუშაობისთვის, რომლის თემატიკა ახლოსაა მათ სპეციალობასთან. რამდენიმე წელიწადია ამ საგანს ვკითხულობ და მსურს

გაგიზიაროთ, თუ როგორ ვმუშაობთ ამ საგნის პრაქტიკულ ნაწილზე.

ყოველ წელიწადს სტუდენტების ნამუშევრების შემოწმების დროს გამოიყოფა ის ძირითადი და ტიპიური შეცდომები, რასაც სტუდენტები უშვებენ დარგობრივ ტექსტზე მუშაობისას. შემდეგ ხდება ამ შეცდომების გაანალიზება, განმეორებადი შეცდომების ტიპების გამოყოფა და დაჯგუფება. მომდევნო წელიწადს ხდება ტიპიური შეცდომების სტუდენტებთან ერთად გაანალიზება, რათა მათ მსგავსი შეცდომები შეძლებისდაგვარად არ დაუშვან. თავისთავად ცხადია, რომ ბევრი საკუთარ შეცდომაზე უკეთ სწავლობს, ვიდრე სხვის შეცდომაზე, თუმცა ამგვარი ვარჯიში მაინც ავითარებს სტუდენტებში ანალიზის უნარს და ანალიზის საფუძველზე მყარი ცოდნის დაფიქსირებას.

მაგალითისთვის ავიღეთ ტექნიკური ტექსტი მენეჯმენტის სფეროდან. ერთი მხრივ მოცემულია სხვადასხვა სტუდენტის მიერ ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთის თარგმანი, დაშვებული შეცდომის გაანალიზება და ჩვენეული ვარიანტის შეთავაზება.

განსაკუთრებულ სირთულეს ხშირად წარმოადგენს სტატიის სათაურის თარგმანი. როგორც წესი, სტუდენტებს ეძლევათ რეკომენდაცია, რომ სათაური მხოლოდ მას შემდეგ თარგმნონ, რაც სტატიის სრულად თარგმანს დაასრულებენ. მათ ასევე შეუძლიათ სათაურის სამუშაო ვარიანტი დაწერონ, ხოლო სტატიის თარგმნის დასრულების შემდეგ რედაქტირება გაუკეთონ სათაურს.

ჩვენს შემთხვევაში ტექსტის სათაურია *Managing meetings*. ინგლისური ენა კომპაქტური ენაა და ამავე დროს ერთ სიტყვას ხშირად მოცულობითი მნიშვნელობა აქვს. თუ ამ სათაურს მის არსში ჩაწვდომის გარეშე გადავთარგმნით მივიღებთ „შეხვედრების მართვა“-ს, რაც მარტივად რომ ვთქვათ მცდარი თარგმანია. “managing”, მართალია, „მართვას“ ნიშნავს, მაგრამ ეს სიტყვა თავის თავში ასევე მოიცავს ორგანიზებას (ანუ კრება-თათბირის ჩატარების თარიღის და ადგილის თაობაზე ინფორმაციის გავრცელებას, მონაწილეების მოწვევას, დღის წესრიგის მომზადებასა, მის დაგზავნას და ა.შ.), უშუალოდ მის წარმართვას (მაგ., დღის წესრიგის შესაბამისად მუშაობას) და მართვას (მაგ., დამსწრეთა მეტ-ნაკლებად თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფას). თუ ზოგადად ჩვენთვის უცნობია თუ რა ელემენტებისგან შედგება თითოეული კრება-თათბრი ანუ ექსტრალინგვისტური ფაქტორი, უმჯობესია სათაურის თარგმნა ბოლოსთვის შემოვიტოვოთ, ვინაიდან სტატია, როგორც წესი, საშუალებას იძლევა სათაურის უფრო ზუსტი თარგმანის უზრუნველყოფას. ისედაც ცნობილია, რომ სათაური მხოლოდ კონტექსტის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ვინაიდან სათაურში კიდევ ერთი სიტყვა გვაქვს „meetings“ უპრიანი იქნება თუ მასზედაც ვიტყვით ერთი-ორ სიტყვას. „meeting“ რა თქმა უნდა „შეხვედრაა“, მაგრამ ქართულ ენაში მას უფრო ყოფითი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ტერმინოლოგიური. „შეხვედრა“ ასევე გულისხმობს ოფიციალურ თუმცა მცირერიცხოვან შეკრებას. თუ შეხვედრას ოფიციალური შინაარსი აქვს მაშინ ქართულ ენაში ცალსახად მიუთითებენ ამის თაობაზე და ამბობენ „ოფიციალური შეხვედრა“, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ამ ტიპის შეხვედრაზე საუბარი არ არის. ამიტომ განზოგადების

დროს უმჯობესია ვიხმაროთ „კრება, თათბრი“. აქვე საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ თუ ინგლისურ ენაში რაიმეს განზოგადების შემთხვევაში მხოლობითიც შეიძლება ვიხმაროთ და მრავლობითიც, მაგ. **A dog barks.** ან **Dogs bark**., ქართულისთვის მხოლობითი რიცხვი უფროა დამახასიათებელი. **ძაღლი ყეფს.** და არა **ძაღლები იყეფებიან.** ამგვარად, ჩვენი შეთავაზებაა სათაურის ამგვარი ინტერპრეტაცია: **კრების ორგანიზება და მართვა.**

ახლა გავაანალიზოთ სხვა მონაკეთი სტატიიდან.

Meetings are essential for team working and getting things done. But done badly, they can feel like a waste of time and energy.

სტუდენტის მიერ შეთავაზებული თარგმანი:

შეხვედრები აუცილებელია გუნდური მუშაობისთვის და საქმის შესასრულებლად. მაგრამ თუ ეს გაკეთდება ცუდად, მათ შეუძლიათ იგრძნონ დროის და ენერგიის დაკარგვა.

რას ვხედავთ აქ: სტუდენტმა კეთილსინნდისიერად თარგმნა ყოველი სიტყვა - ან იცოდა ან ლექსიკონში მოძებნა, მაგრამ სიტყვა-სიტყვითმა თარგმანმა ბევრი არაფერი მოგვიტანა. „getting things done“ ნიშნავს „დასახული ამოცანების განხორციელებას“ და არა „საქმის შესრულებას“. ასევე საყურადღებოა სტუდენტის მიერ ელიპტიკური წინადადების თარგმანის მცდელობა. ჩვენ ვარიანტში, ერთი, წინდებულიანი დამატება ქვემდებარის ადგილს იკავებს, ხოლო დადებითი კონოტაცია (are essential) უარყოფითი კონოტაციით (შეუძლებელია) გადმოდის ქართულში, რაც ქართულის შემთხვევაში მეტ კატეგორიულობას იძენს. ხოლო მეორე წინადადების შემთხვევაში, ელიპტიკური წინადადება უფრო გავრცობილად ითარგმნა, ხოლო მთავარი წინადადება - განზოგადოებულად. აქვე აღვნიშნავთ, რომ უკვე განხილულ საკითხებს ყველა მაგალითში აღარ დავუბრუნდებით.

ჩვენი ვარიანტი:

გუნდური მუშაობა და დასახული ამოცანების განხორციელება კრების გარეშე შეუძლებელია. თუმცა უხარისხოდ ჩატარებული კრება, დროისა და ენერგიის ამაო ფლანგვაა.

კიდევ ერთი წინადადება:

Read on for six tips for successful meetings.

სტუდენტის მიერ შეთავაზებული თარგმანია:

წაიკითხეთ ექვსი რჩევა წარმატებული შეხვედრებისთვის.

საინტერესოა სტუდენტის მიერ თარგმნილი ეს წინადადება. სიტყვა-სიტყვით თუ ვთარგმნით „read on“ ნიშნავს „კითხვის გაგრძელებას“, ამ შემთხვევაში სტუდენტმა უგულვებელყო თანდებული „on”. მაგრამ კონტექსტუალურად ჩვენს მიერ შემოთავაზებული ვარიანტები ალბათ უფრო უპრიანია: „გაეცანით ქვემოთ მოცემულ“ ან „ქვემოთ მოცემულია“. ჩვენთვის მეორე ვარიანტი უფრო მისაღებია, ვინაიდან მთლიანად წინადადება უფრო კომპაქტური გამოვიდა.

ჩვენი ვარიანტი:

გაეცანით ქვემოთ მოცემულ ექვს რეკომენდაციას იმის თაობაზე თუ როგორ უნდა ჩატარდეს წარმატებული კრება.

ან

ქვემოთ მოცემულია კრების წარმატებით ჩატარებისთვის საჭირო ექვსი რეკომენდაცია.

ახლა შემდეგი ნაწყვეტი ვნახოთ:

We've all been in badly managed meetings: meetings that seem to go round in circles without any decisions being made; meetings that are dominated by the same few voices; meetings where people talk and talk with no clear purpose; meetings that seem to go on forever...

სტუდენტის მიერ შეთავაზებული თარგმანი:

ჩვენ ყველანი ვყოფილვართ ცუდად მართულ შეხვედრებზე: შეხვედრებზე, რომლებიც, როგორც ჩანს, წრეზე ტრიალებს ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება; შეხვედრები, სადაც დომინირებს იგივე რამდენიმე ხმა; შეხვედრები, სადაც ხალხი ლაპარაკობს და საუბრობს ცალსახა მიზნით; შეხვედრები, რომლებიც სამუდამოდ გაგრძელდება ...

ამჯერად სტუდენტის მიერ სიტყვა-სიტყვით თარგმანმა არა მხოლოდ ქართული ჟღერადობა დაუკარგა ტექსტის მონაკეთს, არამედ ბუნდოვანი და გაუგებარი გახადა ინფორმაცია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტს ჰქონდა პარალელურ სტრუქტურების გამოყენების მცდელობა, მაგრამ უშედეგოდ. ჩვენ მიერ შეთავაზებულ ვარიანტში ხაზს გავუსვამდით, იმ ფაქტს, რომ ქართულ ვარიანტში ვერ მოხერხდა მეტონიმიის იმავე სტილისტური ხერხით გადმოცემა („same few voices" – „ერთიდაიგივე გამომსვლელი"); და მეორე, მტკიცებითი წინადადება („meetings that seem to go on forever") თარგმანში ურყოფითი სტრუქტურით გადმოვიდა („რომელსაც ბოლო არ უჩანს.")

ჩვენი ვარიანტი :

ალბათ ჩვენ ყველანი ვყოფილვართ უხარისხოდ ჩატარებულ კრებაზე, კრებაზე სადაც საუბარი ერთი ადგილის ტკეპნას უფრო ჰგავს და გადაწყვეტილების მიღების ეტაპამდე ვერადავერ მიდის; სადაც ერთიდაიგივე გამომსვლელი აქტიურობს; სადაც ადამიანები, ყოველგვარი კონკრეტული მიზნის გარეშე, მხოლოდ ლაპარაკის გულისთვის საუბრობენ და რომელსაც ბოლო არ უჩანს...

დაბოლოს:

Indicate on your agenda how much time you'll be spending on each topic, who will be presenting or leading it and whether a decision or some kind of solution will be needed. Also, remember to send out the agenda a few days before the meeting so that participants have time to prepare.

სტუდენტის მიერ შეთავაზებული თარგმანი:

მიუთითეთ თქვენს დღის წესრიგში, თუ რამდენ დროს დახარჯავთ თითოეულ თემაზე, ვინ წარადგენს ან უხელმძღვანელებს მას და საჭიროა თუ არა გადაწყვეტილება ან რაიმე სახის გამოსავალი. ასევე, გახსოვდეთ, რომ შეხვედრის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გააგზავნოთ დღის წესრიგი, რათა მონაწილეებს მომზადების დრო ჰქონდეთ.

ამ შემთხვევაშიც მიაქციეთ ყურადღება, როგორ თარგმნა სტუდენტმა ნაცვალსახელი 'your', 'spending', 'presenting or leading', 'whether a decision or some

kind of solution will be needed'. ასევე გვსურს ხაზი გავუსვათ, იმ ფაქტს, რომ 'remember' 'remember to send out the agenda' მსგსავს კონსტრუქციაში, როგორც წესი, ითარგმნება, როგორც 'არ დაგავიწყდეთ' და არა როგორც 'გახსოვდეთ'.

ჩვენი ვარიანტი:

დღის წესრიგში მიუთითეთ, თუ რა დროს დაუთმობთ თითოეულ საკითხს, ვინ ისაუბრებს მასზე ან ვინ წარმართავს დისკუსიას მის ირგვლივ; მისაღებია თუ არა მასთან დაკვშირებით რაიმე სახის გადაწყვეტილება ან ხომ არ არის საჭირო რაიმე სახის განმარტების გაკეთება. ასევე, არ დაგავიწყდეთ, რომ დღის წესრიგი კრებამდე რამდენიმე დღით ადრე დააგზავნოთ, რათა მონაწილეებს საკმარისი დრო ჰქონდეთ კრებისთვის მოსამზადებლად.

ამ აბზაცში გარდა იმისა, რომ ვხედავთ სტუდენტის მიერ სიტყვა-სიტყვით თარგმანს, ასევე აშკარაა რომ სტუდენტი კარგად ვერ აცნობიერებს ინგლისური ენის პოლისემანტურობას და სიტყვის იმ მნიშვნელობას იყენებს, რომელიც მას უპირველესად თავში მოსდის ან ლექსიკონში პირველ ადგილზე ხვდება („solution"- (საკითხის, პრობლემის) გადაწყვეტა, გამოსავალი). თუმცა, ასევე აღსანიშნავია, რომ ტავტოლოგია, რომ არ გამოსვლოდა („decision"- "solution") ორი სხვადასხვა ლექსიკური ერთეული ერთი მნიშვნელობით არ გადაერთაგმნა, „გამოსავალი" იპოვა, რაც თავისთავად თარგმნის უნარის პირველ გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს.

დასკვნა

შესწავლილმა მასალამ ცხადყო ის ტიპიური შეცდომები, რასაც სტუდენტები დარგობრივი ტექსტების თარგმანისას უშვებენ. აღნიშნული შეცდომების ანალიზის საფუძველზე მოწოდებულია პრაქტიკული რჩევები თუ როგორ უნდა მოხდეს პრაქტიკული უნარების შემუშავება. ანალიზმა ცხადყო, რომ სტუდენტებს განსაკუთრებით უჭირთ სათაურის თარგმანი და თარგნილი ტექსტისთვის ქართული ენისთვის დამახასიათებელი სამეცნიერო სტილის სტრუქტურების გამოყენება. ამჯერად, სათაურის თარგმნისას აშკარად გამოჩნდა ექსტრალინგვისტური ფაქტორის მნიშვნელობაც. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც იმ დროს როდესაც მრავლობითი რიცხვი სავსებით დასაშვებია ინგლისურ ენაში, მაგალითად განზოგადების დროს, ქართულად თარგმნისას მხოლობითი რიცხვი უფრო უპრიანია. იგივე შეიძლება ითქვას ელიპტიკურ წინადადებებზე, რომელთა თარგმანი ქართულად გავრცობილად უფრო მისაღებია.

ლიტერატურა:

Щербакова И.В. Особенности Перевода Технических Текстов // Современные проблемы науки и образования. – 2015. – № 2-2.; URL: http://www.science-education.ru/ru/article/view?id=21712 (ნანახია: 05.06.2020).

Some Ideas about Teaching Technical Translation

Miranda Berishvili, Professor
Georgian Technical University

Summary

Miranda Berishvili's article 'Some Ideas about Teaching Technical Translation' deals with some peculiarities of translation of technical texts and teaching these peculiarities to technical students based on the analysis of typical errors. It discusses the influence of both linguistic and extra-linguistic factors on the translation process. Every year the mistakes frequently made by the students during the translation are identified. These mistakes are then analyzed and recurrent errors are grouped. The following year, a new group of students get acquainted with typical errors so that they can avoid making similar mistakes. Teaching technical translation provides students with practical translation skills, which in turn is an integral part of language competence. The article contains practical recommendations and will be useful for both students interested in translation and practicing teachers.

ნეოლოგიური ლექსიკური ერთეულები და მათი თარგმნის ასპექტები

ნუგზარ სიხარულიძე, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

უამრავი ცვლილება და სიახლე ნებისმიერ სფეროში აისახება ენაში ახალი ლექსიკური ერთეულების ანუ ნეოლოგიზმების სახით. დღეს ინგლისური ენა წარმოადგენს ნეოლოგიზმების ძირითად წყაროს რადგან ინფორმაციის უმეტესობა ქვეყნდება ამ ენაზე. შესაბამისად, ნეოლოგიზმების გლობალიზაცია მოითხოვს მაშ შეტანას მიმღებ ენებში (TL), მათ შორის ქართულშიც ნასესხები სიტყვების სახით. ამ პროცესს თან ახლავს თარგმნა რაც საკმაოდ პრობლემატურია, ძირითადად მიმღებ ენაში ახლად შექმნილი რეალობების არარსებობის გამო.

ნეოლოგიზმების თარგმნის არსებული მეთოდები, ისევე როგორც მათი წარმოქმნის მექანიზმები, განსხვავებულია ტერმინოლოგიურად სხვადასხვა მკვლევარების ნაშრომებში, თუმცა შინაარსობრივად განსხვავება უმნიშვნელოა. მნიშვნელოვანია მოხდეს მათი შეჯერება, ანუ შესწავლა თუ რომელი მეთოდი უფრო მიესადაგება ცალკეულ მექანიზმს ნეოლოგიზმების სათარგმნელად მიმღებ ენაზე.

საკვანძო სიტყვები: ნეოლოგიზმები, თარგმნის მეთოდები, სიტყვათწარმოების მექანიზმები, მიმღები ენა.

შესავალი

ყველანაირი ცვლილება, ნებისმიერ სფეროში, რომელსაც ადგილი აქვს მსოფლიოში, დაუყონებლივ აისახება იმ ენაში სადაც ეს ცვლილება მოხდა. ბოლო დროს როგორც სოციალურ, ასევე ტექნიკურ და სამეცნიერო სფეროებში ხშირად ვხვდებით ინგლისურენოვან ტერმინოლოგიას რაც თავისთავად ბუნებრივია, რადგან უმეტესობა მოვლენებისა, აღმოჩენებისა და სიახლეებისა ქვეყნდება ინგლისურ ენაზე. შესაბამისად ქართული ენის ლექსიკური მარაგის ზრდა მნიშვნელოვნად მიმდინარეობს უცხოური ენებიდან ნასესხები ერთეულების ბაზაზე. ამჟამად ეს პროცესი გარდაუვალია და მოითხოვს ახალი ლექსიკური ერთეულების შესაბამის დაფიქსირებას, ანუ ნეოლოგიური ლექსიკის მიღებას, მათ დამუშავებას ქართული ენის ნორმების შესაბამისად და ლექსიკოგრაფიას.

ძირითადი ნაწილი

ბუნებრივია, ნეოლოგიური ლექსიკის გლობალიზაცია წარმოქმნის ისეთ მოთხოვნას როგორიცაა მათი თარგმანი მიმღებ ენაზე. სამწუხაროდ ეს ერთ-ერთი ურთულესი საკითხია როგორც ლინგვისტების ასევე მთარგმნელებისათვის, რადგან არ არსებობს ერთიანი მიდგომა ამ პრობლემისადმი და ინდივიდუალური ქმედება იწვევს ნეოლოგიზმების თარგმნით მიღებულ

სხვადასხვა შედეგებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ახალ სიტყვათა ბაზის შექმნა საკმაოდ შრომატევადია და მოითხოვს გარკვეულ დროს რის შედეგადაც ნეოლოგიზმები შეიძლება მოძველდეს ან სულაც გაქრეს. ამ შემთხვევაში საჭიროა განხილული იქნას ცალკეული ერთეულის მდგრადობის საკითხი ინდივიდუალურად, არსებული ფაქტორების გათვალიწინებით და ასევე ის თუ რომელ სფეროს მიკუთვნება ის. როგორც ცნობილია ახალი ტექნიკური ტერმინოლოგია უფრო მდგრადია ვიდრე ის ავტორისეული ნეოლოგიზმები რომლებიც გამოყენების სიხშირით არ გამოირჩევიან და რჩებიან ძირითადი ლექსიკური მარაგის გარეთ.

შემგეგი ასპექტი რომელიც ნეოლოგიზმების თარგმანთან არის დაკავშირებული შეიძლება იყოს სიტყვაწარმოების მექანიზმები. სიტყვათწარმოების პროცესი მოიცავს მრავალ მექანიზმს რომელთაც გამოყენების სხვადასხვა-გვარი სიხშირე ახასიათებთ რაც თავისთავად გავლენას ახდენს მათ მიერ შექმნილ ახალ ლექსიკურ ერთეულებზე. მაგალითად,შესწავლამ გვიჩვენა რომ მექანიზმის სიხშირე უკუპროპორციულია ნეოლოგიზმის მდგრადობის მიმართ, ანუ რაც უფრო ხშირად გამოიყენება გარკვეული მექანიზმი მით უფრო ნაკლებია მისი საშუალებით შექმნილი ახალი ლექსიკური ერთეულების ენაში დამკვიდრების პროცენტი. ეს მექანიზმები მთლიანობაში არ წარმოადგენენ ყველა მკვლევარის მიერ აღიარებულ ერთიან ფორმას. მათი რაოდენობა სხვადასხვაა. თუმცა შინაარსობრივი განსხვავება უმნიშვნელოა. შეიძლება ითქვას რომ არც კი არსებობს და სავსებით შესაძლებელია ერთიან სქემაზე შეჯერება. დღეისათვის ყველა სახის ინნოვაციის ასახვა ენაში ახალი ლექსიკური ერთეულების, ანუ ნეოლოგიზმების სახით ხდება შემდეგი ექანიზმების გამოყენებით, მათ შორის:

რთული სიტყვების ჩამოყალიბება (compounding/collocation) – fireplace, jetlag, e-ticket.

გარითმვა (rhyming) – lovey-dovey, chiller-killer, zigzag.

დერივაცია/ კონვერსია (derivation/derived words) – must V – must Adj.

აფიქსაცია (affixation) – denazify, redeploy, dieselize.

შერწყმა (blending) – splog (spam and blog) – fake blog designed to attract hits and raise google ranking. შეიძლება ითქვას რომ ეს მექანიზმი ერთერთი ყველაზე პოპულარული და გამოყენებადია.clipping

შეკვეცა (clipping) – rifled gun – rifle.

აკრონიმები (acronyms) NOW –National Organization of Women, WHO – World Health Organization.

გადაანალიზება (reanalysis) – Hamburger steak – hamburger (Hamburg-er) – ham-burger - burger.

ანალოგია (analogy) – carjack – skyjack.

ახლადშექმნილები (novel creations) –bling (Seems to evoke heavy jewelry making noise)

კრეატიული მართლწერა (creative respelling) – product names; Mr. Kleen.

მოყვანილი სია შინაარსობრივად შეიძლება ითქვას რომ მოიცავს ყველა არსებულ ხერხს,თუმცა როგორც უკვე იქნა აღნიშნული, ერთიანი მიდგომა ამ

მოვლენისადმი საერთო სიის სახით ამჟამად არ არსებობს.

კიდევ ერთი ასპექტი, და შეიძლება ითქვას ყველაზე მნიშვნელოვანი, არის თვით თარგმნის მეთოდიკა ანუ სხვადასხვა ხერხი რომელიც უფრო მიზანშეწონილი შეიძლება იყოს მიმღები ენის ნორმებიდან გამომდინარე. ამჟამად არსებული სხვადასხვა მეთოდები ძირითადად მთარგმნელის პირადი გამოცდილების შედეგია. მაგალითად ახალი სიტყვების დაყოფად ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ ლექსიკურ ერთეულებათ მათი ეტიმოლოგიიდან გამომდინარე, თარგმნის სხვადასხვა მეთოდების გამოყენების მიზნით, თუმცა ასეთ დაყოფას დიდი მნიშვნელობა არა აქვს,ვინაიდან მათი წარმოების მექანიზმები თითქმის ერთიდაიგივეა. აღსანიშნავია რომ, როგორც სიტყვათწარმოების თემთხვევაში ასევე თარგმნის მეთოდების მიმართ შეიძლება ითქვას, რომ არსებობს ერთიანი მიდგომა რადგან, როგორც უკვე ავღნიშნეთ ახალი უცხოური სიტყვის თარგმანი და მიმღებ ენაში შემოტანა ცალკეული მთარგმნელის ინდივიდუალური მიდგომის შედეგია, თუმცა არსებობს მრავალი მცდელობა რომ მოხდეს სტანდარტიზაცია გარკვეულ დონეზე იმის დადგენით თუ რომელი მეთოდი მეტნაკლებად წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნეს სიტყვათწარმოების გარკვეული მექანიზმის მიმართ. ასეთი უნივევერსალური სქემის შექმნა რთულია სხვადასხვა ენების სტრუქტურებიდან გამომდინარე, მაგრამ მათი გათვალისწინება გარკვეულ დახმარებას გაუწევს თარგმნის პროცესს. ამჟამად არსებული ყველალა მეთოდი შეიძლება გაერთიანდეს როგორც ეკვივალენტური, განმარტებითი, სემანტიკური და ფონეტიკური, თუმცა თიტოეული მათგანი თავისთავში შეიცავს სხვადასხვა ვარიანტებს.

ეკვივალენტური მეთიდი სავსებით მისაღები და მარტივია როდესაც საქმე ეხება ლექსიკოგრაფიულად დადგენილი ერთეულების თარგმანს. სულ სხვა სურათია როდესაც ხდება ლექსიკური ერთეულის სემანტიკური ველის ზრდა რის შედეგადაც მიიღება ახალი სიტყვა ნეოლოგიზმის სახით. საკითხავია, რამდენად შეიძლება იგივე პროცესის გამოყენება მიმღებ ენაში ამ ახალი ერთეულის თარდმნის დროს. მაგალითად სიტყვა gay იგლისურ ენაში ნიშნავდა მხიარულს, უდარდელს. დღეს ის აღნიშნავს ჰომოსექსუალს. საინტერესოა, რამდენად შეიძლება იგივე პროცესის გამოყენება მიმღებ ენაში, ანუ სიტყვამ მხიარული ან უდარდელი შეძინოს იგივე იამნიშვნელობა. როგორც ვიცით ამ შენთხვევაში მოხდა თარგმნის მეთოდის შეცვლა ფონეტიკურით

თარგმნის განმარტებითი მეთოდი ალბათ არის მარტივი გამოსავალი, მაგრამ ამ ხერხით წარმოებული ერთეულები ხშირად მოუხერხებელია, განსაკუთრებით როდესაც ისინი შედგებიან რამოდენიმე სიტყვისაგან. ყველაზე მისაღები ფორმა ორსიტყვიანია. მაგალითად sit-in როგორც მჯდომარე აქცია. ან single როგორც ერთსიმღერიანი ფირფიტა. თუმცა დღეს ეს სიტყვა შემოტანილია როგორც სინგლი და ბევრისთვის გაუგებარია მისი მნიშვნელობა.

შედგენილი სიტყვების თარგმანიც მიმღები ენის კვივალენტური ლექსიკის გამოყენებით გვხვდება როგორც სრული (football - ფეხბურთი),

ნაწილობრივი (television - ტელეხედვა) და ნულოვანი (baseball - ბეისბოლი).

რაც შეეხება ტექნიკურ ნეოლოგიას, სხვა სფეროებისაგან განსხვავებით, დაუშვებელია სხვადასხვა ეკვივალენტის გამოყენება სხვადასხვა მთარგმნელის მიერ, რაც გამოიწვევს გაუგებრობას როგორც ზეპირი ასევე წერითი კომუნიკაციის პროცესში. ამ შემთხვევაში მთარგმნელთან ერთად ტერმინის ეკვივალენტის დადგენაში, მიუხედავად იმისა თუ რომელი მეთოდით იქნება ნეოლოგიზმი შემოტანილი მიმღებ ენაში, უნდა მოხდეს იმ დარგის ან სფეროს სპეციალისტის მონაწილეობით რომელსაც ეს ახალი ლექსიკური ერთეული განეკუთვნება.

მიუხედავად იმისა, რომ ნეოლოგიზმების თარგმნის პრობლემა არახალია, ის მაინც რჩება რჩევების დონეზე და საჭიროებს სიღრმისეულ შესწავლას საერთო მეთოდების გამოვლინებისა და გამოყენების თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Newmark, P. A Text Book of Translation, Prentice Hall International (UK) Ltd.
2. Herlinda Putri, The translation of Neologisms. Indonesia University of Education, 2014.
3. McDonald, L. Neologisms as makers of Culture and Technology, 2013.
4. Kemmer, S. Types of Word Formation Process, Rice University.
5. Renata Panokova, Categories of word formation and Borrowing, Cambridge Scholars Publishing, 2015

Neological lexical items and aspects of their translation

Nugzar Sikharulidze, professor
Georgian Technical University

Summary

Neologisms ca be defined as a newly coined lexical units or existing ones that acquire a new sense for immediate reflection of innovations in every field of life. Major source of them come from English as most of publications are in that language.

Their globalization obviously involves their translation into TL. Though number of translation methods, like word formation mechanisms set by the linguists differ, they are essentially the same. To overcome the problems of translation, it's reasonable to create more or less common attitude based on the application of certain methods for definite mechanisms.

Key words: neologisms, translation methods, word formation mechanisms, TL.

ზღვის კონცეპტი მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში (ვახტანგ ორბელიანის შემოქმედების მიხედვით)

ქრისტინე იაკობაძე, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია კონცეფტი "ზღვა", რომელსაც ქართული კულ-ტურისთვის საკვანძო მნიშვნელობა აქვს. კონცეპტუალური სფეროს ამ ფრაგმენტში ვლინდება მე -19 საუკუნის ენობრივი გემოვნების სპეციფიკა. ვახტანგ ორბელიანის შემოქმედების საფუძველზე განხილული კონცეფტი "ზღვა" სამმაგი მნიშვნელობით გვევლინება: 1. როგორც ქრისტიანული სახე-სიმბოლო(„ჯვარი ვაზისა“); 2.როგორც განათლებულ ქრისტიანულ სამყაროსთან, საქრისტიანოს ცენტრთან დამაკავშირებელი საშუალება ("ობოლი"); 3. უცხო ქვეყნებთან როგორც მაკავშირებლის, ასევე _ გამყოფის ფუნქციით („მთის ქალი და მოგზაური“).

საკვანძო კონცეფტები: ზღვა, ქრისტიანული სამყარო, კონცეფტი, ენობრივი გემოვნება.

შესავალი

მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა არ არის მდიდარი ზღვის თემატიკით, ზღვის მხატვრულ-სიმბოლური მნიშვნელობის წარმოჩენით, თუმცა მასში მაინც იწყებს ჩამოყალიბებას ზღვის მხატვრული სახე და ის კონცეპტის მნიშვნელობასაც იღებს. შესაძლებელია ეს გარკვეული სიმწირე იმითაც არის განპირობებული, რომ ამ ეპოქაში ქართული პოეზიისა და პროზის განვითარება აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარეობს, ზემო და ქვემო აჭარა ოსმალეთის ხელისუფლებაშია და მხოლოდ 1878 წლის რუსეთ-ოსმალეთს შორის დადებული საზავო ხელშეკრულების შემდეგ შემოდის რუ-სეთის იმპერიის შემადგენლობაში და ბათუმის ოკრუგად ცხადდება; ხოლო აფხაზეთი 1810 წლიდან რუსეთის ქვეშევრდომია, ყირიმის ომის დროს (1854-1856) მას ცოტა ხნით ოსმალები იკავებენ, 1864 წლიდან კი კვლავ რუსეთის იმპერიის მიერ არის ანექსირებული. 1883 წელს ის ქუთაისის გუბერნიის საზღვრებში ერთიანდება და სოხუმის ოკრუგად მოიხსენიება. როგორც ვხედავთ, საქართველოს ორი მთავარი საზღვაო კუთხე _ აჭარა და აფხაზეთი _ ერთი იმპერიიდან მეორის ხელში გადადის და პერიოდულად მოწყვეტილია ქვეყნის ცენტრს _ ქართლს, თბილისს. მიუხედავად ამ ისტორიული ძნელ-ბედობისა, ქართველის სააზროვნო სივრცეში შავი ზღვა, აჭარა და აფხა-ზეთი ყოველთვის მოიაზრება საქართველოს განუყოფელ ნაწილად და მე-19 საუკუნის მოღვაწეები ბევრს ცდილობენ ამ ერთიანი საქართველოს სტერეოტიპის ჩამოყალიბებისთვის. ამის ერთ-ერთი მაგალითია ვახტანგ ორბელიანის პოეზიაში ზღვის კონცეპტის გამოკვეთა.

ძირითადი ნაწილი

ვახტანგ ორბელიანი საქართველოს მეფის, ერეკლე მეორის, შვილიშ-ვილია, თეკლა ბატონიშვილისა და ვახტანგ ორბელიანის ვაჟი. მას ყველაზე

მეტად მიუწვდება ხელი ისტორიულ დოკუმენტებზე, რომლებიც ძირითადად მეფის სასახლეშია დაცული. მის ისტორიულ ცოდნას განამტკიცებს ახლო ნათესავების მოგონებებიც საქართველოს ისტორიულ წარსულზე და აქედან გამომდინარე, სრულიად მოულოდნელია, რომ მის შემოქმედებაში ვხვდებით ლექსს, სათაურით „ჯვარი ვაზისა“, რომელშიც წმინდა ნინოს ზღვით შემოსვლაა აღწერილი.

ზოგადად, ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში ზღვის კონცეპტი სამი მნიშვნელობით ყალიბდება: 1. როგორც ქრისტიანული სახე-სიმბოლოსი („ჯვარი ვაზისა“); 2. განათლებასთან კავშირის („ობოლი“); და 3. უცხო ქვეყნებთან როგორც მაკავშირებლის, ასევე _ გამყოფის („მთის ქალი და მოგზაური“).

უპირველესად ჩვენთვის საინტერესოა ვახტანგ ორბელიანის ლექსი „ჯვარი ვაზისა“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მასში აღწერილია შავი ზღვის ბობოქრობა, რომელიც ვერაფერს უშავებს პატარა ნავს, რადგან ნავში მჯდომს ზეციური მისია აკისრია, მან უნდა გააქრისტიანოს როგორც დასავლეთ საქართველო, ისე აღმოსავლეთი. ლექსში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ წმინდა ნინოს ნავი კოლხეთის სანაპიროს მოადგა. როგორც ვიცით, წმინდა ნინოს ცხოვრების ხუთი რედაქცია არსებობს: შატბერდულ-ჭელიშური (IX ს.), ლეონტი მროველისეული, რომელიც ჩართულია მის ისტორიულ ნაშრომში „ცხოვრება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ მირიან მეფის მოღვაწეობასთან დაკავშირებით, არსენ იყალთოელის (XI-XII სს.), XIII საუკუნის უცნობი რედაქტორ-გადამწერის და ნიკოლოზ გულაბერიძის ორიგინალური თხზულება „საკითხავი სუეტისა-ცხოველისა“ (XII ს.). ხუთი რედაქციის არსებობა თავისთავად მიგვითითებს ქართველი ხალხის ინტერესზე საქართველოს მოქცევის შესახებ; ჩანს, რომ ეს ინტერესი განსაკუთრებით ძლიერი იყო XII-XIII საუკუნეებში, როდესაც ქართველი მოღვაწეები შეუდგნენ საქართველოს ისტორიის შესწავლას, რათა დაედგინათ, თუ რა ადგილი უჭირავს ჩვენს ქვეყანას მსოფლიოს საქრისტიანოს კულტურის ისტორიაში. ვფიქრობთ, ეს ინტერესი გამძაფრდა მე-19 საუკუნის საქართველოშიც, როდესაც დადგა მაჰმადიანი აჭარის რუსეთის იმპერიაში მყოფ საქართველოსთან შემოერთების საკითხი. ამ პრობლემას ნაწილობრივ ეხება მკვლევარი თამარ შარაბიძე თავის სტატიაში „ვახტანგ ორბელიანის ლექსის „ჯვარი ვაზისას შესახებ“. ის მიიჩნევს, რომ წმინდა ნინოს ზღვით შემოსვლის ვერსიას ორი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: მხატვრული და იდეოლოგიური. მხატვრული თვალსაზრისით, ბობოქარ ზღვაში ნავის აუღელვებელი სვლა ალუზიაა ბიბლიური ამბისა _ „ზღვის დაწყნარება“ (მათე 8, 23-27); ხოლო იდეოლოგიური მიზეზი არის შემდეგი: „საქართველოში ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში გავრცელდა ქრისტიანობა ანდრია პირველწოდებულის, სვიმონ კანანელისა და მატათას მიერ. ისინი კი სწორედ კოლხეთიდან შემოვიდნენ საქართველოში. ქართველ მოღვაწეთა შორის კამათიც იყო, ვინ მიეჩნიათ განმანათლებლად. ნინოს მოღვაწეობა დასავლეთ საქართველოზე არ გავრცელებულა. არადა, ამ დროს ეგრისში უკვე ქრისტიანობაა. 325 წელს ნიკეაში გამართულ საეკლესიო კრებას ბიჭვინთის ეპისკოპოსიც ესწრებოდა. ქართველი მოღვაწეები შეეცადნენ ამ ორი მოვლენის შეჯარებას. ეფრემ მცირემ საქართველოს განმანათლებლად ორივე აღიარა

და განმარტა მეორედ ქადაგების აუცილებლობა. ვგონებთ, ნაწილობრივ გეოგრაფიული თვალთახედვით შეჯერების მცდელობასთან უნდა გვქონდეს საქმე ვახტანგ ორბელიანის ლექსშიც „ჯვარი ვაზისა“, ნაწილობრივ კი ლიტერატურული პრინციპების გადმოღებასთან“ („ჩვენი მწერლობა“, 2000, 15-20 დეკემბერი, გვ. 10). ჩვენ ვეთანხმებით ორივე ვარაუდს. ბიბლიური ამბის ალუზია სახეზეა. მათეს სახარებაში ვკითხულობთ: „ჩაჯდა იგი ნავში და მისი მოწაფეებიც მიჰყვნენ. და აი დაიწყო დიდი ღელვა ზღვაზე, ისე რომ ნავი ტალღებით იფარებოდა; მას კი ეძინა. მიუახლოვდნენ, გააღვიძეს იგი და უთხრეს: უფალო, გვიხსენი, ვიღუპებით. და უთხრა მათ: რამ შეგაშინათ, მცირედ მორწმუნენო? შემდეგ წამოდგა, შერისხა ქარები და ზღვა, და ჩამოდგა დიდი სიწყნარე. ადამიანებს კი უკვირდათ და ამბობდნენ: ვინ არის ეს, ქარებიც და ზღვაც მას რომ ემორჩილებიან“ (მათე 8, 23-27). ვახტანგ ორბელიანის ლექსში კიდევ უფრო მძაფრად და ემოციურად არის გადმოცემული ზღვის ღელვა:

„ზღვას ქარიშხალი ძლიერად ჰბერავს,
ზღვა ქუხს და შფოთავს, ზღვა დუღს და ღელავს;
ზვირთებს ზვირტებზე შავი ზღვა ისვრის,
განრისხებული ღრიალებს, ყვირის.
ტალღა ქუხილით აღიმართება
და გრგვინვით უფსკრულს უკუვარდება;
ზღვა მდუღარია, მთლად არის შავი,
არსად ჩანს აფრა, არსად ჩანს ნავი...“ („ქართული მწერლობა“, ტ. 9, 1992 :489).

განრისხებული ზღვის ფონზე ჩნდება ნავი, რომელიც უშიშრად მორბის, კი არ მორბის, არამედ მოქრის და მოფრინავს, „ზვირთ განრისხებულთ გულამაყად სჭრის“; მას ზღვა და სტიქია ვერ დაამარცხებს, რადგანაც „ღვთის ძალა“ იცავს და ზეციური მისია აკისრია:

„ჩანს, ზეცით აძევს მას დიდი ვალი,
ჩანს, მაზედ არის ზეცით ღვთის თვალი“ (იქვე).

ნავი მშვიდობიანად მიუახლოვდება კოლხეთის კიდეს. სწორედ აქ არის საძიებელი მეორე ვარაუდის მიზეზი - წმინდა ნინო არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს განმანათლებელია, არამედ სრულიად საქართველოს. ჩვენი აზ-რით, ვახტანგ ორბელიანის პოეტური წარმოსახვა კიდევ უფრო ასაბუთებს მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედში წამოჭრილ პრობლემას - მუსლიმანური აჭარის დედასამშობლოსთან შემოერთების მართებულობას. მერე რა, რომ აჭარა დღეს მუსლიმანურია, ის საქართველოს ისტორიული ნაწილია რო-გორც გეოგრაფიულად, ასევე სარწმუნოებითაც. აქ წმინდა ნინომ იქადაგა, დღევანდელი ვითარება კი ისტორიული ძნელბედობის შედეგია. მართალია, მას შემდეგ ბევრმა დრომ გაიარა: დიდებული პალატები და ტაძრები დაიქცა, მათ კედლებზე შესრულებული ისტორიული მნიშვნელობის წარწერებიც კი აღმო-იფხვრა, „მტრის ხელმა“ ყველაფერი გაანადგურა, თუმცა ვერაფერი მოუხერხა დიდ საუნჯეს, ვაზის ჯვარსა და იმის მადლს, რომელიც ჩვენს ქვეყანას იფარავს:

„არა, საუნჯე დიდი რამ დაგვრჩა:
ჯვარი ვაზისა!.. მადლი იმ ჯვარის
ჩვენს სამშობლოზედ, ჩვენს ერზედ არის!“ („ქართული მწერლობა“, ტ. 9, 1992 : 492).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზღვის კიდევ ერთი კონცეპტი ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში განათლებასთან არის დაკავშირებული. ამ მხრივ საინტერესოა ლექსი „ობოლი“, რომელიც შოთა რუსთაველის ცხოვრების გზას წარმოაჩენს. თავისთავად დიდებული მწერლის „ობლად“ მოაზრება ვახტანგ ორბელიანის ქრისტიანული მსოფლმხედველობის გათვალისწინებით უკვე მიგვითითებს მასზე ღვთის მფარველობას:

„იმ ობლისათვის ამ ქვეყანას არვინ ზრუნავდა,
მაგრამ ზრუნავდა იმ ობლისთვის ღმერთი მაღალი,
მას მაზედ ჰქონდა მიქცეული მოწყალე თვალი“ („ქართული მწერლობა“, ტ. 9, 1992 : 493).

ვახტანგ ორბელიანის პოეტური წარმოსახვა რუსთაველს ბუნების შვილად გვიხატავს, რომელსაც „ცასთან, მთებთან და ზღვასთან აქვს ძმობა“, მათ უზიარებს თავის ობლობას. ლექსში არაჩვეულებრივად არის აღწერილი ზღვის პეიზაჟი, რომელიც რომანტიკული თვალთახედვიდან გამომდინარე, თანაზიარია ლექსის გმირის სულიერი განცდებისა:

„... ნახა შავი ზღვა ლურჯი, წმინდა, მიძინებული,
ვით ყრმა დიდის გულს, თვის კიდეზე მისვენებული.
ყრმას ძილს სიზმარნი უცხო, ტკბილნი გულს უხარებენ,
ზღვას მიძინებულს სხივნი მზისა უალერსებენ;
მზე მას დასცქერის და მაზედა სხივს ათამაშებს,
ვრცელი, უსამზღვრო მკერდი ზღვისა ბრწყინავს, კაშკაშებს.
მიდის მზე თვის გზას და დიდებით ზღვას ჩაესვენა;
მყუდრო საღამო, გულთ საამო მას მოეფინა... („ქართული მწერლობა“, ტ. 9, 1992: 496).

ზღვის ამ მყუდრო, ობოლის სულისთვის მაამებელ პეიზაჟს ცვლის სტიქია. ვახტანგ ორბელიანი ნათლად წარმოჩენს ქრისტიანული მსოფლმხედველობისთვის კანონიკურ აზრს, რომ ბუნებას არა აქვს ნებელობა, მას ღვთის ნება განსაზღვრავს. განრისხებული ზღვა მეომარ მხედარს ემსგავსება, ან საშინელ ვეშაპს, რომელიც იკლაკნება და მთა-ბარსა თუ ხომალდებს უფსკრულში ჩანთქმას უპირებს:

„თავის აბჯარით _ მთა-ზვირთებით სცემს თავის კიდეს,
თვის საუკუნოს, მაგარ დარაჯს, თვის საპყრობილეს,
უკუ იქცევა, ჰფშვენს კვნესითა და ძალას იკრებს
და ახლის ძალით და ღრიალით კვლავ დასცემს ზვირთებს“ („ქართული მწერლობა“, ტ. 9, 1992 : 497).

ვახტანგ ორბელიანი ამ ლექსშიც წარმოაჩენს კოლხეთს, რომელიც უშიშრად დგას და ზღვის ბობოქრობის არ ეშინია. აქ მეტად მნიშვნელოვანია კოლხეთის პოეტური აღქმა, რომელიც, ვფიქრობთ, იმავე იდეას ემსახურება, რომელიც გამოხატულია ლექსში „ჯვარი ვაზისა“. კოლხეთი მშობელი მიწაა, ძველად განთქმული და დიდებული; ის მტკიცე კვარცხლბეგია, საფუძველია იალბუზისა. ამ იდეური პლასტით ვახტანგ ორბელიანი საქართველოს მთისა და ბარის ერთობას გამოხატავს. კოლხეთი „ოქროს კრავისა და ბიბლიის“ ქვეყანაა. ვახტანგ ორბელიანი ქვეყნის მითოლოგიურ წარსულთან ერთად

კვლავ ამახვილებს ყურადღებას ამ ქვეყნის რელიგიურ საფუძველზე. ყურადღება უნდა მიექცეს ორივე ლექსის დაწერის თარიღსაც. „ჯვარი ვაზისა“ 1880 წელსაა დაწერილი, ხოლო „ობოლი 1881 წელს. ეს ის პერიოდია, როდესაც ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მხრიდან მტკიცდება საზოგადოებრივი აზრი, რომ აჭარა აუცილებლად საქართველოს ფარგლებში უნდა მოიაზრებოდეს, მიუხედავად მისი მუსლიმანობისა.

ზღვის სტიქია ღვთის ნების ამოცნობისკენ უბიძგებს ობოლს: „რა არს ... მაღლით ღვთის ნება? სად შევისწავლო მის უსამზღვრო დიდი ქმნილება?“ ობოლის ფიქრები პირდაპირი დადასტურებაა იმისა, რომ ბუნებას ღვთის ნება წარმართავს, ხოლო მის ამოსაცნობად რელიგიურ-ფილოსოფიური ცოდნის დაუფლებაა საჭირო. სწორედ ამისთვის ობოლი „ელინთა მამულს“ ირჩევს, დიდი ჰომეროსისა და თემისტოკლეს ქვეყანას, განათლების აკვანს. ჭაბუკი ობოლი ტოვებს თავის ქვეყანას, რათა კვლავ დაუბრუნდეს მას. მისი ნავი ზღვას მიაპობს, გული კი სამშობლოში რჩება. აქ იკვეთება ზღვის განათლებასთან დამაკავშირებელი მნიშვნელობა. ასაქართველოს კი, მის კიდეში მყოფს, განათლების აღმავლობასთან ერთად სხვა ფუნქციაც აქვს - „აქა აგებენ მაღალ კოშკებს, მაგარ სადგურთა“, რომ დაიცვას და გადაარჩინოს საქრისტიანო.

ზღვა კიდევ ერთი კონცეპტით წარმოჩნდება ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში, კერძოდ, ლექსში „მთის ქალი და მოგზაური“. ის უპირისპირდება სამშობლოს, როგორც უცხოეთი, როგორც მძიმე ყოფას _ ფუფუნება. ლექსის თემაა სამშობლოდან მოშორების სიმძიმე, რომელსაც ვერ შეცვლის ვერც უცხო ქვეყნის თვალწარმტაცი ბუნება და ვერც ფუფუნებაში ცხოვრება, თუმცა რეალურად ლექსში მთის პირქუში ბუნება და ზღვის სანაპიროს ხიბლი უპირისპირდება ერთმანეთს. მოგზაური მთის ქალს ცოლად შერთვას სთავაზობს და მის წაყვანას სამშობლოსგან მოშორებით ზღვის ნაპირზე აგებულ სასახლეში. მგზავრისთვის მიუღებელია თოვლით და ნისლით დაფარული ფრიალო კლდეები, რომელთა შორის ძლივს აღწევს მზის სხივები, სადაც არ ხარობენ ტყეები და სურნელოვანი ყვავილები, სადაც მზე ზღვიდან არ ამოდის და ზღვის ნიავით არ არის შეზავებული ჰაერი. მთის ქალმა იცის, რომ ეს ყოველივე მომხიბვლელია, მაგრამ თავის სამშობლოსგან მოშორებული ბედნიერებას ვერ იპოვის:

„მგზავრო, რად მინდა მზე ცხოველი და ცა ნათელი
და ან მბრწყინავი ყვავილებით ზურმუხტი ველი?
ნიავი ზღვისა გულს მომფენს მე რა ფუფუნებას,
მოშორებული თუ ვიქნები ჩემს წყალს, ჩემს მიწას,
თუ ვეღარ ვხედავ ჩემ საყვარელთ, ჩემ მყინვარე მთებს?!“ („ქართული მწერლობა“, ტ. 9, 1992 : 551).

ვახტანგ ორბელიანის მიერ გამოთქმული იდეა სრულად შეესატყვისება ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისაში“ სოფიოს გამოთქმულ სიტყვებს:

„ _ უწინამც დღე კი დამელევა მე!
უცხოობაში რაა სიამე,
სადაცა ვერ ვის იკარებს სული
და არს უთვისო, დაობლებული?

რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,
გალიაშია დატყვევებული!“ (ნ. ბარათაშვილი 1968 : 149).

როგორც თემატიკით, ასევე თავისი სტრუქტურითა და დიალოგის ფორმით ლექსი „მთის ქალი და მოგზაური“ პოეტურ სიახლოვეს ამჟღავნებს ბარათაშვილის კიდევ ერთ ლექსთან „სუმბული და მწირი“. თავის ადგილსამყოფელს - მდელოს მოშორებულ სუმბულს ფერი და სუნი აქვს დაკარგული, მას არ სურს ოქროთი და ვერცხლით შემკობილი, ხელოვნურად შექმნილი სადგური, სადაც მის მშვენებაზე კაცი ზრუნავს. იგი ღრმა მწუხარებით მიმართავს მწირს:

„მწირო, ხომ ხედავ, მოვჰკლებივარ ჩემს სამშობლოს გულს,
ჩემთ სწორთ ყვავილთ, მშვენიერს ცას და ჩემსა ბულბულს:
აგერ მაისი ააყვავებს ტურფად ბუნებას,
მოვა ბულბული და დაუშტვენს სიყვარულის ხმას,
ხოლო მე ხშული ბნელსა სადგურს და სევდიანსა,
ვეღარ ვიხილავ ჩემსა ტურფას და ტკბილს მგოსანსა!“ (ნ. ბარათაშვილი 1968:118).

ვახტანგ ორბელიანის ლექსში მოგზაური უხატავს ქალს ზღვის მშვენიერებას, მის თვალუწვდენელ სივრცეს, ლაპლაპს და ბრწყინვას, ხანაც მის ბორგვას და დიდებულ ზვირთებს. პეიზაჟის აღწერაში ჩანს, რომ პოეტმა კარგად იცის ზღვის ცვალებადი ბუნება და მის მშვენიერებას მხოლოდ სიმშვიდეში კი არ ხედავს, არამედ მისი ბუნების ყველა გამოვლინება ესთეტიკურ ტკბობას ანიჭებს:

„ეგ ტურფა თვალნი დატკბებოდნენ იმ ზღვის მზერითა,
როცა შეიძვრის და აღდგება დიდის ზვირთითა;
ან როცა მშვიდად თვის კიდეზე მიძინებული
ვარსკვლავთ, მთოვარის სხივით არის გაბრწყინებული...“(„ქართული მწერლობა“, ტ. 9, 1992 : 552).

ქალისთვის კი მთა ის დიდებული ადგილია, რომლიდანაც მთელი საქართველო ხელისგულივით მოჩანს: მარცხნივ კახეთი, მარჯვნივ ქართლი, უკან იმერი და საერთოდ, მთელი ძველი ივერი. „ეს მირჩევნია მე თქვენს ზღვასა და ხომალდებსა“, - ამ სიტყვებით ქალი გამოხატავს თავისი კუთხისადმი ერთგულებას. მაშინ მოგზაურს ისღა დარჩენია, ახალგაზრდა ქალის გული იმ საყოველთაო განათლებით მოიგოს, რომელიც მის სამშობლოშია და რომლის „საღმრთო სხივი“ ქალის გულსაც მოეფინება; მაგრამ ქალს არც ეს ხიბლავს, რადგან თვლის, რომ მამისგან, რომელიც დაბლობიდან გადმოვიდა მთაში, საკმარისი სწავლა-განათლება მიიღო, დედამ საღვთო მცნება ჩაუნერგა გულში, გლეხებთან ძმობა და ქვრივ-ობლების შემწეობა, თავისი მიწისა და ოჯახის სიყვარული, მოხუცის პატივისცემა და რუსთაველის ტკბილი ენის მშვენიერების შეგრძნება.

მოცემულ ლექსში ზღვის კონცეპტი კიდევ უფრო განსხვავებული მნიშვნელობით წარმოდგება მკითხველის წინაშე, ის განათლებისკენ გადებული ხიდია, ქრისტიანულ სამყაროს ცენტრთან დამაკავშირებელი, მაგრამ ამავე დროს ის გამყოფია ჩვენი ქვეყნისა ამ სამყაროსთან. ამ გაყოფით წარმოჩენილია

ჩვენი ქვეყნის ბუნებისა და ადამიანთა მენტალობის თავისებურება, ინდივიდუალურობა, რომლის შენარჩუნებაც თითოეული ქართველის ვალია.

დასკვნა

ვახტანგ ორბელიანის შემოქმედების კვლევისას ჩვენთვის საინტერესო იყო ზღვის კონცეპტის სხვადასხვაგვარი აღქმა პოეტის მიერ და საზოგადოებრივი პრობლემების წარმოჩენა, რომელიც აქტუალური იყო მე-19 საუკუნის საქართველოსთვის. ეს პრობლემები კი ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: აუცილებელია მაჰმადიანი აჭარის შემოერთებას გულისხმიერად მოეკიდოს საზოგადოება, რადგან ეს კუთხეც ისტორიულად ქრისტიანობის ერთ-ერთი პირველი აკვანია, აქ პოეტის წარმოსახვით წმინდა ნინომაც კი იქადაგა ქრისტიანობა; სამშობლოსგან მოცილება ერთი პირობითაა გამართლებული, თუკი მას ისევ დაუბრუნდები და უცხო ქვეყანაში მიღებული სწავლითა და გამოცდილებით მასაც ააყვავებ; შენს ქვეყანას ვერ შეცვლის უცხოეთი თავისი უკეთესი პირობებითა და გამოცდილებით, იქ ქართველი მუდამ უცხო და დაობლებული იქნება. როგორც ვხედავთ, მთელი მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოების სატკივარი ვახტან ორბელიანის ლექსებშიც გამოიხატა. სათქმელის მხატვრულად გადმოცემაში კი პოეტს ზღვის კონცეპტის მრავალმხრივი გააზრება დაეხმარა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნი, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, სტოკჰოლმი, 1985;
2. ბარათაშვილი ნიკოლოზ, „ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, 150“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1968;
3. ქართული მწერლობა, ტ. 9, გამომცემლობა „ნაკადული“, თბ.,1992;
4. შარაბიძე თამარ, „ვახტანგ ორბელიანის ლექსის „ჯვარი ვაზისას შესახებ“, „ჩვენი მწერლობა“, 2000, 15-20 დეკემბერი.

The concept of the "sea" in Georgian literature of the XIX century (based on the work of Vakhtang Orbeliani)

Kristine Iakobadze, Academic Doctor of Philology
Georgian State Maritime Academy

Summary

The work considers the concept of "sea", which is key for Georgian culture. On this fragment of the conceptual sphere, one can trace the linguistic taste of the 19th century. The concept "Sea", considered on the basis of the works of Vakhtang Orbeliani, appears in a triple meaning: 1. As a Christian image-symbol ("Grapevine Cross"); 2. The sea as a link with the enlightened Christian world, with the centers of Christianity ("Orphan") ; 3. As a boundary that connects us to the outside world, or delimits us from it (“Mountain Woman and the Traveler")

Key concepts: sea, Christian world,concept, linguistic taste.

სოციალური მეცნიერებები

SOCIAL SCIENCES

თანადამოკიდებულება როგორც სოციალური პრობლემა

ლია მეტრეველი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ეკა კორძაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში მიმოხილულია თანადამოკიდებულების პრობლემის კვლევის ფსიქოლოგიური ასპექტები, განხილულია ოჯახებში დისფუნქციური ურთიერთობების მახასიათებლები და თანადამოკიდებულება, როგორც აღნიშნული გამოცდილებით გამოწვეული მდგომარეობა. გაანალიზებულია სამეცნიერო ლიტერატურა, განხილულია თანადამოკიდებულ პირთათვის დამახასითებელი ფსიქოლოგიური თავისებურებები. წარმოდგენილია არგუმენტები ნარკოდამოკიდეულ პირთა და მათი ახლობლებისთვის აუცილებელი ფსიქოლოგიური დახმარების სასარგებლოდ.

საკვანძო სიტყვები: თანადამოკიდებულება, ქიმიური დამოკიდებულება, დისფუნქციური ოჯახური ურთიერთობები, ფსიქოლოგიური დახმარება.

შესავალი

დღევანდელ დღეს, ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება ორიენტირებულია დაეხმაროს პიროვნებას კარიერულ წინსვლის მიღწევაში, პიროვნებათაშორისი კონტაქტების დამყარებაში, საკუთარი ინტერესების დაცვის უნარის გამომუშავებაში, მაგრამ ფსიქოლოგიის მთავარ მიზნად და ამოცანად კვლავ რჩება ადამიანის მხარდაჭერა ემოციური წონასწორობისა და საკუთარ თავთან ჰარმონიის მიღწევაში, მის პიროვნულ ადაპტაციაში.

ადამიანის ფსიქოლოგიური პორტრეტი მრავალფეროვანია, მაგრამ მას თუ ორი პოლარული მხარედ წარმოვიდგენთ, ვნახავთ, რომ ერთ პოლუსზეა წარმატებული, ჰარმონიული, თვითკმარი პიროვნება, ხოლო მეორე პოლუსზე მისგან რადიკალურად განსხვავებული პიროვნება, იდენტობის სუსტი გრძნობით, წაშლილი პიროვნული საზღვრებით, არასტაბილური თვითშეფასებითა და დარღვეული სოციალური ადაპტაციით. ადამიანი ასეთი ფსიქოლოგიური პორტრეტით ხშირად არის დისფუნქციური ოჯახიდან, სადაც ქიმიური დამოკიდებულების პრობლემაა.

როგორც წესი, ხშირ შემთხვევაში ოჯახი აღიქმება როგორც სიმშვიდის,

კომფორტის დაცულობისა და ზრუნვის ადგილი, მაგრამ ზოგჯერ სწორედ ოჯახია ის ადგილი, სადაც ადამიანებს წლების მანძილზე უწევთ მძიმე ცხოვრებისეული გამოცდილების მიღება და აღნიშნული გამოცდილების თანაგაზიარება.

ძირითადი ნაწილი:

ადამიანთა შორის ურთიერთობის დროს, ბუნებრივია, ჩნდება გარკვეული ტიპის დამოკიდებულება. ჩვეულებრივ, დამოკიდებულებულების დროს ადამიანებს აქვთ ემოციური კავშირი, ერთმანეთის მიმართ, გამოხატავენ სიყვარულსა და მხარდაჭერას. ასეთი ტიპის ურთიერთობა ორივე მხარისთვის ღირებულია, პრიორიტეტულია, ამავე დროს ამ ადამიანებს აქვთ სხვა ინტერესები და მისწრაფებებიც, ჰყავთ მეგობრები და ახლობლები. ორივე მხარე გამოხატავს ემოციებს და სურვილებს და ამავე დროს ცდილობს რომ ურთიერთობა ორივესთვის სასარგებლო იყოს. ასეთი ტიპის დამოკიდებულების დროს ურთიერთობისას პასუხისმგებლობების გადანაწილება თანაბრად ხდება.

თანადამოკიდებულება არის ქცევითი და ემოციური მდგომარეობა, რომელიც ადამიანს ხელს უშლის ჯანსაღი ურთირიერთობების ჩამოყალიბებაში, სადაც ორივე მხარე კმაყოფილია. თანადამოკიდებულება დასწავლილი ქცევაა და შესაძლოა თაობიდან თაობას გადაეცეს. ხშირად, შესაძლოა, თანადამოკიდებულების მანიფესტირება უფრო სერიოზული იყოს, ვიდრე თავად დამოკიდებულების, ვინაიდან თანადამოკიდებულ ურთიერთობაში მყოფი პირები, ხშირად ისეთ ურთიერთობას აყალიბებენ და ინარჩუნებენ, რომელიც ცალმხრივია, ემოციურად დამანგრეველი და ძალადობრივია. დასწავლული ქცევითი და აზროვნების მოდელები, ემოციური რეაგირების პატერნები გავლენას ახდენენ თანადამოკიდებულის ცხოვრებაზე, პიროვნულ ადაპტაციაზე.

ადამიანი თანადამოკიდებულია, როდესაც მას მეორე ადამიანთან აქვს დისფუნქციური, ცალმხრივი ურთიერთობა, როდესაც ის მთლიანად დამოკიდებულია მეორე ადამიანზე ყველა თვალსაზრისით, ეს იქნება ემოციური თუ პირადი საჭიროება. თანადამოკიდებულება ჩნდება ადამიანებს შორის სხვადასხვა ტიპის ურთიერთობის დროს, როგორიცაა მეგობრული, წყვილის ან ოჯახური ურთიერთობები.

თანადამოკიდებულების დროს, პიროვნებას აქვს განცდა, რომ ის ნაკლებად ღირებულია, ის არ სჭირდებათ, თავს გრძნობს არასასურველად. იგი მზადაა შეასრულოს მეორე მხარის ნებისმიერი სურვილი, მსხვერპლი გაიღოს, თვითონ დაზარალდეს და ამით ბედნიერია, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ასეთი თავგანწირვა დაუფასებელია. თანადამოკიდებულების დროს ადამიანისთვის მნიშვნელოვანია თავის საჭიროებასა და აუცილებლობას გრძნობდეს სხვის ცხოვრებაში. არ არსებობს არანაირი პიროვნული სურვილები და ურთიერთობები არსებული ურთიერთობის გარდა. თანადამოკიდებული ადამიანი ერთის მხრივ გრძნობს რომ საკუთარი გრძნობები არ უნდა გამოხატოს, ვინაიდან ის არ არის მნიშვნელოვანი, მეორეს მხრივ, ვერ ხედავს და ზოგჯერ საერთოდ ვერ აცნობიერებს საკუთარ გრძნობებს და სურვილებს.

თანადამოკიდებულება ხშირად ემოციურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას მოიცავს., როდესაც თანადამოკიდებული ადამიანი არის მოძალადე, ალკოჰოლდამოკიდებული ან ნარკოდამოკიდებული ოჯახის წევრი. ასეთი ადამიანების ცხოვრებაში არსებობს ბავშვობისა და თინეიჯერული ასაკის ტრავმული გამოცდილებანი, როდესაც პრობლემები ჰქონდათ მშობლებთან ურთიერთობისას და თავს ნაკლებად მნიშვნელოვნად ან სრულიად უმნიშვნელოდ გრძნობდნენ.

უკვე ოთხი ათეული წელია რაც აღინიშნება ინტერესი ქიმიური დამოკიდებულების მქონე პირთა ოჯახის პრობლემების შესწავლისადმი. დღევანდელ დღეს აშკარაა ოჯახის ერთი წევრის დამოკიდებულების გავლენა მთელ ოჯახზე, (Березин С.В., Москаленко В. Д.), რაც იწვევს თანადამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

Stafford D., Hodgkinson L., ნაშრომებში თანადამოკიდებულება განიხილება როგორც გლობალური პრობლემა, რომელსაც მასშტაბურობის გამო ადარებენ ეპიდემიას.

Sharon Wegscheider-Cruse, ალკოჰოლდამოკიდებულთა შვილების ნაციონალური ასოციაციის დამფუძნებელი და თავმჯდომარე თანადამოკიდებულებასაღწერს,როგორცგარკვეულმდგომარეობას,რომელიცგამოიხატება ძლიერ ემოციურ, სოციალურ, ზოგჯერ ფიზიკური დამოკიდებულებით სხვა ადამიანზე. ეს დამოკიდებულება ვითარდება ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე და გადადის პათოლოგიურ მდგომარეობაში, აისახება ყველა სხვა სახის ურთიერთობაზე.

Robert C., პიონერი ქიმიური დამოკიდებულების და თანადამოკიდებულების შესწავლის დარგში, თანადამოკიდებულებას ახასიათებს როგორც მდგომარეობას, რომელსაც აქვს ემოციური,ფსიქოლოგიური და ქცევითი დონეები რომლებიც ყალიბდება დამთგრუნველი, მატრმვირებელი, რიგიდული წესების ხანგრძლივი ზემოქმედებისას, რაც ხელს უშლის გრძნობების თავისუფლად გამოხატვას, პიროვნებისა და პიროვნებათაშორისი საკითხებისა და პრობლემების ღიად განხილვას.

ცნობილი რუსი ნარკოლოგი მოსკვალენკო ვ.დ. თანადამოკიდებულებას აღწერს, როგორც ქიმიურ ნივთიერებებზე დამოკიდებული დაავადებული ადამიანის ოჯახის წევრების ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, რომლის მთავარი პირობაა პაციენტის ნათესავების ემოციური ჩართულობა მათი ახლობლის დამოკიდებულებაში, რაც ვრცელდება ოჯახში ყველა სახის ურთიერთობაზე და რაც საბოლოო ხელს უშლის პაციენტის გამოჯანმრთელებას.

დაგროვილი ემპირიული გამოცდილებაზე, ასევე თეორიული და პრაქტიკული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით, თანადამოკიდებულების დროს აღნიშნავენ დარღვევებს კოგნიტურ, ემოციურ, მოტივაციურ-ქცევით სფეროებში. კოგნიტური სფეროს მხრივ შეინიშნება აზროვნების რიგიდულობა, განსჯის სტერეოტიპულობა, გამონათქვამების შეფასება, ცრურწმენა. ემოციური სფეროს დარღვევების მხრივ გამოხატულია გრძნობების დათრგუნვა და გაუკუღმართება, მომატებული შფოთვა, სირცხვილისა და დანაშაულის შეგრძნება, რისხვა, სასოწარკვეთა, შიში. აღნიშნიულიდან

გამომდინარე, თანადამოკიდებული პირები კარგავენ უნარს ამოიცნონ თავიანთი გრძნობები და მეტიც, ისინი ადეკვატურად ვერ აღიქვამენ სხვა ადამიანების ემოციურ მდგომარეობასაც. ს. ვ. ბერეზინი თავის ნაშრომებში აღწერს, რომ ემოციურ დონეზე, დანაშაულის, სირცხვილის, დაკარგვის გრძნობის გამო, თანადამოკიდებულ პირებში ყალიბდება ნარკოდამოკიდებულებაზე ,,მშობლის რეაქციის" სინდრომი, რომელიც პასუხისმგებელია თანადამოკიდებულების განვითარებასა და შენარჩუნებაზე. თანადამოკიდებულის ქცევა სტერეოტიპულია, ჩნდება მანიპულაციები, რომლებიც აკონტროლებენ ქცევას, როლები: ,, მაშველი", ,,მდევნელი", მსხვერპლი". აღნიშნული ნათლადაა გამოხატული ,, კარპმანის დრამატულ სამკუთხედში", ე. ბერნის თამაშებში ,,ალკოჰოლიკი" და ,, ხის ფეხი".მოტივაციურ სფეროში დომინირებს გარე ორიენტაცია, ვინაიდან დაბალი თვითშეფასებისა და ,,მე"-ს წაშლილი საზღვრების გამო, თანადამოკიდებული ადამიანი დამოკიდებულია გარემოებებზე, გარე შეფასებაზე, სხვა ადამიანებთან ურთიერთობაზე. თანადამოკიდებულებში მკვეთრადაა გამოხატული ფსიქოლოგიური დაცვითი რეაქციები: უარყოფა, მინიმიზაცია, ჩახშობა, რეპრესია, რომლებიც არ აძლევენ თანადამოკიდებულ ადამიანს საკუთარი თავის გვერდიდან დანახვის საშუალებას, ამით კიდევ უფრო ამტკიცებენ თანადამოკიდებულ მდგომარეობას. თანადამოკიდებულთა ფსიქოლოგიური თავისებურებები გავლენას ახდენენ ღირებულების სფეროზე და ხელს უშლიან მათი პირადი პოტენციალის რეალიზაციას. თანადამოკიდებულება ადამიანის ჯანმრთელობაზეც ტოვებს კვალს ფსიქოსომატური დარღვევების სახით.

დასკვნა

ამრიგად, მკვლევარები ხაზს უსვამენ იმას, რომ თანადამოკიდებული ადამიანში, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე იმყოფება ემოციურ დისბალანსში, რაც გამოწვეულია ტრავმული ოჯახური ურთიერთობებით, ყალიბდება დამცველობითი რეაქციები, მყარდება ქცევის დესტრუქციული მოდელები, ირღვევა სოციალური ადაპტაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია ის ფაქტი, რომ ნარკომანიის პრობლემის აქტუალობასთან ერთად, კერძოდ, ნარკოდამოკიდებულთა რაოდენობის მკვეთრი ზრდის და ნარკოდამოკიდებულთა ასაკის გაახალგაზრდავების ფონზე, მკვეთრად გამოიხატა ნარკოდამოკიდებულთა და მათი ოჯახის წევრებისთვის ფსიქოლოგიური დახმარების აუცილებლობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიორგობიანი ი ., გამყრელიძე ი., ლეჟავა მ., კავსაძე ე., ,,ფსიქოთერაპიისა და ფარმაკოთერაპიის კომბინირებული გამოყენება ფსიქიატრიასა და ნარკოლოგიაში", თბილისი, 2011;
2. იუნგი კ., ,,ანალიზური ფსიქიატრიის საფუძვლები". თბილისი, 1995წ.
3. Москаленко В. Д.Созависимость при алкоголизме и наркомании (пособие для врачей, психологов и родственников больных). – М.: «Анахарсис», 2002.

4. Березин С. В.,Лисецкий К. С., Назаров Е. А. Психология наркотической зависимости и созависимости. Монография. – М.: МПА, 2001.
5. Фрейд З. – «Психология бессознательного», М., 1989.
6. Adler A. – "The Practice and Theory of Individual Psychology"., 1927, Psychology;
7. Beck A.T., Scott I., Williams I.M. – "Cognitive Therapy in Clinical Practice: An Illustrative Casebook., Rouledge, 1989.

Interaction as a social problem

Lia Metreveli, professor
Georgian Technical University

Eka Kordzadze, PhD student
Georgian Technical University

Summary

The article analyzes psychological features of the issue of codependency, features of dysfunctional relationships in families are discussed, which is the main factor of generated codependency. Scientific literature is analyzed. Arguments presented are in favor of helping drug addicted and for the psychological assistance of their family and friends.

Keywords: codependency, chemical dependency, dysfunctional family relationships, psychological assistance.

პანდემია და „ჩრდილოვანი განათლება“ საქართველოში

ქეთევან აბესაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზუმე

სტატიაში „პანდემია და „ჩრდილოვანი განათლება“ საქართველოში საუბარია კერძო რეპეტიტორობის ეგრეთ წოდებული „ჩრდილოვანი განათლების“ სისტემაზე, რომელიც პარდემიის გამო მეტად მოთხოვნადი გახდა საქართველოში.

საქართველოში შვილებისათვის „უკეთესი“ განათლების მიღების მიზნით კერძო რეპეტიტორის მომსახურეობა ყოველთვის პოპულარული და მოთხოვნადი იყო. თუმცა, პერიოდულად იცვლებოდა დაკვეთა, როგორც საგნების სწავლების ასევე, სწავლების საფეხურების (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) კერძო მასწავლებლებთან მიმართებაში.

სტატიაში „პანდემია და „ჩრდილოვანი განათლება“ საქართველოში“ საუბარია „ჩრდილოვანი განათლების“ აქტუალიზაციის გამომწვევ მიზეზებზე, საფრთხეებზე და ამ ტიპის მომსახურეობით გამოწვეული პრობლემების გადაჭრის გზებზე.

საკვანძო სიტყვები: „ჩრდილოვანი განათლება“, „ზოგადი განათლება“, „სწავლა-სწავლება“, „კერძო რეპეტიტორი“, „სკოლა“, „საფრთხე“, „სოციალური უთანასწორობა“.

შესავალი

მთელ მსოფლიოში და არა მხოლოდ საქართველოში ძირითადი სასკოლო განათლების პარალელურად არსებობს ჩრდილოვანი განათლების სისტემა. სისტემაში ჩართულნი არიან როგორც ინდივიდუალურად, კერძო პირები ასევე, მოსამზადებელი ცენტრები. აღსანიშნავია, რომ მოსამზადებელი ცენტრების ბენეფიციარებს კერძო რეპეტიტორის მომსახურეობას სთავაზობენ არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით არამედ, მის ფარგლებს გარეთ.

1999 წლის იუნესკოს განათლების დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტმა (IIEP) კერძო რეპეტიტორობის მიმართულებით პირველი მნიშვნელოვანი კვლევა გამოაქვეყნა (Bray, 1999). მარკ ბრეის კვლევამ აკადემიური და პროფესიული წრეების ყურადღება მიიპყრო, რამაც ბიძგი მისცა სხვა მკვლევარების მიერ მსგავი კვლევების ჩატარებას (მაგ,: World Bank, მსოფლიო ბანკი, 2004, 2005; OECD, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, 2006; ADEA, აფრიკის განათლების განვითარების ასოციაცია, 2008; Open Society Institute, ღია საზოგადოების ინსტიტუტი, 2008; UNESCO, იუნესკო, 2004, 2007, 2008; UNICEF, იუნისეფი, 2007; Transparency International, ტრანსფარენსი ინტერნეშენელი, 2009; და სხვა).

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ საქართველოში დღემდე მსგავსი მასშტაბის კვლევა არ არსებობს, შესაბამისად უცნობია, თუ რა რაოდენობით მოსწავლე და მასწავლებელია ჩართული „ჩრდილოვანი განათლების“

სისტემაში, რატომ არის მოთხოვნადი მსგავსი მომსახურეობა, რამდენად არის ეს მოთხოვნა კავშირში სასკოლო განათლებასთან, რამდენად ხელმისაწვდომია ის ქალაქსა თუ სოფლად. და ბოლოს რა სიკეთისა, თუ ზიანის მომტანია ის საზოგადოებისთვის?

ძირითადი ნაწილი

ტერმინი „ჩრდილოვანი განათლება“ 2007 წელს იუნესკოს განათლების დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ ფორუმზე იქნა გამოყენებული. თუმცა 1999წ. გამოდის ამავე სახელწოდების წიგნი მარკ ბრეის ავტორობით (Bray, 1999), აღნიშნული ტერმინი კი მანამდე თავის შრომებში ჰქონდათ გამოყენებული მარიმუთუსს, სინგს (Marimuthu, Singh et al. (1991), სტივენსონს და ბეიკერს Stevenson and Baker (1992) და ჯორჯს (George (1992). თუმცა ტერმინის დამკვიდრება მაინც მარკ ბრეის (იუნესკოს საგანმანათლებლო დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (IIEP) დირექტორი 2006 წლიდან 2010 წლამდე. ჰონკონგის უნივერსიტეტის პროფესორი, 60-ზე მეტი ქვეყნის კონსულტანტი განათლების საკითხებში) სახელს უკავშირდება.

რატომ იქმნება „ჩრდილოვანი განათლების“ სისტემა და რამდენად მასშტაბურია ის საქართველოში? - „ჩრდილოვანი განათლების“ სისტემის მასშტაბის შესახებ მონაცემების მოპოვება საკმაოდ რთულია, რადგან სისტემაში ჩართულ პირებს, რეპეტიტორებს, მშობლებს და მოსწავლეებს არ სურთ ყურადღების მიქცევა. ვინაიდან, თითოეულ მათგანს აქვს ამის მიზეზი: მასწავლებლებმა იციან, რომ ისინი ეწევენიან არაფორმალურ საქმიანობას, რომლის დაბეგვრაც არ ხდება. მშობლებისა და მოსწავლეების ნაწილი კი ფიქრობს, რომ უმჯობესი იქნება, თუ მოსწავლის წარმატებას მის „ნიჭიერებას“ დაუკავშირებენ და არა რეპეტიტორის მომსახურეობას. მაგ:, გსმენიათ ალბათ ასეთი გამოთქმა „არც კი მომზადებულა ისე ჩააბარა უმაღლესში“.

როდესაც კერძო რეპეტიტორული მომსახურეობის მასშტაბზე ვსაუბრობთ მნიშვნელოვანია ვიცოდეთ რა ასაკის მოზარდები არიან ჩართულნი „ჩრდილოვანი განათლების“ სისტემაში. წარსულში, საქართველოში ამ ტიპის მომსახურეობა ძირითადად ორიენტირებული იყო უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ჩაბარებაზე, თუმცა სკოლის დამამთავრებელი ე.წ. „CAT”- ის საგამოცდო სისტემამ წარმოქმნა იმ საგნებში მომზადების მოთხოვნა, რომელიც დამამთავრებელ კლასებში ბარდებოდა გამოცდის სახით და ამით გაზარდა კერძო საგანმანათლებლო მომსახურეობის ბაზარი, თუმცა ამავე გამოცდების გაუქმებამ კვლავ ნაკლებად მოთხოვნადი გახადა ისეთ საგნებში მომზადება, როგორიცაა: ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, გეოგრაფია და სხვა. დამამთავრებელი გამოცდებისთვის კერძო რეპეტიტორულ საქმიანობაში ძირითადად სკოლის მასწავლებლები იყვნენ ჩართულნი. ხოლო უმაღლესში გამოცდების ჩასაბარებლად მსგავსი მომსახურეობისათვის მშობლები მიმართავენ როგორც სკოლის ასევე, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში დასაქმებულ პროფესორ-მასწავლებლებს. ეს უკანასკნელნი საქართველოში ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებამდე პირდაპირ ასოცირდებოდნენ უმაღლესში ჩაბარებასთან, ვინაიდან მოსწავლეთა უმრავლესობა იმ

პროფესორ-მასწავლებლებთან ემზადებოდნენ, რომლებიც საგამოცდო კომისიის წევრები ან თავმჯდომარეები იყვნენ. აღნიშნული კი პირდაპირ უკავშირდებოდა კორუფციასა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებას.

დღეს საქართველოში „ჩრდილოვანი განათლება“ მოიცავს ბაღის ასაკის პერიოდიდან სტუდენტობამდე ასაკის მოზარდებს. თუ, ჩვენ მოზარდების ასაკიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ საკმაოდ მასშტაბურ რაოდენობას მივიღებთ იმ ადამიანებისას, რომლებიც „ჩრდილოვანი განათლების“ სისტემაში არიან ჩართულნი.

კერძო რეპეტიტორების კლასიფიკაციის, ანუ ბაზრის მოთხოვნის ანალიზის საფუძველზე ჩვენ გარკვეულწილად შევძლებთ გავაანალიზოთ ის მიზეზები თუ რატომ იქმნება „ჩრდილოვანი განათლების“ სისტემა საქართველოში.

ბაღის ასაკის მოზარდებისთვის მშობლები ძირითადად უცხო ენებში მომზადებას ანიჭებენ უპირატესობას. 4-5 ხუთი წლის ბავშვთან ხშირ შემთხვევაში შინ სწავლებას ეწევა კერძო რეპეტიტორი.

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მომსახურეობაზე მოთხოვნა გაიზარდა პანდემიის პირობებში, ვინაიდან მშობლების უმეტესობა თვლის, რომ ონლაინ სწავლება ვერ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს და არგუმენტად ასახელებენ წერა-კითხვისა და არითმეტიკის საწყისი უნარების განვითარებისთვის აუცილებელ უშუალო კონტაქტს მასწავლებლებთან. აგრეთვე, ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც ოჯახში არის რამოდემიმე ბავშვი, მშობელი თვლის, რომ ვერ ადევნებს თვალს მათი სწავლების პროცესს და შესაბამისად, მნიშვნელოვნად მიიჩნევს კერძო მასწავლებლის დაქირავებას, ვიდრე ონლაინ გაკვეთილებზე ჩართვას.

შეიმჩნევა მოთხოვნილების გაზრდა საბუნებისმეტყველო და სხვა საგნების სწავლებზე და კერძო რეპეტიტორებზე, იმ შემთხვევებში, თუ მოსწავლე აღნიშნულ საგნებს აბარებს უმაღლეს სასწავლებელში, ან მშობლის აზრით შედარებით ჩამორჩება ბავშვი აკადემიური მაჩვენებლებით სხვა საგნებს.

ვფიქრობთ, რომ პანდემიის პირობებში უცვლელი დარჩა იმ პირთა რაოდენობა, ან მცირედით შემცირდა ეკონომიკური არასტაბილურობის გამო, რომლებიც კერძო რეპეტიტორის მომსახურეობას მიმართავდნენ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად.

მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის პირობებში დაწესებულია ადამიანთა შეკრებაზე შეზღუდვა, საქართველოში გაჩნდა არარეგისტრირებული მოსამზადებელი ცენტრები, რომლებშიც მუშაობა მიმდინარეობს მცირე ჯგუფებში და შესაბამისად ფინანსური თვალსაზრისით მშობელთათვის მეტად ხელმისაწვდომია. ცხადია, მსგავსი მომსახურეობის ხარისხი უცნობია, ასეთი მომსახურეობის მომწოდებლები ერთ-ორ წელიწადში ქრებიან ბაზრიდან, თუმცა მათ ადგილს სხვები იკავებენ ფინანსური ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით.

პარდემიის პირობებში ასევე, ფუნქციონირებას იწყებენ არალიცენზირებული ე.წ. საუბნო საბავშო ბაღები და ამ ასაკის აღსაზრდელთათვის

განკუთვნილი საგანმანათლებლო ცენტრები. მათ მომსახურეობაზე საჭიროება წარმოშვა მშობელთა იმ ნაწილის მოთხოვნამ, რომლებსაც პანდემიის გამო არ დაუკარგავთ სამსახური და კვლავ დასაქმებულები არიან.

როგორც აღწერიდან ჩანს საქართველოში „ჩრდილოვანი განათლება“ საკმაოდ დიდ ქსელს წარმოადგენს, რომელსაც ხელს უწყობს პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვები. აღნიშნული კი, რეპეტიტორთა მომსახურეობის ინტენსიობის გაზრდაზეც მიუთითებს.

საინტერესოა რატომ არის პოპულარული საქართველოში კერძო რეპეტიტორის მომსახურეობა და რამდენად უკავშირდება ის სასკოლო განათლების ხარისხს. ვფიქრობთ, რომ პირველი რიგის პრობლემას სწორედ სასკოლო განათლების ხარისხისადმი მშობელთა დაბალი ნდობის საკითხი წარმოადგენს. ზემოთაც აღვნიშნეთ და გავმეორდებით, საქართველოში ამ მიმართულებით კვლევები არ არსებობს, თუმცა შეგვიძლია ვიმსჯელოთ დაკვირვებისა და ქართველი მოსწავლეების საერთაშორისო შეფასებებით მიღებული დაბალი შედეგების მიხედვით (Piza, Pirls და სხვა). რა ფაქტორები განაპირობებს მშობელთა უნდობლობას სასკოლო განათლების მიმართ ბოლომდე უცნობია. რადგან მათი უმრავლესობა, ვინც უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას გეგმავს არ ელოდებოდა მოვლენების განვითარებას იმ სცენარით, რომ თუ, შემლებს ბავშვი უმაღლესში ჩაბარებას სკოლაში მიღებული ცოდნით, არამედ წინმსწრებად იწყებს მოზარდის კერძოდ მომზადებას, რათა „გარანტირებულად“ გახდეს მისი შვილი სტუდენტი.

კერძო რეპეტიტორის მომსახურეობის მოთხოვნის გაზრდის ერთ-ერთ ფაქტორად შეიძლება განვიხილოთ ე.წ. პრესტიჟის საკითხი, ვინაიდან კერძო მასწავლებლის ყოლა გარკვეულწილად ოჯახის ეკონომიურ სტატუსსა და კეთილდღეობაზე მიუთითებს. გარდა ამისა, ამ გადაწყვეტილებით ოჯახების ნაწილს საჩვენებლად გამოაქვთ პრიორიტეტები, რომ მათთვის განათლება მნიშვნელოვანია (ისინი კაპიტალს აბანდებენ განათლებაში).

„ჩრდილოვანი განათლების“ ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად ასევე შეიძლება განვიხილოთ მასწავლებელთა დაბალი ანაზღაურება, რაც მათ აიძულებს შემოსავლის გაზრდის მიზნით დაკავდნენ კერძო რეპეტიტორის საქმიანობით.

რა საფრთხეები ახლავს თან „ჩრდილოვან განათლებას“ და როგორ შეიძლება წამოჭრილი პრობლემების გადაჭრა- ვფიქრობთ, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფრთხე, რომელსაც ქმნის „ჩრდილოვანი განათლება“, ეს არის სოციალური უთანასწორობა და საზოგადოების იმ ნაწილის გაღიზიანება, რომელთათვისაც რეპეტიტორის მომსახურეობა არ არის ხელმისაწვდომი. არერთხელ გსმენიათ ალბათ, რომ „განათლება საქართველოში მხოლოდ მდიდრებისთვის არის“. თუ ჩვენ სასკოლო განათლებლის მიმართ უნდობლობის ფაქტორს გავითვალისწინებთ, გამოდის, რომ მათი ნაწილი, რომელიც არ ენდობა, მაგრამ საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობა არ აძლევს საშუალებას დაიქირაოს რეპეტიტორი, მართლაც ჩათვლის, რომ „განათლება მხოლოდ მდიდრებისათვის არის ხელმისაწვდომი“.

აგრეთვე შესაძლებელია სოციალური უთანსწორობის მაგალითად გამოგვადგეს ქალაქსა და სოფელს შორის რეპეტიტორის მომსახურეობის განსხვავებული ხელმისაწვდომობა. ამ შემთხვევაში შესაძლოა, რომ სოფლად მაცხოვრებელი მოსწავლე უთანასწორო პირობებში აღმოჩნდეს ქალაქის მოსწავლეებთან შედარებით. თუმცა საქართველოში ჩატარებული ოლიმპიადები და კონკურსები აბსოლიტურად სხვა სურათს გვაჩვენებს. მსგავს კონკურსებში არაერთხელ სწორედ რაიონის მაცხოვრებელი მოსწავლეები ყოფილან გამარჯვებულები და არა დიდი თუ პატარა ქალაქების. საინტერესო მათი წარმატება უკავშირდებოდა სასკოლო განათლებას, თუ ადგილობრივ „ჩრდილოვანი განათლების“ სისტემას. სამწუხაროდ, როგორც აღვნიშნეთ საქართველოში ამგვარი კვლევები არ არსებობს, შესაბამისად შეუძლებელია ამათუიმ წარმატებული შემთხვევის სასკოლო თუ „ჩრდილოვან“ განათლებასთან დაკავშირება.

ვფიქრობთ, რომ „ჩრდილოვანი განათლების“ არსებობა გარკვეულწილად პირდაპირ მიუთითებს სასკოლო განათლების სისტემის სისუსტეზე. შესაბამისად, სოციალური უთანასწორობის აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია სკოლებში საგანმანათლებლო კომპონენტის გაძლიერება. აგრეთვე, კერძო რეპეტიტორების საქმიანობის საკანონმდებლო ჩარჩოში მოქცევა ან სახელმწიფოს მხრიდან მოზნობრივი პროგრამების განხორციელება.

მაგალითისთვის შეიძლება განვიხილოთ ინგლისში განხორციელებული პროექტი (Brey, 1999), რომლის ფარგლებშიც სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს, რომლებიც სარგებლობდნენ უფასო სასადილოთი დამატებით უტარდებოდათ გაკვეთილები. საფრანგეთში კი, შესწავლილი იქნა მოსწავლეთა ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ყველაზე მეტად მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლებისათვის მოწვეული მასწავლებლები ატარებდნენ დამატებით გაკვეთილებს, აღნიშნული კი ფინანსდებოდა სახელმწიფოს მხრიდან მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში.

დასკვნა

„ჩრდილოვანი განათლება“ საქართველოში აშკარად აღრმავებს სოციალურ უთანასწორობას მოსახლეობაში და არღვევს განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპს.

მოსახლეობის იმ ნაწილისთვის კი, ვინც ფინანსური შეჭირვების გამო მიმართავს არალიცენზირებულ ან გაურკვეველი პროფესიის ადამიანებს, რომლებიც კერძო რეპეტიტორის საქმიანობას ეწევიან, კიდევ მეტად სავალალო მდგომარეობაში აგდებს მათ.

ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანია სახელმწიფო დონეზე მოხდეს პრობლემის გადაჭრა, საკითხის წამოჭრა, შემდგომი კვლევების ჩატარება და სკოლისადმი ნდობის გარდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბრეი მ. ჩრდილოვანი განათლების სისტემასთან დაპირისპირება. თბილისი: პოლარის პრინტი., 2009.

2. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ; კონსოლიდირებული ვერსია 15/07/2020 https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=87
3. საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსი; კონსოლიდირებული ვერსია 21/05/2020 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=1
4. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N187/ნ 2019წ. 6 სექტემბერი „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N126/ნ 2015წლის 28 სექტემბერი ცვლილებების შეტანის შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4651816?publication=0
5. საქართველოს მთავრობის დადგენილება №205 2020წლის 31 მარტი ქ. თბილისი „საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4840190?publication=0
6. https://www.researchgate.net/publication/343305039_Comparative_research_on_shadow_education_Achievements_challenges_and_the_agenda_ahead
7. https://www.researchgate.net/publication/329540980_Evolving_micro-level_processes_of_demand_for_private_supplementary_tutoring_patterns_and_implications_at_primary_and_lower_secondary_levels_in_China

Pandemic and "shadow education" in Georgia

Ketevan Abesadze, PhD student
Georgian Technical University

Summary120

The article "Pandemic and Shadow Education” in Georgia talks about the so-called ”shadow education” system of private tutoring, which has become very popular in Georgia due to the pandemic.

Private tutoring services have always been popular and in demand in Georgia in order to provide a "better" education for children. However, the order changed periodically with respect to private tutors for both the teaching of subjects and the levels of instruction (elementary, basic and secondary).

The article "Pandemic” and “Shadow Education in Georgia” talks about the reasons for the actualization of "Shadow Education", the dangers and ways to solve the problems caused by this type of service.

Keywords: "shadow education", "general education", "teaching-learning", "private tutor", "school", "danger", "social inequality".

ქართული სამოქალაქო საზოგადოების პოსტ-საბჭოთა კონტექსტი

მირანდა ბორცვაძე, დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

პოსტ-საბჭოთა სივრცის სამოქალაქო საზოგადეოებების წარმოშობის ისტორიული და კულტურული განსხვავებების ანალიზმა გამოავლინა, რომ ისტორიული გამოცდილება, რომელმაც ქვეყნების ასოციაციური ცხოვრების მოდელი ჩამოაყალიბა შემდეგი მახასიათებლით განისაზღვრება: პოსტ-საბჭოთა სივრცის სამოქალაქო საზოგადოებები ნულიდან არ შექმნილა და უკვე მე-20 საუკუნის დასაწყისიდან წარმოადგენდნენ საზოგადოების საკმაოდ მძლავრ და ფუნქციონალურ სეგმენტს როგორც პოლონეთში, ბალტიის ქვეყნებსა და ფინეთში, ასევე საქართველოში (რუსეთის იმპერიის ფარგლებში) სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების კუთხით მნიშვნელოვანი როლი ეკისრება 1989 წლის მოვლენებს, რომელიც უდავოდაა აღიარებული, როგორც სამოქალაქო საზოგადოებების მოძრაობების გამარჯვებად მონოლითურ კომუნისტურ რეჟიმებზე. საინტერესოა, რომ როგორც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, ასევე საქართველოში ამ ისტორიულმა წინაპირობამ „სამოქალაქო საზოგადოების“ კონცეფცია გააიგივა ოპოზიციურ (დისიდენტურ) ჯგუფებთან; მნიშვნელოვანია, სამოქალაქო საზოგადოების და მისი ინიციატივების შეფასებისას გათვალისწინებულ იქნას ქვეყნებში დემოკრატიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯების ისტორიული ვადები, კომუნისტური ლიდერების ზეგავლენის დონე და დამოკიდებულება ასოციაციური ცხოვრების მიმართ, კომუნიზმის დამხობის შემდეგ ახალი სამოქალაქო ორგანიზაციების მშენებლობაში ჩადებული ენერგიის სიმტკიცე, ისტორიული და კულტურული ფაქტორები და ასევე სამოქალაქო საზოგადოების ყველა ფორმის ინიციატივებისადმი ყურადღების მიპყრობა.

საკვანძო სიტყვები: სამოქალაქო საზოგადოება, აქტივიზმი, სოციალური მოძრაობა, ინიციატივა, დემოკრატია.

შესავალი

სტატიაში საუბარია ქართული სამოქალაქო საზოგადოების პოსტ-საბჭოთა კონტექსტზე. მნიშვნელოვან ასპექტებზე, რომელიც გასათვალისწინებელია სამოქალაქო საზოგადოების და მისი ინიციატივების შეფასებისას.

მრავალი კვლევა მიუთითებს ,საერთაშორისო დახმარების როლზე სამოქალაქო საზოგადოების შენებაში და ითვლება, რომ მსგავსმა ისტორიულმა გამოცდილებამ განაპირობა ამ ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებების მსგავსება, მეტ წილად ნეგატიურ კონტექსტში. პოსტსაბჭოთა სივრცის სამოქალაქო საზოგადოებას ხშირად 1989 წლის მემკვიდრეობად უწოდებენ და ამავდროულად აკრიტიკებენ, რომ იგი სუსტი და ფრაგმენტულია, ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს და ვერ პასუხობს ხალხის საჭირობებს. რასაკვირველია, არსებული შეფასება ეფუძნება მსოფლიო

მასშტაბით გაკეთებულ ანგარიშებსა და დოკუმენტებს, რომლებიც ხშირად ერთდროულად შემუშავდება და მხოლოდ აღწერილობით ხასიათს ატარებენ. გარდა ამისა, შეფასება გულისხმობს მხოლოდ დასავლური ტიპის დონორთა მიერ მხარდაჭერილ ე.წ. „არასამთავრობო სექტორს“ და არ განიხილავს სამოქალაქო საზოგადოების სხვა არა-ინსტიტუციონალიზებულ ჯგუფებს.

ძირითადი ნაწილი

სამოქალაქო საზოგადოება „იმ ინსტიტუციების, ორგანიზაციების, სუბიექტების, ფასეულობების, ქსელების (...და სხვა) ერთობაა, რაც დგას სახელმწიფო ეკონომიკურ და პოლიტიკურ საზღვრებს მიღმა. ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების არსებობა მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის კულტურულ და ისტორიულ კონტექსტთან. მე-20 საუკუნეში საბჭოთა რეჟიმის მოსუსტებასთან ერთად, პოლიტიკურმა ცვლილებებმა საშუალება მისცა აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, ასევე საქართველოში ეროვნული შეგნების გაღვიძებას, ასევე ახალი ტიპის ლიბერალურ-დემოკრატიული ნორმების სახელმწიფოს ჩამოყალიბებისკენ სწრაფვას, რამაც ბუნებრივად განაპირობა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ინტერესი. პოსტ-საბჭოთა სივრცის სამოქალაქო საზოგადოებების წარმოშობის ისტორიული და კულტურული განსხვავებების ანალიზმა გამოავლინა, რომ ისტორიული გამოცდილება, რომელმაც ქვეყნების ასოციაციური ცხოვრების მოდელი ჩამოაყალიბა შემდეგი მახასიათებლით განისაზღვრება: პოსტ-საბჭოთა სივრცის სამოქალაქო საზოგადოებები ნულიდან არ შექმნილა და უკვე მე-20 საუკუნის დასაწყისიდან წარმოადგენდნენ საზოგადოების საკმაოდ მძლავრ და ფუნქციონალურ სეგმენტს როგორც პოლონეთში, ბალტიის ქვეყნებსა და ფინეთში, ასევე საქართველოში (რუსეთის იმპერიის ფარგლებში) სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების კუთხით მნიშვნელოვანი როლი ეკისრება 1989 წლის მოვლენებს, რომელიც უდავოდაა აღიარებული, როგორც სამოქალაქო საზოგადოებების მოძრაობების გამარჯვებად მონოლითური კომუნისტურ რეჟიმებზე. საინტერესოა, რომ როგორც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, ასევე საქართველოში ამ ისტორიულმა წინაპირობამ „სამოქალაქო საზოგადოების“ კონცეფცია გააიგივა ოპოზიციურ (დისიდენტურ) ჯგუფებთან; კომუნისტური რეჟიმები არა მხოლოდ ახშობდნენ დამოუკიდებელ სოციალურ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს, არამედ აქტიურად აშენებდნენ საკუთარ ასოციაციურ სტრუქტურებს (სავაჭრო კავშირები და პროფესიული ასოციაციები, ეკლესიები და სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების -ახალგაზრდების, ფერმერების, ვეტერანების, მომხმარებლების, ქალთა, ეკოლოგისტთა, სპორტისა და სხვა), რაც ქმნიდა მძლავრ ინტელექტუალურ და ინსტიტუციურ პოტენციალს, რომელიც გარკვეული ქვეყნების შემთხვევაში მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ სახელმწიფოს ჩარჩოს მიღმა, ქვეყნის დამოუკიდებლობის პირობებში.

წარმომადგენლობითმა დემორკატიამ შეიძლება წარმოშოს უმრავლესობის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. რასაკვირველია, დამოუკიდებელი ასოციაციების კონტროლის გარეშე დემოკრატია შეიძლება

გადაიზარდოს „უმრავლესობის ტირანიაში“. ხელისუფლების ყველა შტოს სავარაუდო დემოკრატიულობის შემთხვევაშიც კი სამოქალაქო საზოგადოების როლი და ფუნქცია მნიშვნელოვანია ქვეყანაში ბალანსის ხელშესაწყობად. დემოკრატიულ ქვეყნებში სამოქალაქო აქტივიზმის კულტურა და „აქტიური მოქალაქე“ დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა და სწორედ „აქტიური მოქალაქის“ თვითდაკისრებული პასუხისმგებლობა, რომ წვლილი შეიტანოს ქვეყნის საზოგადო ცხოვრებაში, შეავსოს და გამოასწოროს ის ხარვეზები, რაც სახელმწიფო პოლიტიკას გააჩნია, წარმოადგენს დემოკრატიული სისტემის ფუნქციონირების აუცილებელ კომპონენტს (Seligman 1995). საბჭოთა სივრცე არ იძლეოდა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების საშუალებას და ამ სივრცის დაშლის შემდეგ საქართველოში, სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნების მსგავსად, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების საფუძველის ჩაყრა საერთაშორისო დონორთა მიერ, მე 20 საუკუნის 1990-ანი წლების დასაწყისში დაიწყო და დღემდე გრძელდება ე.წ. „არასამთავრობო ორგანიზაციების“ დაფუძნებითა და მათი მხარდაჭერით. დაფუძნებიდან დღემდე - ამ ტიპის ორგანიზაციების 7 პრიორიტეტია დასავლური ტიპის ლიბერალური ღირებულებები და საქმიანობები მოიცავენ ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა დემოკრატიზაცია, ადამიანის უფლებები, სამოქალაქო განათლება, თემის განვითარება, სიღარიბის აღმოფხვრა, გარემოს დაცვა, სახელმწიფო პოლიტიკის მონიტორინგი, ეფექტიანი მმართველობის ჩამოყალიბება, სამოქალაქო ადვოკატირება და სხვა. თუკი მე-20 საუკუნის 1990-ან წლებში დონორთა მიერ მხარდაჭერილი პროგრამები მეტ-ნაკლებად სექტორს შიგნით (დონორი სამოქალაქო საზოგადოება- ბენეფიციერები) ხორციელდებოდა, ბოლო 15 წლის განმავლობაში პრიორიტეტი მიენიჭა პოლიტიკის ადვოკატირებას, ქვეყნის საჭირბოროტო საკითხების სახელმწიფო (ეროვნულ ან რეგიონულ) დონეზე მოსაგვარებლად.

დასკვნა

ამრიგად წარმოდგენილი განსხვავებები განაპირობებენ პოსტ-საბჭოთა სივრცის სამოქალაქო საზოგადოებების განსხვავებულობას. შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოებას და მისი ინიციატივების შეფასებისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას ქვეყნებში დემოკრატიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯების ისტორიული ვადები, კომუნისტური ლიდერების ზეგავლენის დონე და დამოკიდებულება ასოციაციური ცხოვრების მიმართ, კომუნიზმის დამხობის შემდეგ ახალი სამოქალაქო ორგანიზაციების მშენებლობაში ჩადებული ენერგიის სიმტკიცე, ისტორიული და კულტურული ფაქტორები და ასევე სამოქალაქო საზოგადოების ყველა ფორმის ინიციატივებისადმი ყურადღების მიპყრობა. გამომდინარე ზემოთქმულიდან, ქართული სამოქალაქო საზოგადოების დღემდე არსებული შეფასებები ლიმიტირებული ხასიათისაა და თავად ტერმინს „პოსტ-საბჭოთა სამოქალაქო საზოგადოება“ აქტუალობა დაკარგული აქვს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მუსხელიშვილი, მ. (2006). სამოქალაქო საზოგადოება: შედარებითი ანალიზი. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი
2. მ.ბეგიაშვილი, დ. ბოსტოღანაშვილი, დლეჟავა, დ, ლოსაბერიძე, მ. მკალავიშვილი, გ. ნოზაძე, ს.ნოზაძე.დემოკრატიაზე გარდამავალი პერიოდი და აქტიური მოქალაქეობა. თბილისის პროექტთა ბიურო,თბილისი 2007.
3. შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. ავტორთა ჯგუფი. თბ., 2017.
4. ფილოსოფიური ძიებანი .საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. ტომი XXII .თბილისი 2018
5. ფილოსოფიური ძიებანი .საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. ტომი XXIII თბილისი 2019 წ.

Post-Soviet context of Georgian civil society

Miranda Bortsvadze, PhD student
Georgian Technical University

summary

The analysis of the historical and cultural differences in the post-Soviet space, the origins of civil societies, revealed that the historical experience that has shaped the model of the associative life of countries is characterized by the following characteristics:Civil societies in the post-Soviet space were not created from scratch and have been a very powerful and functional segment of society since the early 20th century in Poland, the Baltic states and Finland, as well as in Georgia (within the Russian Empire).An important role in the formation of civil society is played by the events of 1989, which are undoubtedly recognized as the victory of civil society movements over monolithic communist regimes. Interestingly, in both Central and Eastern Europe, as well as in Georgia, this historical precondition equated the concept of "civil society" with that of opposition (dissident) groups.

It is important to consider the historical timelines of steps towards democratization in countries when evaluating civil society and its initiatives;The level of influence and attitude of communist leaders towards associative life,The strength of the energy invested in the construction of new civil society organizations after the overthrow of Communism;Historical and cultural factors as well as attention to all forms of civil society initiatives.

Keywords: Civil society, activism, social movement, initiative, democracy.

„გადაწყვეტილების მიღება, მისი შეცვლა და მისი კვლევის ტრადიციები“

ზაზა გაბუნია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განიხილება რისკისადმი მიდრეკილება, როგორც პიროვნების მძაფრი თვისება. რისკისადმი მიდრეკილება ან რისკიანობა განიხილება, როგორც პიროვნების მძაფრი სისტემური ინტეგრალური თვისება- პოლი-კომპონენტური თავისი სტუქტურით, რომელიც მოიცავს ფორმალურ-დინამიკურ- ხარისხობრივ- შინაარსობრივ- სოციალურ-იმპერატიულ დახასი-ათებებს. განმარტებულია რისკი და რისკისადმი მიდრეკილება, რისკოგენობა და რისკოგენური პიროვნება. აღწერილია კონტინუალური მიდგომის 3 დონე.

საკვანძო სიტყვები: „რისკისადმი მიდრეკილება“, „ლტოლვა“, „რისკიანობა“, „პიროვნების თვისება".

შესავალი

ჩვენი დროისათვის დამახასიათებელ თვისებას, რომელიც განსახვავდება მისი შორეული წარსულის ათასწლეულისაგან- წარმოადგენს დაჟინებული ძალისხმევა დაამყაროს კონტროლი რისკისა და გაურკვევლობის ფაქტორებზე.

როგორც წარმატებაში სრული თავდაჯერებულობის არქონა, ასევე ცნება „მზაობა რისკის მიმართ“ პირველად გაჩნდა 1960-იან წლებში. ამერიკელმა მეცნიერებმა შემოგვთავაზეს, რომ რისკისადმი მზაობის გამოვლენის ხარისხის მიხედვით ადამიანები შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიად: „რისკიანებად“ და „ფრთხილებად“. პირველები გამოირჩევიან სწრაფვის, ლიდერობისადმი მისწრაფების, სხვა ადამიანებზე გავლენის მოხდენის უნარის მაღალი დონით, მეორენი არიან გაუბედავნი, ფრთხილები ადამიანების შერჩევასა და სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში- მიდრეკილნი არიან მორჩილებისკენ. რისკისადმი მზაობა შეიძლება გამოვლინდეს, როგორც ადამიანის მოქმედე-ბებში- ქცევაში, ასევე მის განცდებსა და მსჯელობაში, აზრებში.

ძირითადი ნაწილი

ხშირად ლიტერატურაში რისკიანობა - არა რისკიანობა, გაურისკავობა განიხილება, როგორც ქცევის მახასიათებელი- პიროვნულ-სიტუაციური და სოციალური ფაქტორების შენაერთი. ზოგიერთი ავტორი გამოყოფს პიროვნების ხასიათის განსაკუთრებულ ნაკრებს- კომპლექსს, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის ქცევის რისკიანობა _ არარისკიანობაზე, გაურის-კავობაზე- ისევე, როგორც სიტუაციები, რომლებიც პროვოცირებენ რისკიან ქცევას. ამგვარად დადგენილია, რომ აგრესიული ადამიანები დომინირებისა და თვითდამკვიდრების ძლიერი მოთხოვნილებით უფრო რისკიანები არიან.

ზოგიერთ სამუშაოზე დადგენილია, რომ რისკისადმი მიდრეკილება დაკავშირებულია პიროვნების მრავალ თვისებასთან- ისეთთან, როგორიცაა

შფოთიანობა, მოუსვენრობა, კონფლიქტურობა, აგრესიულობა, მწვავე შეგრძნებებისაკენ სწრაფვა.

რისკიანი პიროვნების თვისებას მიაკუთვნებენ ექსტრემალურად გამოხატულს- არაპოგნოზირებად მოთხოვნილებას, სურვილს, სურვილს დომინირება მოახდინონ სხვა ადამიანებზე. ამის გარდა აღნიშნავენ, რომ ასეთი ადამიანებისთვის დამახასიათებელია ცუდი თვითმმართველობა, ემოციური სფეროს ბატონობა რაციონალურზე- სუსტად გამოხატული თვითგადარჩენა, თავდაცვა, თვითგადარჩენის შესუსტებული ინსტიქტი, იმპულსურობა, რისკიანობის მუხტის ქონა, რიგიდულობა, ინდივიდუალისტურობა, ჰიპერაქტიულობა, ინიციატიურობა, განზრახვის ავანტიურულობა, მიდრეკილება მოტყუებისაკენ.

ჩვენ ვთვლით, რომ ამ ფსიქოლოგიურმა განსაკუთრებულობამ შეიძლება მოიცვას ადამიანის ხასიათების საკმაოდ ფართო დიაპაზონი. ისინი შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა თვისებებში და სხვადასხვა ხარისხში, სუბიექტის „სარისკო სიბრმავიდან“ „რისკიან გამჭრიახობამდე“ - „რისკიანი უგრძნობელობიდან“ „რისკიან მგრძნობელობამდე“. ამგვარად- შეიძლება ჩაითვალოს, რომ ზოგიერთი ადამიანის რისკიანობა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი თავიანთი მოქმედებით, საქციელით, რომელთა მეშვეობითაც ვლინდება მათი პიროვნების ცალკეული თვისებები ზრდიან აღძრული სიტუაციის რისკოგენობას, ხოლო ზოგჯერ კი ქმნიან მას გაურკვევლობის ხარისხის თვალსაზრისით, ნეიტრალურ სიტუაციებში.

რა არის რისკიანი ქცევის მიზეზი? სიტუაციები და გარემოებები, პიროვნების ცალკეული თვისებების ნაკრები თუ სოციალური თვისების ქონა, რომელიც ვლინდება რისკიანი ქცევისადმი მდგრად მიდრეკილებაში? მაგალითად: კოზელეცკის ნაშრომებში მთლიანად არ გამოირიცხება ჰიპოთეზა- დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბებულ კოგანის და უოლახის მიერ, რომელთა თანახმადაც არსებობს ადამიანთა გარკვეული კლასი, რომლებიც რისკთან დაკავშირებულ სიტუაციებში იქცევიან ერთნაირად, როგორც დეტერმინირებულ ამოცანებში, ასევე შემთხვევითი ტიპის ამოცანებში ისინი უპირატესობას ანიჭებენ რისკის ერთნაირ დონეს. ასეთი ადამიანებისთვის დამახასიათებელია რისკისადმი მუდმივი მზადყოფნა. ისინი ყოველთვის ირჩევენ რისკს.

სხვა სიტყვებით ასეთი ადამიანებისათვის რისკის უპირატესობის ფუნქცია წარმოადგენს მუდმივს და არ ექვემდებარება ცვლილებებს, გადაწყვეტილებების მიღების, ამოცანების სახეობისდამიხედვით.

ინდივიდუუმისშინაგანიგანწყობილებარისკისადმიხშირადგანიხილება, როგორც პიროვნების თანდაყოლილი მახასიათებელი. ამ განწყობილებამ შეიძლება განსაზღვროს რისკის აღქმის ხერხები და გავლენა მოახდინოს იმაზე, რომ აღვიქვამთ თუ არა ჩვენ სიტუაციას, როგორც პერსპექტიულს თუ როგორც მუქარის შემცველს, საშიშს. მკვლევარებმა აღმოაჩინეს პიროვნების საყურადღებო მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც განეკუთვნება რისკს. ეს არის მიდრეკილება ახალი შთაბეჭდილებების ძიებისაკენ.

კორნილოვა მაგალითად- აგრეთვე თვლის, რომ რისკისადმი გარკვეული

განწყობილებისა და ამ განწმობილების მხარდამჭერი პირობების არსებობის დროს შეიძლება ჩამოყალიბდეს რისკისადმი მყარი მიდრეკილება, რომელიც დროთა განმავლობაში ხდება პიროვნების თვისება. ამგვარი თვისება გულისხმობს სუბიექტის მიერ თავისი წარსული გამოცდილების შეფასებას- „მე ვრისკავ“ გრძნობის და შანსის სიტუაციაში საკუთარი მოქმედებებისა შედეგიანობის თვალსაზრისით.

ხშირად რისკისადმი მიდრეკილების აღნიშვნისათვის გამოიყენებენ აგრეთვე მცნებას რისკისადმი მისწრაფება, რისკზე ორიენტაცია და სხვა. მაშ ასე, ვიდრე დაწვრილებით განვიხილავთ პიროვნების ხასიათს, თვისებას, რომელსაც რისკისადმი მიდრეკილება ჰქვია, ჩვენ ვთვლით მიზანშეწონილად დავაზუსტოთ ისეთი მსგავსი, მნიშვნელობით ახლო მცნებები როგორიცაა:

რისკი- ეს არის კატეგორია, რომლითაც ხასიათდება სუბიექტების საქციელი გაურკვევლობის პირობებში ალტერნატიული რიცხვიდან ოპტიმალური გადაწყვეტილების შერჩევისას სასურველი რეზულტატის მიღწევის ალბათობისა და მისგან გადახრის ხარისხის შეფასების საფუძველზე. გადაწყვეტილების მიღებისას რისკი ჩნდება მაშინ, როცა შედეგები არ არის განსაზღვრული, გამოკვეთილი, მაგრამ თითოეული მათგანის დახასიათების, ხასიათის ალაბთობა ცნობილია. რისკი, ეს არის საშიში მოვლენის, ამბავის არასასურველი შედეგების, ზარალის, დანაკარგის დადგომის მაღალი ალბათობა.

რისკოგენური სიტუაცია- ეს არის ადამიანთა უმრავლესობისათვის სიტუაციები ან საქმიანობა გაურკვევლობის მაღალი ხარისხით, რომელიც წარმიოშვება მათი სუბიექტური შესაძლებლობისაგან. ეს ისეთი სიტუაციებია, რომლებიც შეიცავენ თავის თავში რისკს.

რისკოგენობა- არის ზოგიერთი პიროვნების უნარი თავისი მოქმედებებით, ქცევით, მათი პიროვნების გარკვეული თვისებებით გაზარდოს წარმოშობილი, აღძრული სიტუაციის რისკოგენობა, ხოლო ზოგჯერ კი შექმნას კიდეც იგი- გაურკვევლობის ხარისხის თვალსაზრისით ნეიტრალურ სიტუაციაშიც კი.

რისკოგენური პიროვნება- ეს არის პიროვნება, რომელიც ფლობს თვისებათა ამგვარ კომპლექსს, რომლებიც ხელს უწყობენ რისკის წარმოშობას.

რისკისადმი მიდრეკილება, რისკიანობა ან რისკ-ხასიათი განიხილება ჩვენს მიერ როგორც პიროვნების მდგრადი სისტემური ინტეგრალური თვისება, პოლიკომპონენტური თავისი სტრუქტურით, რომელიც მოიცავს ფორმალო- დინამიკურ, თვისობრივ - შინაარსიან, სოციალურ - იმპერატიულ დახასიათებას, ხასიათს. წარმოვადგენთ რა ამგვარად რისკისადმი მიდრეკილებას, ჩვენ ვეყრდნობით კონტინუალურ მიდგომას პიროვნების სტრუქტურის გამოკვლევისას, რომლებიც სანნიკოვამ შემოგვთავაზა. მოცემული მიდგომის კონტექსტში პიროვნება განიხილება, როგორც მაკროსისტემა, რომელიც თავისი სტრუქტურით შედგება სხვადასხვა დონიანი ქვესისტემებისაგან და ფლობენ სპეციფიურ დახასიათებებს (თვისებებს) დონეების სახით გამოიყოფა:

1) ფორმალო_დინამიკური
2) შინაარსობრივ_პიროვნული

3) სოციალურ_იმპერატიული

პირველ დონეს ავტორი მიაკუთვნებს ყველა თვისებათა ერთობლიობას, რომელიც ასახავს ფსიქიური მოვლენების მიმდინარეობის დინამიკას და კონსტიტუციონალური ხასიათის ინდივიდურ თვისებას. მეორე მოიცავს საკუთრივ პიროვნულ თვისებებს. პიროვნების გაგება ამ სიტყვის ვიწრო გაგებით მიმართულებას, მოთხოვნილებას, სამოტივაციო სფეროს და სხვა. მესამე დონეს პირობითად ეწოდა სოციალურ-იმპერატიული, მბრძანებლური, დაჟინებით, უსიტყვოდ მომთხოვნი თუ პირველი ორი დონე შეხმატკილებულია ვერბალურადაც და აზრობრივადაც ფსიქიკურის ორასპექტიანობის დინამიკურ და შინაარსობრივი წარმოდგენასთან, მაშინ ამ დროს მესამე დონე მოიცავს დახასიათების, ხასიათის იმ კლასს, რომელიც ასახავს პიროვნების მიერ საზოგადოებაზე არსებულ წარმოდგენებს, მორალს, ნორმებს, კულტურას, ცოდნას და სხვა, და თვითონ პიროვნების მორალსაც. მესამე დონე მკაცრად კონტროლირდება ცნობიერებით ბშეგნებით.

დონეებს შორის საზღვარი პირობითია- გადასვლები ერთიდან მეორეში წარმოქმნიან ერთგვარ სასაზღვრო სივრცეს- რომლებიც აერთიანებენ ორი მეზობელი დონეებისათვის კუთვნილ თვისებებს. ამ გადასვლებს აქვთ თავისი სპეციფიკური შინაარსი. ფორმალო-დინამიკური- პირველი დონე და შინაარსობრივ_პიროვნული, მეორე. დონეების გადაკვეთის ზონა მოიცავს ორივე კლასისათვის საერთო დახასიათებას. ხასიათს, თვისებას, რომელსაც ერთმნიშვნელოვნად ვერ მივაკუთვნებთ მხოლოდ რომელიმე ერთ მათგანს. აქ გამოიკვეთება ტემპერამენტისა და პიროვნების ფსიქოლოგიური შემადგენლების თვისობრივი განსაკუთრებულობა. სასაზღვრო ზონა მეორე და მესამე დონეებს შორის წარმოგვიდგება როგორც ორივე დონისათვის კუთვნილი თვისება, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის, ცოდნის და საერთოდ გარე სამყაროს ნებისმიერი მიზანმიმართული ზემოქმედების, ინდივიდუალური გამოცდილების, ცნობიერების, თვითშეგნების გადამუ-შავებას. მოცემული დონეები დაკავშირებულია ურთიერთშორის და აღწე-ვენ ერთმანეთში. ზუსტად ეს ხსნის ცალკეული ფსიქიკური თვისებების განვითარებას, რომელიც გამსჭვალავს პიროვნებას ქვედა დონეებიდან ზემო, უმაღლესი დონეებისკენ.

დასკვნა

ამგვარი თვისებების რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ რისკიანობაც ან რისკ-ხასიათიც. როგორც პიროვნების თვისება, იგი შეიძლება გამოვლინდეს ყველა დონეზე. თითოეულ მათგანზე გააჩნია თავისი სპეციფიკური შინაარსი, რაც ნიშნავს, რომ წარმოადგენს თანაბარ დონიან თვისებას. ამასთან სხვადასხვა დონის დახასიათებებს შეიძლება ქონდეთ ერთმანეთს შორის თავისებური ურთიერთქმედება- ავსებენ ერთმანეთს და წარმოქმნიან მთლიან ინტეგრალურ თვისებას, რომელიც არ შედის მის შემადგენელში. ამგვარად, რისკიანობა, როგორც რისკ-ხასიათი არ შეიძლება გამოვიდეს როგორც პიროვნების სისტემური ინტეგრალური თვისება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://openscience.ge/
2. http://psixologiya.org/socialnaya/emocionalnyj-intellekt/1674-emoczional-nyj-intellekt-kak-kriterij-uspeshnosti-i-effektivnogo-liderstva.html
3. http://ecvator.livejournal.com/6100.html
4. http://eprints.iliauni.edu.ge
5. http://gfpaa.ge/

Decision making, its modification and its research traditions

Zaza gabunia, PhD student
Georgian Technical University

Summary

The article discusses risk aversion as a strong personality trait. Risk-taking or risk-taking is considered as a strong systemic integral feature of a person - polycomponent with its structure, which includes formal-dynamic-qualitative-content-social-imperative characteristics. Explains risk and risk aversion, risk-taking and risk-taking personality. 3 levels of continuous approach are described.

Keywords: "risk-taking", "longing", "risk-taking", "personality trait".

კლასიკური ჩინურ ფილოსოფიის სოციალური და პოლიტიკური მოსაზრებები (770 -221 ძ.წ)

სულხან ინაიშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოსაზრებები მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ჩინეთის ფილოსოფიაში, უძველესი დროიდან დღემდე. მეცხრამეტე საუკუნემდე ჩინურ ენაში არ იყო კორელაცია "სოციალურსა" და "პოლიტიკურს" შორის, თუმცა ჩინელი მოაზროვნეები მუდმივად იყვნენ შეშფოთებულნი, თუ როგორ ახდენენ ეფექტს ინდივიდები და ინსტიტუციები საზოგადოებაზე, რასაც ჩვენ დღეს სოციალური და პოლიტიკურ მეთოდებს ვუწოდებთ. ზოგიერთ შემთხვევაში, ფილოსოფოსები ყურადღებას ამახვილებენ მხოლოდ მმართველობასა და სახელმწიფოზე, მაგრამ, სხვა მრავალ შემთხვევაში, რაიმე ძლიერი განსხვავება არ ხდება პოლიტიკურ, სოციალურ, და, ხანდახან, ოჯახურ თუ ინდივიდუალურ სფეროებს შორის.

რამდენიმე კითხვა უმთავრესია გუან ძის, კონფუცის, ხუნ ჟის, შენ ბუჰაის, დაო დე ძინის სწავლებებში, თუ როგორ უნდა შენარჩუნდეს „წესრიგი (指令 – ჟი) “, რომელიც ხანდახან ჰარმონიასთან (和谐ჰესიე) არის გაიგივებულ? რა დონეზე უნდა დავეყრდნოთ ინსტიტუციებს და რა ხარისხით არის მნიშვნელოვანი ადამიანის ხელმძღვანელობა? რა სახის როლები, ურთიერთობები ან იერარქები უნდა აყალიბებდეს ჩვენს საზოგადოებებს და როგორ არიან ისინი გამართლებული? შესაძლებელია თუ არა მათი გამოწვევა ან შეცვლა? რამდენადაც საზოგადოება იყოფა მმართველებად და მართველებად, რა პასუხისმგებლობა ეკისრება თითოეულს და რატომ?

საკვანძო სიტყვები: ჩინური ფილოსოფია, გუან ძი, კონფუცი, ხუნ ჟი, შენ ბუჰაი, დაო დე ძინი

ძირითადი ნაწილი

გუანძი: სტაფილო და ჯოხი. გუანძის ადრეული თავები წარმოადგენენ მმართველობის შესახებ პირველ თეორიულ ნაშრომებს. "ხალხის მწყემსმთავრის" ცნობილი მონაკვეთიდან ვგებულობთ, რომ "მთავრობის წარმატება ხალხის გულების მიდევნებაა." წარმატება არ არის განსაზღვრული, როგორც ხალხის გაბედნიერება, ის ნიშნავს ძლიერი სახელმწიფოს შექ-მნას, რომელიც საუკუნეებს გაუძლებს. თუმცა, ხალხის სურვილების გათვალისწინება წარმატების აუცილებელი პირობაა.

ამრიგად, როდესაც გრანულები სავსეა, ხალხს ეცოდინება კეთილგანწყობა და ზომიერება; როდესაც მათი ტანსაცმელი და საკვები ადეკვატურია, ისინი შეიტყობენ განსხვავებას პატივსა და სირცხვილს შორის. ანალოგიურად თუ მმართველს შეუძლია უზრუნველყოს ხალხის არსებობა და უსაფრთხოება,ისინი მზად იქნებიან გაუძლონ მისთვის საშიშროებას და უბედურებას. (გუანძი, 1, გვ. 54 და 52). გუანძი წარმოაჩენს მმართველობის ორ ვერსიას, რომლებიც გვხვდება მეომარი სახელმწიფოების ტექსტებში:

ხალხის აღზრდა და მათი სტანდარტების დაწესება.(Gunzi, 3, p.3, p 98).

გარდა ამისა, მათ, რომლებიც მწყემსავენ ხალხს, სურთ რომ ეს პროცესი იყოს კონტროლირებადი, ხოლო ამის მისაღწევად საჭიროა მაღალი სტანდარტების დაცვა. თავის მხრივ ეს სტანდარტები მოითხოვენ საპატიო წოდებებს და საცერემონიო სამოსელს, დამსახურებულთათვის ხელფასების და ჯილდოების გაცემას, შენობების უზრუნველყოფას და სასჯელის აღსრულებას. ამგვარად სახელმწიფოს მართვისათვის ორი წინაპირობა წარმოდგენილი - ხალხის აღზრდა და სტანდარტების დაწესება.(GZ. Ch.3.p38)

კონფუცის ანალექტები (論語 ლუნიუ) და მენციუსი. კონფუცის ანალექტების თეორიას ბევრი რამ აქვს საერთო გუანძისთან. მთავრობასთან დაკავშირებით, კონფუცი ამბობს: „საკმარისი საკვები; საკმარისი იარაღი; ხალხი, რომელსაც აქვს ნდობა მმართველის მიმართ" (Lunyu 12: 7, გვ. 91). აქედან ყველაზე მნიშვნელოვანია "ნდობა (自信 - ში)". აქ „ნდობა" ნიშნავს იმას, რომ პიროვნების იდენტიფიცირება ხდება მმართველთან, რის გამოც იგი აშკარად ეძებს იმას, რაც მისთვის კარგია (Lunyu 13: 29 :30)

იმის შესახებ, მოკლას თუ არა მმართველმა თავისი ქვეშევრდომი, როდესაც ის ვერ ასრულებს თავის ვალდებულებას, კონფუცი პასუხობს: „შენ ხარ იმისთვის რომ მართო, რა სარგებელს მიიღებ რომ დახოცო ისინი? თუ გსურს კარგი, ხალხიც კარგი იქნება. ღირსეული ადამიანის სათნოება არის ქარი, პატარა ხალხის კი - ბალახი. ქარი ბალახს დანამდვილებით დახრის. (LY 12.19, p 94).

მენციუსის აზრით კი, მმართველობის სასურველი მოდელი უნდა იყოს „ჰუმანური მთავრობა (申请 - რენჟენგი)". ეს ნიშნავს რომ, მმართაველს შვილებივით უნდა უყვარდეს თავისი ხალხი, შეეძლოს მათი აღზრდა და როლის მინიჭება. თუ იგი მხოლოდ „სარგებელის" საფუძველზე იქცევა, მისი სუბიექტებიც ასე მოიქცევიან და შედეგი იქნება ქაოსი და ტანჯვა, და არა, წესრიგი, ჰარმონია და ურთიერთპატივისცემა, ყველაფერი რაც ნამდვილი ჰუმანური მმართველობით მოიპოვება (მენციუსი 1ა: 1).

ხელწმიფე ვერასდროს მოიპოვებს ხალხის ნდობას და ერთგულებას, თუ ის მხოლოდ სიკეთის პრინციპებით იხელმძღვანელებს. მაგრამ, თუ ის გამოიყენებს სიკეთეს მათ აღსაზრდელად, მაშინ ის მოიპოვებს ერთგულებას მთელი მსოფლიოსაგან. (MC 1A:1)

დაო დე ძინი: ბუნება და უმოქმედობა (無爲- ვუ ვეი). „შეამცირე ცოდნა, მიატოვე არგუმენტები და ხალხი ნახავს ასმაგ სარგებელს. შეამცირე ნიჭიერება, მიატოვე სარგებელი და აღარ იქნებიან ქურდები და ყაჩაღები. შეამცირე მოქმედება, მიატოვე მიზანსწრაფვა და ხალხი ისევ იქნება ქალწული. გამოაჩინე მოუკაზმავი და გულში ჩაიკარი უბრალო. შენს თავზე იქონიე მცირე წარმოდგენა და ბევრი სურვილი" (დაო დე ძინი) , ასე იწყება დაო დე ძინი.

მენციუსისგან განსხვავებით, დაო დე ძინი თავს იკავებს ჰუმანური სტანდარტების შემოღებისგან. „შეამცირე მოქმედება, მიატოვე მიზანსწრაფვა" ერთ ერთი ვერსიით გულისხმობს ჰუმანურობის შემცირებას და სიმართლის მიტოვებას. მისი აზრით, საუკეთესო თემს წარმოადგენს ისინი, რომლებიც ბუნებრივადყალიბდებიანდავითარდებიან,მცირეოდენიხელმძღვანელობით მენციუსის მოსაზრებიდან. ბოლო თავებში კი საუკეთესო თემად მიიჩნევა

პატარა და იზოლირებული გაერთიანებები (დაო დე ძინი, თავი 80).

მმართველები აღწევენ წარმატებას, როდესაც ბუნების მიმდინარეობას არ უშლიან ხელს. ამისთვის საჭიროა უმოქმედობა (無爲- ვუ ვეი). შესაბამისად ხელმწიფემ უნდა აარიდოს თავი გამოკვეთილ სტანდარტებს ან სურვილების დაწესებებს. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში არის მიზანშეწონილი, თუ ქვეშევრდომი ვერ ეხმარება მმართველს და მსგვავი მოქმედებით შესაძლებელი იქნება მდგომარეობის გაუმჯობესება.

შენ ბუჰაი: ბიუროკრატიული "უმოქმედობა". შენ ბუჰაის მთავარი შეხედულებისამებრ მთავრობა უნდა ემყარებოდეს არა ფეოდალურ პრინციპებს, არამედ ბიუროკრატიულ სისტემას, რომელშიც ფუნქციონირებს პროფესიონალიზმი და ეს ფუნქციები მეტ-ნაკლებად არიან განსაზღვრული. (SBH p.55). მმართველი არ უნდა ეძებდეს კარგ ადამიანს და პასუხისმგებლობას ანიჭებდეს მას, არამედ სისტემაში უნდა მოძებნოს შესაფერისი ადამიანი თითოეული როლისთვის.

მმართველის როლი ასეთ თეორიაში მარტივია: განსაზღვრეთ საჭირო ფუნქციები და შეარჩიეთ კაცი, რომ შეასრულოს ისინი, შემდეგ "არაფერი გააკეთოთ". არაფრის გაკეთება არ ნიშნავს, რომ სიტყვასიტყვით თავი შეიკავოთ მოქმედებისგან. მმართველი არაფერს აკეთებს, თუკი სისტემა ნორმალურად მუშაობს, ამგვარად ის მხოლოდ წონასწორობას ამყარებს,რაც იწვევს სიმსუბუქეს და სიმძიმეს საკუთარი თავის აღმოჩენისკენ. (Shen p. 352)

დეო დე ძინისგან განსხვავებით, რომელიც ბუნებას უფრო ენდობა ვიდრე ადამიანს, შენ ბუჰაი ენდობა ადამიანის მიერ დაწესებულ ინსტიტუციებს, უფრო ვიდრე ინდივიდის გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლებას.

ხუნ ძი: ხალხის ტრანსფორმაცია. ხუნძის ძვ.წ ჩინური ფილოსოფიის კრებულის მე-19 თავში, აღნიშნულია რომ, ადამიანები იბადებიან სურვილებით. როდესაც მათ სურვილები აქვთ, მაგრამ არ იღებენ სურვილის საგანს, ისინი ვერ შეძლებენ მათ დაკმაყოფილებას. თუ მათთვის არ არსებობს რაიმე საზომი ან შეზღუდვა ამგვარი ძიებისა, მაშინ ისინი ერთმანეთს დააზარალებენ რაც გამოიწვევს ქაოსს, და თუ არსებობს ქაოსი, ისინი გაღატაკდებიან.

ამ ქაოსისგან თავის ასარიდებლად, უნდა ჩამოყალიბდეს რიტუალები და წესრიგი, რათა ხალხმა განახორციელოს თავიანთი სურვილები. (Xunji. 19, p. 201).

რიტუალი (禮-ლი) მნიშვნელოვანი იყო ანალიტიკის ბევრ თავში, მაგრამ აქ კიდევ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებს (ცხოველებისგან განსხვავებით) აქვთ განსხვავების შემჩნევისა და ყურადღების მიქცევის უნარი. ისინი ამას ბუნებრივად ვერ გააკეთებენ. მათი სურვილები უნდა ჩამოყალიბდეს მიმდინარე რიტუალური განათლების გზით, რათა საზოგადოება იყოს ჰარმონიული და განვითარებული. ტექსტი აშკარად აკავშირებს რიტუალს „სტანდარტის" იდეასთან: „რიტუალის უარყოფა უნდა იყოს სტანდარტების გარეშე", და „ადამიანი სტანდარტების გარეშე დაკარგული და უმართავია" (XZ ch. 2, p. 14) .

ხუნ ძის მწერლობაში მთავარი თემაა ის, რომ აშკარა სტანდარტები აუცილებლად ბუნდოვანია, ამიტომ მათი სწორად შესრულება განუსაზღვრელია. იგი ასევე თვლის, რომ სტანდარტების სწორად განხორციელება მოითხოვს დიდ უნარსა და ტექნიკას. გარდა ამისა, იგი აღნიშნავს, რომ

სტანდარტები ზოგჯერ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, და ეს მოითხოვს სიბრძნეს და გამოცდილებას, იცოდეს როგორ დააბალანსოს ასეთი კონკურენტული მოსაზრებები. და ბოლოს, არ არსებობს წესების სისტემატიზაციის გარკვეული გზა. გარემოებაში მომხდარი ცვლილებები მოითხოვს, წესების პრიორიტეტების გადახედვას და, აგრეთვე, განსჯას. აქედან გამომდინარე ხუნ ძი უპირატესობას ანიჭებს წესრიგის დამყარებას და არა სტანდარტების ჩამოყალიბებას.

დასკვნა

მოცემულ სტატიაში განხილულია პოლიტიკური და სოციალური მოსაზრებები ჩინურ ფილოსოფიის კლასიკურ ხანაში. აღსანიშნავია რომ, საუკუნეების მანძილზე ბევრი მოსაზრება შეიცვალა, თუმცა ზოგიერთი ცნება მუდმივად აქტუალურია ჩინელი მოაზროვნეებისათვის, მათ შორისაა მორალი და წესრიგი, რომელიც აუცილებელია როგორც ხელმწიფისათვის, აგრეთვე, თავისი ხალხისათვის. გარდა ამისა, მენციუსის, ხუნძის, დაო დე ძინი, ბუან შენის, კონფუცის და სხვა მნიშვნელოვანი ჩინელი ფილოსოფოსის ნაშრომებში, ხაზი ესმევა ისეთ საკითხებს როგორიცაა სიყვარული, პირადი და პოლიტიკური სათნოება, პროფესიონალიზმი და სწორი საკადრო პოლიტიკა, რომელიც თანმხლები უნდა იყოს პოლიტიკური და სოცილური სივრცისათვის. მნიშვნელოვანია, რომ ლიდერის პირადი თვისებები და დამოკიდებულება საზოგადოებისადმი, მთელი ისტორიის განმავლობაში უცვლელად მოიაზრება მთავარ სიბრძნედ.

ჩინეთის დინამიური საზოგადოება საუკუნეების მანძილზე აკრიტიკებს ახალ იდეებს და ახალ პოლიტიკურ ფორმებს, ვინაიდან ისინი შეძლება გაყალბდეს და მომავალ წლებში გამოსწორდეს. დღევანდელ რეალობაში, ახალი და ინტელექტუალურად რთული იდეები არ წარმოადგენენ თანამედროვე ჩინური პოლიტიკური დისკურსის უმრავლესობას, თუმცა ისინი მაინც არსებობენ მთელს პოლიტიკურ სპექტრში. აქედან გამომდინარე, არ იქნება მარტივი იმის განსაზღვრა, გამოჩნდება თუ არა ძლიერი პოლიტიკური ფასეულობები და ინსტიტუციები, როგორც ალტერნატივა იმ მოდელებისა, რომელსაც დასავლური პოლიტიკური თეორეტიკოსები იცნობენ. ისევე, როგორც დღეისათვის შეუძლებელია იმის დადგენა თუ, რა როლს შეასრულებს მარქსისტული, კონფუციანური, ლიბერალური და სხვა ტრადიციები მომავალ ჩინურ პოლიტიკურ აზროვნებაში. ჰარმონიასთან და სათნოებასთან დაკავშირებული საკითხები ნაკლებად სავარაუდოა, რომ გაქრეს, მაგრამ ეს არ ზღუდავს მომავალი პოლიტიკური თეორიებისადმი ინტერესს ჩინეთში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. [DAO] Daodejing - ლაო ძის შესავალი
2. [GL] Greater Learning: for a translation, see Wing-tsit Chan, A Source-book in Chinese Philosophy, Princeton: Princeton University Press, 1963.
3. [GZ] Guanzi; for a translation see W. Allyn Rickett (ed. and trans.), Guan-

zi: Political, Economic, and Philosophical Essays from Early China, Princeton: Princeton University Press, 1985.
4. [HCT] Readings in Han Chinese Thought, Mark Csikszentmihalyi (ed. and trans.), Indianapolis: Hackett Press, 2006. (Cited texts include Jia Yi, "Protecting and Tutoring" and "The Platform Steps"; Chao Cuo, "Responses to an Imperial Edict"; and Dong Zhongshu, "The Meaning of the Five Phases.")
5. [HFZ] Han Feizi; for a translation, see Han Fei Tzu: Basic Writings, Burton Watrson (trans.), New York: Columbia University Press, 1964; and see the entry on Legalism in Chinese Philosophy.[HHJ] Hu Hong Ji; Hu Hong 胡宏, 《胡宏集》 [Collected Works of Hu Hong], Beijing: Zhonghua Shuju, 1987.
6. [LY] Lunyu (Analects); for a translation, see The Original Analects, E. Bruce and A. Taeko Brooks (eds. and trans.), New York: Columbia University Press, 1998.
7. [MC] Mencius (or Mengzi); see the entry on Mencius.[MZ] Mozi: for a translation, see The Mozi: A Complete Translation, Ian Johnston (trans.), New York: Columbia University Press, 2010.
8. [SBH] Shen Buhai; Cited from the collection of fragments: Herrlee G. Creel, Shen Pu-hai: A Chinese Political Philosopher of the Fourth Century B.C., Chicago: University of Chicago Press, 1974.
9. [SJS] Book of Lord Shang; see the entry on Legalism in Chinese Philosophy.

Social and Political Thoughts in Classical Chinese Philosophy (770-221 BC)

Sulkhan Inaishvili, PhD Student
Georgian Technical University

Summary

Many views have been changed over the centuries, although some concepts are constantly relevant to Chinese thinkers, including the morality and order which is necessary for both the ruler and his people. The works of Mencius, Xundzi, Dao de Jing, Shen Buhai, Confucius, and other important Chinese philosophers emphasize issues such as love, personal and political virtue, professionalism, and the correct personnel policy, that should accompany the political and social space. It is important that the personal qualities and attitudes of the leader towards the society are invariably considered as the main wisdom throughout the history.

China's dynamic society has been criticizing new ideas and new political forms for centuries as they can be rigged and corrected in the years to come. In today's reality, new and intellectually complex ideas do not represent the majority of modern Chinese political discourse, yet they still exist across the political spectrum. Therefore, it will not be easy to determine whether strong political values and institutions will emerge as alternatives to the models known to Western political theorists. Just as it is today impossible to determine what role Marxist, Confucian, liberal, and other traditions will play in future Chinese political thought. Issues of harmony and virtue are unlikely to disappear, but this does not limit the interest in future political theories in China.
Keywords: Chinese classical philosophy, Guanzi, Confucius, Dao De Jing, Shen Buhai, Xunzi

აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარება ქართულ უნივერსიტეტებში

ლევან ლევერაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

რეზიუმე

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის ტალღამ და შრომის ბაზრის ტექნოლოგიურმა განვითარებამ ახალი გამოწვევები წარმოშვა. ინოვაციური ტექნოლოგიების გამოჩენამ და მექანიზაციის ტალღამ განაპირობა ახალი პროფესიების დანერგვა და რამდენიმე პროფესიის საერთოდ გაქრობა. ქვეყნები ვალდებულნი გახდნენ ფეხი აეწყოთ განვითარების მზარდი ტემპისთვის და მთელი რესურსი მიემართათ ადამიანური კაპიტალის სრულყოფილი გამოყენებისაკენ.

დღითიდღე ადამიანური რესურსების სწორი მართვა, მისი განვითარება და რაციონალურად გამოყენება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, რაც ორგანიზაციული ეფექტურობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორია.

სტატიაში ჩამოყალიბებულია აკადემიური პერსონალის კარიერული განვითარების მოდელი, რა საშუალებები შეიძლება გამოიყენოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მათი განვითარებისა და კარიერული ზრდისთვის. სტატიაში განხილულია ისეთი მექანიზმები, როგორიცაა მოტივაციის სისტემების შექმნა, სახელფასო ბადის გადახედვა, კვლევითი საქმინობაში ხელშეწყობა, თანამშრომლობა სხვადასხვა კვლევით ინსტიტუტებთან. ზოგადად კარიერა, ეს არის ადამიანის სუბიექტურად გაცნობიერებული შრომითი გზა, ხოლო ფართო გაგებით კი ადამიანის ცხოვრებისეული განვითარების თანმიმდევრული ეტაპები.

სტატიაში გაანალიზებულია თვისებრივი კვლევის შედეგები, რომელიც მოიცავს საქართველოს უნივერსიტეტებში არსებულ აკადემიური პერსონალის განვითარების მოდელს და მექანიზმებს, თუ რა გზებით და საშულებებით ხდება აკადემიური პერსონალის კარიერული განვითარების უზრუნველყოფა. ასევე, განხილულია აკადემიური პერსონალის განვითარების გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები. კვლევის შედეგმა ნათლად წარმოაჩინა ის ბარიერები, რაც პროფესორებს ხელს უშლის კარიერულ წინსვლაში. ქმედითი ნაბიჯებია ასევე გადასადგმელი სახელმწიფოს მხრიდანაც, რათა სწორად განისაზღვროს და უფრო მეტად დარეგულირდეს აკადემიური პერსონალის კარიერული განვითარების საფეხურები.

საკვანძო სიტყვები: პროფესიული განვითარება, კარიერა, უნივერსიტეტი, მოტივაცია.

შესავალი

გლობალურად ახალი ტექნოლოგიების დანერგვა-განვითარების შესაბამისად, იცვლება საჭიროებები და მოთხოვნები სამუშაო ძალის მიმართ, რის გამოც საჭირო ხდება განახლებული პროფესიული ცოდნის და

უნარების შეძენა. ორგანიზაციებმა მთავარი აქცენტები გააკეთეს ადამიანურ კაპიტალზე, მათი უნარ-ჩვევების და შესაძლებლობების განვითარებაზე, პროფესიული მომზადების და კარიერული განვითარების დაგეგმვის სისტემებზე. ადამიანები ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე ირჩევენ პროფესიას, ცვლიან ან ავითარებენ დროთა განმავლობაში. ყველა ეტაპზე მათ ჭირდებათ პროფესიული კონსულტირება, კარიერის დაგეგმვა და სამოტივაციო სისტემების შექმნა. კარიერული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ადამიანი საკუთარი ინტერესებიდან, საჭიროებებიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე, განვითარების პერსპექტივებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით ინდივიდუალურად, იღებს გადაწყვეტილებას საკუთარი კარიერული განვითარების მიმართულების შესახებ.

კვლევის ფარგლებში განისაზღვრა ის მექანიზმები, რომლებსაც იყენებენ უნივერსიტეტები აკადემიური პერსონალის კარიერული ზრდისთვის. კერძოდ, აქვთ თუ არა ამ მიმართულებით შემუშავებული ფორმალური დოკუმენტი ან გაწერილი სამუშაო გეგმა; ასევე დავინტერესდით, როგორ ზრუნავს და რა ქმედით ნაბიჯებს დგამს აკადემიური პერსონალი საკუთარი პიროვნული განვთარებისთვის? .

ძირითადი ნაწილი

კვლევის პროცესში, უნივერსიტეტების ადამიანური რესურსების მართვის ხელმძღვანელებთან სიღრმისეული ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ აკადემიური პერსონალის კარიერულ განვითარებას უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მოკლე და გრძელვადინი სამოქმედო სტრატეგიის ფარგლებში. აკადემიური პერსონალის განვითარებისთვის, უნივერსიტეტები ქმნიან პროფესიული და პიროვნული განვითარების გეგმას, რომელიც მოიცავს როგორც აკადემიურ, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს. გეგმა ჩამოყალიბებულია ან კარიერული განვითარების გეგმის ან დებულების სახით და წარმოადგენს გრძელვადიან სტრატეგიული სამოქმედო გეგმის და პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესს კომპონენტს. თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც ეს გეგმები მხოლოდ ფორმალური ხასიათისაა და რეალობაში არ ხორციელდება, ან სრულდება მისი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი, რომელიც შედეგზე ორიენტირებული არაა. ახალი აკრედიტაციის სტანდარტების პირდაპირი მოთხოვნაა აკადემიური პერსონალის კარიერული განვითარების გეგმის არსებობა.

ასევე გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტებში აკადემიური პერსონალის მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია თანამშრომელთა შეფასების სისტემის და საქმიანობის მონიტორინგის ფარგლებში მიღებული შედეგების გათვალისწინებით, განვითარების და წახალისების მექანიზმების შემუშავებაზე. მათი პროფესიული განვითარების მოტივაციისთვის სხვადასხვა სახის მექანიზმებია გათვალისწინებული: ანაზღაურება, დაწინაურება, ჯილდო, ტიტულის მინიჭება და სხვ. აკადემიური პერსონალის განვითარებისთვის უნივერსიტეტები სტრატეგიული გეგმის შესასრულებლად გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში ახორციელებს აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგებს

და სემინარებს. ასევე აფინანსებს მათ მონაწილეობას საერთაშორისო კონ-ფერენციებში. უნივერსიტეტები თავადაც ატარებენ ყოველწლიურ კონფე-რენციებს, რომელშიც მონაწილეობა ხშირ შემთხვევაში უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისთვის უფასოა, ესეც ერთგვარი წახალისება და კვლევითი საქმიანობისთვის მოტივაციაა მათთვის. ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ უნივერისტეტში პროგრამის ხელმძღვანელები უტარებენ მეთოდურ ტრენინგებს მათი კონკრეტული სწავლების სპეციფიკასთან დაკავშირებით, ამასთან არის მზაობა ამ პოტენციალის გაზრდისთვის.

აკადემიური პერსონალის ზრდა-განვითარებისთვის უნივერსიტეტი წლის განმავლობაში საჭიროების შესაბამისად ატარებს აკადემიურ კონკურსებს, რაც ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის დაწინაურებას. უნივერსიტეტებში, ასევე, არსებობს სხვა აკადემიური თანამდებობები, როგორიცაა: პროგრამის ხელმძღვანელი, დეკანი, მიმართულების ხელ-მძღვანელი. ამ პოზიციებზე კადრები როგორც ღია, ისე დახურული კონკურსის საფუძველზე შეირჩევა. მოქმედებს აფელირების წესი, რომლის დროსაც უნივერსიტეტები თვითონ განსაზღვრავენ აფელირების პირობებს, რომელ-შიც შემავალი ე.წ პრივილეგიები, და მისაღები პირობები შესაძლოა გახდეს აკადემიური პერსონალის მოტივაციის წყარო. რა თქმა უნდა არსებული მექანიზმი უნივერსიტეტის მხრიდან აკადემიურ პერსონალს ხელს უწყობს განვითარებაში. ახალი აკადემიური პოზიციები მათთვის ახალი გამოწვევაა. კვლევამ აჩვენა, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში უნივერსიტეტების მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში, რომელიც აკადემიური პერსონალის განვითარებას ემსახურებოდა პროფესორ მასწავლებლების 80% -მა მიიღო. მათ შორის ტრენინგების ნაწილი იყო სავალდებულო ყველა აკადემიური პერსონალისთვის, ნაწილი კი შიდა კვლევების (შესრულებული სამუშაოს კვლევა და კმაყოფილების კვლევა) შედეგად დაიგეგმა, კონკრეტული მიმართულებების და საჭიროებების შესაბამისად. უნივერსიტეტები ყოველ-წლიურად გეგმავენ განსხვავებულ ღონისძიებებს აკადემიური პერსონალის განვითარებისთვის და შეიმუშავებენ მოტივაციის სხვადასხვა სქემებს.

უნივერსიტეტებში ასევე არსებობს კვლევითი ინსტიტუტები, სადაც აკადემიურ პერსონალს აქვს საშუალება განახორციელონ კვლევითი საქმი-ანობები. აღნიშნულ ინსტიტუტებს გააჩნიათ განსაზღვრული ბიუჯე-ტი, რომლის ფარგლებშიც ხდება კვლევების დაფინანსება, როგორც სა-ქართველოს ფარგლებში ასევე საზღვარგარეთაც. კვლევითი საქმიანობის განხორციელების ვალდებულება, ასევე აკრედიტაციის მოთხოვნათა სიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. კვლევების საფუძველზე მიღებული შედეგების განხორციელება და დანერგვა უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაში, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

კვლევის მეორე მიმართულება იყო თუ როგორ ზრუნავს თავად აკადე-მიური პერსონალი პროფესიული განვითარების კუთხით. აკადემიური პერსონალი კარიერული განვითარებისთვის მონაწილეობას სხვადასხვა უნივერსიტეტის მხრიდან დაგეგმილ ტრენინგები და კონფერენციებში, თა-ნამშრომლობენ სხვადასხვა ქართულ და უცხოურ კვლევით ინსტიტუტებში.

წერენ სახელმძღვანელოებს და ერთვებიან უცხოური სახელმძღვანელოების თარგმნის პროცესში, რაც ზრდით მათ პროფესიული კუთხით. წლის განმავლობაში დაახლოებით 2-3 კონფერენციაში იღებენ მონაწილეობას. თუმცა ზოგიერთი კონფერენციაში მონაწილეობა თანხებთანაა დაკავშირებული და თუ ამ შეხვედრებს არ აფინანსებს უნივერსიტეტი ხშირად ვერ იღებენ მონაწილეობას, ასევე ფინანსური კუთხის გარდა, ერთ-ერთ ბარიერად დროც სახელდება. არასაკმარისი ანაზღაურების გამო პროფესორ-მასწავლებლებს უწევთ სხვადასხვა უნივერსიტეტებში სალექციო საათების აღება და ხშირ შემთხვევაში არ რჩებათ დრო კონფერენციებისთვის. სტატიების და კვლევების მოსამზადებლად მათ აქვთ სრული წვდომა უნივერსიტეტების ელექტრონულ და ბეჭდვით ბიბლიოთეკებთან რაც ამარტივებს კვლევას. აკადემიური პერსონალი ფლობს ინფორმაციას აკადემიურ კონკურსებზე რაც მათ კარიერულ წინსვლას ემსახურება, ასევე იციან კარიერული განვითარებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის შესახებ, საიდანაც ფინანსდება ტრენინგები. თუმცა ამბობენ, რომ ხშირად საზღვარგარეთ დაფინასებული კონფერენციები არ ემსახურება მიზანს, და ნეპოტიზმსაც ვხვდებით კონკურსანტთა სიის შედგენისას. პროფესორ-მასწავლებლები ფიქრობენ, რომ ხშირად ეს ბიუჯეტი არამიზნობრივად იხარჯება. საჭიროების გამოვლენის მიზნით პროგრამის მიმართულების მიხედვით ჩატარებული თათბირები ნაყოფიერია იმ თვალსაზრისით, რომ ხშირად იკვეთება ისეთი რამ რაც შეიძლება კვლევებმა არ გამოავლინოს. თუმცა ზოგიერთი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შეხვედრებს არაფორმალურ და უშედეგოს უწოდებს.

კვლევაში ორმოცამდე პროფესორ მასწავლებელმა მიიღო მონაწილეობა, რომლებსაც სხვადასხვა უნივერსიტეტებში აქვთ განსხვავებული აკადემიური თანამდებობა. შეავსეს კითხვარი, სადაც პროფესორ-მასწავლებლები აფიქსირებდნენ თავიან მოსაზრებას, მათი ხედვა უნივერსიტეტის მიმართ, თუ რა ქმედითი ნაბიჯები უნდა გადაედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას მათი პროფესიული განვითარებისთვის. ცალსახად ყველა ხედავდა იმ დადებით მხარეებს თავიანთი უნივერსიტეტების რასაც მათ სთავაზობდნენ, იქნებოდა ეს დაფინანსება, სამუშაო გარემო, კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა, თუმცა ასევე ამბობდნენ, რომ საჭირო იყო გასვლითი ვორქშოპების გაკეთება, რადგან ერთდღიანი ტრენინგებიდან მიღებული ცოდნა მალე ქრება, ხოლო იქ განსხვავებულ გარემოში 3-4 დღიან ტრენინგზე კონცენტრაცია გაცილებით მეტია კონკრეტულ საკითხზე და მნიშვნელოვან შედეგსაც იძლევა. ბევრ უნივერსიტეტში სამუშაო გარემო სასიამოვნოა რასაც განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ, სამუშაო გარემოს დიდი გავლენა აქვს შესრულებაზე. ერთ-ერთ რეკომენდაციად უწყვეტი განათლების სისტემის დანერგვა მოიაზრებოდა. კარიერული განვითარების ერთ-ერთ ბერკეტად უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსმა ხელშეკრულებაში ტრენინგების გავლის ვალდებულებაზე ილაპარაკა, რაც საკმაოდ საინტერესო იყო. იმისთვის, რომ აკადემიურ პერსონალს დრო ჰქონდეს განვითარებისთვის საფინანსო სისტემის გადახედვას ასახელებენ. ანაზღაურების სიმცირის გამო მათ სრული დატვირთვით მუშაობა უწევთ და დრო აღარ რჩებათ კვლევით

საქმიანობასა და კარიერული განვითარებისთვის. იმისთვის რომ აკადემიურ-მა პერსონალმა იზრუნოს თავისი პროფესიული განვითარებისთვის ამისთვის სჭირდებათ მოტივაცია, იმის დაფასება რასაც ისინი აკეთებენ. უნივერსიტეტებმა აუცილებლად უნდა დაამყარონ საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტებთან მჭიდრო კავშირები რათა აკადემიურ პერსონალს საშუალება მიეცეს მიიღოს საერთაშორისო კონფერენციებსა და ტრენინგებში მონაწილება და ჩაერთოს სხვადასხვა საერთაშორისო ერთობლივ კვლევებში. მიიღოს გრანტები და სახელმწიფო დაფინანსებები საერთაშორიო ორგანიზაციებიდან. საქართველოს ამ კუთხით ძალიან ბევრი აქვს სამუშაო და გასაკეთებელი რაც გამოიხატება უცხოურ რეფერირებულ ჟურნალებთან აქტიური თანამშრომლობით და ჩართულობით.

საინტერესო ფაქტია, ის რომ საქართველოში არ არსებობს სადოქტორო საფეხურის შემდგომი განვითარების სისტემა (Postdoc). აუცილებელია განათლების სამინისტრომ იზრუნოს ამასთან დაკავშირებით, რადგან ეს საფეხური კიდევ უფრო ხელს შეუწყობს აკადემიურ პერსონალს კვალიფიკაციის ამაღლებაში. ამ სისტემის დანერგვა განსაკუთრებით შეუწყობს ხელს ინოვაციების, ახლებური მიდგომების და მეთოდების გაზიარებას. მეცნიერება ეს ის სფეროა, რომელიც მუდმივ განახლებას საჭიროებს.

დასკვნა

უნივერსიტეტისათვის აკადემიური პერსონალი ერთ-ერთ მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენს. აკადემიური პერსონალის კვალიფიციურობით და გამოცდილებით, და ახალი ხედვით შესაძლოა გავზომოთ სწავლების ხარისხი და პროფესიონალიზმი. ადრე თუ ნაკლები ყურადღება ექცეოდა აკადემიური პერსონალის კარიერულ განვითარებას, ახლა ის აუცილებელი და სავალდებულოა არსებობდეს როგორც დოკუმენტი, და იყოს გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი.

დღეს საქართველოს უნივერსიტეტებს ძირითადად აქვთ აკადემიური პერსონალის განვითარების გეგმა, რომლიც საჭიროებს მუდმივად განახლებას და გადახედვას რათა ამ გეგმის შესრულება იყოს შედეგზე ორიენტირებული და უზრუნველყოფდეს მიზნის შესრულებას. იმისთვის, რომ აკადემიური პერსონალის საჭიროებები მაქსიმალურად იყოს გამოვლენილი და დაკმაყოფილებული უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან უნდა მოხდეს მოტივაციის სისტემების და სახელფასო ბადის გადახედვა.

სტატიაში განხილული საკითხები და კვლევის შედეგები შესაძლოა ჩამოვაყალიბოთ რეკომენდაციების სახით.

- მატერიალური და არამატერიალური ეფექტური მოტივაციის სისტემების შექმნა, რაც წაახალისებს და უზრუნველყოფს აკადემიურ პერსონალის განვითარებას.
- სახელფასო ბადეების გადახედვა თანამშრომელთა კვალიფიკაციის შესაბამისად, რაც მათ მისცემთ საშულებას მეტი დრო დაუთმონ კვლევით და სამეცნიერო საქმიანობას;

- მენტორის სისტემას, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს ახალგაზრდა კადრების პროფესიულ განვითარებას პროფესიონალ და გამოცდილ კოლეგებთან ერთად მუშაობის გზით.
- კრედიტ ქულების სისტემის შექმნა, რომლის დაგროვებაც სავალ-დებულო იქნება აკადემიური პერსონალისთვის, თავისი საქმიანობის სფეროს შესაბამისად; ქულების განაწილება უნდა მოხდეს სხვადასხვა კომპონენტებით: აკადემიური პერსონალის კვალიფიციურობა, მათი მონაწილეობა ტრენინგებსა და სემინარებში, სამეცნიერო პუბლი-კაციები და სხვა;
- საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობა იქნება ეს ინფორმაციის გაცვლის და ერთობლივი მუშაობის მიმართულებით;
- აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა, რაც უზრუნველყოფს მათ ახალი უნარ-ჩვევების ათვისებას და სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვას ;
- უნივერსიტეტის მხრიდან სავალდებულო ტრენინგ სქემის შემუშავება, რაც გამოვლენილი იქნება თვითშეფასების ან სხვა შიდა კვლევის საფუძველზე;
- უნივერსიტეტებმა განსაზღვრონ შიდა დებულებით მაქსიმუმ 1 წლიანი აკადემიური შვებულება, კონკრეტული გამოვლენილი საჭიროების შემთხვევაში;
- აკადემიური პერსონალის მიერ მოხდეს მასწავლებელთა ყოველ-წლიური თვითშეფასების კითხვარის შევსება, რაც ნათლად გამოავლენს საჭიროებებს და საშუალებას მისცემს უკეთ გააანალიზოს მიმდინარე სასწავლო პროცესის მსვლელობა; თვითშეფასების კითხვარი უნდა მოიცავდეს პროფესიულ და საგნობრივ შეფასების კითხვებსაც;
- საჭიროა მეტი ავტონომიურობა პროგრამული განვითარების მიმარ-თულებით;
- სადოქტორო საფეხურის შემდგომი (Postdoc) განვითარების სისტემის შექმნა ხელს შეუწყობს აკადემიური პერსონალის კარიერულ განვი-თარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://journals.sagepub.com/doi/abs/10.1177/089484530302900404
2. http://journals.sagepub.com/toc/acda/current
3. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/jurnal2.pdf
4. https://www.ox.ac.uk/research/support-researchers/personal-and-profes-sional-development?wssl=1
5. http://erasmusplus.org.ge/files/publications/Guide%20ULLL%20-%20ge.pdf
6. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2657572
7. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civ-il2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10--..-4----4---0-0l--11-ru-00---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-10-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&cl=-CL2.22&d=HASH65db02e0600964cd582924.4.5.2

8. http://gtu.edu.ge/pdf/koncepcia.pdf
9. http://www.mes.gov.ge/content.php?id=1856&lang=geo
10. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2104&lang=geo
11. https://idfi.ge/ge/mechanisms-for-career-advancement-meritocracy-vs-cronyism
12. http://tpdc.gov.ge/geo/404.html
13. http://vet.ge/wp-content/uploads/2016/03/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AB%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D.pdf
14. ც.ლომაია - „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“, თბილისი 2014;

Professional development of academic staff

Levan Leverashvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

The current wave of globalization and the technological development of the labor market have created new challenges. The emergence of innovative technologies and the wave of mechanization have led to the introduction of new professions and the disappearance of several professions altogether. Countries are committed to keeping up with the growing pace of development and devoting all their resources to the full usage of human capital. With each passing day, the proper and rational management of human resources and staff development, is becoming even more important, which is one of the determinants of organizational efficiency.

The article sets out the career development models for academic staff, which can be used by university administration to create motivation system professional development plan and career growth mechanisms. In the article it is reviewed Mechanisms such as creating incentive systems, reviewing the payroll network, promoting research activities, or collaborating with various research institutes. Career in general, is a subjective comprehended labor path, and in a broad sense it is consistent stage of human life development.

The article analyzes the results of a qualitative research, which includes the proffessional development models in Georgian universities and the mechanisms by which the career development of academic staff is ensured. Also, the Challenges and difficulties we come across and ways to solve them. The results of the study clearly highlighted the barriers that prevent professors from advancing in their careers. Effective steps also must be taken by the government to ensure the further development of the academic staff.

Key words: professional development, career, university, motivation.

ნიჭიერი მოსწავლეები და სასკოლო გარემო

მარიამ პაპიაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში ,,ნიჭიერი მოსწავლეები და სასკოლო გარემო'' წარმოდგენილია მასწავლებელთა თვალსაზრისით სასკოლო გარემოში არსებული პრობლემები, რომელიც გამოიხატება ნიჭიერ მოსწავლეების სწავლა-სწავლების პროცესში. კვლევა ჩატარდა თვისებრივი მეთოდით. სულ განხორციელდა 5 ფოკუს-ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 33 მოქმედმა მასწავლებელმა. შედეგების მიხედვით სასკოლო სივრცეში ნიჭიერ მოსწავლეთა აღმოჩენა ძირითადად დამოკიდებულია მასწავლებელთა კომპეტენციაზე. არ ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და განვითარების უნარების ტესტირება, მათი საჭიროებების დადგენა, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ რომ ნიჭიერ მოსწავლეთა მიმართ უნდა არსებობდეს ხელშემწყობი პროგრამები, სპეციალური მიდგომები, რომლებიც გააძლიერებს, როგორც საგნის მასწავლებლებს, ასევე ხელს შეუწყობს მოსწავლეს იყოს გაკვეთილი წარმართული მისთვის საინტერესოდ. ნიჭიერ მოსწავლეთა ინტერესის შენარჩუნება და მართვა არის ყველაზე რთული საკითხი საგაკვეთილო პროცესში. მასწავლებლების მოსაზრებით საშუალო საფეხურის ნიჭიერი მოსწავლეები საკუთარი ინტერესის სფეროების დასადგენად ხშირად მიმართავენ სკოლის გარეშე აქტივობებს, რაც საგაკვეთილო პროცესზე მათ მიზანმიმართულობას, აქტივობის სიხშირესა და ხარისხს მნიშვნელოვნად ამცირებს.

საკვანძო სიტყვები: სასკოლო გარემო, ნიჭიერი მოსწავლეები, თვისებრივი კვლევა, აქტივობის სიხშირე.

შესავალი

ტერმინი ნიჭიერი მოსწავლე თითოეული ინდივიდისათვის განსხვავებული მნიშვნელობის მატარებელია. მისი განსაზღვრა სხვადასხვა სიტყვით შეგვიძლია, რომელშიც შესაძლოა გაერთიანდეს როგორც ინტელექტი ასევე პიროვნული მახასიათებლები. მაგ. პედაგოგებს ძირითადად მიაჩნიათ რომ ნიჭიერი მოსწავლეები სწრაფად ითვისებენ, უყვართ ინტელექტუალური შრომა, არ აქვთ სირთულეები დასწავლის პროცესში, არ სჭირდებათ დავალებების შესრულებაზე დასაფიქრებლად ზედმეტი დრო. საზოგადოებისთვის კი უმეტესად ნიჭიერი ადამიანი არის პიროვნება, რომელიც გამოირჩევა მის გარშემო არსებული სოციუმისაგან მაღალი ხარისხის შესრულებით. (ვულფორკი, 2009)

ნიჭის რეალიზაციისთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მუდმივ პრაქტიკას, რომლითაც ნიჭს მნიშნელოვან შედეგამდე მივყავართ. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ რომ დღეს არ არსებობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთიანი მიდგომა ნიჭიერ ბავშვების აღმოჩენასა და ხელის შეწყობასთან დაკავშირებით. რაც სკოლებს აქცევს დიდ პასუხისმგებლობის ქვეშ ავტონომიურად მიიღონ გადაწყვეტილებები

იმ აქტივობების შესახებ, რომელსაც განახორციელებენ ნიჭიერი ბავშვების ხელშეწყობისთვის.

ნიჭიერ მოსწავლეებთან ურთიერთობა თავად წარმოადგენს მასწავლებლებისთვის დიდ გამოწვევას. ასეთი მოსწავლეები ხშირად ფლობენ ზრდასრულ, განათლებულ ადამიანზე მეტ ინფორმაციას კონკრეტულ საკითხში, რაც საგნის მასწავლებლისთვის ქმნის დაბრკოლებას.

ძირითადი ნაწილი

ხშირად საკლასო ოთახში მასწავლებლების მიერ მეტად არის გათვალისწინებული სუსტი ბავშვის საჭიროებები, ვიდრე მაღალი უნარების ბავშვებისათვის. გარდა ამისა მაღალ კლასებში ხშირად სპეციალურად იღებენ მოსწავლეები დაბალ ქულებს, გულს იცრუებენ სასწავლო პროცესზე რაც ართულებს ნიჭიერი ბავშვების აღმოჩენას. (Berk, 2005). მეცნიერთა აზრით ყოველთვის არაა კარგი მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანა, უმჯობესია ნიჭიერმა მოსწავლემ გაიაროს მისთვის ძლიერ სფეროს საგანში კონკრეტული კურსი და დაამთავროს სკოლა თანატოლებთან ერთად.(Robinson & Clinkenbeard, 1998).

აღნიშნული საკითხის ზოგადი აქტუალურობიდან გამომდინარე ჩატარდა კვლევა საჯარო სკოლების მასწავლებლებზე. კვლევამ მოიცვა 33 მასწავლებელი. ქალი 18 მამაკაცი 15. კვლევა ჩატარდა თვისებრივი მეთოდებით. განხორციელდა 5 ფოკუს-ჯგუფი. მიღებული შედეგების ანალიზით ნიჭიერი მოსწავლე მასწავლებლების აზრით მუდმივად გამოირჩევა სასკოლო პროცესში წარმართული აქტივობებისაგან გარე დამოკიდებულებით, მასწავლებლებს უჭირთ მათი შემეცნებითი ინტერესის მართვა, რაც ნიჭიერი მოსწავლის განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს. მასწავლებლებს არ აქვთ კონკრეტული მექანიზმი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მოსწავლეთა ინტელექტუალური შესაძლებლობების განსაზღვრა. დაწყებითი კლასების მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ უმნიშვნელოვანესია მოსწავლეთა მზაობის შეფასება, რითაც განისაზღვრება ის კომპეტენციები რაც უკვე აქვს მოსწავლეს სასკოლო პროცესში ჩართვამდე. დაწყებითი კლასების მასწავლებელთა აზრით ეს გაუადვილებს საგაკვეთილო პროცესის წარმართვის დროს შესაბამისი აქტივობების შერჩევას. საბაზო კლასების მასწავლებელთა მოსაზრებით ნიჭიერ მოსწავლეთა ინტერესის შენარჩუნება და მართვა არის ყველაზე რთული საკითხი საგაკვეთილო პროცესში. ამისათვის ისინი ხშირად იყენებენ პროექტებისა და ჯგუფური დავალებების ფორმატებს, ინტერნეტ რესურსებს, რაც ნიჭიერ მოსწავლეთა შემეცნების პროცესებს მეტად მრავალფეროვანს ხდის.

მასწავლებლების მოსაზრებით საშუალო საფეხურზე მყოფი ნიჭიერი მოსწავლეები საკუთარი ინტერესის სფეროების დასადგენად ხშირად მიმართავენ სკოლის გარეშე აქტივობებს, რაც საგაკვეთილო პროცესზე მათ მიზანმიმართულობას, აქტივობის სიხშირესა და ხარისხს მნიშვნელოვნად ამცირებს.

დასკვნა

აღნიშნული კვლევის შედეგად ნათელია, რომ არ ხდება მოსწავლეთა

შესაძლებლობებისა და განვითარების უნარების ტესტირება, მათი საჭიროებებისდადგენა,მნიშვნელოვანიაგავითვალისწინოთრომნიჭიერმოსწავლეთა მიმართ უნდა არსებობდეს ხელშემწყობი პროგრამები, სპეციალური მიდგომები, რომლებიც გააძლიერებს როგორც საგნის მასწავლებლებს, ასევე უზრუნველყოფს შეუწყობს მოსწავლეს იყოს განვითარებული მისი უნარები. ნიჭიერ მოსწავლეთა ინტერესის შენარჩუნება და მართვა არის ყველაზე რთული საკითხი საგაკვეთილო პროცესში. დაწყებითი კლასების მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ უმნიშვნელოვანესია მოსწავლეთა მზაობის შეფასება. საბაზო კლასების მასწავლებელთა მოსაზრებით ნიჭიერ მოსწავლეთა ინტერესის შენარჩუნება და მართვა არის ყველაზე რთული საკითხი საგაკვეთილო პროცესში. ამისათვის ისინი ხშირად იყენებენ პროექტებისა და ჯგუფური დავალებების ფორმატებს, ინტერნეტ რესურსებს, რაც ნიჭიერ მოსწავლეთა შემეცნების პროცესებს მეტად მრავალფეროვანს ხდის. მასწავლებლების მოსაზრებით საშუალო საფეხურის ნიჭიერი მოსწავლეები საკუთარი ინტერესის სფეროების დასადგენად ხშირად მიმართავენ სკოლის გარეშე აქტივობებს, რაც საგაკვეთილო პროცესზე მათ მიზანმიმართულობას, აქტივობის სიხშირესა და ხარისხს მნიშვნელოვნად ამცირებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გერიგი; ზიმბარდო (2009) ფსიქოლოგია და ცხოვრება. თსუ, თბილისი
2. ვულფორკი ანიტა (2009) განათლების ფსიქოლოგია. ილიასუ სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი
3. Robinson, A., & Clinkenbeard, P. R. (1998). Giftedness: An exceptionality examined. Annual Review of Psychology, 49, 117–139.

Talented Students and School Environment

Mariam Papiashvili, PhD student

Georgian Technical University

Summary

In the article “Talented Students and School Environment” there are teachers’ opinions about school environment problems, that are expressed in the teaching-learning process of talented students. The research was conducted with a qualitative method. In total 5 focus groups were conducted, in which 33 active students participated. According to the results, discovering talented students in a school environment depends on teacher competency. Students’ capacities and development skills are not tested and their needs unidentified. It’s important to consider, that there should be facilitating programs, special approach for the talented students, which will strengthen subject teachers and support a student to have an interestingly directed lesson for him. Maintaining and managing talented students’ interests are the most complicated matter in the tuition process. According to the teachers’ opinion, talented middle school students often appeal to out-of-school activities to identify their areas of interest, which significantly reduces their purposiveness, frequency, and quality of their activity.

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია

თამარ სილაგავა, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

არასრულწლოვანთა დანაშაული მასობრივი და სოციალური მოვლენაა, რომელიც ნებისმიერი საზოგადოებრივ წყობილებაში არსებობდა და დღესაც არსებობს.ეს საკითხი თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე არასდროს დაკარგავს აქტუალობას.თუ გადავხედავთ იმ რეალობას რომელშიც გვიწევს ცხოვრება იმის აღიარებაც მოგვიწევს, რომ რაც დრო გადის სიტუაცია ამ კუთხით უარესდება.არასრულწლოვნის ქვეშ მოიაზრება პირი რომელსაც არ შესრულებია 18 წელი.შესაბამისად,გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1989 წელს მიღებული კონვენციის თანახმად ჩვენ ვსაუბრობთ ბავშვებზე, რადგან ამავე კონვენციის თანახმად ,,ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი''. როგორც წესი არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის შედეგად ჩნდება ორმაგი მსხვერპლი:ბავშვები, რომლებმაც კანონი დაარღვიეს და მათი ასეთი ქმედების რეალური მსხვერპლი. ამიტომ საჭიროა დროული პრევენციული ზომების გატარება,რაც ბუნებრივია დანაშაულს სრულად ვერ აღმოფხვრის, მაგრამ საგრძნობლად შეამცირებს. არასრულწლოვნების მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენის ერთ-ერთი მიზეზი მათი აგრესიულობაა (პიროვნული ფაქტორი).

რა იწვევს მათში აგრესიის მოზღვავებას ამაზე ალბათ ყველას ერთად გვმართებს დაფიქრება,რადგან არაფერია ჩვენი შვილების მომავალზე მნიშ-ვნელოვანი.

ნებისმიერი პრობლემის მოგვარება იწყება პრობლემის აღიარებით, წინა-აღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევძლებთ ვერც მოძალადის და ვერც მსხვერ-პლის დახმარებას. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია უნდა იყოს ნებისმიერი სახელმწიფოსა და საზოგადოების უმთავრესი ამოცანა, რის გარეშეც ამ პრობლემის მოგვარება უბრალოდ შეუძლებელია.

უნდა გვესმოდეს, რომ ეს არ არის ერთი კონკრეტული მოზარდის, ან ერთი ოჯახის პრობლემა.ეს მთელი საზოგადოების პრობლემაა.ამ პრობლემის გადასაჭრელად კი აუცილებელია ოჯახისა და სკოლის როლის გაძლიერება და მათი კოორდინირებული მუშაობა სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად.

საკვანძო სიტყვები: პრევენცია, არასრულწლოვანი, დანაშაული, აგრესია, დევიაცია, კვალიფიკაცია.

შესავალი

არასრულწლოვანთა დანაშაული მასობრივი და სოციალური მოვლენაა, რომელიც ნებისმიერ საზოგადოებრივ წყობილებაში არსებობდა და დღესაც არსებობს.

კანონი არასრულწლოვნის ქვეშ მოიაზრებს პირს რომელსაც არ შესრულებია 18 წელი, უფრო კონკრეტულად კი: ადმინისტრაციული

პასუხისმგებლობის მიზნებისათვის არასრულწლოვნად ითვლება პირი, რომელსაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 16 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი,ხოლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის-პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი.

ძირითადი ნაწილი

არასრულწლოვანთა დანაშაული ყოველთვის იყო, არის და იქნება ნებისმიერი სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელსაც სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება, რადგან არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის შედეგად ჩნდება ორმხრივი მსხვერპლი: ბავშვები, რომლებმაც დაარღვიეს კანონი (ისინი მსხვერპლად მოიაზრებიან) და მათი დანაშაულებრივი ქმედების რეალური მსხვერპლი.

საქართველოში 1997 წლისათვის ყოველ 100000 ადამიანზე 14 – 17 წლის ასაკში იყო რეგისტრირებული 180 დანაშაული, 2000 წლისათვის კი 191 დანაშაული. სამწუხაროდ ბოლო წლების განმავლობაში სტატისტიკა ამ მხრივ მკვეთრად გაუარესდა და ამას ბოლოდროინდელი მოვლენებიც მოწმობს.

რა იწვევს მოზარდებში აგრესიის მოზღვავებას? ამაზე ალბათ ყველას ერთად გვმართებს დაფიქრება,რადგან არაფერია ჩვენი შვილების მომავალზე მნიშვნელოვანი.

თემაზე-რომელი ძირითადი ფაქტორები ასრულებენ ყველაზე დიდ როლს პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში?თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში გამოიკითხა 175 ადამიანი, მათ შორის 155 მოსწავლე და 20 პედაგოგი;

გამოკითხვის შედეგების მიხედვით,პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში ყველაზე დიდ როლს ასრულებს:

- ოჯახი;
- სკოლა;
- სამეგობრო წრე;
- მატერიალური მდგომარეობა;
- განათლება.

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის პოლიტიკის განხორციელება კვლევას და ანალიზს უნდა ეფუძნებოდეს,მათ შორის,დანაშაულის შესახებ არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს,დანაშაულისა და დელინქვენტური ქცევის გამომწვევი ფაქტორების შესწავლას და არსებული შედეგების ანალიზს.

უნდა გვესმოდეს,რომ ეს არ არის ერთი კონკრეტული მოზარდის,ან ერთი ოჯახის პრობლემა.ეს მთელი საზოგადოების პრობლემაა.ამ პრობლემის გადასაჭრელად კი აუცილებელია ოჯახისა და სკოლის როლის გაძლიერება და მათი კოორდინირებული მუშაობა სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად.

დანაშაული არის ,,სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება''.

დანაშაულის ელემენტებია:

- ქმედების შემადგენლობა
- მართლწინააღმდეგობა
- ბრალი

მართლწინააღმდეგობა (ჩადენილი ქმედების წინააღმდეგობა კულტურისა და სამართლის ნორმებისადმი) დანაშაულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია.

ფსიქოლოგიაში მსგავსი ტიპის ქცევას (ქმედებას) უწოდებენ დევიაციას. დევიაცია არის პრობლემური ქცევა,რომელიც სცილდება საზოგადოებრივად დაკანონებულ ღირებულებებსა და ნორმებს.

არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენას შესაძლოა იწვევდეს პიროვნული და სოციალურ - ფსიქოლოგიური ფაქტორები.

- პიროვნული ფაქტორი- აგრესია

სოციალური ფაქტორი-მძიმე მატერიალური მდგომარეობა; არასრულწლოვნები,რომლებიც თავად არიან ძალადობის მსხვერპლი; უფროსების მხრიდან აღზრდის პროცესში დაშვებული შეცდომები.

აგრესიული ქმედებების შესწავლისას ჩვენ იმთავითვე ვაწყდებით სერიოზულ და რთულ ამოცანას:

როგორ მივაგნოთ აგრესიის სწორად გამომხატველ განმარტებას?

ა გ რ ე ს ი ა-არის ქცევის ნებისმიერი ფორმა, რომლის მიზანია სხვისთვის შეურაცყოფის ან ტკივილის მიყენება,ის მოიცავს ქმედებებს,რომლითაც აგრესორი განზრახ აყენებს ზიანს საკუთარ მსხვერპლს.

დასკვნა

აგრესიულობა ადამიანის ერთ-ერთი ბუნებრივი ინსტიქტია,რომლის დაძლევა ხდება სოციალიზაციის პროცესში. თუ სოციალიზაციის პროცესში ბავშვი ხედავს, რომ წარმატებულია ქცევის ძალადობრივი მოდელები და ამასთან ქცევის ასეთი ტიპი დაუსჯელია, დიდია ალბათობა რომ სწორედ ქცევის ასეთ მოდელებს მიანიჭებს ის უპირატესობას მომავალში.

თუ ძალადობა მის თვალში იქნება წამგებიანი, არ მოხდება ძალადობრივი მოდელებისთვის უპირატესობის მინიჭება.

ალბათ ყველანი ვთანხმდებით, რომ აღზრდის პროცესში, უფროსების მიერ დაშვებული შეცდომები მოგვიანებით,,რასაც დასთეს იმას მოიმკი''პრინციპის თანახმად აუცილებლად იჩენს თავს ამა თუ იმ ფორმით რამაც შეიძლება ბავშვის მომავალზე იქონიოს გავლენა.სწორედ ამიტომ, ყველამ ერთად ვცადოთ მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ მომავალი თაობების აღზრდის პროცესს, მხოლოდ დადებითი მაგალითების მიცემით,მეტი ყურადღებით,სიყვარულითა და სითბოთი დავმუხტოთ ისინი და არ შეუწყოთ ხელი მათ მოძალადეებად ჩამოყალიბებას.

Prevention of Juvenile Delinquency

Tamar Silagava, PhD student
Georgian Technical University

Summary

Juvenile delinquency is a mass and social phenomenon that has existed in any social formation and exists today. This problem, due to its importance, will never lose its relevancy. If we look at the objective reality where we have to live, we will also have to admit that as time goes by, the situation in this context worsens.

A juvenile is a person who has not reached 18 years of age. Therefore, under the 1989 UN Convention on the Rights of the Child, we refer to children because according to the same convention, "a child means every human being below the age of eighteen years". Typically, juvenile delinquency creates two victims: children who have violated the law and the real victims of their actions. It is therefore necessary to take urgent preventive measures, which naturally cannot completely eliminate crime, but will significantly reduce it.

One of the reasons for juvenile delinquency is aggression (personal factor) of minors.

Apparently, we all have to think together about what causes aggression in them, because nothing is more important than the future of our children.

Solving any problem starts with acknowledging the problem, otherwise we will be able to help neither the abuser nor the victim. The prevention of juvenile delinquency should be the main task of any state and society, because without them this problem is simply impossible to solve.

We shall understand that this is not a problem of a particular youngster, or one family. This is a problem of the whole society. To solve this problem, we shall strengthen the role of the family and the school and coordinate their work together with state structures.

Key words: prevention, juvenile, delinquency, aggression, deviation, qualification.

მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში და ღირებულებებზე ორიენტირებული განათლება

ირმა ჩარტია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მთავარი მიზანი უნდა იყოს ინფორმირებულობის გაზრდა და მშობელთა ჩართულობა მოსწავლის ყოველდღიურ ცხოვრებაში.რატომ უნდა ფლობდნენ მშობელები ინფორმაციას? იმიტომ რომ მათ სწორად განსაზღვრონ, როგორ დაეხმარონ შვილებს განათლების მიღების პროცესში, ვინაიდან საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი რომ, მოსწავლე, რომლის მშობელი ჩართულია შვილის განათლების მიღების პროცესში,უფრო წარმატებით ამთავრებს სკოლას და სწავლის გაგრძელების უკეთესი შესაძლებლობები და პირობები აქვთ, ვიდრე ის მოსწავლეები, რომელთა მშობლები ნაკლებად ან სულაც არ არიან ჩართულნი. საკმაო სირთულეს წარმოადგენს მშობლის ჩართვა ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში,ხშირ შემთხვევაში ამის მიზეზად დროის ფაქტორს ასახელებენ, არადა მოსწავლის წარმატება ერთგვარად დამოკიდებულია მშობლის ჩართულობით, მათი გვერდით დგომითა და წახალისებით. მშობელმა უნდა გაითავისოს აღნიშნული და ზოგადად კომუნიკაცია ორივე მხარეს შორის უნდა იყოს პოზიტიური.ამისათვის კი აუცილებელია ვაშენოთ დემოკრატიული სკოლა,რაც ნამდვილად არ არის ადვილი, სახელმწიფოს მთავარი მიზანიც ხომ თავისუფალი, კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქის აღზრდაა, რისთვისაც საჭიროა შევქმნათ ისეთი საგანმანათლებლო სისტემა,რომელიც ხელს შეუწყობს აღნიშნულს.

საკვანძო სიტყვები: კომუნიკაცია, ნეგატიური, პოზიტიური, პრაქტიკა, ემპათია, დემოკრატია, წესდება, შინაგანაწესი, დიალოგი, დისკუსია, საინფორმაციო ბუკლეტები.

შესავალი

მოსწავლის აღზრდის პროცესში ერთ-ერთი მთავარი როლი ოჯახთან ერთად სკოლას და მასწავლებელს უკავია, მასწავლებელი უნდა ჩაწვდეს ბავშვის ბუნებას, მუდმივად უნდა გამოხატოს თანაგრძნობა და მისცეს მოსწავლეს საშუალება იყოს თავისუფალი და თავისუფლად მოახერხოს საზოგადოებაში სოციალიზაცია. მასწავლებელი უნდა იყოს მოსწავლის მიმართ ემპათიური, რაც ნიშნავს- „შეხედე საგნებს მისი თვალებით“, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ბავშვის სურვილები, არ მოხდეს მათი უგულვებელყოფა. ეს კი აუცილებლად მოგვიტანს ნდობას მოსწავლესა და სასკოლო საზოგადოებას შორის.

ძირითადი ნაწილი

დემოკრატია სკოლაში წარმოუდგენელია ნდობის, ეფექტური კომუნი-

კაციის, უსაფრთხოებისა და დაცულობის შეგრძნების გარეშე. სამწუხაროდ სკოლა არ არის თავისუფალი ძალადობისა და დისკრიმინაციისგან ხშირად არის ძალადობის ფაქტები, როგორც ფსიქოლოგიური ისე ფიზიკური, როგორც მოსწავლეებში ისე მასწავლებლების მხრიდან, სასკოლო საზოგადოების მთავარ მიზანია ძალადობის ფაქტების დროული აღმოჩენა და აღმოფხვრა, სწორედ ამიტომ არის აუცილებელი სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა და საზოგადოების ჩართულობა, მათი პოზიტიური კომუნიკაცია. მუდმივად უნდა ხდებოდეს მშობელთა ინფორმირება არა მხოლოდ

ნეგატიური კუთხით, არამედ მოსწავლეთა წარმატების შემთხვევაშიც. სკოლა ვალდებულია ითანამშრომლოს საზოგადოებასთან და ყველა დაინტერესებულ პირთან. სკოლასა და ოჯახს შორის ორმხრივი, რეგულარული კომუნიკაცია ბავშვის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია. ეფექტური კომუნიკაციისთვის საჭიროა, რომ მასწავლებელი და მშობელი ერთმანეთს ინფორმაციას უზიარებდნენ. საჯარო სკოლებში ინფორმაციის გასაცემად ეფექტური საშუალებებია შემუშავებული, მაგალითად, სოციალურ ქსელში სპეციალურად შექმნილი დახურული ჯგუფები, საინფორმაციო ბიულეტენები, ვებ-გვერდები, სკოლის საინფორმაციო დაფები, სადაც ხდება შესაბამისი გზავნილების განთავსდება. ხშირად სკოლებში შემუშავებულია ანალოგიური მექანიზმები მშობლების აქტიური უკუკავშირის უზრუნველსაყოფადაც, მშობელს თამამდ შეუძლია დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება. სკოლამ, დირექციამ და მასწავლებლებმა უნდა წაახალისონ მშობლები, მიაწოდონ მათ ინფორმაცია, თუ რა ხდება ბავშვის ცხოვრებაში, ილაპარაკონ იმ მიმდინარე პროცესებზე, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ბავშვის მიღწევებზე სკოლაში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ ზუსტი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მშობლებს მოსალოდნელი შედეგების შესახებ, სკოლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ და აუცილებლად შესთავაზონ მსგავსი ტიპის აქტივობებში მონაწილეობის მიღება. სკოლამ უნდა უზრუნველყოს, რომ მშობლებთან კონტაქტი ყველა ჯერზე იყოს პოზიტიური.

პოზიტიური კომუნიკაციის პროდუქტი იქნება სარგებელი სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის: მოსწავლისთვისაც, მასწავლებლისთვისაც, დირექციისთის და ასევე მთლიანად სასკოლო საზოგადოებისთვის. მოსწავლეს უნდა შევუქმნათ ღირებულებებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი, საგაკვეთილო პროცესის დროს უნდა ჰქონდეთ დიალოგური და დისკუსიური გარემო, მოსწავლეები უნდა იყვნენ ჩართული კამათსა და შინაარსიან საუბრებში, ჯგუფურ, გუნდურ სამუშაოებში. აუცილებელია მათი წახალისება მოტივაციის ამაღლების მიზნით, რათა თავისუფლად გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები. მასწავლებელი ვალდებულია გააცნოს მოსწავლეებს ადამიანის უფლებების შესახებ კონვენციები. მნიშვნელოვანია თავად ჩაერთონ მოსწავლეები სკოლის წესდებისა და შინაგანაწესის შექმნაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუშაობა არაფორმალური განათლების მიმართულებით, ექსკურსიები, ექსპედიციები, ღონისძიებები, სასკოლო წრეებში ჩართულობა, რომელიც

მიმართული იქნება ეროვნული ცნობიერების ამაღლებისკენ, სადაც მოსწავლე თავს იგრძნობს საჭიროდ და რეალიზებულად, ვინაიდან, როგორც ცნობილია, წესები აუცილებელია! მაგრამ წესების გაგება და მათდამი დამორჩილება გაცილებით იოლია, როდესაც მათ შექმნაში მონაწილეობა გაქვს/აქვთ მიღებული. ფაქტობრივად, მოსწავლეების ჩართვა სკოლის წესების შემუშავების პროცესებში, ერთ-ერთი უმარტივესი და ყველაზე უსაფრთხო საშუალებაა დემოკრატიული მმართველობისაკენ მიმავალ გზაზე დასადგომად. გაერთიანებული ერების ბავშვთა უფლებების კონვენციის 12.1-ე მუხლში ნათქვამია: „საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოხატოს ეს შეხედულებანი ბავშვთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, ამასთან ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა ბავშვის ასაკისა და მოწიფულობის შესაბამისად“[1] (UNICEF, n.d.: 14). ამავე კონვენციის 29-ე მუხლში ნათქვამია, რომ ყველა ბავშვს აქვს განათლების მიღების უფლება, რაც მას ამზადებს “თავისუფალ საზოგადოებაში შეგნებული ცხოვრებისათვის გაგების, მშვიდობის, შემწყნარებლობის, მამაკაცებისა და ქალების თანასწორობის, ყველა ხალხს, ეთნიკურ, ეროვნულ და რელიგიურ ჯგუფებს, აგრეთვე მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელთა შორის მეგობრობის სულისკვეთებით“[2] სკოლების ზოგად დანიშნულებას არ წარმოადგენს მხოლოდ ცოდნის გადაცემა ერთი თაობიდან მეორეზე; ეროვნული სასწავლო პროგრამების უმეტესობაში წარმოდგენილია ის ღირებულებები, რომლებიც არსებითად მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის. სკოლის ეროვნული სისტემა უნდა „უზრუნველყოფდეს მოსწავლეებისათვის ცოდნის გადაცემასა და მოსწავლეთა ოჯახებთან თანამშრომლობის საშუალებით ჰარმონიულ განვითარებასა და ჩამოყალიბებას საზოგადოებისათვის მისაღებ, პასუხისმგებელ პირებად.“[3] როდესაც ვსაუბრობთ მშობელთა მუდმივ ინფორმირებულობასა და კომუნიკაციაზე აქ არ იგულისხმება აუცილებლად მშობელთა სკოლაში გამოცხადება. ამისთვის არის უამრავი საშუალება, სატელეფონო კომუნიკაცია, მოკლე ტექსტური შეტყობინაება, წერილი ელექტრონული ფოსტით. დღეს, როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც შეცვლილია რეალობა პანდემიიდან გამომდინარე. სწავლა მიმდინარეობს დისტანციურად, სხვადასხვა ონლაინ პლატფორმების საშუალებით. აღარ არის სკოლა ვალდებული აწარმოოს სასკოლო ჟურნალი მატერიალური სახით, უმეტეს სკოლებში მიმდინარეობს ელექტრონულ ჟურნალის წარმოება, რაც მშობლებს საშუალებას აძლევს აკონტროლოს შვილის დასწრება და შეფასებები,ონლაინ ეკონტაქტოს მასწავლებლებს. მიუხედავად იმისა რომ მდგომარეობა არის დროებითი უკეთ გამოჩნდა მშობელთა ჩართულობა განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე, სადაც მშობლები მეტად არიან ჩართულები და მასწავლებლებსაც უფრო ხშირი კომუნიკაცია აქვთ მათთან. რასაც ვერ ვიტყვით საბაზო და განსაკუთრებით

[1] გაერთიანებული ერების ბავშვთა უფლებების კონვენცია;

[2] იქვე

[3] ბეკმენი ელისაბეთ ბერნარდ ტრაფორდი სკოლების დემოკრატიული მმართველობა

საშუალო საფეხურის მოსწავლეებზე, არადა, ინტერესები არის საერთო, ეხება მოზარდს და მისი სწავლა-განათლებისთვის მზადყოფნას.

დასკვნა

სკოლა საზოგადოების მცირე მოდელია, რადგან სკოლა ასახავს ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს. ეს არის ადგილი, სადაც ადამიანები ახდენენ სოციალური ურთიერთობების აგებას საკუთარი ცოდნის, გამოცდილების, მორალური ფასეულობების შესაბამისად. სკოლაში სოციალიზაციის შედეგად მიღებული გამოცდილება აისახება საზოგადოების ცხოვრებაზე. გამოცდილება, რომელსაც მოსწავლე იღებს სკოლის გარეთ-ოჯახში, ქუჩაში და ა.შ. აისახება სკოლის ცხოვრებაზეც, ისევე როგორც სკოლაში მიღებული ცოდნა ტოვებს სასკოლო სივრცეს და უბრუნდება საზოგადოებას. ჰუმანისტური თეორიის წარმომადგენელმა კარლ როჯერსმა, ყურადღება გაამახვილა პიროვნების სუბიექტური რეალობის გაგებაზე, ამ მიდგომის თანახმად მასწავლებლის ერთ-ერთი და მთავარი მოვალეობაა, შეძლოს მოსწავლეების, პიროვნების წვდომა. როჯერსის თეორიის მიხედვით კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლე თავს უსაფრთხოდ იგრძნობს, ეხმარება მას თვითშეფასებაში, თვითრეალიზაციაში, ურთიერთპატივისცემასა და დამოუკიდებლად სწავლის უნარების განვი-თარებაში. მოსწავლე უკეთ სწავლობს მაშინ, როდესაც გრძნობს, რომ მას აფასებენ, ღირსეულ ადამიანად, პიროვნებად მიიჩნევენ. მივცეთ მოზარდებს თანაბარი შესაძლებლობები ისწავლონ და განავითარონ საკუთარი უნარები, შეიძინონ საჭირო გამოცდილება, საზოგადოებამ კი, თავისი ჩართულობით, პოზიტიურ, ღირებულებებზე ორიენტირებულ თანამშრომლობას უნდა შეუწყოს ხელი, რაც აუცილებელია საერთო კეთილდღეობის მისაღწევად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბეკმენი ელისაბედ, ბერნარდ ტრაფორდი; სკოლების დემოკრატიული მმართველობა
2. გაერთიანებული ერების ბავშვთა უფლებების კონვენცია;
3. კარლ როჯერსი ჰუმანისტური თეორია 1902-1987.
4. მშობელთა ჩართულობა ;usaid-კვლევები 2015
5. სკოლის მართვა; მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
6. http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/63644%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A8%E1%83%98/19/

Parental Involvement with Schools and Value-Oriented Education

Irma Chartia, PhD student
Georgian Technical University

Summary

The main goal of institutions of general education must serve as to raise awareness and to involve parents in everyday life of students. Why should parents be informed about their children's school life? They need it to better understand and determine how help their children in the process of education, since it is well-known to the society that students, whose parents are involved in the educational process, more successfully graduate from school and have better chances to continue their studies; are more positive, social and kind to others than the ones whose parents are less or not involved in their children's school life at all.

It is quite difficult to involve parents in a daily school life, and often it is motivated by the lack of time, though success of a student to some extent depends on the parental involvement, support and encouragement. The parent should realize this and communication between two parties in general should be positive. For this, it is important to build a democratic school, which is obviously not easy. In fact, the main goal of the government is to raise a free, critically thinking citizen, and for this reason, it is necessary to create an educational system that promotes the above mentioned.

Key words: Communication, negative, positive, practice, empathy, democracy, ballot papers, handouts, company charter, rules of procedure, social avoidance, dialog, discussion.

საქართველოს მე-18 საუკუნის ისტორიის ალტერნატიული განხილვა ჩინეთთან და დასავლეთთან ურთიერთობების დამყარებით

სანდრო ცოცხალაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

მოხსენებაში განხილული არის ის ალტერნატიული ისტორია, რომელიც განვითარდებოდა მე-18 საუკუნეში გეორგიევსკის ტრაქტატის დადებისას, თუ საქართველოს ეყოლებოდა ნამდვილი ძლიერი მოკავშირე, ისეთი როგორიც დღეს არის დასავლეთი ან ჩინეთი. ჩემი კვლევის ინტერესი ყოველთვის იყო საქართველოს ახალი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის შესწავლა, რაც გამოიხატება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ჩამოყალიბებული ურთიერთობითა და ინტეგრაციით სხვადასხვა მიმართულებით. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის შესწავლით უნდა გამოიკვეთოს ამ ინტეგრაციის ადგილი ჩინეთის გლობალური ეკონომიკური პოლიტიკის სისტემაში რაც 21-ე საუკუნის მსოფლიო ეკონომიკაში მთავარი მოვლენაა მისი მასშტაბებისა და სწრაფი ზრდის გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 25 წელი გავიდა თუმცა საქართველოს გეოპოლიტიკური ადგილი გლობალურ პოლიტიკაში ჯერ კიდევ დაუდგენელია და დავის საგანია. ძირითადად, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა მიჯაჭვულია ქვეყნის მიერ არჩეულ პოლიტიკურ კურსზე და არჩევანის გაკეთება ხდება ორ ძალას შორის: ერთის მხრივ რუსეთი და მეორეს მხრივ დასავლეთი (ევროკავშირი, აშშ და კანადა). სწორედ ეს ორი მხარეა რომლის მიმართულებითაც ხდება ქართული სამხედრო თუ ეკონომიკური პოლიტიკის მიმართვა, რაც ხშირ შემთხვევაში პირველის ან მეორის ხისტი პოლიტიკის საფუძველი ხდება. საქართველომ შეიძლება ითქვას როგორც მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ადგილის მქონემ, თუმცა ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით სუსტმა ქვეყანამ, მისმა მოსახლეობამ გააკეთა არჩევანი, რომ პრიორიტეტული მოკავშირე არის დასავლეთი. ხოლო ჩინეთი თავისი ფრთხილი პოლიტიკით არ ითვლება დასავლეთის არც მოკავშირედ და არც პირდაპირ ოპონენტად.

საკვანძო სიტყვები: ერეკლე მე-2, ჩინეთი, ოკუპაცია, გეორგიევსკის ტრაქტატი, რუსეთი

შესავალი

მე განსაკუთრებულ ადგილს მივანიჭებდი საქართველო-ჩინეთის ურთიერთობას როგორც შანსს თავის დაღწევისა ორპოლუსიანი სისტემიდან და ქართულ პოლიტიკურ ბაზარზე ახალი მოთამაშის შემოსვლისა. სავსებით დასაშვებია, რომ როგორც მაგალითად ცენტრალურ აზიაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა უკვე ითვლება რუსეთის კონკურენტად გავლენის სფეროში სწორედ ეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით, საქართველოსთან მყარი ეკონომიკური კავშირების დამყარებითაც, აქაც გაუჩნდეს რუსეთის

ფედერაციას კონკურენტი. მნიშვნელოვანი კი ისაა რომ, ეს კონკურენტი არ იქნება დასავლეთი, რომლის პოლიტიკის წინააღმდეგიც არის რუსეთი, არამედ ერთ-ერთი მისი ყველაზე დიდი მოკავშირე - ჩინეთი. ამ შემთხვევაში რუსეთი ოფიციალურად და პირდაპირ ვერ იქნება წინააღმდეგი, რომ საქართველომ ეკონომიკურად ითანამშრომლოს რუსეთის „მოკავშირესთან". თავის მხრივ, რათქმაუნდა ეჭვქვეშ დგას რუსეთ-ჩინეთის პარტნიორობა და მოკავშირეობა, რაც ხელსაყრელ საფუძველს ქმნის საქართველოსთვის.

ძირითადი ნაწილი

იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო წლებამდე და შეიძლება ითქვას დღესაც, საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია ევროინტეგრაციისა და დასავლეთისკენ, ხოლო საზოგადოების ერთი ნაწილი მომხრეა პრორუსულია საგარეო პოლიტიკისა, ძირითადად პოლიტიკური ელიტა საქართველოს გეოპოლიტიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხებს სწორედ ამ კონტექსტში განიხილავს. საქართველო-ჩინეთის ურთიერთობა კი თავისი ბუნებით სიახლეა, რადგანაც შეიძლება ითქვას, რომ ბოლო რამდენიმე წელია რაც ამ ქვეყნებს შორის რეალურ ეკონომიკურ ურთიერთობას ჩაეყარა საფუძველი. საქართველოსთვის ეს არის ცალსახად ეკონომიკურ გიგანტთან თანამშრომლობა, თუმცა ჩემი აზრით ჩინეთისთვისაც ეს არის ძალზედ მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი თავისი გლობალური ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში, რადგან კავკასიაში ჩინეთს არ ჰყავს სხვა კანდიდატი, რომელიც ასე გახსნილია მასთან ეკონომიკური თანამშრომლობის პირობებში. ჩინეთის სამხედრო პოტენციალისა და ეკონომიკური ზრდის ტემპების გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ ჩინეთი იქცევა გლობალურ ძალად, რაც მსოფლიოს ორპოლუსიანი პოლიტიკური სისტემიდან გადაიყვანს სამპოლუსიან სისტემაზე, რაც ჩემი აზრით მომგებიანი იქნება გარკვეული თვალსაზრისით ისეთი პატარა და ეკონომიკურად სუსტი ქვეყნებისთვის როგორიც საქართველოა. ზემოთხსენებული მიზეზებიდან გამომდინარე, საკითხი მომავლის ერთგვარი წანამძღვრებს წარმოადგენს რადგან ვერ იქნება ფართოდ შესწავლილი ჯერჯერობით და ასევე აქტუალურია რადგან ახლად დაწყებულ თანამშრომლობას შეეხება და ამასთან ერთად გლობალური ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილია.

ჩემი აზრით, საქართველოს აქვს შანსი ჰქონდეს ახალი ეკონომიკური კურსი, რომელიც მიჯაჭვულია მის გეოპოლიტიკურ ადგილმდებარეობაზე და განსაზღვრავს ახალ პოლიტიკურ სივრცეს, რომელში მოქმედების საშუალებაც ეცემა საქართველოს. ჩინეთთან პოლიტიკური თანამშრომლობა ეს არ ნიშნავს მხოლოდ შემოდინებულ ინვესტიციებს ან ქართულ პროდუქტებს ჩინურ ბაზარზე, არამედ თუ ჩავუღრმავდებით ეს ანიჭებს საქართველოს ახალ გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას. უნდა გავითვალისწინოთ, ჩინეთის გლობალური ეკონომიკური პოლიტიკა რამდენიმე ორგანიზაციისა და პროექტის მეშვეობით როგორებიც არიან შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია, BRICS(ბრაზილია, რუსეთის ფედერაცია, ინდოეთი, ჩინეთის

სახალხო რესპუბლიკა, სამხრეთ აფრიკა), აზიური ინფრასტრუქტურისა და ინვესტიციების ბანკი(რომლის მონაწილეც არის საქართველო), ასევე ახალი აბრეშუმის გზა რომელშიც ერთი შეხედვით საქართველოს ადგილი არ იყო, თუმცა სწორედ თანამშრომლობამ განსაზღვრა, რომ საქართველო დღეს ჩაბმულია პროექტში. ზემოთხსენებულ ყველა პროექტში ჩაბმულია რუსეთის ფედერაცია, რომელთანაც დღეს საქართველოს გაწყვეტილი აქვს დიპლომატიური ურთიერთობა და ამ კუთხითაც ქვეყნის ინტერესებისთვის სასარგებლო არის რუსეთის მოკავშირესთან მრავლისმომცველი ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება. კონკრეტულად საქართველოსთან მიმართებაში კი აღსანიშნავია თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება და ახალი აბრეშუმის გზა.

საქართველო უნდა იყოს აქტიური, რათა ბევრი მაღალი თანამდებობის მქონე ჩინელი პოლიტიკოსი ეწვიოს საქართველოს ფორმალური თუ არაფორმალური ვიზიტით, რათა ჩინეთისთვის უფრო მკაფიოდ იქნას საქართველოს როლი, სურვილი და მზაობა გამოკვეთილი მომავალი ორმხრივი ურთიერთობისთვის. ერთ მხარეს არის საქართველოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ცვლილებას ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობისა და ჩინეთის გლობალური ეკონომიკური პოლიტიკიდან გამომდინარე, ხოლო მეორე მხარეს ჩვენ ვხედავთ კონკრეტულად თუ როგორ უნდა მოახდინოს გავლენა ჩინეთთან ურთიერთობამ საქართველოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გაძლიერებაზე.

დასკვნა

ზემოთხსენებული ფაქტებიდან გამომდინარე მინდა დავსვა კითხვა, მოაწერდა თუ არა ხელს ერეკლე მე-2 გეორგიევსის ტრაქტატს 1783 წელს, თუ იმ ეპოქაში საქართველოს ექნებოდა უკვე ურთიერთობები დამყარებული ძლიერ დასავლეთთან და ძლიერ აღმოსავლეთთან(დავუშვათ, რომ მე-18 საუკუნეში ჩინეთი ყოფილიყო ისეთივე ძლიერი როგორც დღეს)? ჩემი აზრით, საქართველოს სუვერენიტეტს განამტკიცებს და სრული ოკუპაციისგან გვიცავს სწორედ ისეთ ძლიერ პოლიტიკურ მოთამაშეებთან მჭიდრო ურთიერთობა, როგორიც არის ჩინეთი და დასავლეთი. 21-ე საუკუნის პოლიტიკური მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელოა სამხრეთ კავკასიაში, ისევ ძლიერია რუსული გავლენა და ისევ ოკუპირებულია საქართველო, ისევ რუსეთ-თურქეთის პოლიტიკური ბრძოლა მიმდინარეობს გავლენებისთვის, თუმცა შეიცვალა ერთი რამ. დასავლეთი არის ეკონომიკურად და სამხედრო კუთხით ინტეგრირებული, ხოლე ჩინეთი არის მსოფლიო სუპერ ძალა. ამიტომ, ჩინეთთან მჭიდრო ურთიერთობა ახალ გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას შეძენს ქართულ სახელმწიფოს და აღარ ვიქნებით ადვილი ლუკმა რუსული იმპერიალისტური განზრახვებისთვის. აქედან გამომდინარე, უნდა ვიაქტიუროთ, რომ დავაინტერესოთ ჩინეთი, რათა მინიმუმამდე დავიყვანოთ იმის შანსი, რომ ერთ მშვენიერ დღეს საქართველოს მმართველს არ მოუწიოს ახალ გეორგიევსკის ტრაქტატზე ხელის მოწერა როგორც ერთმორწმუნეობის იმედით, ისევე უბრალოდ ქვეყნის გადარჩენისთვის. ჩვენმა გეოპო-

ლიტი-კურმა მდგომარეობამ უნდა უზრუნველყოს სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა ძლიერ ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარების მეშვეობით. ამიტომ, 1783-1801 წლებში საქართველოში რომ ყოფილიყო სხვა ძლიერი ქვეყნების ინტერესები გარდა ოსმალეთი-რუსეთი-ირანისა, დიდი ალბათობით არ მოხდებოდა საქართველოს ორ საუკუნოვანი ოკუპაცია, რომელიც დღესაც გრძელდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Robert S. Ross (1999) – "The Geography of the peace: East Asia in the Twenty-first century"; International security, Vol. 23, No. 4,
2. Yan X. (2006) – "The rise of China and its power status"; Chinese Journal of international politics, Vol. 1,
3. Suisheng Z. (2013) – "Chinese foreign policy as a rising power to find its rightful place" Perceptions, Volume 18, Number 1,
4. Vincent C., Ferdinand P. (1994) – "China as an economic giant: Threat or opportunity?" International affairs Vol. 70, No. 2
5. Evan S. Medeiros & M. Taylor Fravel (2003) – China's new diplomacy. Foreign Affairs. Council on Foreign Relations. Vol. 82, No. 6

An alternative discussion of the history of Georgia in the 18th century with the establishment of relations with China and the West

Sandro Tsotskhalashvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

In my word for the conference, I am trying to prove that the occupation of Georgia after the accord of Georgievski in 1783 was the result of unimportant geopolitical importance for other political players except our neighbors Russia-Ottoman Empire and Iran. I created an alternative reality in 18th century when there was a united strong west and powerful China and I posed a question if our king signed the agreement in that case too? I assume that Erekle II would not have asked Russia to assist in case of invasion if he had known that the Kingdom of Georgia is geopolitically important for other states rathen than our neighbors. Coming from that, we should study a lesson from history and increase our geopolitical importance so that we are secured from total occupation and that occupied regions of Abkhazia and Shida Kartli will be returned to Georgia. That is why we need China's active presence in Georgia and in entire South Caucasus to ensure stability and avoid contemporary "1783" in 21st century.

Keywords: Erekle II, China, Russia, Occupation, Treaty of Georgievski, Geopolitics

მედიაწიგნიერება უცხოეთში და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში

ამრიტა ჯანაშია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

მედიაწიგნიერების მნიშვნელობა საზოგადოებისთვის და ქვეყნებში დემოკრატიის გაძლიერებისთვის სულ უფრო თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი ხდება. თუ თვალს გადავავლებთ იმ ქვეყნების განვითარების დონეს, სადაც მედიაწიგნიერებას სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, გასაგები გახდება, თუ რატომ უნდა ვიყოთ მედიაწიგნიერები. ესტონეთის და ფინეთის მაგალითი, თუ როგორ დაუპირისპირეს რუსულ პროპაგანდას მედიაწიგნიერების განვითარება და მიაღწიეს გამარჯვებას, ჩვენი ქვეყნისთვის შეიძლება იყოს მაგალითი, როგორც რუსული ფეიკნიუსების და აგრესიული პროპაგანდის სამიზნე ქვეყნისთვის.

მედიაწიგნიერების როლი ჯერ კიდევ გასული საუკუნის მეორე ნახევარში აღიარეს უცხოეთში. რამდენიმე ქვეყანაში ის სასკოლო პროგრამებში შეიტანეს. საყურადღებოა, რა მდგომარეობაა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, როგორ განვითარდა მედიაწიგნიერება? წინამდებარე სტატიაში განხილული იქნება რამდენიმე უცხოეთის და ბალტიისპირეთის ქვეყნების მაგალითი, სადაც მედიაწიგნიერებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

საკვანძო სიტყვები: მედიაწიგნიერება, სტუდენტი, პოსტსაბჭოთა.

შესავალი

1987 წელს, კანადაში 5000-მდე სკოლაში VII-XII კლასებში მედიაწიგნიერების სწავლება სავალდებულო გახდა, 90-იან წლებში კი უკვე ქვეყნის ყველა სკოლაში ასწავლიდნენ. ავსტრალიის სკოლებში 1990 წლიდან ისწავლება მედიაწიგნიერება. საგულისხმოა, რომ ის პირველიდან მე-12 კლასის ჩათვლით სავალდებულო საგანია. დიდ ბრიტანეთში მედიაწიგნიერება ინტეგრირებულია მშობლიური ენის სწავლასთან ერთად. 25 000 უფროსკლასელი და 8000 სტუდენტი ყოველწლიურად მედიაწიგნიერებას ირჩევს საბოლოო გამოცდებისთვის.

ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნები მოწინავე ადგილზე არიან მედიაწიგნიერების განვითარების მხრივ. 2018 წლის მონაცემებით, ფინეთი ევროპაში პირველ ადგილს იკავებდა 76%-ით, მას მოსდევს დანია - 71%-ით, ნიდერლანდები -70%, შვედეთი - 69%, ესტონეთი - 69%. ქვეყნების ბოლო სამეული კი ასე გამოიყურება - ალბანეთი - 22%, თურქეთი - 16%, მაკედონია- 10%.

შესავალი

ფინეთში მედიაწიგნიერებას საფუძველი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში ჩაეყარა, როცა აუდიოვიზუალური ხელოვნების განვითარებას თან მოჰყვა შიში, თუ რა ზეგავლენას მოახდენდა იგი პიროვნებაზე.

მედიაწიგნიერება ფინეთში თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებს ასახავს და თანხვედრაშია იუნესკოს 2007 წელს პარიზში

ჩატარებული კონფერენციის რეკომენდაციებთან, რომლის მიხედვითაც, თანამედროვე მედიაწიგნიერება სამი ძირითადი კონცეფციისგან შედგება. 1. მისცეს ყველა მედიასთან წვდომის საშუალება. 2. განავითაროს კრიტიკული აზროვნების უნარები 3. განავითაროს შემოქმედებითობა, წარმოება და ინტერაქტიულობა მედიაკომუნიკაციის ყველა სფეროში.

ერთ-ერთი გამოკითხვის დროს, რომელიც ფინეთში მე-9 კლასელებში ჩაატარეს, აღმოჩნდა, რომ ფინელი ბავშვების მედიაწიგნიერების დონე ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე ევროკავშირის დანარჩენ ქვეყნებს შორის. 8 ქულიდან მათი დონე 5-დან 8 ქულამდე შეფასდა, მაშინ, როცა ევროპაში ის მხოლოდ 2-4 ქულით აღინიშნა.

ფინეთში მედიაწიგნიერების განვითარებაზე არა მხოლოდ მოსწავლეებში, ახალგაზრდებსა და პედაგოგებში ზრუნავენ, არამედ დიდი ყურადღება ექცევა ხანდაზმულ ადამიანებში საჭირო უნარების განვითარებას. შექმნილია სპეციალური პროგრამები, რომლითაც სარგებლობენ ასაკოვანი ფინელები.

უნდა აღინიშნოს ფინეთის მიდგომა ფეიკნიუსების და ტროლების წინააღმდეგ. 2019 წლის 5 აგვისტოს BBC წერდა, რომ ფინეთი წარმატებით იბრძვის რუსული ტროლების და ფეიკნიუსების წინააღმდეგ. ქვეყანა ახორციელებს სტრატეგიას, რათა ნებისმიერი მოქალაქე მზად იყოს არა მხოლოდ დღევანდელი რთული საინფორმაციო ველისთვის, არამედ ხვალინდელი დღისთვისაც. ქვეყანა, რომელსაც 832 კილომეტრიანი საზღვარი აქვს რუსეთთან, მძაფრად აღიქვამს, რა მოხდება, თუკი უმოქმედოდ იქნება.

2015 წელს ტროლების რაოდენობის ზრდის გამო, ფინეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თითოეულ ფინელს უნდა აეღო პასუხისმგებლობა ცრუ ინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ფინეთში მიიწვიეს ამერიკელი სპეციალისტები, რათა მაღალჩინოსნებისთვის აეხსნათ, როგორ შეიძლებოდა ცრუ ახალი ამბების გამოცნობა, როგორ და რატომ გარდაიქმნება შემდეგ ისინი ვირუსად და რა სტრატეგია შეიძლებოდა შემუშავებულიყო მის წინააღმდეგ ბრძოლისთვის. ქვეყანაში ასევე განახორციელეს განათლების სისტემის რეფორმა, რომლის მიზანიც კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებისთვის განსაკუთრებული ყურადღების დათმობა იყო. გატარებული ღონისძიებების შედეგად ფინეთი პირველ ადგილზეა მედიაწიგნიერების განვითარების მხრივ ევროპაში და სხვა ქვეყნები მას უყურებენ, როგორც მაგალითს, თუ როგორ შეიძლება გაიმარჯვო დეზინფორმაციასთან ომში და ცდილობენ, ფინეთისგან აიღონ მაგალითი და ზუსტად გაიმეორონ მის მიერ შემუშავებული გეგმა.

მედიაწიგნიერება და ონლაინუსაფრთხოება სასკოლო განათლების ნაწილია ესტონეთში, სადაც ეს მიმართულება 2020 წლის განათლების სტრატეგიაშია ჩაწერილი. მისი მიზანია სკოლის მოსწავლეებს განუვითაროს საინფორმაციო ცნობიერება, რომლის მეშვეობითაც ის შეიცნობს და გაიაზრებს საინფორმაციო ველს.

დეზინფორმაცია, ყალბი ახალი ამბები- ეს საფრთხები ბოლო წლების განმავლობაში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების და ამერიკის მიმართულებით რუსეთისგან მოდის. ნინა ჯენკოვეცი, უილსონის ცენტრის მკვლევარი დეზინფორმაციის მიმართულებით, წიგნში „როგორ წავაგოთ საინფორმაციო ომი“,

აღმოსავლეთ ევროპის ხუთ ქვეყნის მაგალითზე აკეთებს დასკვნას, თუ რა სახის ინფორმაციულ ომს თუ დეზინფორმაციას ჰქონდა ადგილი რუსეთიდან ამ ქვეყნების მიმართ (საქართველო, უკრაინა, ჩეხეთი, პოლონეთი, ესტონეთი). მკვლევარის აზრით, რუსეთის მხრიდან ერთ-ერთი მთავარი ტრენდი ქვეყნის შიგნით არსებული მცირე კონფლიქტების გაღვივება და შემდეგ ამ კონფლიქტებისთვის მხარდაჭერა და წახალისებაა. ასე მოიქცა ის ესტონეთში, უმცირესობაში მყოფი ეთნიკურად რუსი ხალხის ესტონეთის მთავრობის წინააღმდეგ წახალისების დროს.

აქ ყველაზე მნიშვნელოვანია, საპასუხოდ როგორ მოიქცა ესტონეთის მთავრობა. მან სწორად დაინახა პრობლემა და ეთნიკურად რუს ხალხს ან მათ ლიდერებს პირდაპირი წინააღმდეგობა კი არ გაუწია, არამედ დაიწყო ინ-ვესტიციების ჩადება განათლების და რუსულენოვანი მედიის განვითარების სფეროში. ამ სახით მთავრობამ დეზინფორმაციასა და ცრუ ახალ ამბებს სიმართლე და განათლება დაუპირისპირა. ეთნიკურად რუს ხალხს კი აჩვენა, რომ მთავრობას მათი ესმის და მათ პრობლემებსა თუ გულისტკივილს იზიარებს. სწორედ ეს არის მედიაწიგნიერების მიზანი თანამედროვე სამყაროში - ონლაინმომხმარებელმა თუ სხვა გზით ინფორმაციის მიმღებმა შეცვალოს საკუთარი ქცევა, სტატიის გაზიარებამდე გადაამოწმოს, თუ რას კითხულობს და რამდენად შეესაბამება ის სინამდვილეს.

თუმცა, როგორც წიგნის ავტორი ამბობს, ამ სიმართლის მიწოდებასაც სწორი ფორმები და შინაარსი უნდა ჰქონდეს. სწორად უნდა გვესმოდეს მედია წიგნიერების შინაარსიც და მისი მთავარი მიზანიც.

“ხშირად არასწორად იგებენ იმას, თუ რა არის მედიაწიგნიერება. ეს არ არის მხოლოდ ვინმესთვის ონლაინ სტატიიის გაგზავნა და იმის ჩვენება, რომ აი აქ არის სტატია, სადაც ფაქტებია გადამოწმებული და შენ მტყუანი ხარ. ეს [მედია წიგნიერება] ბევრად უფრო რთული საკითხია. ეს განმეორებითი პროცესია, რომლის მიზანიც არის არა მხოლოდ ის, რომ ადამიანებმა მიიღონ და დაიჯერონ გადამოწმებული ფაქტები სხვადასხვა ორგანიზაციებიდან, არამედ ისიც, რომ თავად დაიწყონ ფაქტების გადამოწმება. და იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადამიანს არ შეუძლია, რომ ზუსტად გადაამოწმოს ინფორმაცია, იმას მაინც მიხვდება, რომ კონკრეტული წყარო საეჭვოა და სხვაგან დაიწყებს ინფორმაციის გადამოწმებას. მედიაწიგნიერიების მიზანიც ისაა, რომ წაახალისოს ონლაინ მომხმარებლები, შეცვალონ საკუთარი ქცევა და მხოლოდ სათაურის წაკითხვის ან დაუყოვნებლიც სტატიის გაზიარების ნაცვლად, გადაამოწმონ ის, რასაც კითხულობენ“, ამბობს ნინა ჯენკოვეცი.

ლატვიაში, 2017 წელს კულტურის სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ 9-16 წლის მოსწავლეები დიდ დროს ატარებენ ონლაინ, თუმცა, ისინი არ არიან საკმარისად კრიტიკულები სოცი-ალური ქსელებით გავრცელებული ინფორმაციის მიმართ. ამიტომ აქ სკოლის მოსწავლეებს მედიაწიგნიერებასთან ერთად ახალი მედიის უსაფრთხო გამოყენებასაც ასწავლიან.

დასკვნა

სხვადასხვა ორგანიზაციის ინიციატივით, საფრანგეთის სკოლებში მედიის წარმომადგენლები, ჟურნალისტები ატარებენ შეხვედრებს და მოსწავლეებს უხსნიან, რომ რასაც ონლაინ ვკითხულობთ, ყველაფერი უტყუარი ფაქტი არ არის. ასეთი სახის ღონისძიებებს დადებითი შედეგი მოაქვს, რადგან ინტერაქციით, ვიზუალური მასალის ჩვენებით უფრო გასაგები ხდება, თუ რა როლს ასრულებს მედიაწიგნიერება ჩვენს ცხოვრებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. How to Lose the Information War: Russia, Fake News, and the Future of Conflict Hardcover –Nina Jankowicz, July 9, 2020
2. Livingstone et al., 2011, გვ. 28
3. https://osis.bg/
4. Practical Media Literacy: An essential guide to the thinking skills for our digital world 2nd Edition – Nick Pernisco

Media literacy abroad and in post-soviet countries

Amrita Janashia, PhD student
Georgian Technical University

Summary

The importance of media-literacy for streghtening society and democracy in countries is becoming increasingly important and apparent. If we take a look at the level of development of the countries where media-literacy is given special attention by the government, it will becomes clear why we must be media-literate. The example of Estonia and Finland, how they have countered Russian propaganda to media-literacy development and achieved victory, could be an example for our country as a target of Russian fake nees and aggresive propaganda.

რა ვიცით კლიმატის ცვლილებებზე?

თამთა ჯინჯოლავა, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

,,ჩვენ არ გვაქვს დრო ,გულხელდაკრეფილი ვისხდეთ, როცა ჩვენი პლანეტა იწვის. ახალი თაობისთვის კლიმატის ცვლილება უფრო მეტია ,ვიდრე არჩევნები. ეს არის სიცოცხლე ან სიკვდილი''

ალექსანდრია ოკასიო-კორტესი

რეზიუმე

კლიმატის ცვლილებები, რომლის შემჩნევაც მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყეს, 21-ე საუკუნეში ერთ-ერთ ყველაზე რთულ გამოწვევას წარმოადგენს. თუ თავდაპირველად კლიმატის ცვლილებები საშუალო გლობალური ტემპერატურისა და ბუნებრივი კატასტროფების გაზრდილი მაჩვენებლით შეინიშნებოდა, დღეს მის ეფექტებს თითქმის ყველა სფეროში ვხედავთ.

კლიმატის ცვლილებები გამოწვეულია როგორც ბუნებრივი ცვლილებებით, ასევე ინდუსტრიალიზაციით და საწარმოოო ქმედებების ზრდის სწრაფი ტემპით. ბუნებრივ ცვლილებებს განეკუთვნება: ატმოსფეროს გამჭვირვალობის შეცვლა; კონტინენტებისა და ოკეანეების ზომების ცვლა და მათი ორმხრივი განლაგება; დედამიწის ორბიტის პარამეტრების შეცვლა; ატმოსფეროს სათბური აირების კონცენტრაციის ცვლა; მზის ნათების ცვლა და სხვა.

ბოლო ასწლეულის განმავლობაში დედამიწის საშუალო ტემპერატურა 0,72 გრადუსით, ხოლო პიკური ტემპერატურები 3 გრადუსით გაიზარდა.

კლიმატური ცვლილებების დინამიკა იმდენად სწრაფად და იმდენად სავალალოდ იცვლება, თუ დროულად არ მოხდა შემარბილებელი ღონისძიებების გატარება და კლიმატისადმი მდგრადი განვითარების სტრატეგიის აღსრულება, მოსალოდნელი შედეგები კაცობრიობას კატასტროფამდე მიიყვანს.

საკვანძო სიტყვები: კლიმატის ცვლილებები; გარემოს დაცვა; გლობალური ტემპერატურა.

შესავალი

კლიმატური სისტემა ატმოსფეროს, ჰიდროსფეროს, ბიოსფეროს და გეოსფეროს ერთობლიობაა და მათი ურთიერთქმედება განაპირობებს ამ სისტემის ქცევას. კლიმატური ცვლილებები ფიზიკურ დონეზეც კი თვალშისაცემია და ჩვენ ვხედავთ როგორ დაიწყო მყინვარებმა დნობა მთებში; აიწია ზღვის დონემ; ოკეანეში წყლის ტემპერატურამ და მჟავიანობამ მოიმატა; შეიცვალა ამინდი; იმატა ბიომრავაფერლოვნების კარგვამ; გახშირდა გვალვა, წყალმოვარდნა, ღვარცოფი. დნება პერმაფროსტებიც და მკვლევართა ნაწილი ვარაუდობს, რომ პერმაფროსტების დნობის შედეგად შესაძლოა მათში შენახული ბაქტერიები და ვირუსები დედამიწაზე გავრცელდეს. ევოლუციის

ბიოლოგი ჟან მიშელ-კლავერი წერს: „პათოგენური ვირუსები, რომლებსაც ადამიანებისა და ცხოველების დაინფიცირება შეუძლიათ შეიძლება პერმაფროსტის ძველ ფენებში ინახებოდეს, მათ შორის ის პათოგენებიც, რომლებმაც წარსულში გლობალური ეპიდემიები გამოიწვიეს.''თუ ეს სიმართლე აღმოჩნდება, და ის ვირუსები გააქტიურდებიან, რომელთანაც საუკუნეების განმავლობაში ადამიანებს შეხება არ ჰქონიათ, იმუნიტეტი მოუმზადებელი დახვდება მტერს და შედეგები შესაძლოა სიცოცხლის ფასად დაგვიჯდეს.

კლიმატური ცვლილებები აისახება სოციალურ, ეკონომიკურ და ჯანდაცვის სფეროებშიც. ცვლილებების გამო რიგ რეგიონებში კითხვის ნიშნის ქვეშ დგება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რესურსების არსებობა: სასმელი წყალი, სუფთა საკვები(არა მხოლოდ სუფთა, არამედ საკმარისი, რადგან კლიმატის ცვლილებები მნიშვნელოვნად აზიანებს სასოფლო-სამურნეო საქმიანობასაც),სუფთა ჰაერი და უსაფრთხო საცხოვრებელი ადგილი. კლიმატის ცვლილებების გამო ადამიანებს უწევთ იძულებით შეიცვალონ საცხოვრებელი ადგილი, რაც ზრდის ეკო მიგრანტების რიცხვს.

კლიმატის ცვლილებები მძიმედ მოქმედებს ჯანმრთელობაზეც, განსაკუთრებით რისკ ჯგუფში მყოფთათვის. მომატებული ტემპერატურა იწვევს გულ-სისხლძარღვთა დარესპირატორულ დაავადებებს, ჰიპერტენზიას. ამასთან, იზრდება ინფექციების რისკი. მაღალი ტემპერატურა და ნალექიანობა ხელს უწყობს წყლისმიერი და ტრანსმისიული ვირუსების,ბაქტერიებისა და ინფექციების ზრდას. მუდმივად საფრთხის ქვეშ ყოფნა აზიანებს ადამიანის ფსიქიკასაც და უკვე გაჩნდა ახალი ცნება ,,კლიმატის ცვლილებების ფსიქოლოგია''. ამ გამოწვევების საპასუხოდ, **2009 წელს ჯანმომ ხელი მოაწერა** კლიმატური ცვლილებებისა და ჯანმრთელობის სამოქმედო გეგმას, რომელიც ითვალისწინებს:

1. **პარტნიორობა** - გაერთიანებული ერების სისტემის ფარგლებში პარტნიორი სამსახურების კოორდინირებული მუშაობა და იმის უზრუნველყოფა, რომ ჯანმრთელობის საკითხები ჯეროვნად იყოს ასახული დღის წესრიგში;
2. **მეცნიერების მიღწევები და ფაქტები** - სამეცნიერო მტკიცებულებების გადახედვის კოორდინაცია;
3. **ჯანდაცვის სისტემების გაძლიერება,** რათა დაეხმარონ ქვეყნებს შეაფასონ და შეამცირონ მოწყვლადობა.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრს საუბრობენ კლიმატის ცვლილებებით გამოწვეულ საფრთხეებზე, ბიზნესი მას მაინც არასერიოზულად ეკიდება. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. კომპანიისთვის, რომელიც ორიენტირებულია დიდი ფინანსური კაპიტალის მიღებაზე, გრძელვადიან ლოდინს სწრაფი შემოსავლის ქონა ურჩევნია. გარდა ამისა, არსებობს მითი იმის შესახებ, რომ კლიმატის ცვლილებებთან მორგებული ეკონომიკური მოდელი ზრდის საოპერაციო ხარჯებს. და თუ გაძვირდება წარმოება და მიწოდების ხარჯი, შემცირდება მომხმარებლების რიცხვი, მაგრამ სინამდვილეში ბიზნესი თუ სწორად აწარმოებს თავის საქმიანობას ,ადაპტირდება ეკოსისტემასთან და გამოიყენებს განახლებად ენერგიებს, შეამცირებს ტოქსიკატებსა დ ნარჩენებს წარმოების დროს, ბევრად უმცირდება ხარჯები.

წიგნში ,,კლიმატური კაპიტალიზმი'' ავტორები ჰანთერ ლოვინსი და ზოიდ კოჰენი სამართლიანად შენიშნავენ რომ ,,ბიზნესმა გაანადგურა ეკოსისტემები და ადამიანები მთელს მსოფლიოში. ამის შესაცვლელად უნდა შეიცვალოს ,,წარმატების'' დეფინიციაც. ეკოსისტემური სერვისები, როგორიცაა ჯანსაღი კლიმატი, ნიადაგის ნაყოფიერება და ხელუხლებელი ბიოსფეროს აღმდგენი შესაძლებლობები, არ ეკუთვნის არც ერთ კომპანიას ან ქვეყანას. თუმცა ისინი მხარს უჭერენ დედამიწაზე სიცოცხლის შენარჩუნებას და ამით, ეკონომიკური შესაძლებლობების არსებობას. სანამ ჩვენი ეკონომიკური და სააღრიცხვო სისტემა არ განიხილავს ბუნებრივი კაპიტალის მნიშვნელობას, მანამ შეუძლებელი იქნება კაპიტალიზმის ისეთი მოდელის შექმნა, რომელიც სიმდიდრესა და კეთილდღეობას შემოგვთავაზებს''.

2019 წელს ევროპარლამენტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, დადგინდა ,რომ კლიმატის ცვლილებები ევროპაში ხალხის მთავარ საზრუნავად იქცა და აჯობა გლობალურ ტერორიზმს.

კლიმატის ცვლილებები ასახულია გაეროს მდგრადი განვითარების სტრატეგიაშიც, რომელიც 17 მიზნისა და 169 ინდიკატორისგან შედგება. მე-13 მიზანი ეხება კლიმატის ცვლილებების საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელებას.

2020 წელს ძალაში შევიდა 2015 წლის დეკემბერში დადებული პარიზის შეთანხმება, რომელსაც ხელი 195- მა ქვეყანამ მოაწერა. შეთანხმების მთავარი მიზნებია: გლობალური დათბობის შენარჩუნება 2 გრადუსი ცელსიუსის ფარგლებში (სასურველი მიზანია: 1,5, გრადუსი)სათბური გაზების ემისიის ნულამდე დაყვანა 2050 წლისთვის; კლიმატის ცვლილების დარეგულირებისთვის ეროვნული გეგმების შემუშავება და განვითარებადი ქვეყნებისთვის კლიმატის ცვლილების პრევენციისთვის ფინანსური დახმარების გაწევა.

კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული საფრთხეები საქართველოსთვის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კარბონის ემისიის რიცხვი მთლიან ემისიაში 0,3 პროცენტს შეადგენს და მისი წილი კლიმატის გლობალურ ცვლილებებში ერთი შეხედვით მცირეა, გამოწვევები მაინც ბევრი გვაქვს.

საქართველოში კლიმატის ცვლილებები გამოიხატება ამინდის ცვლილებით, გვალვით, გახშირებული წყალდიდობით, ზვავით, ღვარცოფით, ყინულის დნობით, ამასთან, პრობლემურია წიაღისეულის მოპოვების საკითხი და ტყის რესურსის კლიმატგონივრული მართვა.

დამაინტერესა საქართველოს მოსახლეობა რამდენად პრობლემურად მიიჩნევს კლიმატის ცვლილებებს და პასუხის მისაღებად ონლაინ-გამოკითხვა ჩავატარე. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 230-მა ადამიანმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. ასაკი: 17-60. გამოკითხულთა სქესი: 48%-კაცი, 52%-ქალი.

საკვლევი კითხვები:

1. რამდენად მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილებები გლობალურ დონეზე? რატომ?

2.რამდენად მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილებები საქართველოსთვის? რატომ?

მიღებული პასუხების შეჯამების მიხედვით, გამოვარკვიე რომ:

გამოკითხულთა 72%-მა პროცენტმა მიპასუხა რომ კლიმატის ცვლილებები ძალიან მნიშვნელოვანია, ამასთან, მხოლოდ 39%-მა შეავსო ,,რატომ'' გრაფა და მიღებული პასუხები ასე გამოიყურება: 61% თვლის, რომ კლიმატის ცვლილებები გლობალურ დონეზე მნიშვნელოვანია ბუნებრივი კატასტროფების მატების გამო, 28%-ისთვის მნიშვნელოვანია სუფთა საკვების შემცირების, ხოლო 11%-ისთვის წყლის რესურსის გამოლევის გამო.

შეკითხვაზე ,,რამდენად მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილებები საქართველოსთვის? რატომ?'' გამოკითხულთა 64 %-ისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. 14%-ისთვის მნიშნელოვანია, მაგრამ არა საჩქარო, 22%-მა კი არ იცის მნიშვნელოვანი არის თუ არა. იმ გამოკითხულებიდან, რომელთა აზრითაც საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილებები, მიზეზებად შემდეგი პასუხები მივიღეთ: 43%- მნიშვნელოვანია შეცვლილი ამინდის გამო ,განსაკუთრებით მთიანი რეგიონებისთვის; 27%-ის მნიშვნელოვანია რადგან კლიმატის ცვლილებებმა შეცვალა მიწის ნაყოფიერება და მცირე რაოდენობის ადგილობრივი საკვები იწარმოება; 30%-თვის მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სერვისებზე ხელმიუწვდომლობის გამო.

დასკვნა

კლიმატის ცვლილებების შესარბილებლად მნიშვნელოვანია ყველა ქვეყანამ, ყველა ინსტიტუციამ და ყველა ადამიანმა გაიზროს პასუხისმგებლობა და ერთობლივად, მიზანმიმართულად იმუშაოს კლიმატის ცვლილებების შედეგების აღმოსაფხვრელად და შეამციროს სამომავლო რისკები. თუ გლობალურ დონეზე ვიმსჯელებთ,მნიშვნელოვანია ხელი შეეწყოს განვითარებად ქვეყნებს და აღიჭურვოს ისინი შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და ცოდნით; გამკაცრდეს გარემოს დამაბინძურებელი ბიზნეს-სექტორი და წახალისდეს დეკარბონიზებული ეკონომიკა,ასევე, მეტი ინვესტიცია ჩაიდოს მწვანე ტექნოლოგიებში. მოწყვლად ჯგუფებს საკმარისი ინფორმაცია მიეწოდოს კლიმატის ცვლილებებთან და რისკენთან დაკავშირებულ საკითხებზე.მნიშველოვანია მოხდეს კლიმატის ცვლილებების შემარბილებელი სტრატეგის არამხოლოდ შემუშავება,არამედ მისი აღსრულების კონტროლიც. მონიტორინგის ფუქნცია მედიამაც უნდა შეასრულოს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კლიმატის ცვლილებებთან ბრძოლა მიმდინარეობდეს სოციალური სამართლიანობის პირობებში და ის არ იწვევდეს ისედაც ღარიბი მოსახლეობის კიდევ უფრო მეტად გაღარიბებას.

ადამიანი გავლენას ახდენს კლიმატის ცვლილებებზე, ცვლილებებით გამოწვეული შედეგები კი გავლენას ახდენს ადამიანზე, ამიტომ საჭიროა ამ მოჯადოებული წრის გარღვევა, და იმის გააზრება თუ რაოდენ დიდია თითეული ადამიანის როლი და ფუნქცია გარემოსდაცვით პროცესებსა და კლიმატის შენარჩუნებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კლიმატის ცვლილება და მდგრადი განვითარება-სალექციო მასალების კრებული 2016
2. პარიზის შეთანხმება 2015
3. There are diseases hidden in ice ,and they are waking up- Jasmin Fox-Skelly
4. Climate Capitalism-L.Hunter Lovins, Boyd Cohen.2011
5. www.geenbiz.com
6. www.ndc.ge
7. www.undp.org

What do we know about climate change?

Tamta Jinjolava, PhD student
Georgian Technical University

Summary

„We don't have time to sit on our hands as our planet burns. For young people, climate change is bigger than election. It's life or death".

Alexandria Ocasio-Cortez

Climate change, which gained recognition in the 1970s,is one of the most pressing challenges of the 21st century. If from the begining climate change was noticed with an increase average global temperature and natural disasters, today we see its effects in almost every field.

Climate change is caused by both natural changes, and the rapid growth of industrialization. Natural changes include: changes in the transparency of the atmosphere; changes in the size of the continents and oceans, and their mutual arrangements; changes in the parameters of the Earth's orbit; changes in the concentration of greenhouse gases in the atmosphere; changes in sunlight and many more.

Over the last century the average temperature of the Earth has increased by 0.72 degrees, while the peak temperatures have increased by 3 degrees.

The dynamic of climate change is changing so rapidly and so badly that if timely mitigation measures and the implementation of a climate-sustainable development strategy are not implemented, the expected consequences will lead the human race to disaster.

Keywords: Climate change; Environmental protection; Global temperature

ეკონომიკა და ბიზნესი
ECONOMICS AND BUSINESS

ბიზნესის ახალი გამოწვევები და მომხმარებლის ფსიქოანალიტიკური ანთროპოლოგია[1]

ელისაბედ ხახუტაშვილი, ასოც. პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ბიზნესის ახალი გამოწვევები და მომხმარებლის ფსიქოანალიტიკური ანთროპოლოგიის საკითხები კორონავირუსის პანდემიის პერიოდში. ასევე განხილულია ის ახალი გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია მომხმარებლის ქცევასთან. განხილულია შრომის ბაზარი, ახალი პროფესიები, ციფრული ტრანსფორმაცია. მნიშვნელოვანია ახალი კომუნიკაციების და ახალი სერვის-პროპაგანდა ბიზნესის წარმატებით მართვისთვის.

განხილულია ცალკეულ ინდივიდებსა და ოჯახებზე ფისკალური და ფინანსური საკომპესაციო თანხების გაზრდა, ბიზნესგრანტების და სახელმწიფო კრედიტების საშუალებით ბიზნესზე დაბეგვრის განაკვეთების შემსუბუქება და ბიზნესის გადასარჩენად, კრიზისული ეფექტის შემცირება. და რაც მთავარია, გათვალისწინებული უნდა იყოს ადამიანის ფსიქოლოგიური მომენტები.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესი, ფსიქოანალიტიკური ანთროპოლოგია, კორონავირუსი, პანდემია, ციფრული ტრანსფორმაცია, დისტანციური.

შესავალი

ბიზნესის წარმატების ძირითადი მიზეზი, როგორც ბრაინ თრეისი [3] აღნიშნავს, წარმოადგენს მარკეტინგული ძალისხმევის შედეგად მოგებასთან ერთად მომხმარებლის შექმნა და შენარჩუნება ნაკლები ხარჯებით.

წარმატებული მარკეტინგის მიდგომიდან (4P) მარკეტინგულ მიქსზე - (7P) გადასვლამ ხელი შეუწყო ბიზნესის გარდაქმნას მცირე ბიზნესიდან დიდ ბიზნესამდე.

მაგრამ მსოფლიოში დადგა უცნობი კორონავირუსის პანდემიის

[1] ანთროპოლოგია - 1. ადამიანის წარმოშობისა და ევოლუციის, ადამიანთა რასებისა და ადამიანის ფიზიკური აღნაგობის ნორმალური ვარიაციების შესახებ. 2. მეცნიერება ადამიანის მოღვაწეობის მრავალგვარი ფორმების შესახებ. 3. მეცნიერება - ადამიანის წარმოშობის და ევოლუციის შესახებ. 4. ფილოსოფიური მოძღვრება ადამიანის არსებობისა და სამყაროსთან მისი ურთიერთობის შესახებ [1], [2].

პერიოდი, რომელიც დღესაც გრძელდება და როდის დამთავრდება არავინ იცის. ამან ყველაფერმა გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ბიზნესზე, საჭირო შეიქმნა მასთან შეგუება და ახალ გამოწვევებთან თანაცხოვრება, რასაც ეხება აღნიშნული სტატია. ასევე განხილულია პანდემიის დროს მომხმარებლის ფსიქოანალიტიკური ანთროპოლოგია, ბიზნესის ინსტრუმენტები, COVID-19-თან დაკავშირებით მიღებული ფისკალური და ფინანსური ზომები.

ძირითადი ნაწილი

იმის გათვალისწინებით, რომ ახალი კორონავირუსი სწრაფად ვრცელდება მსოფლიოს ყველა ნაწილში და მათ შორის საქართველოშიც, საერთაშორისო და ადგილობრივი ბიზნესი დგება ახალი გამოწვევების წინაშე, იცავს კარანტინს და შეზღუდვებს, რასაც სახელმწიფო მმართველობის ორგანოები აწესებენ ეპიდემიასთან ბრძოლისთვის. განსაკუთრებით აქტუალური ხდება ბიზნეს სუბიექტების ფუნქციონირების და შრომითი საკითხების რეგულირება, და რაც მთავარია, აღსანიშნავია პანდემიის დროს მომხმარებელთა ქცევა, ცვლილებები, როგორც მყიდველების, ისე სავაჭრო ობიექტების ბიზნეს მოდელების.

აღსანიშნავია ამ დროს მომხმარებლის ფსიქოანალიტიკური ანთროპოლოგია. იცვლება მომხმარებლის ქცევების თავისებურება.

ამ პერიოდში ბიზნესის ამოცანა ხდება გაყიდვების და კომპანიის თანამშრომელთა ლოკაციის შენარჩუნება. მომსახურების პერიოდი ხორციელდება ონლაინ დისტანციურად შეკვეთის ადგილზე მიტანით.

აღსანიშნავია სამი მნიშვნელოვანი მომენტი პოსტკარანტინულ ერაში: ეს კლიენტთა ახალი მოლოდინი და ხარისხიანი მომსახურების ფორმულა; კლიენტთა გზა; ახალი მომსახურების სტანდარტები. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

პირველი, კარგი, ხარისხიანი მომსახურების - სერვისის ფორმულაა: **ხარისხიანი სერვისი = გამოცდილებას მინუს მოლოდინი**. თუ გამოცდილება მოლოდინზე ცუდი იქნება, მაშინ მომსახურება უარყოფითი იქნება, მიუხედავად იმისა, თუ რას გააკეთებენ თანამშრომლები. თუ მცდელობა მოლოდინზე უკეთეს შედეგს იძლევა, მაშინ შთაბეჭდილება მაღლდება, სუპერ სერვისი იძლევა რეკომენდაციებს, ზრდის კონვერტაციებს, იძლევა პოზიტიურ შეფასებას და სხვა მნიშვნელოვან შედეგებს.

ამრიგად, სანამ ბიზნესზე ვფიქრობთ, ვივიწყებთ მოსალოდნელ საკუთრ კლიენტებს. ამ დროს კლინტთა მოლოდინი სამუდამოდ იცვლება, მიიღება ახალი, დაუვიწყარი გამოცდილება (ნეგატიური და პოზიტიური). მხოლოდ ახალი მოლოდინის შესწავლა შესძლებს მომსახურების გაუმჯობესებას. მაგალითად, კლინტებს ეშინიათ ახლოს ერთმანეთთან დაჯდომა, იხდიან ბარათით ტერმიანლის საშუალებით, ადამიანები ერიდებიან კონტაქტს ერთმანეთთან. მთავარია - ახალი მოლოდინის დაინტერესება.

- მეორე, **კლიენტის გზა მომსახურებაში კარანტინის შემდეგ იცვლება, კლიენტების მომსახურებაში, იცვლება პანდემიის შედეგად. კლიენტების ნაწილი რჩება ონლაინში,** ნაწილი კი მიდის ახალი სცენარით

(მაგ. ბანკებში იგრძელებენ ბარათების მოლაპარაკებების ვადებს ონლაინ შესყიდვებისთვის, უკონტაქტო გადახდისთვის, შეკვეთის მიტანა დანიშნულების ადგილზე და სხვ.). ბევრ ბიზნესში ჩნდება კლიენტის ახალი სეგმენტი - „რისკების ჯგუფი". ადრე არსებული დემოგრაფიული ან ფსიქოგრაფიული კრიტერიუმები არ იქნება მნიშვნელოვანი: ადრე ვინც თავის ჯანმრთელობაზე ზრუნავდა - ახლა მოითხოვს ახალ მომსახურებას - სერვისს.

ამჟამად (მესამე), იცვლება რა მომხმარებელთა მოთხოვნები, პანდემიამ შექმნა 4 ახალი მომსახურების სტანდარტები: 1. ახალი პროფესიები და მათი სტანდარტები; 2. ახალი კომუნიკაციები და სერვის-პროპაგანდა; 3. უსაფრთხოების ახალი წესები; 4. სიჩქარის ახალი ფასეულობა.

COVID-19-მა ძლიერი დარტყმა მიაყენა მსოფლიო ეკონომიკას, ბიზნესი მზად უნდა იყოს პანდემიის მეორე ტალღისთვის.

პანდემიის დროს მნიშვნელოვანია ახალი კომუნიკაციები და სერვის-პროპაგანდა; ახალი უსაფრთხოების წესები. ასევე მნიშვნელოვანია ამ სიტუაციაში სისწრაფე. ბიზნესი მზად უნდა იყოს პანდემიის მეორე ტალღისთვის, დაცული იყოს მომხმარებელთა უსაფრთხოება.პანდემია COVID-19-ცვლის შრომის ბაზარს. მის შემდეგ საჭიროა შეიქმნას შემდეგი პროფესიები: **ანტი-კრიზისული მენეჯერი, ექსპერტი შრომით ტრანსფორმაციაში.** ცვლილებები ტარდება სამკუთხა წესით: „საზოგადოება - ეკონომიკა - ტექნოლოგიები". ბიზნესს დასჭირდება ექსპერტები, რომლებსაც შეეძლებათ კომპანიის მართვა შეცვლილ გარემოში და შეეძლებათ შეადგინონ მოქმედების გეგმა (ბიზნეს-გეგმა), რომელი თანამშრომელი გაანთავისუფლოს, რომელი მოიწვიოს, რა უნდა ასწავლოს პერსონალს, რომელი ორგანიზაციული სქემები გამოიყენოს შრომის ახალ პირობებში და რომელი IT-გადაწყვეტილება მიიღოს ამ სქემების შესასრულებლად.

ციფრული ტრანსფორმაციის ექსპერტს ევალება აირჩიოს, რომელი ფუნქციები გადაიტანოს რეალური გარემოდან ვირტუალურში. სწორედ ამ დროს მეწარმეები გააკეთებენ პირველ ციფრულ ნაბიჯს და დაიწყებენ ახალ მეორე ნაბიჯს.

კომპანიის გადასვლა ციფრულზე გამოიწვევს პროგრამული დამუშავების უზრუნველყოფას. ზოგიერთი კომპანიები შეეცდებიან შექმნან დამოუკიდებლად ციფრული პროდუქციები, ზოგიც აირჩევენ ბაზარზე არსებულ გადაწყვეტებს, მათ შორის ღრუბლოვან პლატფორმებს. ნებისმიერ შემთხვევაში ღრუბლოვანი პლატფორმების შემქმნელები იქნებიან საჭირო - ან დამკვეთის მხარეზე, ანდა პლატფორმის მხარეზე.

ბიზნესის გაციფროება ხელს შეუწყობს საბანკო მონაცემების გაზრდას. კომპანიები ნახავენ რა სიმდიდრეს ფლობენ და შეეცდებიან სარგებლობის მაქსიმუმი მიიღონ. ეს გამოიწვევს მოთხოვნის მკვეთრ ზრდას სპეციალისტებზე, ვინც იციან მუშაობა ამ მონაცემებთან.

როდესაც ეპიდემიისაგან გამოწვეული შოკი გაივლის, კომპანიები შეეცდებიან გამოტოვებული შესაძლებლობების აღდგენას. ციფრული პროდუქტების შემქმნელები ელოდებიან „ოქროს დროს" - მოთხოვნადი იქნება

სპეციალისტები, რომლებსაც შეეძლებათ შემოქმედებითი და საინჟინრო მიდგომების არასტანდარტული გადაწყვეტები.

კარანტინმა გამოიწვია დიდი ინტერესი ვიდეოსერვისების - Zoom-ის მიმართ, როგორც კომუნიკაციის ერთ-ერთ გადამრჩენად ბიზნესში.

ბევრი კომპანიები ბიზნესის გადასარჩენად იყენებენ ციფრულ სერვისებს, რისთვისაც იწვევენ პერსონალურ კონსულტანტებს.

პანდემიის დროს ბიზნესი ციფრულ სამყაროში - ეს ახალი გამოწვევაა IT-ტექნოლოგიებში, ის ავსებს ჩვეულებრივ სამყაროს ვირტუალური სახეებით და გადადის კიბერსივრცეში, სადაც ბიზნესი გადაისახება დაუმთავრებელ ფატასტიკურ სივრცეში.

აღსანიშნავია, რომ პანდემიის პირობებში მნიშვნელოვანია ბიზნესზე შემცირდეს კრიზისის ეფექტი. მიზანშეწონილია ფისკალური და ფინანსური საკომპესაციო ზომების გამოყენება, ბიზნესზე დაბეგვრის განაკვეთების შემსუბუქება, თვითდასაქმებულთა მხარდაჭერა, გადასახადების გადავადება, ავადმყოფობასთან დაკავშირებული შეღავათების გადახდის წესების შემსუბუქება. ეკონომიკური ზიანის შესამსუბუქებლად საჭიროა იმ სერვისების შეთავაზება, რომელიც მოწოდებულია მაქსიმალურად გამოხატოს ბიზნეს საქმიანობას მხარდაჭერას დისტანციურ რეჟიმში.

ასევე მნიშვნელოვანია ანტიკრიზისული ჰაბის ონლაინ პლატფორმები ბიზნესის დასახმარებლად პანდემიის პერიოდში ბიზნესის აღორძინებისთვის. მნიშვნელოვანია ადამიანის ქცევის მოდელი, რომელზეც დიდ გავლენას ახდენს ისეთი ფსიქოლოგიური მომენტები, როგორიცაა: მოტივაცია, აღქმა, რწმენა, დამოკიდებულება.

კორონავირუსის პანდემიამ მნიშვნელოვნად შეცვალა მომხმარებლის ქცევა. აღსანიშნავია მომხმარებლის ქცევისადმი ბიჰევიორისტული გავლენა. აღნიშნულ სიტუაციაში ასევე მნიშვნელოვანია მარკეტინგის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა პროცესების დიჯიტალიზაცია ბიზნესის სპეციფიკაზე და მის ხარისხზე. ასევე მნიშვნელოვანი ბრენდების მართვა მომხმარებელთა ქცევის ცვლილებებისას.

ადამიანთა ქცევითი ფსიქოლოგიური ასპექტები მომხმარებლის ფსიქოანალიტიკურ ანთროპოლოგიაში კორონავირუსთან გამკლავების და ბიზნესის მართვის პერიოდში ერთ-ერთ წარმატებულ მოდელს წარმოადგენს.

დასკვნა

ამრიგად, კორონავირუსმა ბიზნესისა და მომხმარებლის ქცევა რადიკალურად შეცვალა, და შეიძლება ითქვას გადაარჩინა ბიზნესი და ადამიანები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. კოდუა და სხვ. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი. გამომც. ლაშა ბერაია - თბ. ლოგოს პრესი, 2004 – 351 გვ (სოციალურ მეცნიერებათა სერია/ რედ. მარინე ჩიტაშვილი) – ISBN 99928-926-9-2 [ფ.ა.].

2. ს. ურიდია და სხვ. რედ. ვაჟა გურგენიძე. მოხელის სამაგიდო ლექსიკონი. თბ., 2004 – 483 გვ. ცხრ. 24 (საჯარო მომსახურების ბ-კა) - ISBN 99940-0-063-2 [ფ.ა.]
3. ბრაინ თრეისი. მარკეტინგი. გამომც. ლურჯი ოკეანე. 135 გვ. თბ. 2015.
4. ა. მიროი. ფორსმაჟორულ სიტუაციაში მომხმარებლის ქცევის შესწავლა ქართულ ბაზარზე. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. თბ. 2020. 59 გვ.

New Business Challenges and Psychoanalytical Anthropology of Users

Elisabed Khakhutashvili, Associate Professor
Technical University of Georgia

Summary

The article discussed new business challenged and issues of psychoanalytical anthropology of users during corona virus pandemic. There are also discussed new challenges related to the user's behavior, labor market, new professions and digital transformation. New communications and service-propaganda for successful business management is very important.

The article also discusses increase of fiscal and financial compensation, mitigation of business taxation rates for individuals and households, mitigation of crisis effects through business grants and state loans, and most importantly, human psychological moments should be considered.

Keywords: business, psychoanalytical anthropology, corona virus, pandemic, digital transformation, distance.

მსოფლიო ღვინის ინდუსტრიისა და ღვინის ბაზრის განვითარების თანამედროვე ტენდენციები

რამაზ ოთინაშვილი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თეონა გრიშიკაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატია ეძღვნება მსოფლიო მეღვინეობისა და ღვინის ბაზრის განვითარებას XXI საუკუნეში. ავტორი თანმიმდევრულად ახასიათებს ამ ბაზრის ამ სექტორის ძირითად კომპონენტებს, ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში სათესი მიწების დინამიკას, ღვინის წარმოებასა და მოხმარებას. გამოკვლეულია ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ღვინის ფასებზე მევენახეობისა და მზა პროდუქციის რეალიზაციის მთავარ რეგიონებში ჭარბი მოთხოვნის პირობებში. ნაშრომში მოცემულია ავტორის გამოთვლები საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური სტატისტიკის საფუძველზე, რომლებიც ნათლად აჩვენებს ბაზრის ძირითადი კომპონენტების დინამიკას. სავენახე ფართობის შემცირების ტენდენციები გამოვლენილია საფრანგეთში, ესპანეთში, იტალიაში, სამხრეთ აფრიკაში, ჩინეთში, ავსტრალიაში, არგენტინასა და ჩილეში. ხდება მსოფლიო მოთხოვნის რესტრუქტურიზაცია, რაც, ზრდის თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად ჩამორჩება წარმოებას. ავტორების აზრით, იმ ფაქტორთა შორის, რამაც გამოიწვია ღვინის მოხმარების შემცირება იმ ქვეყნებში, სადაც ის პრაქტიკულად ეროვნულ სასმელად ითვლება, არის ისეთ ჩამნაცვლებლებთან კონკურენცია, როგორიცაა სიდრი, ლუდი, გამაგრილებელი სასმელები. ავტორები თვლიან, რომ არსებული ვითარება მოითხოვს ეროვნული და საერთაშორისო ბაზრებზე გაყიდვების ახალი მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავებას.

საკვანძო სიტყვები: მეღვინეობა, ღვინის ბაზარი, ღვინის წარმოება და მოხმარება, ღვინის გაყიდვები, მარკეტინგის სტრატეგიები.

შესავალი

განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე მსოფლიო ღვინის ინდუსტრია განიცდის სერიოზულ ტრანსფორმაციას, რომლის ძირითადი კატალიზატორია ეკონომიკური ინტეგრაციის გლობალური პროცესები, წარმოების ინტერნაციონალიზაცია, საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ვაჭრობის გლობალიზაცია [1; 2]. შედეგად, ძლიერდება ზოგიერთ რეგიონში ღვინის სექტორის რეგულირების წესების ცვლილება, აგრეთვე მოხმარების ახალი ტენდენციების ეფექტი. 2000-იანი წლების დასაწყისიდან ბაზარზე გამოჩდნენ ახალი ძლიერი მოთამაშეები, რამაც გამოიწვია კონკურენციის მნიშვნელოვანი გააქტიურება როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ ბაზრებზე, წარმოების და, რაც მთავარია, მოხმარების გეოგრაფიული სტრუქტურის რესტრუქტურიზაცია [3].

ძირითადი ნაწილი

ღვინის ინდუსტრიის განვითარების ამჟამინდელი ეტაპი უნიკალურია იმით, რომ კრიზისული მოვლენების საპასუხოდ, რაც დაკავშირებულია მოთხოვნის მიწოდებაზე გადამეტებასა და მომხმარებლების მხრიდან ახალი მოთხოვნილებების გაჩენასთან, ხდება ინდუსტრიის სერიოზული რესტრუქტურიზაცია. ეს გამოიხატება მოხმარების გეოგრაფიული სტრუქტურის ცვლილებაში, ახალი მეღვინეობის რეგიონების პოზიციის განმტკიცებაში, ცალკეულ ქვეყნებში რეგულირებისადმი მიდგომების გადახედვაში.

ნახატი 1. ვენახების სათესი მიწები მსოფლიოში (ათასი ჰა.)



წყარო: OIV1. State of the vitivini culture world market, April 2019.

ცვლილებებმა პირველ რიგში იმოქმედა წარმოებაზე. 2005–2019 წწ პერიოდიხასიათდებავენახებისსათესიმიწებისთანდათანობითიშემცირებით (ნახ. 1). ამ პერიოდში, მაჩვენებელი შემცირდა 3,5%-ით. მიუხედავად იმისა, რომ 2016 წელს შეომჩნევა მცირე ზრდა, ტენდენციის მდგრადობაზე საუბარი ჯერ ადრეა. წარმოების თანამედროვე რესტრუქტურიზაციას ღვინის ინდუსტრიაში წინ უძღოდა სტაბილურობის ეტაპები და სათესი მიწის ფართობების კრიტიკული ვარდნა.

OIV (International Organization of Vine and Wine) - არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აგროვებს და აანალიზებს ინფორმაციას ღვინის ინდუსტრიაში არსებული ვითარების შესახებ, აერთიანებს ეროვნული ორგანიზაციების ძალისხმევას მეღვინეობის სფეროში, რაც ხელს უწყობს სეგმენტში ერთიანი სტანდარტების შემუშავებას.

ვენახების საერთო ფართობი იყო შედარებითად მუდმივი და შეადგენდა დაახლოებით 10 მილიონ ჰექტარს [12]. 1980-იანი წლების დასაწყისიდან 1990-იანი წლების ბოლომდე შეინიშნებოდა ვენახების ფართობების შესამჩნევი შემცირება (7,8 მილიონ ჰექტარამდე) [12], რაც, პირველ რიგში, ევროკავშირის პოლიტიკური კურსის შედეგი იყო, რომელიც მიზნად ისახავდა ღვინის ჭარბი წარმოების პრობლემის მოგვარებას, ვენახების ამოძირკვის გზით.

ნახატი 2. სათესი ფართობის გეოგრაფიული სტრუქტურა ვენახებში, მსოფლიოს საერთო სათესი მიწის ფართობების პროცენტი



წყარო: გამოითვლება OIV. State of the vitivini culture world market, April 2019 и OIV. Statistical report on world vitivini culture 2019 მონაცემებით.

ამჟამინდელ ეტაპზე (2005 წლიდან დღემდე) ევროპაში სათესი ტერიტორიების წილი კვლავ იკლებს, რაც კომპენსირდება აზიასა და ამერიკაში მათი ზრდით (ნახ. 2).

ნახატი 3. უდიდესი ღვინის მწარმოებლების წილი ვენახების სათესი მიწის ფართობში (მსოფლიო სათესი მიწის ფართობის %)



წილი: ავტორის მიერ გამოთვლილია OIV. State of the vitivini culture world market-მონაცემების საფუძველზე, April 2019.

თუ ვსაუბრობთ მთლიანი სათესი ფართობის განაწილებაეზე ქვეყნების მიხედვით, მაშინ, შესწავლილი პერიოდის განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება ჩინეთის წილის ზრდა იყო, რომელიც 2000 წელს მეექვსე ადგილიდან გადავიდა 2014 წელს მეორე ადგილზე. (ნახ. 3). ეს იყო სახელმწიფო პოლიტიკის შედეგი, რომელიც მიზნად ისახავდა საკუთარი ღვინის წარმოების შექმნას. გარდა ამისა, ჩინეთი აქტიურად ანვითარებს ყურძნის წარმოებას ცოცხალი მოხმარებისთვის, ხდება მსოფლიო ლიდერი და ზრდის მსოფლიო წარმოების მოცულობას დაახლოებით 35% -ით [12].

სათესი მიწის ნაკვეთების შემცირების მიუხედავად, კვლევის პერიოდში ღვინის წარმოება უმნიშვნელოდ იცვლებოდა (ნახ. 4), რადგან, ისევე როგორც ნებისმიერი სასოფლო-სამეურნეო კულტურა, ყურძნის მოსავალი, ამინდის პირობებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად იცვლება წლიდან წლამდე. გარდა ამისა, მოყვანილი ყურძნის დიდი ნაწილი გამოიყენება ცოცხალი მოხმარებისთვის და ქიმმიშის წარმოებისთვის (2019 წელს 35,5% და 7,4% შესაბამისად [7]). ღვინის წარმოება გამოირჩევა ლოკალიზაციის მაღალი დონით: 2019 წელს 80% მხოლოდ 10 ქვეყანაში იქნა წარმოებული. გლობალური მოთამაშეები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: დასავლეთ ევროპა, ამერიკა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები.

ნახატი 4. მსოფლიო ღვინის წარმოება 2005-2019 წწ. (მლნ. გალონი)



წყარო: OIV, State of the vitivini culture world market, April 2019.

ეს ტენდენცია სულაც არ წარმოადგენს თანამედროვე ქვეყნებში მცირე ქვეყნების თავისუფლების ხარისხის ზრდის ასახვას, თუმცა მრავალი მკვლევარი, ცდილობს ამ მოსაზრების დასაბუთებას. ამავდროულად, შესაძლებელია ალტერნატიული ჰიპოთეზის წამოწევა - საერთაშორისო კონკურენციის ზრდა და დაძაბულობის ზრდა დიდ სახელმწიფოებს შორის (რეგიონული „ძალაუფლების ცენტრები"), რაც მცირე ქვეყნებს უქმნის მანევრირების ნიადაგს.

ევროპაში მეღვინეობის მასშტაბის შემცირება ნაწილობრივ ანაზღაურდება ახალი მსოფლიოს ქვეყნებში წარმოების ზრდით (ნახ. 5).

შესწავლილი პერიოდის განმავლობაში ღვინის წარმოების ზრდის ტემპით ლიდერობენ სამხრეთ აფრიკა, ჩილე, ავსტრალია და არგენტინა. ამგვარი ინტენსიური დინამიკის მთავარი მიზეზი არის ამ ჯგუფის ქვეყნების მწარმოებელთა სტრატეგიის ორიენტაციის მიმართვა მსოფლიო ბაზარზე მათი წილის გაზრდაზე და ამ მიმართულებით სახელმწიფოს შესაბამისი

მხარდაჭერა. ევროპის ქვეყნები - ტრადიციული ლიდერები არიან ღვინის წარმოების მხრივ. საფრანგეთი, იტალია და ესპანეთი შეუცვლელად იკავებენ პირველ პოზიციებს.

ნახატი 5. ღვინის წარმოების დინამიკა სხვადასხვა ქვეყნებში 2005-2019 წწ (%-ში)



წყარო: გამოითვლება OIV მონაცემებით. State of the vitivini culture world market, April 2019 და OIV. Statistical report on world vitivini culture 2019

ამასთან, მათი წილი თანდათან იკლებს და ძირითადად საფრანგეთის გამო, რომლის წილიც შემცირდა 2005 წელს არსებული 21% -დან 2019 წელს 17% -მდე (ნახ. 6). მწარმოებლების სტრუქტურაში ყველაზე ღრმა ცვლილებები მოხდა ამ საუკუნის პირველ ათწლეულში.

ნახატი 6. ქვეყნების მიხედვით ღვინის წარმოების გეოგრაფია (მსოფლიო წარმოების %)



წყარო:გამოითვლება OIV მონაცემებით. State of the vitivini culture world market, April 2019 და OIV. Statistical report on world vitivini culture 2019

ბრენდების ანალიზით ქვეყნების მიხედვით (ცხრილი 1). 2005–2018 წლებისთვის ბრენდების რაოდენობა გაიზარდა 27%-ით, ხოლო რეგიონების რაოდენობა - 48%-ით [4]. ამავე დროს, ახალი სამყაროს ქვეყნებმა ევროპელ მწარმოებლებთან შედარებით მეტი ზრდა გამოავლინეს.

ცხრილი 1. 2005–2018 წლებში ცალკეულ ქვეყნებში ღვინის წარმოების დინამიკა (%-ში)

მწარმოებელი ქვეყნების ღვინის რეგიონები და ღვინის ძირითადი ბრენდები

	ღვინის მწარმოებელი რეგიონების რაოდენობა		ღვინის ბრენდების რაოდენობა	
ქვეყნები	**2005 წ.**	**2018 წ.**	**2000 წ.**	2018 წ.
არგენტინა	3	28	31	111
ავსტრალია	76	94	43	40
ჩილე	8	9	38	54
ჩინეთი	-*	10	-*	17
საფრანგეთი	29	45	285	96
გერმანია	13	13	68	91
იტალია	103	110	323	396
ახალი ზელანდია	10	11	22	45
პორტუგალია	9	9	80	266
სამხრეთ აფრიკა	9	9	68	68
ესპანეთი	36	36	159	150
აშშ	61	89	84	129
სულ მსოფლიოში	414	611	1018	1289

* - მონაცემები არ იძებნება
წყარო: Anderson A. Where in the world are various winegrape varieties grown? Evidence from a new database// 8th AWBR International Conference, June 2019. http://academyofwinebusiness.com/wpcontent/uploads/2014/07/GV01_Anderson_Kym.pdf

როგორც აღვნიშნეთ, ღვინის გლობალური ინდუსტრია იმყოფება რესტრუქტურიზაციის პროცესში, რომელიც ძირითადად გამოწვეულია მოთხოვნის ცვლილებით. 2005 წლიდან, მსოფლიოში ღვინის მოხმარება მხოლოდ 6% -ით გაიზარდა [6]. მაჩვენებლის დინამიკა (ნახ. 7) მიუთითებს, რომ 2006 წელს დაწყებულმა ზრდის ტენდენციამ ჩააქრო 2008 წლის ეკონომიკური კრიზისი. მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო ორგანიზაციის ანალიტიკოსთა აზრით, ღვინის მოხმარება ჯერ ჯერ კიდევ არ გამოსულა კრიზისის შედეგებისგან [6].

მოხმარებისმოცულობებისშედარებითსტაბილურდინამიკასთანერთად, არსებობს მოთხოვნის გეოგრაფიული სტრუქტურის რესტრუქტურიზაციის ტენდენცია (ნახ. 7). ტრადიციულ მწარმოებელ ქვეყნებში, როგორიცაა საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი და პორტუგალია, ერთ სულ მოსახლეზე ღვინის მოხმარება სტაბილურად იკლებს. ამავე დროს, ტრადიციულ იმპორტიორ ქვეყნებში - აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და ჩინეთი - მოხმარება დინამიურად იზრდება. მოხმარების ზრდის ინტენსიურობის თვალსაზრისით, გამოირჩევა რუსეთი, სადაც ეს მაჩვენებელი 2005 წელთან შედარებით ორჯერ მეტია.

ნახატი 7. ღვინის მოხმარების დინამიკა მსოფლიოში



წყარო: OIV. State of the vitivini culture world market, April 2019.

ნახატი 8. ღვინის მოხმარების დინამიკა 2005-2019 წწ.



წყარო: წყარო: ავტორის მიერ გამოთვლილია OIV მონაცემების საფუძველზე. State of the vitivini culture world market, April 2019 და OIV. Statistical report on world vitivini culture 2019.

მნიშვნელოვნად შეიცვალა მოხმარების გეოგრაფიული სტრუქტურა (ნახ. 8): საფრანგეთმა და იტალიამ წამყვანი პოზიციები დაუთმეს შეერთებულ შტატებს, ჩინეთი მეშვიდედან მეხუთე ადგილზე გადავიდა. ღვინის მოხმარება შემცირდა იმ ქვეყნებში, სადაც იგი თითქმის ნაციონალურ სასმელად ითვლებოდა. ექსპერტები ამ ფენომენს ხსნიან შემცვლელების კონკურენციით - პროდუქტებით, რომლებსაც შეუძლიათ დააკმაყოფილონ სხეულის იგივე მოთხოვნილებები, ესაა: სიდრი, ლუდი, უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელები. ღვინო არის პროდუქტი, რომელსაც გააჩნია

ძალზე სტაბილური პროდუქტის იმიჯი, რომელიც ყველასთვის გასაგები არ არის. ევროპაში ჭარბობს ღვინის ერთიანი კონცეფცია: იგი მზადდება წითელი ყურძნის ჯიშებისგან, აქვს მდიდარი, ბლანტი ფერი, დაძველებულია მუხის კასრებში. ამ კონცეფციიდან მცირედი გადახრაც კი აქცევს პროდუქტს მეორად კატეგორიად, რომელიც განკუთვნილია მოყვარულთათვის.

მოთხოვნის ზრდას ასევე არ უწყობს ხელს ბაზარზე შეფუთვის ერთიანი ფორმატის დომინირება: ბორდოს ტიპის ბოთლები 75 მლ მოცულობით, რაც მომხმარებელს ართმევს არჩევანის საშუალებას. დაბოლოს, ღვინის მოხმარების უარყოფითი მოტივაციის ფაქტორები შეიძლება განპირობებულ იყოს დასავლეთის ბევრ ქვეყანაში ჩატარებული ანტიალკოჰოლური კამპანიებით და საგზაო უსაფრთხოების სფეროში კანონმდებლობის გამკაცრებით.

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ღვინის წარმოებისა და მოხმარების მოცულობების შედარება საშუალებას გვაძლევს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა გავაკეთოთ არსებული ზეჭარბი წარმოების შესახებ. გარდა ამისა, აშკარაა მნიშვნელოვანი განსხვავებები წარმოებისა და მოხმარების გეოგრაფიულ სტრუქტურაში. თანამედროვე ბაზრის ეს მახასიათებლები იწვევს მის ინტერნაციონალიზაციას, მომხმარებელთათვის საერთაშორისო კონკურენციის გამწვავებას და მწარმოებლების მარკეტინ-გული სტრატეგიების კორექტირების შესაბამისობის ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. State of the vitivini culture world market, 2019
2. OIV. Statistical report on world vitivini culture, 2019.
3. Anderson K., Nelgen S. Wine's Globalization: New Opportunities, New Challenges. 2011. https://www.adelaide.edu.au/wine-econ/papers/0111_AAWE_Bolzano_Anderson_0611.pdf
4. Anderson A. Where in the world are various winegrape varieties grown? Evidence from a new database//8th AWBR International Conference, 2019: http://academyofwinebusiness.com/wpcontent/uploads/2014/07/GV01_Anderson_Kym.pdf
5. OIV (International Organization of Vine and Wine). http://www.oiv.int
6. Rivezzo A., De Nisco A., Garofano A. Understanding wine purchase and consumption behaviour: a market segmentation proposal// 6th AWBR International Conference, 2019.

Development of the world wine industry and wine market Modern trends

Ramaz Otinashvili, professor
Georgian Technical University

Teona Grishikashvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

The article is dedicated to the development of the world winemaking and wine market in the XXI century. The author consistently characterizes the key components of this sector of this market, the dynamics of sown lands, wine production and consumption in European and American countries. Factors influencing wine prices in the conditions of excess demand in the main regions of viticulture and the sale of finished products are studied. The paper presents the author's calculations based on official statistics of international organizations, which clearly show the dynamics of key market components. Trends in the reduction of vineyard area have been identified in France, Spain, Italy, South Africa, China, Australia, Argentina and Chile. The world demand is being restructured, which, in terms of growth, is significantly behind production. According to the authors, among the factors that have led to a decline in wine consumption in countries where it is practically considered a national drink, is competition with substitutes such as cider, beer, soft drinks. The authors believe that the current situation requires the development of a new marketing strategy for sales in national and international markets.

Keywords: winemaking, wine market, wine production and consumption, wine sales, marketing strategies.

დასაქმებულთა შრომის მოტივაციის მექანიზმები

თამარ როსტიაშვილი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ასმათ ფიფია, ბიზნესის ადმინისტრირების
აკადემიური დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია დასაქმებულთა შრომის მოტივაციის მექანიზმები, აგრეთვე მოტივაციის თანამედროვე თეორიები. თანამშრომელთა შრომის მოტივაციის მექანიზმი პირობითად წარმოდგენილია ოთხი კომპონენტის სახით. შრომითი მოტივაციის მიზნით კონკრეტული სიტუაციისთვის გამოყენებულია მატერიალური და არამატერიალური წახალისების ფორმები. მოტივაციის თეორიებიდან განხილულია ა. მასლოუს, ჰერცბერგის თეორიები, მოლოდინის და სამართლიანობის თეორია. აღნიშნულია, რომ მუდმივად უნდა ხდებოდეს პერსონალის მოტივაციის შენარჩუნების მიდგომების სრულყოფა. მათ შორის განხილულია ოთხი ძირითადი მიდგომა.

საკვანძო სიტყვები: მოტივაცია, შრომითი მოტივაცია, შრომითი რესურსები, მართვის მეთოდები, მოთხოვნილება.

შესავალი

პერსონალის შრომითი წახალისება ორგანიზაციის საკადრო პოტენციალზე აქტიური ზემოქმედების ხერხებისა და საშუალებების კომპლექსის გამოყენებას გულისხმობს და შრომითი რესურსების მართვის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ორგანიზაციის პერსონალის შრომის სტიმულირებას საფუძველად უდევს თანამშრომლების მოტივაციის მიზანმიმართული გამოყენება, მათი საქმიანობა ორგანიზაციის დასახული ამოცანების შესასრულებლად. ასეთ შემთხვევაში მოტივაციის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ადამიანის შიგნით, რაც მას ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში შესაბამისი ქმედებისკენ განაწყობს.

ძირითადი ნაწილი

ადამიანის ქცევა ყოველთვის მოტივირებულია. მას შეუძლია იმუშაოს გულმოდგინებითა და ენთუზიაზმით და შეუძლია გაექცეს სამუშაოს. ადამიანის ქცევას შეიძლება რაიმე სხვა გამოვლინება ჰქონდეს. ყოველთვის უნდა ვეძებოთ ქცევის მოტივი.

მოტივაცია-არის საკუთარი თავისა და სხვების წახალისების პროცესი, როგორც პირადი, ასევე ორგანიზაციული მიზნების მისაღწევად [1].

მოტივაციისადმი ტრადიციული მიდგომა ემყარება რწმენას, რომ თანამშრომლები მხოლოდ რესურსები, აქტივებია, რომლებიც უნდა ვაიძულოთ ეფექტურად იმუშაონ.

საბაზარო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ, ტექნოლოგიურმა პროგრეს-

მა რადიკალურად შეცვალა დამოკიდებულება შრომისა და ყოველდღიური ცხოვრებისადმი. შედეგად მენეჯერი ყოველდღე აწყდება თანამშრომელთა საქმიანობის მოტივაციის პრობლემას, ანუ როგორ მივმართოთ მათი ენერგია მათივე სამუშაოსაკენ.

თანამშრომელთა შრომის მოტივაციის მექანიზმი შეიძლება პირობი-თად წარმოდგენილი იყოს ოთხი კომპონენტის სახით:

- მოტივაცია, რომელიც ემყარება განმეორებას, როდესაც თანამშრომელი მოქმედებს იმ ვარაუდით, რომ მისი მუშაობის შედეგები დაჯილდოვებული იქნება, როგორც ადრე;

- ეთიკური მოტივები - მოვალეობის შესრულება გაწეული მომსახურების სანაცვლოდ;

- კორპორაციული მოტივები - სოლიდარობა ჯგუფის წევრების მუშაობაში, ურთიერთპასუხისმგებლობისა და ურთიერთშემცვლელობიდან გამომდინარე;

- დასაქმებულის ეკონომიკურ მოტივებს მართავს სუბიექტური მატერიალური ინტერესი [2-3].

შრომითი მოტივაცია მოიცავს როგორც მატერიალურ, ასევე არამატერიალურ წახალისებას, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია თითოეულ კონკრეტულ სიტუაციაში და შედეგს გვაძლევენ მხოლოდ სწორი კომბინაციის შემთხვევაში. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

- ნაღდი ანგარიშსწორება ხელფასების, ავანსების, პრემიების სახით;

- კომპანიის პროდუქციის გაყიდვა თანამშრომლებზე შეღავათიან ფასებში;

- თანამშრომლების მონაწილეობა ორგანიზაციის შემოსავლების განაწილებაში;

- თანამშრომლებისთვის სესხის გამოყოფა საბინაო მშენებლობისათვის;

- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების სტიმულირება საწარმოს ხარჯზე;

-თანამშრომლების შრომისა და დასვენების ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფა;

- სამუშაოს შინაარსის შეცვლა;

- სამუშაოს შესრულებისა და შედეგების, გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობის დელეგირება;

- კარიერული მოძრაობა და პროფესიული ზრდა;

- შემსრულებელთან შესასრულებელი სამუშაოს სასურველი შედეგების და ორგანიზაციისთვის მისი მნიშვნელობის განხილვა;

- მიღწეული შედეგების აღიარება და მადლიერება;

- უკუკავშირის შენარჩუნება და პირადი ცხოვრებისადმი ინტერესის გამოხატვა;

- მართვის საშუალება და ორგანიზაციული კლიმატი;

- თითოეული შემსრულებლისთვის დავალებების შერჩევა, რომელთა მოტივაცია შეესაბამება შესასრულებული სამუშაოს თავისებურებებს [4-5].

დასაქმებულის სურვილი მოახდინოს საკუთარი თავის რეალიზება თავის საქმეში უდავოა. იქ სადაც შრომის ორგანიზაცია და მართვა თანამშრომლებს ასეთ შესაძლებლობებს სთავაზობს, მათი შრომა იქნება ეფექტიანი, ხოლო შრომის მოტივი - მაღალი.

თანამშრომელთა მოტივაცია- ნიშნავს მათი ინტერესების გათვალისწინებას, შრომითი საქმიანობის პროცესში საკუთარი თავის რეალიზების შესაძლებლობის მიცემას[6].

ფსიქოლოგიურ, ორგანიზაციულ-ეკონომიკური მიმართულების სხვადასხვა თეორიებს ეკონომისტები ორ ჯგუფად ყოფენ:

1) მოტივაციის თეორიები, რომლებიც ეფუძნება პიროვნების შინაგან მოტივებს (მოთხოვნილებებს), რომლებიც ადამიანებს აიძულებს მოიქცნენ ასე და არა სხვაგვარად (ეს არის ა. მასლოუს, ჰერცბერგის და სხვ.);

2) მოტივაციის თეორიები - რომლებიც ემყარება ძირითადად იმას, თუ როგორ იქცევიან ადამიანები აღზრდის და განათლების გათვალისწინებით(ეს არის მოლოდინის თეორია, სამართლიანობის თეორია და Porter - Lawler მოტივაციის მოდელი).

დასახელებული თეორიები, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავდებიან რიგ საკითხებში, არ არიან ურთიერთგამომრიცხავნი. იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის მოთხოვნილებების სტრუქტურა განისაზღვრება ორგანიზაციაში მისი ადგილით, ან ადრინდელი გამოცდილებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოტივაციისთვის არ არსებობს ერთი საუკეთესო გზა (თეორია).

ის რაც საუკეთესოა ერთი თანამშრომლის მოტივაციისთვის მეორისთვის შეიძლება სრულიად მიუღებელი იყოს. მაგალითად, მასლოუ ყველა მოთხოვნილებებიდან გამოყოფს:

1) ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს;

2) უსაფრთხოების მოთხოვნილება და მომავლის ნდობა;

3) სოციალური მოთხოვნილებები (გუნდისადმი კუთვნილება, გუნდის მხარდაჭერა და ა.შ.);

4) პატივისცემის მოთხოვნილება.

მასლოუს თეორიას თავისი ნაკლოვანებები აქვს. აშკარაა, რომ მასლოუს მიხედვით, მკვეთრი საფეხურებრივი მოთხოვნილებათა იერარქიული სტრუქტურა არ არსებობს. უმნიშვნელოვანესი მოთხოვნილებების კონცეფციაც სრულად არ იქნა დამტკიცებული. ერთი რომელიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ იწვევს შემდეგი დონის მოთხოვნილების ავტომატურ გააქტიურებას, როგორც ადამიანის საქმიანობის მოტივაციის ფაქტორი.

მასლოუს თეორიაში არ იქნა გათვალისწინებული ადამიანის ინდივიდუალური თავისებურებები, მაგრამ ლიდერმა ხომ უნდა იცოდეს თანამშრომელი წახალისების სისტემაში რომელს ანიჭებს უპირატესობას. სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვა საგანს ანიჭებს უპირატესობას. ამიტომ, მასლოუს თეორია შეავსო სხვა თეორიებმა.

მაკ-კლელანდის მოთხოვნილების თეორია აქცენტს აკეთებს მაღალი დონის მოთხოვნილებებზე: ძალაუფლება, წარმატება და მიკუთვნება.

ძალაუფლების მოთხოვნილება -არის სხვა ადამიანებზე ზემოქმედების სურვილი. ისინი სულაც არ არიან უარყოფითი გაგებით ძალაუფლებისმოყვარე კარიერისტები, მათი მოთხოვნილება თავიანთი ზემოქმედების გამოვლენაა.

წარმატების მოთხოვნილებას აკმაყოფილებს არა კონკრეტული ადამიანის წარმატების გამოცხადება, რომელიც მისი სტატუსით დასტურდება, არამედ სამუშაოს წარმატებულ შედეგამდე მიყვანის პროცესი.

მიკუთვნების მოთხოვნილება მასლოუს მოტივაციის მსგავსია, რადგან თანამშრომლები დაინტერესებულნი არიან კომპანიაში ნაცნობებით, მეგობრული ურთიერთობის დამყარებით და ა.შ.

50-იანი წლების მეორე ნახევარში. F. Herzberg-მა შეიმუშავა მოტივაციის მოდელი, რომელიც ემყარება ორი ჯგუფის მოთხოვნილებებს: ჰიგიენური ფაქტორები და მოტივაციის ფაქტორები.

ჰიგიენის ფაქტორებია-ფირმის პოლიტიკა, სამუშაო პირობები, გამომუშავება, პიროვნებათშორისი ურთიერთობები და სამუშაოს უშუალო კონტროლის ხარისხი.

მოტივაციის ფაქტორები - წარმატება, სამსახურებრივი დაწინაურება, შრომის შედეგების აღიარება, პასუხისმგებლობის მაღალი დონე და შემოქმედებითი და საქმიანი ზრდის შესაძლებლობები.

ჰერცბერგის მოტივაციის თეორიას ბევრი რამ აქვს საერთო მასლოუს თეორიასთან. მისი მოტივაციები მასლოუს უმაღლესი დონის მოთხოვნილებების მსგავსია. თუმცა, ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება საკმარისი არ აღმოჩნდა. აუცილებელია ფართოდ გამოვიყენოთ მოტივაციის პროცესუალური თეორიები. პროცესუალურ თეორიებში გაანალიზებულია, როგორ უნდა გაანაწილოს ადამიანმა ძალისხმევა კონკრეტული მიზნის მისაღწევად და როგორ ირჩევს იგი ქცევის კონკრეტულ ტიპს. ეს თეორიები არ უარყოფს ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებს, მაგრამ თვლიან რომ ადამიანების ქცევას განსაზღვრავენ არა მხოლოდ ისინი, არამედ სოციალური მოთხოვნილებებიც. არსებობს მოტივაციის სამი ძირითადი თეორია: მოლოდინის თეორია, სამართლიანობის თეორია და პორტერ - ლოულერის მოდელი.

მოლოდინის თეორიის მთავარი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ თანამშრომელს იმედი აქვს რომ მის მიერ არჩეული ქცევის ტიპი მოთხოვნილების დაკმაყოფილებამდე მიიყვანს. მოლოდინი - არის თანამშრომლის მიერ განსაზღვრული მოვლენის ალბათობის შეფასება. მოლოდინის თეორია ხაზს უსვამს სამი ურთიერთკავშირის არსებობას: შრომის ხარჯები - შედეგები; შედეგები - ჯილდო; ჯილდო - ვალენტობა (ჯილდოთი კმაყოფილება).

სამართლიანობის თეორია პასუხს გვცემს კითხვაზე: როგორ ანაწილებენ და წარმართავენ თავიანთ ძალისხმევას თანამშრომლები დასახული მიზნების მისაღწევად? საქმე ეხება იმას, რომ თანამშრომლები სუბიექტურად საზღვრავენ დამოკიდებულებას მიღებულ ჯილდოსა და დახარჯულ ძალისხმევას შორის, შემდეგ ადარებენ მას სხვა თანამშრომლების მიერ მსგავს სამუშაოში მიღებულ ჯილდოს.

თუ შედარება უჩვენებს დისბალანსს და უსამართლობას, მაშინ თანამშრომელს უჩნდება ფსიქოლოგიური დაძაბულობის განცდა. ასეთ შემთხვევაში საჭიროა მოცემული თანამშრომლის მოტივაცია, დაძაბულობის განმუხტვა და სამართლიანობის აღსადგენად დისბალანსის გამოსწორება. ამის გაკეთება შესაძლებელია ძალისხმევის დონის ან მიღებული ჯილდოს შეცვლით. ამრიგად, ის თანამშრომლები, რომლებიც გრძნობენ, რომ მათ სხვებთან შედარებით ნაკლებს უხდიან, ნაკლები ინტენსიურობით იმუშავებენ ან ეცდებიან დაიმსახურონ ჯილდო.

მოტივაცია უცვლელი არ არის. მასზე გავლენას ახდენს როგორც სიტუაცია

და ისე სამუშაო ატმოსფერო ორგანიზაციაში. ამიტომ, მუდმივად უნდა ხდებოდეს პერსონალის მოტივაციის შენარჩუნების მიდგომების სრულყოფა. მათ შორის ძირითადია:

1) ერთ თანამდებობაზე პერსონალის მუშაობის ვადის სისტემატური შემოწმება და თანამშრომელთა სამსახურებრივი ჰორიზონტალური წინსვლა (როტაცია);

2) სამუშაოს შინაარსის გამდიდრება და მისი მოცულობის გაფართოება (მოქმედებს 5 წლამდე);

3) ორგანიზაციის აქტიური სტრუქტურული დაგეგმვა და მოქნილი ორგანიზაციული ფორმების გამოყენება;

4) ორგანიზაციული საქმიანობის სისტემატური გაუმჯობესება შემსრულებელთა სწავლებისა და შემოქმედებითი მიდგომის სტიმულირების ფორმით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Аникин В.И., Новиков А.И. Ситуации в управлении трудовым коллективом и тестовая оценка профессионально важных качеств дипломата. - Москва, 1990. – 54 с.
2. Вербина Г.Г. Эмоциональный профиль личности руководителя. Чебоксары, 2014.323 с.
3. Забайкин Ю.В. Управление персоналом / Ю. В. Забайкин ; Гос. образовательное учреждение высш. проф. образования "Российский заочный ин-т текстильной и легкой пром-сти". Москва, 2018. Том Ч. 1
4. Изотова Н. Н. Ценностные ориентации мышления японцев // Запад: диалог культур. 2019. № 7. С. 5.
5. Савинов Т.Х. Зависимость укомплектованности государственного медицинского учреждения от организации трудового процесса // Экономика и предпринимательство. 2016. № 31 (68-1).С. 652-656.

Employee labor motivation mechanisms

Tamar Rostiashvili, associate professor
Georgian Technical University

Asmat Pipia, Academic Doctor of Business Administration
Georgian Technical University

Summary

The article discusses the mechanisms of employee labor motivation, as well as modern theories of motivation. This mechanism is conventionally presented in four components. Forms of material and intangible incentives are used for a specific situation in order to motivate labor. The theories of motivation is discussed in A. Maslow, Herzberg theories, “Theory of Expectation and Justice”. It is noted that approaches to maintaining staff motivation need to be constantly improved. Four main approaches are discussed among them.

Keywords: Motivation, Labor Motivation, Labor Resources, Management Methods, Demand.

პანდემიის გავლენა ეკონომიკის ზოგიერთ მაჩვენებელზე

ასმათ ფიფია, ბიზნესის ადმინისტრირების
აკადემიური დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მაია მარტიაშვილი, ასისტენტ-პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში – „პანდემიის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე“ – საუბარია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო ეკონომიკაზე პანდემიის დამანგრეველი გავლენის შესახებ. მოყვანილია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები, რომელშიც შეფასებულია პანდემიის გავლენა გლობალურ ეკონომიკაზე. ეს შეფასებები არაერთგვაროვანია. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია აზიის განვითარების ბანკის ანგარიშზე, გაეროს მიერ ჩატარებული კვლევის ანალიზსა და რაბო ბანკის ცოდნის ცენტრის შედეგებზე. გლობალურ ეკონომიკასთან ერთად, განხილულია საქართველოს ეკონომიკაზე პანდემიით გამოწვეული უარყოფითი შედეგები, რაც ძირითადად ტურისტულ სექტორს, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ფულად გზავნილებს ეხება.

სტატიაში აღნიშნულია COVID-19-ის ეკონომიკური ეფექტის მნიშვნელოვანი გავლენა საერთაშორისო ვაჭრობაზეც. მიუხედავად იმისა, რომ სასაქონლო საერთაშორისო ვაჭრობაზე შეზღუდვები არ დაწესებულა, მაღალი რისკის ქვეყნებში განვითარებული ეკონომიკური პრობლემები პირდაპირ იქონიებს ზეგავლენას მათ პარტნიორებზეც და მათ შორის საქართველოზეც.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმის სექტორი, ეკონომიკური ეფექტი, პანდემია, უცხოური ინვესტიციები.

შესავალი

დღეს ყველანი ვცხოვრობთ განსხვავებულ პირობებში, ვმუშაობთ განსხვავებულ რეჟიმში, გარემომცველ სამყაროსთანაც ურთიერთობა მიმდინარეობს განსხვავებულ რეჟიმში. ასე შეცვალა ჩვენი ცხოვრება პანდემიამ. COVID-19 მხოლოდ სამედიცინო ხასიათის გამოწვევა როდია, მან თვისებრივად ახალი წესრიგი შემოიტანა და ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა მსოფლიო.

ნებისმიერი ინდივიდისათვის მარტივია მოახდინოს საკუთარი თავის იზოლაცია თავდაცვის მიზნით, რასაც ვერ ვიტყვით ურთიერთდაკავშირებულ ეკონომიკებსა და საწარმოო სუბიექტებს შორის ურთიერთობებზე. უკვე ფაქტია და საყოველთაოდაა ცნობილი ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაზე პანდემიის ის უარყოფითი შედეგი, რაც გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ზარალი უკვე ტრილიონობით დოლარს ითვლის, ხოლო საბოლოო ციფრები ჯერ კიდევ გაურკვეველია.

თანამედროვე გლობალური სამყარო პირისპირ აღმოჩნდა მწარე რეალო-

ბასთან – არსებული გლობალური ეკონომიკური წეს-წყობილების მოშლისა და მისი სრულიად ახალ პრინციპებზე გადაწყობის აუცილებლობასთან, რომელიც ურთულესი პროცესია. ფაქტობრივად, ძირეულად იცვლება არსებული საქმიანი და სამეურნეო ფორმატი და ადგილს იკავებს ახალი, თვისებრივად განსხვავებული მიდგომები.

ძირითადი ნაწილი

COVID-19-ის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ვირუსის გავრცელების ტენდენციებზე. საერთაშორისო ორგანიზაციები ატარებენ სხვადასხვა კვლევას, რომლითაც ხდება პანდემიის გავლენის შეფასება გლობალურ ეკონომიკაზე. ეს შეფასებები არაერთგვაროვანია. აზიის განვითარების ბანკის ანგარიშში[1] განხილულია პანდემიის მოსალოდნელი შედეგების განვითარების სამი პოტენციური შემთხვევა. ამ კვლევის შედეგით, პანდემიის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე განსხვავებულად აისახება და დამოკიდებულია მისი გავრცელების დროსა და მასშტაბზე. აზიის განვითარების ბანკის მიხედვით, პანდემია 77-დან (0,08% მშპ) 347 მილიარდ დოლარამდე (0,4% მშპ) ზიანს მიაყენებს მსოფლიო ეკონომიკას.[2]

გაეროს მიერ ჩატარებული კვლევის ანალიზით,[3] პანდემიის შემდგომ ეკონომიკის ზრდა მინიმუმ 2,5%-მდე შემცირდება, ხოლო მიყენებული კი დაახლოებით ტრილიონ დოლარს მიაღწევს, თუმცა ესეც პანდემიის ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული და უარეს შემთხვევაში ეს რიცხვი შეიძლება გაორმაგდეს. ყველაზე დიდი ზიანი ნავთობისა და სხვა საქონლის ექსპორტიორ ქვეყნებს მიადგება და მათი ეკონომიკური ზრდის ტემპი მინიმუმ 1%-ით შემცირდება.[4] ეუთოს ანგარიშის მიხედვით[5] კი მსოფლიო ეკონომიკის ზრდა 2,4 პროცენტული პუნქტით დაიკლებს, რასაც მსოფლიო ვაჭრობის შემცირებას უკავშირებენ.

რაბო ბანკის ცოდნის ცენტრი[6] პანდემიის შედეგებს კიდევ უფრო ნეგატიურად აფასებს და გლობალური ეკონომიკის ზრდის შემცირებას 1,6%-მდე ვარაუდობს.

პანდემიის ეკონომიკური ზეგავლენა ქვეყნებზე შემდეგი ლოგიკით ვითარდება: მთავარ ეკონომიკურ დარტყმებს მიიღებენ ის ქვეყნები, რომლებშიც COVID-19-ის გავრცელების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები იქნება, ხოლო შემდგომ ის ქვეყნები, რომელთა ეკონომიკებიც ყველაზე მეტად არიან დამოკიდებულნი ტურიზმზე, ნავთობისა და სხვა საქონლის

[1] "The Economic Impact of the COVID-19 Outbreak on Developing Asia", Asian Development Bank, 6 მარტი 2020. იხ: https://bit.ly/2UpeGe9

[2] https://eprc.ge/uploads/brosh/COVID__fin-geo.pdf

[3] "The Coronavirus Shock: a Story of Another Global Crisis Foretold and What Policymakers Should Be Doing about It." UNCTAD, 9 მარტი 2020. იხ: https://bit.ly/2WwcW5O

[4] https://eprc.ge/uploads/brosh/COVID__fin-geo.pdf

[5] "Coronavirus: The world economy at risk" OECD Economic Outlook, 2 მარტი 2020. იხ: https://doi.org/10.1787/7969896b-en

[6] Erken Hugo, Menno Middeldorp, Raphie Hayat, and Kan Ji. "Global Economic Outlook: COVID-19 Has Taken a Hold of the Global Economy," Rabobank, 12 მარტი 2020. იხ: https://bit.ly/3a7J17U

ექსპორტზე, ამის მერე კი ნეგატიური ზეგავლენა მათი პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკებსაც შეეხება.[1]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, საქართველოშიც მსგავსი სიტუაციაა. პანდემიამ გარკვეული დაღი დაასვა ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურას, ტურიზმს, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, ფულად გზავნილებსა და საგარეო ვაჭრობას. გაზრდილი მოთხოვნა პროდუქტზე, უმუშევრობისა და სიღარიბის მაჩვენებლების გაზრდა, ეროვნულ ვალუტაზე სხვადასხვა ფაქტორის ზეწოლა, ტურიზმისა და საერთაშორისო გზავნილების შემცირება – ეს არის იმ გამოწვევათა მცირედი ჩამონათვალი, რომლებთანაც უწევს და მოუწევს საქართველოს ეკონომიკას გამკლავება და არა მხოლოდ პანდემიის დროს.

საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სექტორად ჩამოყალიბდა ტურიზმი, რომელიც მშპ-ს დაახლოებით 11%-ს შეადგენს.[2] 2019 წელს ვიზიტორების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც წინა წელთან შედარებით 7,8%-ით მეტია. ამ სექტორის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, სწორედ ტურიზმის ინდუსტრიაზე იქონია ყველაზე მეტად გავლენა პანდემიამ. ტურისტების შემცირება ასევე აისახება სარესტორნო ბიზნესზე, სავაჭრო ობიექტების ბრუნვაზე და ა.შ. ამ ბიზნესებზე ზეგავლენას მოახდენს არა მხოლოდ ტურისტების შემცირება, არამედ სხვადასხვა შეზღუდვები, რომლებიც დისტანციების დაცვას ისახავს მიზნად. ეკონომიკური გავლენის მასშტაბის შესაფასებლად შეიძლება აღინიშნოს, რომ მაგალითად ტურიზმის სფეროში, 2018 წლის ოფიციალური მონაცემებით, მხოლოდ სასტუმროებსა და რესტორნებში 44000 ადამიანია დასაქმებული; ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტის სფეროში ჩართულია 187,6 ათასი ადამიანი და ა.შ.[3]

გარდა ტურიზმის სექტორისა პანდემიის უარყოფითი გავლენა პირდა-პირ უცხოურ ინვესტიციებზეც აისახა. ბოლო წლების განმავლობაში, თუ არ ჩავთვლით 2017 წელს (როცა მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა), სტაბილური კლებით ხასიათდება. მაგალითად, 2018 და 2019 წლებში დაახლოებით 1/3-ით ნაკლები ინვესტიცია შემოვიდა 2014 წელთან შედარებით.



[1] https://eprc.ge/uploads/brosh/COVID__fin-geo.pdf
[2] World Travel and Tourism Council, 2018
[3] https://eprc.ge/uploads/brosh/COVID__fin-geo.pdf

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წლების მიხედვით (ათას აშშ დოლარში), წყარო; საქსტატი[1]

საქსტატის უკანასკნელი მონაცემების მიხედვით (2019 წელი) საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ევროკავშირზე მოდის. ევროკავშირიდან შემოსული ინვესტიციები სრული ნვისტეციების 47.2%-ს უტოლდებოდა. ამერიკიდან შემოსული ინვესტიციები სრული ინვესტიციების 7.8%-ია, ხოლო ჩინეთიდან შემოსული ინვესტიციები - 3.2%.

2019 წლის მონაცემებით 15 ყველაზე მნიშვნელოვან ინვესტორებს შორის არიან აშშ, ჩინეთი და იაპონია. არსებულ ქვეყნებში ვირუსული აფეთქების ეკონომიკური ეფექტი შეიძლება პირდაპირ გავრცელდეს საქართველოზეც. ინვესტიციების შემცირების ტენდენცია უკანასკნელი წლების მანძილზე ისედაც მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკისათვის. ახლა ეს რისკები კიდევ უფრო აქტუალურია.[2]

COVID-19-ის ეკონომიკური ეფექტი მნიშვნელოვან გავლენას საერთაშორისო ვაჭრობაზეც მოახდენს. მიუხედავად იმისა, რომ სასაქონლო საერთაშორისო ვაჭრობაზე შეზღუდვები არ დაწესებულა, მაღალი რისკის ქვეყნებში განვითარებული ეკონომიკური პრობლემები პირდაპირ იქონიებს ზეგავლენას მათ პარტნიორებზეც და მათ შორის საქართველოზეც. თუნდაც დავიწყოთ იმით, რომ საქართველოს ახლო ეკონომიკური ურთიერთობა აკავშირებს ევროკავშირთან, რომელიც საექსპორტო ბაზრის 1/3-ს წარმოადგენს. გარდა ევროკავშირისა, საქართველოსათვის მნიშვნელოვანია აზერბაიჯანის წილიც, რომელთანაც გადაადგილება შეიზღუდა, თუმცა სასაქონლო-სავაჭრო ბრუნვა არ შეწყვეტილა (2020 წლის იანვარ-თებერვალში ექსპორტის 17,2%), შემდგომ მოდის ჩინეთისა (12,4%) და რუსეთის წილი ექსპორტში, რომელიც დროის იგივე პერიოდში 11,5%-ს შეადგენდა.[3]

ფინანსთა სამინისტროს მონაცემების მიხედვით,[4] ჯერ კიდევ 2020 წლის იანვარსა და თებერვალში საქართველოს ექსპორტი იმავე პერიოდის წინა წლის მონაცემებთან შედარებით შემცირდა და თებერვლის თვეში საგრძნობლად 17,9%-ით დაიკლო, რაც, ნაწილობრივ, მსოფლიო ვაჭრობის შემცირებით იყო განპირობებული.

ფულადი გზავნილები მნიშვნელოვანი ინდიკატორია საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის შეფასებისას. საქართველო მოწყვლადია იმ ქვეყნების კონომიკური კრიზისებისადმი, რომლებიდანაც მიღებული ფინანსური გზავნილები ყველაზე აღალია. ფულადი გზავნილების წილი საქართველოს მშპ-ში 13.5 %-ს შეადგენს (2019 წლის წინასწარი, საქსტატი).[5]

საქართველოს ეროვნული ბანკის[6] მონაცემებით, 2020 წლის თებერვალში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობამ 137.3 მლნ აშშ

[1] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. იხ: https://bit.ly/2WwGU9y

[2] https://eprc.ge/uploads/brosh/COVID__fin-geo.pdf

[3] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. იხ: https://www.geostat.ge/

[4] საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. იხ: https://bit.ly/2WwH80o

[5] https://eprc.ge/uploads/brosh/COVID__fin-geo.pdf 2020, გვ.11.

[5] საქართველოს ეროვნული ბანკი: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=728

დოლარი შეადგინა, რაც 9.5%-ით მეტია 2019 წლის თებერვლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. იანვრის თვეში ზრდის ტემპი 8.6%-ს უტოლდებოდა. ევროკავშირიდან მიღებული ფულადი გზავნილები, მთლიანი ფულადი გზავნილების 41.7%-ია. ყველაზე მეტ ფულად გზავნილს ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველო იტალიიდან (15.8%) და საბერძნეთიდან (12%) იღებს. მნიშვნელოვანი, 10.4%-იანი წილი მოდის აშშ-ზე. რუსეთიდან (20.9%) და ისრაელიდან (10.5%) მიღებული გზავნილები დაახლოებით მთლიანი გზავნილების 1/3-ს წარმოადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ გზავნილების მოცულობა არ შემცირებულა, პანდემიის გავრცელებას ევროპასა და ამერიკაში, სავარუდოდ, მძიმე ნეგატიური გავლენა ექნება ფულადი გზავნილების მოცულობაზეც. გზავნილების ზომის შემცირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული COVID-19-ის გავრცელების პრევენციისა და ეკონომიკური ზარალების შემაკავებელი პრაქტიკების ეფექტურობაზე.[1]

დასკვნა

დღეს, როცა საქართველოში COVID-19-ის გავრცელება კრიტიკულად მაღალია, ცხადია, საკმაოდ რთულია პროგნოზების გაკეთება იმ ეკონომიკური გავლენის შესახებ, რომელსაც მსოფლიოში პანდემიური პროცესი და ქვეყანაში არსებული ეპიდემიური სურათი მოახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. ამ დროს მნიშვნელოვანია კრიზისის ვადები და ისიც, თუ როგორ შეძლებს არა მარტო საქართველო, არამედ მსოფლიო მასთან განმკლავებას, რადგან საქართველოც მსოფლიო გლობალური სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. "The Economic Impact of the COVID-19 Outbreak on Developing Asia", Asian Development Bank, 6 მარტი 2020. იხ: https://bit.ly/2UpeGe9
2. https://eprc.ge/uploads/brosh/COVID__fin-geo.pdf
3. "The Coronavirus Shock: a Story of Another Global Crisis Foretold and What Policymakers Should Be Doing about It." UNCTAD, 9 მარტი 2020. იხ: https://bit.ly/2WwcW5O
4. "Coronavirus: The world economy at risk" OECD Economic Outlook, 2 მარტი 2020. იხ: https://doi.org/10.1787/7969896b-en
5. Erken Hugo, Menno Middeldorp, Raphie Hayat, and Kan Ji. "Global Economic Outlook: COVID-19 Has Taken a Hold of the Global Economy," Rabobank, 12 მარტი 2020. იხ: https://bit.ly/3a7J17U
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. იხ: https://bit.ly/2WwGU9y
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. იხ: https://www.geostat.ge/
8. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. იხ: https://bit.ly/2WwH80o
9. საქართველოს ეროვნული ბანკი: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=728

[1] https://eprc.ge/uploads/brosh/COVID__fin-geo.pdf 2020, გვ.11.

The impact of the pandemic on the Georgian economy

Asmati Pipia, Academic Doctor of Business
Georgian Technical University

Maria Martiashvili, assistant-professor
Georgian Technical University

Summary

The article - "The impact of the pandemic on the Georgian economy" - talks about the devastating impact of the pandemic not only on Georgia, but also on the world economy. There are presented the results of a study conducted by international organizations to assess the impact of the pandemic on the global economy. These estimates are heterogeneous. The main focus is on the report of the Asian Development Bank, the analysis of the research conducted by the UN and the results of the Rabo Bank Knowledge Center. Along with the global economy, there are discussed the negative effects of the pandemic on the Georgian economy, mainly in the tourism sector, foreign direct investment and remittances.

The article notes the significant impact of COVID-19's economic impact on international trade as well. Although there are no restrictions on international trade in goods, economic problems in high-risk countries will have a direct impact on their partners, including Georgia.

Keywords: Tourism sector, economic impact, pandemic, foreign investment.

კიბერუსაფრთხოების მენეჯმენტი

იმნაიშვილი სალომე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ციფრული ტექნოლოგიების განვითარების ეპოქაში, მაშინ, როდესაც თანამედროვე ადამიანის ყოველდღიურობის სიმარტივე ტექნოლოგიებზეა დამოკიდებული სულ უფრო აქტუალური ხდება ისეთი საკითხები, როგორიცაა პერსონალური მონაცემების დაცვა და კიბერუსაფრთხოება.

მსოფლიო არასდროს ყოფილა ისე ურთიერთდაკავშირებული, როგორც დღეს არის. მილიონობით ადამიანი, ყოველდღიურად სოციალურ ქსელებში ტვირთავს პერსონალურ ინფორმაციას, მათი საკრედიტო ბარათების დეტალური ინფორმაცია გაზიარებულია ყველა ვებ-გვერდზე, სადაც ელექტრონულად გადახდა არის შესაძლებელი, ხოლო კომპანიების მიერ შენახული მონაცემები ინახება პოტენციურად დაუცველი ღრუბლოვანი შენახვის სისტემებში.

რაც უფრო მეტად ვითარდება ტექნოლოგიები, მით უფრო მატულობს კიბერშეტევების გზებიც. დღეს, კიბერშეტევის უკვე მრავალი სხვადასხვა მეთოდი არსებობს. მათ შეუძლიათ გადატვირთონ ან დააინფიცირონ კრიტიკული ინფრასტრუქტურის დამცავი სისტემები, რაც მათ შეღწევას უადვილებს. თავდაცვის სისტემები და მიზანმიმართული ინფრასტრუქტურა შეიძლება გაითიშოს ან სულაც განადგურდეს, თუ თავდასხმის მეთოდოლოგია და კიბერდანაშაულის ჩამდენი პირები არ გამოვლინდებიან და დროულად არ ჩაიშლება მათი მცდელობა.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ტექნოლოგიები, მონაცემების დაცვა, კიბერდანაშაული, კიბერუსაფრთხოება, ინფორმაციული უსაფრთხოება, კიბერთავდასხმა

შესავალი

ინფორმაციული ტექნოლოგიების ევოლუციის პარალელურად, თანა-მედროვე მსოფლიოს მნიშვნელოვან გამოწვევად კიბერუსაფრთხოება იქცა. ცხოვრება რაც უფრო ადვილია ციფრული ტექნოლოგიების და სმარტფონების წყალობით, მით უფრო დაუცველი გახდა ადამიანების პერსონალური მონაცემები. სამთავრობო, ძალოვანი, სამედიცინო, კორპორატიული თუ ფინანსური ორგანიზაციები ყოველდღიურად აგროვებენ, ამუშავებენ და ინახავენ უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის მონაცემებს კომპიუტერებსა და სხვადასხვა მოწყობილობებზე. ამ ინფორმაციის ძირითადი ნაწილი წარმოადგენს პირად მონაცემებს, ინტელექტუალურ საკუთრებას, ფინანსურ მონაცემებს და სხვა, ადამიანებისთვის კრიტიკულად მგრძნობიარე ინფორ-მაციას, რომლის უნებართვოდ გამოყენებაც, მნიშვნელოვნად დიდ ზიანს მიაყენებს მათ.

ნებისმიერი ჩვენთაგანისთვის საკმაოდ რთული წარმოსადგენია,

შესაბამისი ცოდნისა და მონდომების შემთხვევაში, რაოდენ მარტივია კიბერთაღლითებისთვის ჩვენს შესახებ ინფორმაციის მოპოვება მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან. ინფორმაციული ტექნოლოგიების მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, შესაბამისი ცოდნისა და უნარების ნაკრებით, ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი და მაღალანაზღაურებადნი არიან. დღეს-დღეობით კი, სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები იძულებულნი არიან მაქსიმალურად მეტი ინფორმაცია და ცოდნა მიიღონ იმის შესახებ, თუ როგორ დაიცვან პირადი მონაცემები, ხოლო კომპანიაში დამუშავებული და შენახული ინფორმაციის უსაფრთხოება, მიანდონ პროფესიონალთა გუნდს, რათა დროულად იქნას აღმოჩენილი და დაბლოკილი კიბერთაღლითების თავდასხმები.

ძირითადი ნაწილი

ინფორმაციული უსაფრთხოების სპეციალისტები გამუდმებით მუშაობენ კიბერსივრცის დაცვის მექანიზმების სრულყოფაზე, რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს კიბერშეტევების დროული იდენტიფიცირება და მათზე დაცვითი მექანიზმების ამუშავება. თუმცა, იმდენად ვითარდება და მრავალფეროვანი ხდება კიბერთაღლითობის მეთოდები, პრაქტიკულად წარმოუდგენელია რამდენიმე ნაბიჯით წინ გავუსწროთ სიახლეებს და თაღლითური მექანიზმები წინასწარ ამოვიცნოთ, რათა 100%-ით იქნას დაცული მნიშვნელოვანი ინფორმაცია. კიბერშეტევებისგან არც უბრალო ინტერნეტ მომხმარებლები არიან დაცულები და არც მსხვილი კორპორაციები. ბოლო პერიოდში სპეციალისტები კიბერუსაფრთხოების ბევრ ინოვაციურ იდეაზე მუშაობენ, მათ შორის დიდ იმედებს ამყარებენ ბლოკჩეინ ტექნოლოგიაზეც, რომელსაც ცენტრალიზებული ქსელების დეცენტრალიზებულ ქსელებში გარდაქმნის შესაძლებლობა აქვს, რაც, თავისთავად, ნიშნავს იმას, რომ უფრო მდგრადია თავდასხმების მიმართ და ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში, სრულად აღადგენს ინფორმაციას. ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, უმჯობესია, უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს კიბერთაღლითების აღმოჩენას და მათ დასჯას, ვიდრე შესაძლო დამცავი სისტემების შემუშავების პროცესს. თუმცა, მანამდე, რა თქმა უნდა, ყველა კომპანიის ვალია უზრუნველყოს იმ ინფორმაციის დაცვა, რომელსაც აგროვებს, ამუშავებს და ინახავს, საიმედო პარტნიორების რიგებში, საპატიო ადგილის დასამკვიდრებლად.

კიბერუსაფრთხოება - ღონისძიებათა ერთობლიობაა, რომელიც იცავს კომპიუტერს ან კომპიუტერულ სისტემას არასანქცირებული შეღწევისა და თავდასხმებისგან.

კიბერშეტევა - ეს არის მიზანმიმართული ციფრული შეტევა კომპიუტერზე ან კომპიუტერულ სისტემაზე, მასში დაცული ინფორმაციის მთლიანობის, კონფიდენციალურობის ან ხელმისაწვდომობის დარღვევის მიზნით.

კიბერშეტევები, პირობითად, შეგვიძლია სამ კატეგორიად დავყოთ:

- **პიროვნების წინააღმდეგ მიმართული** - ისეთი კიბერშეტევები, რომლებიც არ აზიანებენ კომპიუტერულ აღჭურვილობას და სისტემებს, თუმცა დიდ ფსიქოლოგიურ ზიანს აყენებენ იმ ადამიანებს, რომელთა

წინააღმდეგაც იყენებენ თაღლითური გზით მოპოვებულ პირად ინფორმაციას. როგორც წესი, ასეთი შეტევები ხორციელდება კომპიუტერულ სისტემებში ჯაშუშური პროგრამების დანერგვის მიზნით, რომელთა ძირითადი მიზანი არის კონფიდენციალური ინფორმაციის შეგროვება. ასეთი პროგრამები გავლენას არ ახდენენ კომპიუტერის მუშაობაზე. მათი აღმოჩენა იმდენად რთულია, რომ მფლობელს შეუძლია დიდხანს იმუშაოს პერსონალურ კომპიუტერზე ისე, რომ პარალელურად უგზავნოს დაინტერესებულ პირს საჭირო ინფორმაცია და არც იეჭვოს ამის შესახებ.

- **საკუთრების წინააღმდეგ მიმართული კიბერშეტევების** დროს, კიბერთავდამსხმელების მიზანს წარმოადგენს ინდივიდუალური კომპიუტერის ან მთელი ქსელის სისტემის შეცვლა და ოპერაციებზე ზემოქმედება. ამ შემთხვევაში, ჩაშენებული სპეციალური პროგრამა ხელს უშლის კომპიუტერის მუშაობას: გაანადგურებს ან დაშიფრავს მონაცემებს, გატეხავს ოპერაციულ სისტემას, გამორთავს ან განაახლებს კომპიუტერს და ა.შ.
- **სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული კიბერშეტევა.** ამ უკანასკნელის სამიზნეს წარმოადგენს მასშტაბური თავდასხმები სახელმწიფო უწყებებზე, სტრატეგიულ ორგანიზაციებზე, მუნიციპალურ სტრუქტურებზე და სხვა მნიშვნელოვან ობიექტებზე. სწორედ ამ კატეგორიაში შედის კიბერტერორიზმი. წარმატებულმა კიბერშეტევამ კონკრეტულ ინფრასტრუქტურულ პუნქტებზე შეიძლება ადვილად მოახდინოს ქვეყნის პარალიზება გარკვეული დროით, რასაც კოლოსალური ზარალი მოჰყვება. საბედნიეროდ, თანამედროვე მსოფლიო აცნობიერებს კიბერტერორიზმის რეალურ საფრთხეს და სხვა თავდაცვის მექანიზმებთან ერთად მონაცემების დუბლირების სისტემებითაც იზღვევს თავს.

კიბერდამნაშავეებმა გამოიგონეს კიბერშეტევის მრავალი ვარიანტი, რომლებიც განსხვავდება ტექნიკური სირთულითა და ეფექტურობით. ქვევით მოყვანილია 2020 წლისთვის ყველაზე გავრცელებული კიბერთავდასხმის რამდენიმე მაგალითი:

- **ფიშინგი** - ცნობილი ბრენდების სახელით ელ.ფოსტის ან სხვაგვარი შეტყობინების გაგზავნით, კიბერთაღლითები მომხმარებლებს არწმუნებენ მიაწოდონ პერსონალური პაროლების, ფინანსური და სხვა ღირებული მონაცემების შესახებ ინფორმაცია.
- ფიშინგის შეტევებისგან დასაცავად, რეკომენდებულია კომპანიებმა გამოიყენონ ელ.ფოსტის გაფილტვრის საშუალებები. ამასთან, აუცილებელია თანამშრომელთა ცოდნის ამაღლება ამ მიმართულებით.
- შეტევა კორპორატიული ელ. ფოსტის გამოყენებით **(BEC- Business email compromise).** ამ შემთხვევაში კიბერდამნაშავეების სამიზნეს წარმოადგენენ კომპანიაში დასაქმებული კონკრეტული პირები, რომელთაც წვდომა აქვთ ფინანსურ დოკუმენტებთან. კომპანიის თანამშრომლებს თაღლითები ესაუბრებიან ხელმძღვანელების ან პარტნიორი ორგა-

ნიზაციების სახელით და სთხოვენ, თანხის ჩარიცხვას ახალ ანგარიშზე, რომელიც, ბუნებრივია მათ ეკუთვნით.

ისევე, როგორც ფიშინგის, ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია კორპორატიული ელ. ფოსტის სწორად დაცვა, ფილტრაციის საშუალებების გამოყენება და თანამშრომლების ინფორმირება. ასევე, ფულადი დავალებების შესრულებისას დამატებითი კონტროლის საფეხურის დამატება, რაც როგორც მინიმუმ, კითხვებს მაინც გამოიწვევს არსებული ანგარიშის შეცვლის მიზნობრიობის შესახებ.

- **IoT (Internet of Things) შეტევები** - რაც უფრო მეტი ინტერნეტთან დაკავშირებული მოწყობილობა ჩნდება სახლებსა და ოფისებში, მით უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენს IoT შეტევები. თაღლითური შეტევების განხორციელებას, კიბერდამნაშავეები ინტერნეტში ჩართული სხვადასხვა მოწყობილობების გამოყენებით ახერხებენ. როგორც წესი, ასეთი მოწყობილობები იყენებენ საბაზისო სერთიფიკატებს და ამიტომ მარტივად ხდებიან არასანქცირებული შეღწევის და დაინფიცირების ობიექტები.

IoT შეტევებისგან დასაცავად, კომპანიებს ურჩევენ გამოიყენონ ქსელის სეგმენტაცია, შიდა ქსელური დაცვის მექანიზმები და რეგულარულად განაახლონ IoT მოწყობილობები.

- **DDoS (DistributedDenial-of-Service) შეტევები** - როგორც აქამდე, ვებ-გვერდებს წელსაც შეუქმნის საფრთხეს DDoS შეტევები. DDoS თავდასხმების დროს, ათასობით IP მისამართზე ზეგავლენის შედეგად, მომხმარებლის მიერ მოთხოვნილი სერვისი უარს ამბობს მომსახურებაზე. ხშირად მსგავსი შეტევები ხორციელდება მსხვილ კომპანიებში ან სამთავრობო ორგანიზაციაში ქსელის გათიშვის პროვოცირების მიზნით. ზოგ შემთხვევაში კი ასეთი თავდასხმები ხორციელდება სხვა მავნე ზემოქმედებისგან ყურადღების გადასატანად.

DDoS თავდასხმების თავიდან აცილების მექანიზმები დამოკიდებულია მათ ტიპზე. მასშტაბური შეტევის შემთხვევაში საჭიროა სისტემის გამტარუნარიანობის გაზრდა, ზოგ შემთხვევაში რეკომენდირებულია თავდასხმაში მონაწილე IP მისამართების დაბლოკვა და ა.შ.

- შეტევა მომხმარებლებზე **უსაფრთხოების კოდების** გამოყენებით - ამ შემთხვევაში ძირითადი პასუხისმგებლობა თვითონ მომხმარებლებზეა, რადგან ერთი მომხმარებელი სხვადასხვა პროგრამის თუ ვებ-გვერდისთვის, ხშირად, პირადი და სამსახურეობრივი ანგარიშებისთვის, იყენებს ერთი და იგივე უსაფრთხოების კოდს. შესაბამისად, ერთი პაროლის ცოდნის შემთხვევაში, კიბერთაღლითებს კომპანიის მონაცემებზეც უჩნდებათ წვდომა. ორგანიზაციები თანამშრომლებს სთხოვენ გამოიყენონ უფრო რთული პაროლები და შეცვალონ ისინი უფრო ხშირად, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, დასაქმებულები მაინც კომფორტულ და მარტივ პაროლებს ირჩევენ ავტორიზაციისთვის.

ამ ტიპის საფრთხისგან დაცვის ვარიანტია ისეთი ავტორიზაციის მეთოდების გამოყენება, რაც არ გულისხმობს პაროლის შეყვანას ან იძულებულს

ხდის მომხმარებელს უსაფრთხოების კოდი მოარგოს, კომპა-ნიის მიერ წინასწარ განსაზღვრულ, რთულ კომბინაციას.

როგორც ზევით იქნა აღნიშნული, ეს მხოლოდ რამდენიმე შესაძლო ვარიანტია იმ მრავალფეროვანი კიბერთავდასხმიდან, რომელთა მსხვერპლიც შეიძლება ყოველდღიურად გახდეს თანამედროვე, ციფრული ტექნოლოგიების მოყვარული ადამიანი. საბედნიეროდ, დღეს ძალიან ბევრი საშუალებაა იმისთვის, რომ საზოგადოებამ გააცნობიეროს კიბერთავდასხმების მნიშვნელობა, აიმაღლოს ცოდნა და დააგროვოს კიბერთაღლითებთან ბრძოლისთვის საჭირო უნარები.

დასკვნა

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 2020 წელს გამოცხადებულმა კორონავირუსის პანდემიამ კიდევ უფრო მეტად გამოკვეთა კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობა. იქიდან გამომდინარე, რომ თითქმის მთელ მსოფლიოს დაახლოებით ერთი წლის მანძილზე მხოლოდ დისტანციურად უწევს მუშაობა, როდესაც კიდევ უფრო გაზრდილია სხვადასხვა მოწყობილობების გამოყენების მაჩვენებელი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კიბერუსაფრთხოების პრინციპების დაცვა. ბოლო პერიოდის მოვლენებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული თავდასხმის ობიექტები გახდნენ დიდი საკომუნიკაციო პლატფორმების შემქმნელები, რომელთა დახმარებითაც იმართებამასშტაბურიშეხვედრები,ნაწილდებასამუშაოდავალებები,იცვლება მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია და სხვა მრავალი კიბერთაღლითებისთვის საინტერესო ინფორმაცია.

დღეს კიბერუსაფრთხოება წარმოადგენს თანამედროვე სამყაროს რეალურ გამოწვევას, რომელთან გამკლავებაც არა მხოლოდ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებით უნდა შემოიფარგლოს, არამედ ამ უკანასკნელის აქტიური ჩართულობით, შესაბამისი მიმართულებების პროფესიონალთა გუნდის მეშვეობით, შემუშავდეს კიბერუსაფრთხოების ინოვაციური მეთოდები კიბერდანაშაულთან ეფექტური ბრძოლისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. 8 Types of Cyber Attacks Small to Medium-Sized Businesses Face; Don Carfagno; June 22nd, 2017 ვებ.გვერდი - https://www.blackstratus.com/7-types-cyber-attacks-small-medium-sized-businesses-face/
2. Common types of cyberattacks; ვებ. გვერდი - https://www.cisco.com/c/en/us/products/security/common-cyberattacks.html#~related-topics
3. Companies Need to Rethink What Cybersecurity Leadership Is; Matthew Doan; November 27, 2019 ვებ. გვერდი - https://hbr.org/2019/11/companies-need-to-rethink-what-cybersecurity-leadership-is

Менеджмент Кибербезопасности

Имнаишвили Саломе, докторант
Грузинский Технический Университет

Резюме

В эпохе развития цифровых технологий, в то время, как легкость повседневной жизни современного человека зависит от технологий, такие вопросы, как защита персональных данных и кибербезопасность, становятся все более важными.

Мир еще никогда не был таким взаимосвязанным, как сегодня. Миллионы людей ежедневно загружают личную информацию в социальных сетях, данные об их кредитных картах публикуются на всех веб-сайтах, где платежи могут осуществляться в электронном виде, а информация, хранящаяся в компаниях, хранятся в облачных, потенциально незащищенных системах хранения.

По мере развития технологий увеличивается и число кибератак. На сегодняшний день, существует множество различных методов кибератак, которые могут перегрузить или заразить системы защиты критически важной инфраструктуры, что упрощает проникновение в них. Системы защиты и целевая инфраструктура могут быть отключены или даже уничтожены, если методология атаки и киберпреступники не будут идентифицированы вовремя, а их попытки - прерваны.

Ключевые слова: Цифровые технологии, Защита данных, Киберпреступность, Кибербезопасность, Информационная безопасность, Кибератаки

აუდიტის ხარისხის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში

მარიამ ფიცხელაური, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის გზით ვიღებთ ბევრად ხარისხიან და სანდო ფინანსურ ინფორმაციას. აუდიტორები უზრუნველყოფენ რწმუნებას ფინანსური ინფორმაციის ხარისხის შესახებ. მათი პროფესიული განსჯა და გადაწყვეტილებები ძირითად როლს თამაშობს საზოგადოების და ინვესტორების მხრიდან ნდობის ჩამოყალიბების საკითხში. ყველა სიდიდის აუდიტორული ფირმის საქმიანობის რეგულირება, აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის საშუალებით, აუმჯობესებს აუდიტის ხარისხს, რასაც, თავის მხრივ, მრავალი სარგებელი მოაქვს ეროვნულ დონეზე ფინანსური ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესების სახით; ამის მაგალითებია:

- სახელმწიფო სექტორში შემოსავლების ზრდის მაღალი პოტენციალი;
- გაზრდილი საერთაშორისო ნდობა და ინვესტიციები; და
- ძლიერი საფუძველი მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის.

აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფით ძირითად სარგებელს იღებს საზოგადოება, ვინაიდან გაუმჯობესებული მმართველობა და ანგარიშვალდებულება ეკონომიკას აძლიერებს.

საკვანძო სიტყვები: აუდიტი, აუდიტის ხარისხის კონტროლი, ბუღალტრული აღრიცხვა.

შესავალი

კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მიხედვით, ბიზნეს სუბიექტმა უნდა უზრუნველყოს მის მიერ განხორციელებული ყველა ეკონომიკური მოვლენის ბუღალტრულ ანგარიშებზე ასახვის სისრულე და შიდა კონტროლი. ბიზნეს სუბიექტი ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შესასრულებლად, მისი საქმიანობისა და ორგანიზაციული სტრუქტურის სირთულის გათვალისწინებით: ა) განსაზღვრავს სააღრიცხვო პოლიტიკას; ბ) შეიმუშავებს ანგარიშთა გეგმას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების ფარგლებში; გ) შეიმუშავებს ეკონომიკური მოვლენების ამსახველი დოკუმენტების წარმოებისა და კონტროლის მექანიზმსა და პროცედურებს; დ) განსაზღვრავს სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავების ვადებსა და ტექნოლოგიას; ე) ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი სტანდარტების საფუძველზე შეიმუ-შავებს ფინანსური ანგარიშგების ფორმებს და განსაზღვრავს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცედურებს; ვ) შეიმუშავებს ბიზნესპროცესებისა და ბიზნესწესების ერთობლიობას (შიდა კონტროლის სისტემას), რომელიც უზრუნველყოფს მისი საქმიანობის ეფექტიანობას, ფინანსურიანგარიშგებისუტყუარობასდასაქართველოსკანონმდებლობასთან მათ შესაბამისობას. მსხვილ ორგანიზაციებში ამ პროცედურებს შიძლება

დაემატოს შესაბამისი მოვალეობების დაკისრება შიდა აუდიტის განყოფილებას ან აუდიტის კომიტეტს. აღნიშნული შიდა აუდიტის და ან აუდიტის კომიტეტის შექმნის ვალდებულება კერძო სამართლის სუბიექტებს არ აქვთ, გარდა საფინანსო ინსტიტუტებისა, რომელთაც ეროვნულის ბანკის მიერ აქვთ დაწესებული რეგულაციები ამ მხრივ.

ძირითადი ნაწილი

ზოგადად, შიდა კონტროლი წარმოადგენს მენეჯერული და ფინანსური კონტროლების სისტემების ერთობლიობას, რომლებიც მოიცავს სუბიექტის სტრუქტურას, მეთოდებს, პროცედურებს, ასევე შიდა აუდიტს, რომლის ამოცანას წარმოადგენს სუბიექტის წინაშე არსებული მიზნების მიღწევის ხელშეწყობა მისი საქმიანობის კანონიერად, ეკონომიურად და ეფექტიანად წარმართვის საშუალებით. შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა განეკუთვნება სუბიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის სფეროს.

ფინანსური ინფორმაცია უნდა იყოს შესაბამისი, დროული და საიმედო, რათა დააკმაყოფილოს მომხმარებელთა მოთხოვნილებები. ეროვნული კანონმდებლობა, ასევე სამეურნეო სუბიექტის დაინტერესებული მხარეები ხშირად მოითხოვენ ფინანსური ინფორმაციის გარკვეული ელემენტების გარე აუდიტის ჩატარებას, რათა მომხმარებლებს შეუქმნან იმის რწმენა, რომ შესაძლებელია ამ ინფორმაციის ნდობა. იმისთვის, რომ გარე აუდიტმა შეასრულოს თავისი ამოცანა, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ აუდიტორმა იმუშავა სათანადო სტანდარტის მოთხოვნების დაცვით და ჩატარდა "ხარისხიანი აუდიტი".

საბოლოოდ, ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის წინაშე დასმული მიზანი ბიზნეს სუბიექტების ხელშემწყობია მათი მთავარი ამოცანის მიღწევაში - მიაღწიონ მაქსიმალური მოგების მიღებას მინიმალური დანახარჯებით ისე, რომ შენარჩუნდეს პროდუქციის ხარისხი, საფირმო სტილი და ა.შ. გარდა ამისა, სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ანალიზი სწორ მიმართულებას აძლევს აქციონერებს, ინვესტორებს, ბანკირებსა და ყველა დაინტერესებულ პირს მათი საკუთარი კაპიტალის უფრო სარფიანად გამოყენებისთვის, მოსალოდნელი გარღვევების თავიდან აცილებასა და წარმატებათა განსამტკიცებლად.

საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულია აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემის შემდეგი კომპონენტები:

- სტანდარტები,
- პროფესიული ეთიკის პრინციპები,
- აუდიტის ხარისხის კონტროლი სისტემის შიდა და გარე შემოწმება.

ხმაურიანი ფინანსური და კორპორაციული სკანდალების შემდეგ საზოგადოება, მარეგულირებელი ორგანოები და მთავრობები აღარ აღიარებენ ხარისხის უზრუნველყოფის ამგვარ დონეს და წამყვანი ეკონომიკის მქონე ქვეყნები, მათ შორის ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს, აშშ-სა და იაპონიის კანონმდებლობა ითვალისწინებს აუდიტის ხარისხის

უზრუნველყოფის დამოუკიდებლობას პროფესიისგან. თუმცა, ამ დამოუკიდებლობის დონე თითოეულმა ქვეყანამ თავად უნდა შეაფასოს და გადაწყვიტოს. ეს მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან დამოუკიდებლობის დონის ზრდასთან ერთად აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯებიც იზრდება.

გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საქართველოს საკმაოდ სუსტი იყო აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემის შემუშავების და შესაბამისად, მისი მონიტორინგის პრაქტიკა, რადგან აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემის ორგანიზაციისა და ფუნქციონირების სფერო არასტაბილურად ვითარდებოდა. საწყის ეტაპზე აუდიტორული საქმიანობის კონტროლის ფუნქცია უნდა შეესრულებინა საქართველოს პარლამენტთან არსებულმა აუდიტორული საქმიანობის საბჭოს (1995 -2005წწ), რომელის განხორციელებაც მოცემულმა სტრუქტურამ ვერ შეძლო. ძირითადი მიზეზად აღინიშნა, რომ მოცემულ სფეროში იყო მაღალკვალიფიციური და კომპეტენტური სპეციალისტების დეფიციტი.

მდგომარეობა რადიკალურად შეცვალა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებამ (2014 წ). კერძოდ, განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები და მიღებულმა კანონმა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (2016) უზრუნველყო გარკვეული მიღწევები ამ სფეროში: დაუშვა აუდიტის საჯარო ზედამხედ-ველობა; გააძლიერა ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობა, ასევე აუდი-ტორების დამოუკიდებლობა და აუდიტის ხარისხის კონტროლი; დაისახა ბუღალტრული განათლების გაუმჯობესებისა და განვითარების ხელეწყობის პოლიტიკა. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აუდიტორული საქმიანობის რეგულირება და ხარისხის კონტროლის სისტემის შემოწმების ფუნქცია სრულად გადავიდა სახელმწიფო საზედამხედველო ორგანოს ფუნქციებში. კანონის თანახმად, აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს განახორციელებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (სამსახური), რომელიც დაარსდა 2016 წელს, არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება და პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობისა და ფინანსთა სამინისტროს წინაშე. სამსახური განსაზღვრავს ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესს, ადგენს წინასწარი შედეგების განხილვის, ხარვეზების აღმოფხვრის და ხარისხის კონტროლის მონიტორინგის ანგარიშის გასაჩივრების პროცედურებს. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი აუდიტორული ფირმის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის ადექვატური უნდა იყოს და განხორციელდეს არა უმეტეს 6 წელიწადში ერთხელ. იმ ფირმებში, კი რომლებიცსდპდაპირველიკატეგორიისსაწარმოებისაუდიტსახორციელებენ, ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი ხორციელდება 3 წელიწადში ერთხელ. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგით გამოვლენილ დარღვევებზე პასუხისმგებელი არის აუდიტორი, აუდიტორული ფირმა

ან/და კონკრეტულ აუდიტორულ დასკვნაზე შესაბამის გარიგების პარტნიორი. ეს პირები მონაწილეობენ ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის ანგარიშის განხილვაში და იძლევიან ახსნა-განმარტებებს. აუდირებული ფინანსური ანგარიშგების სანდოობის ხარისხის ამაღლების მიზნით, სავალდებულოა მარეგულირებელი ორგანოების სამსახურთან თანამშრომლობა. ზედამხედველობის სამსახური აუდიტორის ხარისხის კონტროლისა და სამუშაო ფაილების შემოწმების შედეგად ქმნის ხარისხის კონტროლის მონიტორინგის ანგარიშს და დასკვნას.

საერთაშორისო კარგი პრაქტიკა მიუთითებს, რომ ბევრი ისეთი დამატებითი ფუნქცია - როგორებიცაა აუდიტის რეგისტრაცია, აუდიტის კვალიფიკაციის მინიჭება, საჩივრების განხილვა და დისციპლინური ზომების მიღება - პროფესიული ორგანიზაციის მიერ შესრულდეს. თუმცა, ის უნდა ექვემდებარებოდეს პროფესიისგან დამოუკიდებელი ორგანოს ზედამხედველობას. შედარებით დიდი შესაძლებლობების მქონე ქვეყნებში, ამ ფუნქციათაგან ზოგიერთი თავად საზედამხედველო ორგანოს მიერ სრულდება, განსაკუთრებით სდპ აუდიტთან მიმართებით. შესაბამისად, ჩვენი მოსაზრებით კარგი იქნება, თუ მომავალში ზემო აღნიშნული ფუნქციების გადავა რომელიმე პროფესიული ორგანიზაციის უფლება-მოვალეობაში.

აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით ინსტიტუციური მართვის სტრუქტურის კარგი პრაქტიკის მაგალითები, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ უნდა გაითვალისწინოს, შემდეგია:

- სინგაპური: სინგაპურში მოქმედებს აუდიტის მარეგულირებელი ორგანო - ACRA და პროფესიული ორგანიზაცია აუდიტორებისთვის - სინგაპურის ნაფიც ბუღალტერთა ინსტიტუტი (Institute of Singapore Chartered Accountants (ISCA)). ინსტიტუციური მართვის სტრუქტურა IFIAR-ის წევრთა პროფილზეა აღწერილი: https://www.ifiar.org/?wpdmdl=10803;
- ავსტრალია: ავსტრალიის აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაზე ზედამხედველობას ახორციელებს ASIC, ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი ორგანო. მისი ინსტიტუციური მართვის სტრუქტურა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://www.ifiar.org/?wpdmdl=11371 ავსტრალიაში აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფა აგრეთვე ზოგიერთი პროფესიული ორგანიზაციის მიერ ხორციელდება (არა-სდპ აუდიტისთვის).
- გაერთიანებული სამეფო: გაერთიანებული სამეფოს ფინანსური ანგარიშგების საბჭო (The UK's Financial Reporting Council (FRC)) ზედამხედველობას უწევს აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას გაერთიანებულ სამეფოში და ხარისხის უზრუნველყოფას ახორციელებს სდპ აუდიტისთვის. FRC-ის ინსტიტუციური მართვის სტრუქტურა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://www.ifiar.org/members/member-directory/ გაერთიანებულ სამეფოში მოქმედი ზოგიერთი პროფესიული ორგანიზაცია ჩართულია რეგულირებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში და ახორციელებს არა-სდპ აუდიტის

ხარისხის უზრუნველყოფას.

- აშშ: ამერიკის შეერთებულ შტატებში (აშშ) საფონდო ბირჟაზე კოტირებული კომპანიების აუდიტორებთან მიმართებით ხარისხის უზრუნველყოფას ახორციელებს საჯარო კომპანიების ბუღალტრული ზედამხედველობის საბჭო (Public Company Accounting Oversight Board (PCAOB)). მისი მართვის სტრუქტურა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://www.ifiar.org/?wpdmdl=10817 ყველა სხვა აუდიტზე პასუხისმგებელია პროფესიული ორგანიზაცია - ამერიკის საჯარო კომპანიების სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ინსტიტუტი (American Institute of Certified Public Accountants).

დასკვნა

საერთაშორისო პრაქტიკამ დადასტურა, რომ აუდიტის ხარისხის კონტროლი მხოლოდ ეფექტიანი მონიტორინგის პირობებშია შესაძლებელი. შესაბამისად, აუდიტის ხარისხის კონტროლი მარეგულირებელი ორგანოების მონიტორინგის სფეროსა და ხორციელდება ერთმანეთთან უშუალოდ დაკავშირებულ სამ საკვანძო - სახელმწიფო, აუდიტორთა თვითმარეგულირებელ პროფესიული გაერთიანებებისა და შიდა საფირმო დონეზე. საქართველოში მიღებულმა ახალმა კანონმა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (2016) გაზარდა მოთხოვნა აუდიტორული საქმიანობის ხარისხზე, რაც თავის მხრივ წინგადადგმული ნაბიჯია სავალდებულო აუდიტის ფუნქციის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის მხარდასაჭერად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ”;
2. https://saras.gov.ge;
3. https://reportal.ge/;
4. ლიპარტია ზ. „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური აუდიტის ადმინისტრირება საქართველოში, თბილისი - 2017 წელი, მონოგრაფია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
5. https://www.ifiar.org/?wpdmdl=10803;
6. https://www.ifiar.org/?wpdmdl=11371;
7. https://www.ifiar.org/members/member-directory/;
8. https://www.ifiar.org/?wpdmdl=10817;

Main directions of audit quality improvement in Georgia

Mariam Pitskhelauri, PhD student
Georgian Technical University

Summary

By providing audit quality assurance, we obtain much higher quality and reliable financial information. Auditors provide assurance about the quality of financial information. Their professional judgment and decisions play a key role in building trust in the community and investors. Regulating the activities of all size-auditing firms, by ensuring the quality of the audit, improves the quality of the audit, which in turn brings many benefits in the form of improving the quality of financial reporting at the national level. Examples of this are:

- High potential for revenue growth in the public sector
- Increased international trust and investment
- A strong foundation for sustainable economic growth

The public receives main benefits through audit quality assurance, because improved governance and accountability strengthen the economy.

მართვის ეფექტიანობა და ტრანსფორმაცია Covid-19 პანდემიის დროს

ვალერიან ჩანჩიბაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

21-ე საუკუნე გამოწვევების პერიოდია და მართვის ტრანსფორმაციაც აჩქარებულად მიმდინარეობს. Covid-19 პანდემიამ და თანმხლებმა კრიზისმა შეცვალა ჩვენი სამუშაო გარემო და გარდაქმა ყოველდღიურობა. დაუგეგმავად მოსულმა ცვლილებებმა ორგანიზაციები დააყენა იმ გამოწვევების წინაშე, სადაც სწრაფი გადაწყვეტილების მიღება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სპეციალისტები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ბიზნეს-პროცესების აღწერას, ოპტიმიზაციას და გამოწვევებთან მიმართებაში და ადეკვატურ რეაგირებას. სხვადასხვა კვლევა გვაჩვენებს, რომ ორგანიზაციები, რომლებიც აღჭურვილები იყვნენ და იყენებდნენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, გააჩნიათ ეფექტიანი მართვის გაცილებით მზარდი და დიდი რესურსი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, პოსტპანდემიურ პერიოდში მართვის ტრანსფორმაციის პროცესი გაცილებით დაჩქარებულად მიმდინარეობს და მსგავს ორგანიზაციები უფრო მარტივად ადაპტირდნენ ახალ სამუშაო გარემოსთან. დღევანდელი მმართველობის მთავარი გამოწვევა არის თუ რამდენად სწრაფად ტრანსფორმირდება მართვის პროცესი, რამდენად ადაპტირდება მოთხოვნების შესაბამისად და როგორ ინარჩუნებს მდგრადობას. მნიშვნელოვანია თანამედროვე საჯარო მმართველობის მეთოდოლოგიამ გადაიაზროს მიდგომები, შეეცადოს ტექნოლოგიების დანერგვით თუ ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაციით მარტივად ადაპტირებადი გახდეს და რაც მთავარია იზრუნოს სამომავლო განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: Covid-19; ბიზნეს-პროცესები; paperless office; ლინ მენეჯმენტი; Gig Economy;

შესავალი

თანამედროვე განვითარებული სამყარო ელექტრონული მმართველობის გარეშე წარმოუდგენელია. დემოკრატიის ახალი და უფრო პროგრესირებული საფეხური არის ციფრული დემოკრატია. ის ეფუძნება ინფორმაციისა და კომუნიკაციის ინტერაქტივს, ამარტივებს უკუჩვენებას, რაც თავისთავად მოქნილს ხდის სტრუქტურას. ისეთ ქვეყანაში, რომელშიც ხშირად აუცილებელი ხდება „ქამრების შემოჭერა“, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტი ვერ უმკლავდება ბიუროკრატიისგან წარმოქმნილ ხარჯებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა ერთადერთ გამოსავლად ისახება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოსტ-პანდემიური პერიოდი, როდესაც ეფექტიანი ხარჯვითი ნაწილი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ტექნოლოგიური ინოვაციების გამოყენება სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის ერთ-ერტ ინსტრუმენტს წარმოადგენს. ტექნოლოგიური პროგრესი გულისხმობს დიდი რაოდენობით ავტომატიზირებული მომსახურებების შეთავაზებას.

ის აგრეთვე ხელს უწყობს მთავრობა გახდეს უფრო მეტად გამჭვირვალე, მოქნილი და ანგარიშგებადი.

საქართველოში და განსაკუთრებით საჯარო სექტორში ხშირად შევხვდებით თანამშრომლებს, რომლებიც ათწლეულები ერთსა და იმავე პოზიციაზე მუშაობენ. მათ უწოდებენ ორგანიზაციის ცოცხალ „მემატიანეებსაც“, რაც გულისხმობს ორგანიზაციის სტრუქტურის, დებულების, სხვადასხვა პროცესის ათუაქტივობის ზედმიწევნით ცოდნას. ხელმძღვანელებს გარემოსთან ადაპტაციაში მსგავსი ტიპის ადამიანები ეხმარებიან და არა წინასწარ გაწერილი გეგმები თუ აღწერილი პროცესები. ეს პროცესი კი გამოწვევა რჩება პოსტ-პანდემურ პერიოდში, რადგან დისტანციურ სამუშაო გარემო უფრო მეტად ადაპტირებადია სწორ ბიზნეს-პროცესებთან, ვიდრე მსგავს „მემატიანეებთან“.

მართვის თანამედროვე ტრენდის მიხედვით უფრო ეფექტიანია მართვა, სადაც პროცესია პრიორიტეტი და არა ადამიანური რესურსი. მსგავსი მიდგომა ამარტივებს ნებისმიერი ტრანსფორმაციის პროცესს.

ძირითადი ნაწილი

COVID-19 პანდემიამ ათასობით ორგანიზაცია აიძულა არსებობის ისტორიაში პირველად, უმოკლეს პერიოდში მუშაობის ციფრულ მოდელზე გადასულიყო.

დელოიტის 2019 წლის კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 84% განიხილავდა შესაძლებლობას/სურვილს ჩართულიყო არაფორმალურ შრომით საქმიანობაში ე.წ. Gig Economy, რაც გულისხმობს გარემოს, სადაც თავს კომფორტულად გრძნობ, აგრეთვე სამუშაო საათების ოდენობას, რაც საკმარისია კონკრეტული დავალების შესარულებლად და გამარტივებულ შრომით ქცევებს. აღნიშნული ჩამონათვალი ზუსტად იმეორებს იმ მოთხოვნებს, რაც უკვე გამოწვევად ტრანსფორმირდა Covid-19 პანდემიის პერიოდში. აღნიშნული კვლევა ეხებოდა მილენიალების თაობას, რომლებიც ან უკვე არიან ან რამდენიმე წელიწადში გახდებიან ორგანიზაციების მმართველები, რაც გვაფიქრებინებს, რომ მათთვის ტრანსფორმაციის პრობლემა გაცილებით მარტივად მოგვარდება. ცნობისთვის, 2016 წელს გამოკითხულთა 75% აფიქსირებდა სურვილს ჩართულიყო არაფორმალურ შრომით საქმიანობაში.

ორგანიზაციები ყოველდღიურად აწყდებიან გამოწვევებს თუ როგორ აწარმოონ უფრო მეტი, გაზარდონ მომსახურების მასშტაბი და ამავდროულად შეამცირონ ხარჯები, ამიტომ კრიტიკულად მნიშვნელოვანი ხდება პროცესების გაუმჯობესება, რომელიც მიგვიყვანს ხარჯების შემცირებამდე და ამავდროულად კლიენტისთვის მეტი ღირებულების შექმნას შევძლებთ. **პროცესების ოპტიმიზაციის** მთავარი მიზანია მოვახდინოთ დანაკარგების შემცირება. გავაანალიზოთ პროცესის თითოეული ნაბიჯი, აღმოვაჩინოთ და მინიმუმადე დავიყვანოთ ყველა დანაკარგი, რომელიც ანელებს, ზედმეტი დანახარჯია და არაეფექტურს ხდის პროცესს. აღნიშნული პროცესის უმტკივნეულოდ წარმართვისთვის აუცილებელია:

პროცესების აღწერილობა, დოკუმენტირება; პროცესების ანალიზი VSM-ის (value stream mapping) მეთოდოლოგიით; პროცესის მომზადდება ავტომატიზაციისთვის; პროცესების ეფექტურობის გაუმჯობესება.

გამოიკვეთა რამდენიმე ტექნოლოგია, რომელიც ტრანსფორმაციის პროცესს უფრო მეტად ამარტივებს. მენეჯერებისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია ვიზუალური წარმოდგენა ჰქონდეთ არსებული სიტუაციის შესაფასებლად. უახლოეს პერიოდში აქტიურად იყენებენ პროცესების ანალიტიკას, იგივე Process Mining-ი, რომელიც წარმოადგენს მონაცემებით მართული ბიზნეს პროცესების ვიზუალიზაციისა და მართვის ინსტრუმენტს. აღნიშნული ტექნოლოგია საშუალებას იძლება მენეჯერებმა გაანალიზონ გამოკვეთილი ტენდენციები და მათი გამომწვევი მიზეზები.

ლინ მენეჯმენტი მართვის უნივერსალურ ინსტრუმენტად ჩამოყალიბდა როგორც წარმოებაში, ისე მომსახურების სფეროში. ეს მიდგომა უზრუნველყოფს სამუშაო პროცესების ოპტიმიზაციას და მიმართულია მუდმივ განვითარებაზე. **ლინ მენეჯმენტის** დანერგვით მიიღება შემდეგი სახის შედეგი: მაღალი ეფექტურობა, პროდუქტიულობის ზრდა, გაყიდვების ზრდა, დანახარჯების შემცირება, კლიენტის კმაყოფილების ზრდა, სწრაფი განვითარება.

როგორც უკვე აღინიშნა, მართვის ეფექტიანობა წარმოუდგენელია ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე. მსგავსი მიდგომით აგრეთვე ხდება გარემოზე ნაკლები ზიანის მიყენება, რადგან ამცირებენ საკანცელარიო ხარჯებს. ხდება ორი კურდღლის დაჭერა, ერთის მხრივ სწორდება პროცესი და ხდება უფრო მეტად ავტომატიზირებული და მეორეს მხრივ იზოგება მატერიალური რესურსი. 1980-იანი წლებიდან შეშფოთება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ბიზნესის წარმოებას ხელს უშლიდა საკანცელარიო სამუშაოების დახანარჯები, თუმცა პრობლემის მოგვარება ვერ ხერხდებოდა. სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა ტექნოლოგიური პროგრესი და განვითარებული ქვეყნების ნაწილმა **paperless office**-ს შექმნაზე ზრუნვა დაიწყო, რაც ყველა არაელექტრონული დოკუმენტის ელექტრონულად გარდაქმნას გულისხმობდა. Paperless office-ზე გადასვლას აქვს რამდენიმე პოზიტიური ეფექტი: 1) **„გარემოზე მზრუნველი“**- ორგანიზაციაში ქაღალდზე უარის თქმის შემთხვევაში ხდება როგორც რესურსებისა და თანხის დაზოგვა, ასევე კარგი კონტრიბუციის შეტანა გარემოს დაცვის პროცესში; 2) **ეფექტიანობა** - ავტომატური საქმისწარმოება უგზავნის სამუშაოს თანამშრომლებს და ეფექტიანობა მიიღწევა დავალებების გადანაწილებით, მაგალითად სამუშაო დატვირთვის მიხედვით. ელექტრონული შაბლონები კიდევ უფრო ამცირებს განმეორებით ადმინისტრაციულ საქმეებს და ზრდის პროდუქტიულობას, რადგანაც დასაქმებულს უფრო მეტად ინტელექტუალურ დავალებაზე კონცენტრირების საშუალებას აძლევს. გაზრდილ პროდუქტიულობასა და ეფექტიანობას საბოლოოდ მოგებამდე და ხარჯების დაზოგვამდე მივყავართ, იძლევა რა უფრო მეტ სამუშაოსთან გამკლავების საშუალებას. 3) **სტანდარტიზაცია** - ელექტრონული ფორმების, დრაფტების, შაბლონების რედაქტირებისა და გამოყენების საშაუალება. 4) **ინფორმაციის სწრაფი**

მიწოდება და ა.შ.

ორმაგი ძალისხმევა, სიჩქარის ნაკლებობა, მატერიალური რესურსის გამოყენება, შეცდომების რისკი და ა.შ. არის იმ ჩამონათვალის მცირე ნაწილი, რაც არაეფექტურ მენეჯმენტს ახასიათებს. ბიზნეს-პროცესების აღწერა, ანალიზი და შემდგომი ოპტიმიზაცია ორგანიზაციას საშუალებას აძლევს მოახდინონ მეტი ავტომატიზაცია და რუტინულ სამუშაოზე გაცილებით ნაკლები დრო დახარჯონ.

გამართული ბიზნეს-პროცესები უზრუნველყოფს პროცედურების სტანდარტიზაციას იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია ორგანიზაციისთვის, საჭიროა 4 ეტაპის გავლა:

- **არსებული ბიზნეს-პროცესების შესწავლა და ანალიზი** - აღნიშნული ეტაპი გულისხმობს გარკვეულ აუდიტორულ საქმიანობას. არსებული სიტუაციას დიაგნოსტიკას, აღწერას. მნიშვნელოვანია მოკვლევა იმისა, არის თუ არა დადოკუმენტირებული პროცესები. საქართველოში ორგანიზაციების უმრავლესობა მსგავს პრაქტიკას თითქმის არ ცნობს. მიუხედავად იმისა, რომ კოლაბორაცია მაინც არსებობს, ის უფრო ავტომატურ, პრაქტიკით მიღებულ პროცესს წარმოადგენს და არა წინასწარ გაწერილს.
- **სწორი რეკომენდაციების შემუშავება ეფექტური ცვლილებების განსახორციელებლად** - აუდიტის და ანალიზის შედეგად ჩნდება მეორე ეტაპი, რომლის დროსაც ხდება პრობლემის იდენტიფიცირება, მოკვლევა და რეკომენდაციის გაცემა მის მოსაგვარებლად. აგრეთვე ხდება პრობლემის მოგვარების გეგმის შემუშავება.
- **ბიზნეს-პროცესების მოდელირება** - პროცესების ალტერნატიული განვითარების შესაძლო ვარიანტების მიმოხილვა. აღნიშნული მოდელირება ამცირებს სამომავლო რისკებს და ორგანიზაციას ეხმარება გარემოსთან მარტივ ადაპტაციაში.
- **ცვლილებების მართვა** (ტრანსფორმაცია, ავტომატიზაცია, ციფრული ტექნოლოგიები) - განსაკუთრებით აღსანიშნავია პოსტ-კოვიდ 19 პანდემიური პერიოდი, როდესაც ორგანიზაციების უმრავლესობას მოუწია იმ კომპრომისზე წასვლა, რომელსაც ორგანიზაციული ტრანსფორმაცია ეწოდება. სხვადასხვა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით აღნიშნული ეტაპი ნაკლებად მტკივნეულად მიმდინარეობს.

მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ ისეთი საკითხები, რაც მხოლოდ გამოწვევად კი არ დარჩა, არამედ **პრობლემად** გარდაიქმნა პოსტ-პანდემიის პირობებში. წარმოების შემცირება, გაზრდილი დატვირთვა ქსელის ინფრას-ტრუქტურაზე, კიბერდანაშაულთა აქტივობის ზრდა იმ პრობლემების ჩამონათვალია, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მართვის ეფექტურ ტრანსფორმაციას და დიდ ზიანს აყენებს ამა თუ იმ ორგანიზაციის უწყვეტ მუშაობას.

შესაძლოა მივიღოთ **ნეგატიური** ეფექტიც. ეკონომისტის ენდრიუ მაკკაფის აზრით, მსგავსმა ტრანსფორმაციამ უდიდესი ეკონომიკური უთანასწორობა

შეიძლება წარმოშვას. ავტომატიზირებულმა სისტემებმა შესაძლოა ცოცხალი ძალა ჩაანაცვლოს. სამუშაო ძალას და კაპიტალურ მონსტრებს შორის შეიძლება ისეთი უფსკრული გაჩნდეს, რაც ახალ გლობალურ გამოწვევად მოგვევლინოს. აგრეთვე **საფრთხედ** შეგვიძლია მივიჩნიოთ უსაფრთხოების მიმართულებაც. ტექნიკურ პროგრესს სათანადოდ ფეხს ვერ უწყობს უსაფრთხოება. გახშირდა კიბერ-დანაშაული, სხვისი მონაცემების უნებართვოდ დამუშავება და ა.შ.

დასკვნა

21-ე საუკუნე არის პერიოდი, როდესაც გადაწყვეტილების მიღების ოპერატიულობას ყველაზე დიდი ფასი აქვს. რამდენიმე თვის წინ ვერ წარმოვიდგენდით, თუ როგორი რეალობის წინაშე აღმოვჩნდებოდით. ერთმანეთთან დისტანციური ურთიერთობა, სრულიად შეცვლილი სამუშაო გარემო, უმუშევრობის ზრდა, ეკონომიკური კრიზის და თანმდევი პრობლემები. არსებობენ ორგანიზაციები, რომლებმაც ნაკლები დანარკარგით, უწყვეტად განაგრძეს ფუნქციონირება და არ დააღვიეს მოთხოვნა/მიწოდების ჯაჭვი. ვინ შეძლო მარტივად ადაპტირება? პასუხი მარტივია - ძლიერმა. ვისაც ყველა შესაძლო **რისკი** გათვლილი ჰქონდა, **კომუნიკაცია** გამარტივებული და თანამედროვე გამოწვევებზე მორგებული, ორგანიზაციული სტრუქტურა **ნაკლებად იერარქიული,** ტექნიკური საშუალებებით საკმარისად აღჭურვილი და ა.შ.

გამოტენებული ლიტერატურა:

1. Hattingh, M. (2001). The features and impact of the paperless office, with specific reference to the City of Johannesburg. SA Journal of Information Management, 3(3/4).
2. The Deloitte Global Millenial Survey 2020 – Millenials and Gen Zs hold the key to creating a “better normal - https://www2.deloitte.com/global/en/pages/about-deloitte/articles/millennialsurvey.html
3. The 2016 Deloitte Millenial Survey – Winning over the next generation of leaders - https://www2.deloitte.com/content/dam/Deloitte/global/Documents/About-Deloitte/gx-millenial-survey-2016-exec-summary.pdf
4. Hasty rush to cloud hosting during Covid-19 crisis could set stage for “Cyber pandemic” - https://www.healthcareitnews.com/news/hasty-rush-cloud-hosting-during-covid-19-crisis-could-set-stage-cyberpandemic
5. Telmo Subira Rodriguez, LEAN production: the method that made Toyota the most valuable car brand in the World -https://medium.com/drill/lean-production-the-method-that-made-toyota-the-most-valuable-car-brand-in-the-world-13279db0b224
6. What is Value Stream Mapping, Benefits, Process and Value -https://www.plutora.com/blog/value-stream-mapping

Management efficiency and transformation during the Covid-19 pandemic

Valerian Chanchibadze, PhD student
Georgian Technical University

Summary

XXI century is a period of challenges and organizational changes. Pandemic of Covid-19 and crisis transform our working environment and everyday life. Organizations had to make fast decisions because of unplanned changes. Specialists pay attention to the Business-process description, optimization and adequate responses. Various studies show that organizations that were equipped and used modern technologies have a huge potential for future effective management. It is also noteworthy that in the post-pandemic period, the process of the management transformation is much faster and such kind of organizations are easily adapted to the new working environment. The main Modern management challenge is how quickly transformed business-process, how it adapts to the requirements and how it maintains sustainability. It is important for modern public administrational methodology to reconsider approaches, try to make them easily adaptable, use modern technologies or optimize business-process and most importantly, take care of the future development.

Keywords: Covid-19; Business-process; Paperless Office; Lean Management; Gig Economy;

შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმა ლატვიის VS საქართველოს მაგალითზე

ნინო ჭოველიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა, რათა მოხდეს საქართველოს სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების სრულყოფილად შესწავლა, ანალიზი და შეფასება. საინტერესოა თუ როგორ მიმდინარეობდა რეფორმის დანერგვა სხვა ქვეყნებში. აღნიშნული რეფორმის დანერგვას მიმოვიხილავთ ლატვიის მაგალითზე. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის დანერგვა უკავშირდება ლატვიის ევროკავშირში ინტეგრაციას, რაც ასევე აქტუალურია საქართველოსთვისაც.

საკვანძო სიტყვები: შიდა აუდიტი, შიდა ფინანსური კონტროლი, COSO მოდელი, რეფორმა.

შესავალი

ლატვიაში სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის დანერგვა მჭიდროდ უკავშირდება ქვეყნის ევროვაშირში ინტეგრაციას. იმისთვის, რომ ქვეყანა გამხდარიყო ევროკავშირის წევრი, ლატვიის ხელისუფლება ვალდებული იყო ყველა სამინისტროში და მათზე დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში ჩამოეყალიბებინათ შიდა აუდიტის სისტემა. 1998 წელს ევროკავშირის ანგარიშში საუბარი იყო ლატვიის პროგრესზე, სადაც ხაზგასმით იყო საუბარი, რომ ქვეყანას სჭირდებოდა გაეძლიერებინა შიდა აუდიტისა და შიდა კონტროლის სისტემა.

ლატვიაში შიდა აუდიტის რეფორმის დანერგვა აქტიურად დაიწყო 1999 წელს, როდესაც მთავრობამ მიიღო მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებდა შიდა აუდიტის საქმიანობას. აღნიშნული დოკუმენტი შიდა კონტროლის სისტემის განმარტებას, რომლის თანახმადაც ეს იყო სამოქმედო გეგმა, რომელშიც თავმოყრილი იყო სხვადასხვა მეთოდები და პროცედურები, რომლებიც საჭირო იყო ორგანიზაციის ეფექტური მმართველობის უზრუნველსაყოფად.

თავდაპირველად ლატვიის კანონმდებლობა არ შეესაბამებოდა საერთაშორისო მოთხოვნებს. სწორედ ამიტომ საჭირო გახდა საკანონმდებლო დონეზე ძირეული ცვლილებების განხორციელება. აღნიშნული განხორციელდა 2003 წლის 23 აგვისტოს, როდესაც ლატვიის მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა ახალი კანონი შიდა კონტროლის სისტემის შესახებ, რომელიც განსაზღვრავდა შიდა კონტროლის სისტემის დანერგვის ძირითად ასპექტებს. მიუხედავად ამისა, დროთა განმავლობაში კვლავ გაჩნდა საჭიროება არსებული სამართლებრივი ჩარჩოების გაუმჯობესების.

2012 წლის 8 მაისს მინისტრთა კაბინეტმა მიიღო ახალი კანონი შიდა

კონტროლის სისტემის შესახებ. ახალი კანონი მოიცავდა COSO-ს (Committee of the Sponsoring Organizations of the Treadway Commission) მოდელს.

საქართველო & ლატვია. როგორც ვხედავთ, საქართველოს მსგავსად, ლატვიაშიც შიდა აუდიტორული საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა თავდაპირველად არ შეესაბამებოდა ევროკავშირის მოთხოვნებს, შემდეგ პერიოდებში კი დოკუმენტი დაიხვეწა. როგორც ზემოთ ავღნიშნე, 2012 წელს მინისტრთა კაბინეტმა შეიმუშავა და დაამტკიცა ახალი კანონი, რომელიც სრულად ეფუძნებოდა COSO მოდელს და შესაბამისობაში იყო საერთაშორისო სტანდარტებთან.

ისევე როგორც საქართველოში, ლატვიაშიც ფინანსთა სამინისტრო არის შიდა ფინანსური კონტროლის დანერგვაზე პასუხისმგებელი ორგანო. ლატვიაშიც, ისევე როგორც საქართველოში, შიდა აუდიტის სუბიექტების შექმნისა და ფუნქციონირების საკითხები, შიდა აუდიტის თანამშრომელთა ფუნქციებს, უფლებამოსილებებს და ვალდებულებებს არეგულირებს შიდა აუდიტის შესახებ კანონი. აღნიშნულ კანონში განმარტებულია შიდა აუდიტის საქმიანობის პრინციპები: დამოუკიდებლობა და ობიექტურობა, შიდა აუდიტის ეთიკის პრინციპები[1].

სხვა ევროკავშირი წევრი ქვეყნების მსგავსად, ლატვიაშიც განხორციელდა შიდა აუდიტის სისტემის ინსტიტუციონალიზაცია. კერძოდ კი, მოხდა თითოეულ მმართველობით ორგანოებში შიდა აუდიტის საბჭოს და დამოუკიდებელი შიდა აუდიტის ერთეულების შექმნა. შიდა აუდიტის საბჭო შიდა აუდიტის სისტემაში არის საკონსულტაციო ორგანო, რომელიც ხელს უწყობს შიდა აუდიტს საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებაში.

საქართველოსგან განსხვავებით ლატვიაში შიდა აუდიტის ერთეულები უფრო სწრაფად შეიქმნა, 2008 წლისთვის უკვე 15 სამინისტროსა და საჯარო დაწესებულებებში ჯამში 83 შიდა აუდიტის ერთეული არსებობდა, ხოლო შიდა აუდიტორთა რიცხვმა 300-ს მიაღწია. თუმცა, 2012 წელს ეკონომიკური კრიზის გამო, აუდიტის სუბიექტების რიცხვი 29 მდე შემცირდა[2]. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მხოლოდ 2016 წლისთვის ჩამოყალიბდა შიდა აუდიტის ერთეულები ყველა სამინისტროში, ხოლო სსიპ-ებში დღემდე მიმდინარეობს სუბიექტების შექმნა.

ლატვიაში შიდა აუდიტის საქმიანობას არეგულირებს დებულებები, რომლებიც დამტკიცებულია დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ. დებულებითაა განსაზღვრული შიდა აუდიტის სუბიექტის ფუნქციები, მიზნები, სტატუსი, ამოცანები, კონსულტაციის არსი, სტრუქტურა, უფლებები და მოვალეობები[3].

შიდა აუდიტის სუბიექტი ანგარიშვალდებულია ორგანიზაციის ხელმძღვანელის წინაშე. ორგანიზაციის ხელმძღვანელი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომელსაც აუდიტის სუბიექტი თავის ანგარიშს წარუდგენს. საქართველოში კი შიდა აუდიტის სუბიექტი ყოველი შიდა აუდიტორული

[1] Compendium of the public internal control systems in the EU Member States 2012, pg. 154

[2] PERFORMANCE OF THE PUBLIC SECTOR`S INTERNAL AUDIT IN THE BALTIC STATES, Inta Bruna, pg. 201-202

[3] Compendium of the public internal control systems in the EU Member States 2012, pg. 156

შემოწმების დასრულების შემდგომ, წარუდგენს ანგარიშის პროექტს აუდიტის ობიექტს, ობიექტი განსაზღვრავს რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს ან ერთეულს. ამის შემდგომ, შიდა აუდიტის სუბიექტის ხელმძღვანელი საბოლოო ანგარიშს წარუდგენს ორგანიზაციის მენეჯმენტს.

წლიური და სტრატეგიული გეგმების შედგენის სპეციფიკა საქართველოსა და ლატვიას შორის იდენტურია, რადგან ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებს. გარდა ამისა, იდენტურია წლის საბოლოო ანგარიშის წარდგენის საკითხი, სუბიექტის ხელძღვანელი ვალდებულია შეადგინოს შიდა აუდიტის წლიური ანგარიში და წარუდგინოს ანგარიში ხელძღვანელობას რომელიც უნდა შეიცავდეს შიდა აუდიტის გეგმას, წლის განმავლობაში განხორციელებული შემოწმებების შესახებ ინფორმაციას, შიდა კონტროლის სისტემის თაობაზე მოსაზრებას და სხვა საკითხებს.

ლატვიაშიც, ისევე როგორც საქართველოში, შიდა აუდიტორული შემოწმების მიზნებიდან გამომდინარე არსებობს აუდიტორული შემოწმების იგივე სახეები: შესაბამისობის, ფინანსური, ეფექტიანობის, ინფორმაციული ტექნოლოგიების და სისტემური აუდიტები[1].

ლატვიაში შიდა აუდიტის სუბიექტის ხელძღვანელი პასუხისმგებელია ორგანიზაციის მენეჯმენტის წინაშე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებაზე. საქართველოში აღნიშნული საკითხი არ არის განსაზღვრული, როგორც შიდა აუდიტის სუბიექტის ვალდებულება, თუმცა პრაქტიკაში შიდა აუდიტის სუბიექტი წლის ბოლოს შემუშავებულ ანგარიშგებაში ასახავს აღნიშნულ ინფორმაციას, რომელსაც შემდგომ წარუდგენს დაწესებულების ხელმძღვანელს.

ლატვიასა და საქართველოს შორის არსებობს განსხვავება. კერძოდ, ლატვიაში შიდა აუდიტის სუბიექტი, ვალდებულია გარე აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელებაზე. შიდა აუდიტის სუბიექტი წარუდგენს გარე აუდიტს შიდა აუდიტის წლიურ და სტრატეგიულ გეგმებს, ასევე წლიურ ანგარიშს. შიდა აუდიტორები ახორციელებენ სისტემურ აუდიტს გარე აუდიტის მიერ განხორციელებული შემოწმებების შედეგების საფუძველზე[2]. საქართველოში კი გარე აუდიტთან ურთიერთობის საკითხი დარეგულირებული არ არის.

საქართველოში ასევე არ არსებობს შიდა აუდიტის კომიტეტი. ლატვიაში კი შექმნილია აღნიშნული კომიტეტი. ეს არის საკონსულტაციო ორგანო, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს შიდა აუდიტის განვითარებას, ასევე საჯარო მმართველობაში აუდიტის მეთოდოლოგიისა და პოლიტიკის დანერგვას. კომიტეტის ფუნქციებს წარმოადგენს:

- შიდა აუდიტის ერთეულების წლიური ანგარიშების შეფასება და ინფორმაციის ანალიზი აუდიტორთა მუშაობის თაობაზე;
- შიდა აუდიტის საქმიანობის თაობაზე ფინანსთა სამინისტროში ანგარიშის წარდგენა;
- ფინანსთა სამინისტროსთვის მოსაზრებებისა და რეკომენდაციების

[1] Compendium of the public internal control systems in the EU Member States 2012, pg. 156

[2] Compendium of the public internal control systems in the EU Member States 2012, pg. 156

წარდგენა შიდა აუდიტის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით;

- აუდიტორთა დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის შეზღუდვის თაობაზე ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი. ასევე, წარადგინოს ფინანსთა სამინისტროში;
- კომიტეტს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განხორციელებულ სიდა აუდიტორთა საქმიანობის შეფასებაში.

აღსანიშნავია, რომ ლატვიის სახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოებში აუდიტის კომიტეტები იქმნება ნებაყოფლობით. ეს არ არის სავალდებულო მოთხოვნა. აუდიტის კომიტეტის წევრები ძირითადად არიან მინისტრები, სახელმწიფო მდივნები და მათი მოადგილეები[1].

საქართველოსგან განსხვავებით, ლატვიაში არსებობს შიდა აუდიტორთა სერტიფიცირების პროგრამა. „შიდა აუდიტის კანონის თანახმად", 2013 წლიდან საჯარო სექტორში შიდა აუდიტის სუბიექტს უნდა ხელმძღვანელობდეს მხოლოდ აუდიტორი, რომელსაც მიღებული აქვს საჯარო მმართველობის სფეროში საერთაშორისო შიდა აუდიტორის სერტიფიკატი[2].

ლატვიაში შიდა აუდიტის რეფორმის განხორციელებისას გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები, მაგალითად ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის ჩატარების დაბალი მონაცემები, კადრების კვალიფიკაციისა და გამოცდილების დაბალი დონე[3].

დასკვნა

საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლამ გამოკვეთა ის ძირითადი განმასხვავებელი ფაქტორები როგორიცაა: შიდა აუდიტის კომიტეტი, გარე აუდიტთან ურთიერთობის ფორმა და სხვა, რაც არ არსებობს ამ ეტაპზე საქართველოში და შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის ფარგლებში დასანერგია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Compendium of the public internal control systems in EU Member states, 2012 წელი
2. http://ec.europa.eu/budget/library/biblio/publications/2011/compendium_27_countries_en.pdf;
3. EUROSAI-ECIIA COOPERATION, Coordination and Cooperation between supreme audit institutions and internal auditors in the public sector, Implementation of INTOSAI GOV 9150 AND IIA 2050, 2014 წელი http://www.eciia.eu/wp- content/uploads/2014/05/EUROSAI_ECIIA_Joint_Paper_05052014.pdf
4. Public Internal Control Compendium, Latvia, 2013 წელი, http://ec.europa.eu/budget/pic/lib/book/LV/HTML/files/assets/basic html/page1.html ;
5. Welcome to the world of PIFC, Publib Intetnal Financial Control, 2006 წელი,

1 Compendium of the public internal control systems in the EU Member States 2012, pg. 155-156

2 national internal auditor's certificate in the public administration) (Coordination and Cooperation between ..., Implementation of INTOSAI GOV 9150 and IIA 2050, 2014 წელი

3 Internal Audit Council, 2013

6. http://ec.europa.eu/budget/library/biblio/documents/control/brochure_pifc_en.pdf;
7. Compendium of the public internal control systems in EU Member states, 2014 წელი
8. https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/f5d1aca3-f349-11e6-8a35-01aa75ed71a1;
9. Welcome to the world of PIFC, Public Internal Financial Control, 2006 წელი
10. http://ec.europa.eu/budget/library/biblio/documents/control/brochure_pifc_en.pdf;
11. Public Finance Management in the South Caucasus https://www.giz.de/en/worldwide/20314.html

Internal Financial Control Reform on the example of Latvia VS GEORGIA

Nino chovelidze, PhD student
Georgian Technical University

Summary

It is important to review international experience in order to thoroughly study, analyze and evaluate the development of the public internal financial control reform in Georgia. It is interesting how the reform was implemented in other countries. We will review the implementation of this reform on the example of Latvia. It should be noted that the introduction of the public internal financial control reform is related to Latvia's integration into the EU, which is also relevant for Georgia.

Keywords: Internal Audit, Internal Financial Control, COSO Model, Reform.

სამართალმცოდნეობა

LAW

საარჩევნო სისტემების ძირეული რეფორმირების აუცილებლობა და მისი განხორციელების გზები საქართველოში

ნიკოლოზ ფიფია, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში ხაზგასმულია ის მაღალი დემოკრატიული ხარისხი, რაც გააჩნია საკანონმდებლო ორგანოს რეგიონალური პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ღია სიის ბიულეტენის გამოყენებით არჩევნების ჩატარებას. ზემოაღნიშნული მოდელი ერთის მხრივ ზრდის გეოგრაფიულ წარმომადგენლობას საკანონმდებლო ორგანოში, მეორეს მხრივ კონკურენტულს ხდის საარჩევნო გარემოს და ხელს უწყობს პარტიების განვითარებას, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში პარტიის მიერ წარდგენილ კანდიდატებს შორის საუკეთესოს შეარჩევს ამომრჩეველი.

ღია პარტიული სიის სისტემა ხელს უწყობს პარტიების განვითარებასა და წარმატებას. ასეთ შემთხვევაში ხელმძღვანელობა დაინტერესებულია უფრო ღირსეული წევრებით დააკომპლექტოს პარტია, ხელი შეუწყოს ჯანსაღ კონკურენციას მათ შორის და აიმაღლოს ნდობა ამომრჩევლებში. პარტიის წარმატება ცალკეულ პიროვნებებზეა დამოკიდებული, ხოლო მათ შორის საუკეთესოს შეარჩევს ამომრჩეველი. ეს კიდევ უფრო მეტად გაზრდის ამომრჩეველთა ინტერესს არჩევების მიმართ.

საკვანძო სიტყვები: საარჩევნო სისტემა, რეფორმა, დემოკრატიული ხარისხი, პარტია, ფედერალიზმი.

შესავალი

საარჩევნო სისტემის სწორად შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ არ მივიღოთ დამარცხებულთა გამარჯვება, ზოგჯერ კი პირიქით გამარჯვებულთა დამარცხება. ეს თავის მხრივ ადასტურებს, საარჩევნო სისტემის სიღრმისეულ მნიშვნელობაზე. ამ მოსაზრებას ავითარებს ამერიკელი პროფესორი დუგალას ემი, რომელიც ამბობს: ამერიკა ერთ დროს იყო პოლიტიკური ინოვაციების ლიდერი. რესპუბლიკის ადრეულ ეტაპზე ჩვენ ვიყავით ცნობილი, როგორც "დემოკრატიის ლაბორატორია" ჩვენი სურვილის გამო გამოგვეცადა ისეთი პოლიტიკური ინსტიტუტები როგორიცაა ფედერალიზმი, ასევე კონტროლის და ბალანსის სისტემა. მაგრამ დღეს, რამდენადაც ჩვენ ვაგრძელებთ ჩაბ-

ღაუჭებას მოძველებულ, გამარჯვებულს მიაქვს ყველაფერი სისტემას, ჩვენ ვართ იმის საფრთხის ქვეშ, რომ გადავიქცეთ "დემოკრატიის მუზეუმად".[1]

ძირითადი ნაწილი

პროპორციული საარჩევნო სისტემა ავსებს მაჟორიტრული საარჩევნო სისტემის ნაკლოვანებებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლებელია მივიღოთ პროპორციული სისტემის კიდევ უფრო დახვეწილი სახე და შევამციროთ მისი უარყოფითი მხარეები მნიშვნელოვანი დეტალების დამატებით. პირველ რიგში ეს არის რეგიონალური პროპორციული საარჩევნო სისტემა, რომელიც ერთის მხრივ ზრდის გეოგრაფიულ წარმომადგენლობის შესაძლებლობას საკანონმდებლო ორგანოში და მეორეს მხრივ უზრუნველყოფს დეპუტატების მეტ ანგარიშვალდებულებას და კომუნიკაციას ამომრჩევლებთან (სწორედ ეს წარმოადგენს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის ერთ-ერთ ძირითად დადებით მახასიათებელს). საქართველოს შემთხვევაში საკანონმდებლო ორგანოს არჩევის დროს რეგიონალური პროპორციული სისტემის გამოყენებისას უმჯობესია შეიქმნას რამოდენიმე მსხვილი მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი, რომელიც დაემთხვევა ან გააერთიანებს საქართველოს რამოდენიმე ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეს საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა მეტ-ნაკლებად თანაბარი ოდენობის მისაღებად. საბოლოოდ სწორედ ოლქში ამომრჩეველთა ოდენობის პროპორციულად უნდა მოხდეს მანდატების გადანაწილება.

რეგიონალური პროპორციული საარჩევნო სისტემას თუ კიდევ ერთ მნიშვნელოვან დეტალს ღია სიის ფორმის ბიულეტენის გამოყენებას დავუმატებთ საგრძნობლად შესუსტდება პარტიული ვერტიკალი, რაც მეტწილად დამახსიათებელია დახურული პარტიული სიის სისტემის გამოყენებისას, როდესაც პარტიის ლიდერი და პარტიის ბიუროკრატია თავად, საკუთარი შეხედულებისამებრ წყვეტს დეპუტატის მანდატის დასაკავებელ პირთა ნომენკლატურას, ასარჩევ კანდიდატთა რიგითობას. ეს კი ხშირად შეიძლება გახდეს ფინანსური გარიგების საგანი. საბოლოო ჯამში კი პარტიის ლიდერის გავლენით და ნდობის საფუძველზე შეიძლება არჩეულ იქნეს ისეთი დეპუტატი, რომელსაც არც შესაბამისი კვალიფიკაცია გაჩნია და არც მხარდაჭერა ამომრჩეველთა მხრიდან. ვინაიდან ამომრჩევლები არ არიან უფლებამოსილი უპირატესობა მიანიჭონ მათ კანდიდატს, მათ უნდა მიიღონ პარტიული სია იმ სახით, რა ფორმითაც არის წარმოდგენილი პარტიის მიერ. ასე, რომ თუ პარტიამ მიიღო 10 ადგილი, მაშინ პარტიულ სიაში წარმოდგენილი პირველი ათი კანდიდატი იქნება არჩეული.

სწორედ ამის საპირისპიროდ ღია პარტიული სიის სისტემის გამოყენებისას ეს ფუნქცია გადაცემული აქვს ამომრჩეველს. ეს სისტემა ამომრჩეველს უფლებას აძლევს უპირატესობა მიანიჭოს ცალკეულ კანდიდატს, არა მხოლოდ პარტიას. ამომრჩევლებს არ შეუძლიათ ხმის მიცემა პირდაპირ პარტიისათვის, მაგრამ შეუძლიათ ხმა მისცენ ინდივიდუალურ კანდიდატს. ეს საარჩევნო ხმები ითვლება, როგორც გარკვეული კანდიდატისათვის, ისე პარტიისათვის.

[1] Douglas J Amy, Full Representation, The USA 1997, p. 8

ასე, რომ ყველაზე უფრო პოპულარული კანდიდატი ამოიწევს სიის სათავეში და აქვს უკეთესი შანსი იყოს არჩეული.

ღია პარტიული სიის სისტემა ცალსახად უფრო სამართლიან და კონკურენტულს ხდის საარჩევნო გარემოს, ხელს უწყობს პარტიების განვითარებასა და წარმატებას, ვინაიდან პარტია დაინტერესებული იქნება უფრო ღირსეული წევრებით დააკომპლექტოს გაერთიანება, ხელი შეუწყოს ჯანსაღ კონკურენციას მათ შორის და აიმაღლოს ნდობა ამომრჩევლებში. ამავე დროს, რადგან პარტიის წარმატება ცალკეულ პიროვნებებზე იქნება დამოკიდებული, ხოლო მათ შორის საუკეთესოს შეარჩევს ამომრჩეველი, ამან კიდევ უფრო მეტად უნდა გაზარდოს ამომრჩეველთა ინტერესი არჩევების მიმართ.

უმეტესი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც გამოიყენება პროპორციული წარმომადგენლობა უპირატესობა ენიჭება ღია სიებს, სადაც ამომრჩეველს შეუძლია შემოხაზოს არა მარტო მისი ფავორიტი პარტია, არამედ ფავორიტი კანდიდატი პარტიაში. უმეტეს შემთხვევაში პარტიისთვის თუ კანდიდატისთვის ხმის მიცემა ხდება სურვილისამებრ და რადგან ამომრჩეველთა უმრავლესობა საარჩევნო ბიულეტენზე შემოხაზავს პარტიას, ვიდრე კანდიდატს, კანდიდატის არჩევის (გამორჩევის **ნ. ფ.**) შესაძლებლობას აქვს შეზღუდული ეფექტი. თუმცა შვედეთში ამომრჩეველთა 25 პროცენტზე მეტი რეგულარულად ირჩევს კანდიდატსაც და პარტიასაც. ეს კი იძლევა შესაძლებლობას არჩეულ იქნეს ისეთი პირები, რომლებიც ვერ იქნებოდნენ არჩეული თუ გამოყენებული იქნებოდა დახურული სია [1]

ღია პარტიული სიის ბიულეტენი საპარლამენტო არჩევნებისთვის (მაგალითი)

ერთ-ერთი საარჩევნო ოლქი							
ხმის მიცემის ინსტრუქცია: 1. გაქვთ მხოლოთ ერთი ხმის მიცემის უფლება 2. აღნიშნეთ "X" იმ კანდიდატის გასწვრივ რომელსაც გინდათ რომ ხმა მისცეთ 3. თქვენი ხმა ითვლება როგრც პარტიისთვის ისე კანდიდატისთვის							
პარტია N1		**პარტია N2**		**პარტია N3**		**პარტია N4**	
	კანდიდატი N1		კანდიდატი N1		კანდიდატი N1		კანდიდატი N1
	კანდიდატი N2		კანდიდატი N2		კანდიდატი N2		კანდიდატი N2
X	კანდიდატი N3		კანდიდატი N3		კანდიდატი N3		კანდიდატი N3
	კანდიდატი N4		კანდიდატი N4		კანდიდატი N4		კანდიდატი N4
	კანდიდატი N5		კანდიდატი N5		კანდიდატი N5		კანდიდატი N5

ზემოაღნიშნული მაგალითის მიხედვით პარტია N1-ის კანდიდატმა N3-მა მიიღო ერთი ხმა. თუ მას ექნება ყველაზე მეტი ხმა პარტია N1-ის მიერ წარდგენილ კანდიდატებს შორის და ამასთან პარტია N1 გადალახავს ბარიერს ის იქნება პარტიიდან გასული კანდიდატი და ა. შ.

საქართველოში საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები უპრიანია ჩატარდეს მხოლოდ პროპორციული, უფრო კონკრეტულად რეგიონალური პროპორციული საარჩევნო სისტემით და ღია პარტიული სიის ბიულეტენის გამოყენებით.

[1] http://aceproject.org/ace-en/topics/es/esd/esd02/esd02e/esd02e03

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ გასანაწილებელი მანდატების რაოდენობა პირობითად იქნება სულ 100 და დავეყრდნობით 2020 წლის 3 დეკემბერით დათარიღებულ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმის მონაცემებს მოცემული დროისთვის საქართველოში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იყო 3511853.[1] აქედან გამომდინარე, ქვემოთ მოცემული ცხრილების შესაბამისად წარმოგვიდგენია საკანონმდებლო ორგანოს დაკომპლექტება.[2]

საარჩევნო ოლქები საპარლამენტო არჩევნებისათვის*

№	ოლქი	ამომრჩეველთა რაოდენობა (ათას.)
1	თბილისი	1 003 353
2	სამეგრელო-ზემო სვანეთი	341 234
3	გურია და აჭარა	107 948 + 314 889 = 422 837
4	იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი	534 145 + 35 358 = 569 503
5	შიდა ქართლი და სამცხე-ჯავახეთი	239 593 + 144 101= 383 694
6	ქვემო ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	400 095 + 87 986 = 488 081
7	კახეთი	303 151
სულ: 3 511 853		

ზემოაღნიშნული მონაცემების მიხედვით, ოლქებში ამომრჩეველთა რაოდენობა პროცენტულად შემდეგია: 35118.53

№	ოლქი	ამომრჩეველთა რაოდენობა (%)
1	თბილისი	28.570
2	სამეგრელო-ზემო სვანეთი	9.716
3	გურია და აჭარა	12.040
4	იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი	16.216
5	შიდა ქართლი და სამცხე-ჯავახეთი	10.925
6	ქვემო ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	13.898
7	კახეთი	8.632

[1] https://cesko.ge/res/docs/20201203185912%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A12020%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A131%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%98.pdf

[2] https://cesko.ge/res/docs/2020110718072020.00..pdf

*საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნის შემდეგ ეს ჩამონათვალი გაიზრდება და მანდატების რაოდენობაც თითოეული ოლქისთვის შეიცვლება. მანდატები ასევე უნდა შეიცვალოს ამა თუ იმ საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობის შეცვლისას, ცვლილების პროპორციულად.

თუ საკანონმდებლო ორგანოში დეპუტატთა მანდატების რაოდენობა იქნება 100, ადგილები ოლქების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდება.

№	ოლქი	მანდატების რაოდენობა
1	თბილისი	28
2	სამეგრელო-ზემო სვანეთი	10
3	გურია და აჭარა	12
4	იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი	16
5	შიდა ქართლი და სამცხე-ჯავახეთი	11
6	ქვემო ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	14
7	კახეთი	9

აღნიშნული სისტემის ერთ-ერთ მთავარ ნაკლად მიაჩნიათ ის, რომ ტექნიკურად რთულია დასათვლელად და შედეგების გამოქვეყნება სირთულიდან გამომდინარე შეიძლება დაგვიანდეს. ამავე დროს ბიულეტენის სირთულიდან გამომდინარე მოითხოვს განათლებულ ამომრჩეველს.[1] აღნიშნულ მოსაზრებას ვიზიარებთ, თუმცა მიგვაჩნია, რომ თანამედროვე ტექნიკური პროგრესის პირობებში სავსებით შესაძლებელია ელექტრონული ხმის მიცემის ტექნიკური საშუალებებლის დანერგვა, რაც არა მარტო გაამარტივებს ხმის დათვლის პროცედურას, არამედ დროის მცირე მონაკვეთში მოგვცემს კენჭისყრასთან დაკავშირებულ ზუსტ და ობიექტურ შედეგს. ეს მეთოდი საარჩევნო სუბიექტების ინტერესების დაცვის ქვაკუთხედი იქნება, რაც ხელს შეუწყობს მათ შემდგომ განვითარებას.[2]

პარტიებისათვის ადგილების განაწილების სხვადასხვა ფორმულა არსებობს. ერთ-ერთი ყველაზე მარტივი ფორმულას წარმოადგენს ჰეირის* ანუ ბუნებრივი (მარტივი) კვოტა და უდიდესი ნაშთის მეთოდი. ჰეირის კვოტის მეშვეობით გაუნაწილებელი ხმების ოდენობა გაცილებით ნაკლებია და შესაბამისად სხვა მეთოდთან შედარებით მიიღება უფრო პროპორციული შედეგი.

ამ შემთხვევაში პარტიის მიერ მიღებული მანდატის დასადგენად აუცილებელია კვოტის დადგენა. ამისათვის ოლქში კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ანუ ყველა პარტიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა (რა თქმა უნდა აქ არ ჩაითვლება ბათილად მიჩნეული ხმები) უნდა გავყოთ ოლქში გადასანაწილებელი მანდატების (ადგილების) რაოდენობაზე. მიღებული რიცხვი იქნება კვოტა, ანუ ერთი მანდატის მისაღებად აუცილებელი ხმების რაოდენობა. ამის შემდეგ კი გაუნაწილებელი მანდატები უნდა გადანაწილდეს უდიდესი ნაშთის მეთოდის გამოყენებით.

მაგალითად, თუ სულ 100 000 ხმა არის გადასანაწილებელი, ხოლო ადგილი 10, კვოტა იქნება 10 000, 100 000/10=10 000. შემდეგ თითოეული პარტიის მიერ მიღებული ხმები იყოფა კვოტაზე და პარტია მიიღებს ერთ ადგილს თითოეული სრული რიცხვისთვის. უფრო კონკრეტულად, თუ

[1] https://emcrights.files.wordpress.com/2013/10/book_geo_web1.pdf გვ.36

[2] ნიკოლოზ ფიფია, არჩევნები და პოლიტიკური სოციალიზაცია, თბ. 2013; გვ. 130

*თომას ჰეირი (Thomas Hare) 1806-1891წწ, ბრიტანელი იურისტი, პოლიტიკური რეფორმატორი, საარჩევნო რეფორმის მომხრე.

პარტიამ მიიღო 38 000 ხმა, 38000/10000 = 3.8; პარტია მიიღებს 3 მანდატს - 8 000 ნაშთით. ამ პირველი გადანაწილების შემდეგ პარტიების მიერ მიღებული ნაშთები ერთმანეთთან იქნება შედარებული და პარტიები უფრო დიდი ნაშთით მიიღებენ დარჩენილ ადგილებს.[1] მაგალითად:

პარტიები	ხმები	ხმების პირველი გადანაწილება	ხმების ნაშთი	ხმების მეორე გადანაწი-ლება	საბოლოო ადგილების რაოდენობა	ხმების და ადგილების %
პარტია N1	38 000	3	8 000	1	4	38% - 40%
პარტია N2	23 000	2	3 000	0	2	23% - 20%
პარტია N3	21 000	2	1 000	0	2	21% - 20%
პარტია N4	12 000	1	2 000	0	1	12% - 10%
პარტია N5	6 000	0	6 000	1	1	6% - 10%

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი საარჩევნო სისტემის გამოყენების შემთხვევაშიც სრულად ვერ იქნება უზრუნველყოფილი ამომრჩეველთა ნების გამოხატვა იდეალურად. შეიძლება ითქვას, რომ ვერცერთი საარჩევნო სისტემა აბსოლუტურად ობიექტურ სურათს ვერ მოგვცემს (ამომრჩეველთა აქტივობა, საარჩევნო ბარიერი). შესაბამისად, არც პროპორციული საარჩევნო სისტემა არ არის ბოლომდე იდეალური, თუმცა დღეს არსებულ საარჩევნო სისტემებს შორის იგი ყველაზე უკეთ გამოხატავს ამომრჩევლის პოლიტიკურ ინტერესებს და აქედან გამომდინარე ხელს უწყობს არჩევნების შედარებით სამართლიან და ობიექტურ ჩატარებას. კერძოდ, პარლამენტის პროპორციული საარჩევნო სისტემით დაკომპლექტების შემთხვევაში, თუ საარჩევნო სუბიექტს მხარს უჭერს ამომრჩევლის 30-40%, იგი მიიღებს მიღებული ხმების შესაბამის, პროპორციულ მანდატს. რაც შეეხება რეგიონალურ პროპორციულ წარმომადგენლობას ღია სიით ეს სისტემა უზრუნველყოფს არჩეულ დეპუტატს და ამომრჩეველს შორის უფრო მყარ კავშირს, ვინაიდან ასარჩევი კანდიდატის განსაზღვრა თავად შეეძლება ამომრჩეველს. ეს კი აღმოფხვრის მთავარ უარყოფით ფაქტორს რაც ახასიათებს პროპროციული საარჩევნო სისტემის დახურულ სიებს, კერძოდ ისეთი კანდიდტის არსებობა პარტიულ სიაში, რომელიც ამომრჩევლისთვის არის უცნობი, ნაკლებად სასურველი ან სულაც მიუღებელი.

ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საარჩევნო სისტემის სწორად შერჩევას და დანერგვას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის, ის არ უნდა იქცეს მკვდარ წერტილად. საკანონმდებლო ორგანო არის სივრცე, სადაც სასიცოცხლოდ აუცილებელია არსებობდეს განსხვავებული აზრი და ამ აზრთა შეჯერების საფუძველზე უნდა ხდებოდეს გადაწყვეტილების მიღება. სწორედ კომპრომისით და კონსესუსით მიღებული გადაწყვეტილება არის უფრო მყარი და მაღალი ლეგიტიმაციის მქონე და არა მხოლოდ აბსოლუტური ან კონსტიტუციური უმრავლესობის მიერ მიღებული.*

[1] ნიკოლოზ ფიფია, არჩევნები და პოლიტიკური სოციალიზაცია, თბ. 2013; გვ, 93-94

* ის რომ კონკრეტულ პერიოდში ამა თუ იმ პოლიტიკურ გაერთიანებას გააჩნია კვალიფიციური (კონსტიტუციური) უმრავლესობა საკანონმდებლო ორგანოში, ეს არ ნიშნავს რომ მის მიერ

ყველაზე მაღალი ინტერესი, რომლის გათვალისწინებითაც უნდა ხდებოდეს გადაწყვეტილებათა მიღება არის ხალხის ინტერესი და არა უმრავლესობის (ხელისუფლების) ინტერესი. კომპრომისის უნარი ერთგვარი ნიჭია, რომლის ქონა მიუთითებს ქვეყანაში მაღალი პოლიტიკური კულტურის არსებობაზე, ეს კი ქვენის დემოკრატიული განვითარების წინაპირობაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნიკოლოზ ფიფია, არჩევნები და პოლიტიკური სოციალიზაცია, თბ. 2013;
2. Douglas J Amy, Full Representation, The USA 1997
3. http://cesko.ge
4. http://www.parliament.ge/
5. http://www.transparency.ge/ge/post/report/merve-motsvevis-parlamentis-4-tsliani-sakmianobis-shepaseba
6. http://aceproject.org/ace-en/topics/es/esd/esd02/esd02e/esd02e03
7. https://emcrights.files.wordpress.com/2013/10/book_geo_web1.pdf

The necessity of fundamental reform of the electoral systems and the ways of its implementation in Georgia

Nikoloz Pipia, Professor

Georgian Technical University

Summary

The work highlights the high level of quality of democraticy which holds the legislature election by using regional open list proportional representation system.

The above-mentioned model increases the geographical representation in the legislature. At the same time, it makes the election environment more competitive and promotes the development of parties, as in this case the voter will choose the best among the candidates nominated by the party.

Open party list system supports the development and success of the parties. In such a case, the leadership is interested in recruiting more worthy members of the party, promoting healthy competition among them, and increasing trust among voters. The success of the party depends on the individual, and the best among them will be chosen by the voters. This will further increase the interest of the voters in the elections.

Keywords: electoral system, reform, democratic quality, party, federalism.

მიღებულ გადაწყვეტილებას ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხი ექნება. აქ უფრო მნიშვნელოვანია, ის თუ რამდენად მოხდა ამ გადაწყვეტილების შეთანხმება განსხვავებულ პლატფორმაზე მყოფ პოლიტიკურ გაერთიანებებთან. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხელისუფლებაში ყოფნის ვადა არ არის მუდმივი და არჩევნებში დამარცხების შემდეგ შესაძლოა სურათი რადიკალურად შეიცვალოს. გავიხსენოთ პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანი ნაციონალრი მოძრაობა“ მმართველობის ხანა. ერთ დროს ეს პარტია პარლამენტში კონსტიტუციური უმრავლესობით იყო წარმოდგენილი და ისინი ნაკლებად თუ ითვალისწინებდა განსხვავებულ აზრს დღეს კი მათ აზრს არავინ ითვალისწინებს.

პროპორციული საარჩევნო სისტემა, როგორც დემოკრატიული საარჩევნო სისტემის სახე

ნიკოლოზ ფიფია, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

„ნებისმიერი დემოკრატიის სიცოცხლისუნარიანობა ერთ პატარა ტექნიკურ დეტალზეა დამოკიდებული - ეს გახლავთ არჩევნების სისტემა. ყოველივე დანარჩენი მეორეხარისხოვანია. თუ არჩევნების ჩატარების წესი გონივრულადაა მოფიქრებული, თუ ის პოლიტიკურ რეალობას ესადაგება, მაშასადამე, საქმე კარგადაა, თუ არადა ყველაფერი წყალში ჩაიყრება, თვით იმ შემთხვევაშიც კი, დანარჩენი დემოკრატიული ინსტიტუტები უნაკლოდაც რომ ფუნქციონირებდნენ.“

ხოსე ორტეგა ი გასეტი (1883-1955) ესპანელი ფილოსოფოსი

რეზიუმე

წარმოდგენილ სტატიაში ყურადღება გამახვილებული საქართველოში საარჩევნო სისტემის ძირეული რეფორმის აუცილებლობაზე, კერძოდ, დემოკრატიულ საარჩევნო გარემოზე და სამართლიან შედეგებზე, რაც ახასიათებს პროპორციულ საარჩევნო სისტემას მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემასთან შედარებით.

პრაქტიული მაგალითების გამოყენებით ნაშრომში ნაჩვენებია მაჟორიტარული სისტემის ნაკლოვანებები; კერძოდ 2008, 2016 და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ნათლად აჩვენებენ, რომ სახელისუფლებო პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატები ღებულობენ მანდატს თითქმის ყველა მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში, რაც მთლიანობაში პარლამეტში ძალთა თანაფარდობას არაპროპორციულად ზრდის სახელისუფლებო პარტიის სასარგებლოდ. აღნიშნულის საპირისპიროდ, პროპორციული საარჩევნო სისტემა იძლევა საშუალებას პარტიებს, მათ მიერ მოპოვებული ხმების პროპორციულად მიიღონ მანდატები საკანონმდებლო ორგანოში.

საკვანძო სიტყვები: პროპორციული საარჩევნო სისტემა, დემოკრატია, რეფორმა, მაჟორიტარული სისტემა.

შესავალი

სხვადასხვა საარჩევნო სისტემის გამოყენება-დაკვირვების შედეგად მთელ რიგ სახელმწიფოებში მოხდა მათი ტრანსფორმაცია, დახვეწა და გარკვეული თავისებურებებით გამდიდრება, რამაც შედეგად მოგვცა წარმომადგენელთა არჩევის განსხვავებული (არაკლასიკური) საშუალებები და მიდგომები. ყველა ეს ცვლილება მიზნად ისახავს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას და საარჩევნო სისტემის კიდევ უფრო მეტად სამართლიან და დემოკრატიულ მოდიფიკაციას.

ძირითადი ნაწილი

უძველეს, მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემას თავისი დადებითი და უარყოფითი მახასიათებლებია გააჩნია. დადებითად მიჩნეულია ის, რომ

ეს სისტემა არის უმარტივესი (სიმარტივე განსაკუთრებულად ვლინდება მანდატების განაწილებისას), ამომრჩეველი ხმას აძლევს კონკრეტულ კანდიდატს და გამარჯვებულია ის კანდიდატი რომელიც ხმათა უმრავ-ლესობას (ფარდობითს, აბსოლუტურს ან კვალიფიციურს) მოიპოვებს. სწორედ ზემოაღნიშნულს უკავშირდება მაჟორიტარული საარჩევნო საარ-ჩევნო სისტემის მახინჯი ელემენტიც, კერძოდ, პრინციპი "გამარჯვებულს ყველაფერი", რაც თეორიულად აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორი-ტა-რული სისტემის გამოყენების შემთხვევაში 50.0% -1 ამომრჩეველს ტოვებს წარმომადგენლის გარეშე.

სწორედ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის ნაკლოვანებების შესავსებად გამოიყენება მეორე ძირითადი, პროპორციული საარჩევნო სისტემა, რომელიც პირველად XIX საუკუნეში გამოიყენეს. შესაბამისად, პროპორციული საარჩევნო სისტემის დადებითი მხარეა ის, რომ ეს სისტემა ადეკვატურად ასახავს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას და მაჟორიტარული სისტემასთან შედარებით იგი ხელს უწყობს საკანონმდებ-ლო ორგანოში ამომრჩეველთა გაცილებით მეტი რაოდენობის ინტერესების წარმოდგენას. ამავე დროს მნიშვნელოვანია, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემა მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემასთან შედარებით უფრო ნაკლებ ხარჯთან არის დაკავშირებული. კერძოდ, ვაკანსიისას (წარმომადგენლობით ორგანოს წევრის სხვა თანამდებობაზე დანიშვნის, მის მიერ თანამდებობის დატოვების, გარდაცვალების შემთხვევები) გამოიყენება სიითი მონაცვლეობის პრინციპი, ხოლო მაჟორიტარული სისტემით გამოყენებისას ზემოაღნიშნულ შემთხვევაში აუცილებელია შუალედური არჩევნების ჩატარება.

გაბატონებული მოსაზრების მიხედვით პროპორციული საარჩევნო სისტემა ავსებს იმ ხარვეზს, რაც გააჩნია მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემას. თუმცა საინტერესოა, თუ ნაკლის მქონე მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემის გამოყენებაზე არ ვიტყვით უარს და მასთან ერთად პროპორციულ საარჩევნო სისტემასაც გამოვიყენებთ (შერეული საარჩევნო სისტემა) აღმოიფხვრება თუ არა ნაკლი?

საარჩევნო სისტემის გამოყენებისას გასათვალისწინებელია ქვეყნის წარსული გამოცდილება. თუ გადავხედავთ საქართველოს უახლოესი წარსულის არჩევნების შედეგებს თვალშისაცემია მანკიერი პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც მაჟორიტარულ არჩევნებში თითქმის ყველა მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ყოველთვის იმარჯვებდა მმართველი პარტიის წარმომად-გენელი, რაც მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებს ფარსად აქცევს. მაგალითისათვის, წარმომადგენლობითი ორგანოს მაჟორი-ტარულ არჩევნებში, ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, მთელ საქართველოში მმართველი პარტიის, "მოქალაქეთა კავშირის", კანდიდატები იმარჯვებდნენ, გარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა, სადაც ყველა რაიონში იმარჯვებდა "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" წარმომადგენელი. საერთო ჯამში, ამ მხრივ დღემდე არაფერი შეცვლილა და ოპოზიციურ პარტიებს საკანონმდებლო ორგანოში წარმომადგენლის ყოლის შანსი მხოლოდ პროპორციული სისტემით არჩევნებში აქვთ. დღეს

საქართველოს პარლამენტში მოღვაწე 73 მაჟორიტარი დეპუტატიდან 71 წარმოადგენს მმართველ პარტიას - „ქართული ოცნება - დემოკრატიული მოძრაობა“. როგორც ვხედავთ მაჟორიტარული სისტემით არჩევნებს მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს.

კიდევ უფრო მეტად რომ გახდეს ნათელი თუ რა ნაკლის შემცველი არის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა მიმოვიხილოთ თუნდაც 2008 წლის 21 მაისის, 2016 წლის 8 ოქტომბრის და 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში და მანდატების გადანაწილების შედეგები.

საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 21 მაისის არჩევნებში პროპორციული საარჩევნო სისტემით პირველ ადგილზე გასულმა საარჩევნო სუბიექტმა „ერთიანი ნაციონალური მოძრობა - გამარჯვებული საქართველოსთვის“ მიიღო ამომრჩეველთა 59,18%, რაც წარმოადგენდა 48 მანდატს (75 მანდატიდან), თუმცა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ზემოაღნიშნულმა საარჩევნო სუბიექტმა დამატებით მიიღო 71 მანდატი (75 მანდატიდან) რაც ამომრჩეველთა 94%-ზე მეტია.[1]

საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 21 მაისის არჩევნები
საარჩევნო სუბიექტები რომლებმაც მოიპოვეს მანდატები პროპორციული საარჩევნო სისტემის მიხედვით

საარჩევნო სუბიექტები	%	მანდატი
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა -გამარჯვებული ხალხისთვის	59.18	48
გაერთიანებული ოპოზიცია (ეროვნული საბჭო, მემარჯვენეები)	17.73	15
შალვა ნათელაშვილი -საქართველოს ლეიბორისტული პარტია	7.44	6
გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატები	8.66	6
დანარჩენი	6.99	_

საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 21 მაისის არჩევნები
საარჩევნო სუბიექტები რომლებმაც მოიპოვეს მანდატები მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის მიხედვით

წარმდგენი საარჩევნო სუბიექტები	მანდატი
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა -გამარჯვებული ხალხისთვის	71
გაერთიანებული ოპოზიცია (ეროვნული საბჭო, მემარჯვენეები)	3
საართველოს რესპუბლიკური პარტია	2

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში პროპორციული საარჩევნო სისტემით პირველ ადგილზე გასულმა საარჩევნო სუბიექტმა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ მიიღო ამომრჩეველთა 48,68%, რაც წარმოადგენდა 44 მანდატს (77 მანდატიდან), თუმცა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ზემოაღნიშნულმა საარჩევნო სუბიექტმა დამატებით მიიღო 71 მანდატი (73 მანდატიდან) რაც ამომრჩეველთა 92%-ზე მეტია.[2]

[1] http://cesko.ge/res/old/other/2/2675.pdf
[2] http://cesko.ge/res/docs/20161116144542%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%98.pdf

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნები
საარჩევნო სუბიექტები რომლებმაც მოიპოვეს მანდატები პროპორციული საარჩევნო სისტემის მიხედვით

საარჩევნო სუბიექტები	%	მანდატი
ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	48.68	44
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	27.11	27
დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიაცია	5.01	6
დანარჩენი	19.21	_

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნები
საარჩევნო სუბიექტები რომლებმაც მოიპოვეს მანდატები მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის მიხედვით

წარმდგენი საარჩევნო სუბიექტები	მანდატი
ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	71
თოფაძე - მრეწველები, ჩვენი სამშობლო	1
საინიციატივო ჯგუფი (სალომე ზურაბიშვილი)	1

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში პროპორციული საარჩევნო სისტემით პირველ ადგილზე გასულმა საარჩევნო სუბიექტმა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ მიიღო ამომრჩეველთა 48,22%, რაც წარმოადგენდა 60 მანდატს (120 მანდატიდან), თუმცა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ზემოაღნიშნულმა საარჩევნო სუბიექტმა დამატებით მიიღო 30 მანდატი (30 მანდატიდან)[1], რაც ამომრჩეველთა 100%-ს უდრის.[2]

საარჩევნო სუბიექტები	%	მანდატი
ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის	3.79	5
ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიაცია ძალა ერთობაშია“	27.18	36
დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიაცია	3.14	4
შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია	1.00	1
ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები	1.33	2
ბლოკი „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“	3.15	4
გირჩი	2.89	4
ქართული ოცნება - დემკრატიული საქართველო	48.22	60
ლელო მამუკა ხაზარაძე	3.15	4

[1] საქართველოს პარლამენტის არჩევნები 2020 წელს ჩატარდა საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი განსხვავებული წესით. კერძოდ პროპორცული წესით აირჩა 120, ხოლო მაჟორიტარული სისტემით 30 პარლამენტის წევრი.

[2] https://cesko.ge/res/docs/20201203185912%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A12020%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A131%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%98.pdf

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნები
საარჩევნო სუბიექტი რომელმაც მოიპოვა მანდატები მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის მიხედვით

წარმდგენი საარჩევნო სუბიექტი	მანდატი
ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	30

ზემოთ წარმოდგენილ ცხრილებში ნათლად ჩანს, რომ სხვადასხვა სისტემის გამოყენებისას პარტიების და კანდიდატების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი მკვეთრად განსხვავებულია ერთმანეთისაგან. შესაბამისად ქვეყნის მასშტაბით ამომრჩეველთა მხარდამჭერის რაოდენობით მეორე პარტიამ (პროპორციული საარჩევნო სისტემის მიხედვით) შეიძლება სრულებით ვერ, ან ძალიან ცოტა მანდატი მიიღოს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში. ასე რომ, ხატოვნად შეიძლება იტქვას, რომ ფაქტიურად მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა არის ბუზის სპილოდ გადაქცევის შეუდარებელი და არაჩვეულებრივი საშუალება.

მხოლოდ პროპორციული საარჩევნო სისტემით საკანონმდებლო ორგანოს დაკომპლექტება მიღებული პრაქტიკაა დემოკრატიულ და განვითარებულ ქვეყნებში. მაგალითად ისრაელის საკანონმდებლო ორგანო ქნესეთი, რომელიც შედგება 120 წევრისაგან აირჩევა პროპორციული არჩევნებით, ფინეთის პარლამენტი შედგება ერთი პალატისაგან და მის შემადგენლობაში შედის 200 წევრი. პარლამენტი აირჩევა პროპორციული წესით და არჩევნებისათვის ქვეყანა, მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად, იყოფა არანაკლებ 12 და არა უმეტეს 18 საარჩევნო ოლქად იმგვარად, რომ თითოეული საარჩევნო ოლქიდან არჩეულ იქნეს არანაკლებ შვიდი პარლამენტის წევრი. ალანდის კუნძულები[1] ქმნიან ერთ საარჩევნო ოლქს პარლამენტის ერთი წევრის ასარჩევად.[2] ლატვიის საკანონმდებლო ორგანო სეიმი შედგება 100 წევრისაგაან, რომლებიც აირჩევიან პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე.[3] ესტონეთის საკანონმდებლო ორგანო რიიგიკოგუ შედგება ას ერთი დეპუტატისაგან, რომლებიც აირჩევიან პროპროციული პრინციპის საფუძველზე.[4] სლოვენიის საკანონმდებლო ორგანო - სახელმწიფო კრება შედგება 90 დეპუტატისაგან. სახელმწიფო კრებაში ყოველთვის აირჩევა თითო-თითო დეპუტატი იტალიური და უნგრული ეროვნული თემებისაგან. დეპუტატები, გარდა ეროვნული თემების წარმომადგენელი დეპუტატებისა, აირჩევიან პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის შესაბამისად[5]

[1] ავტონომიური, დემილიტარიზებული რეგიონი ფინეთის შემადგენლობაში, სადაც ოფიციალური ენა არის შვედური.

[2] საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები ნაწილი II (მეორე გადამუშვებული გამოცემა) პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, თბ. 2008; გვ. 423, 768

[3] საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები ნაწილი I (მეორე გადამუშვებული გამოცემა) პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, თბ. 2008; გვ. 301-302

[4] საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები ნაწილი III, პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, თბ. 2006; გვ. 255

[5] საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები ნაწილი V, პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, თბ. 2007; გვ. 957

თავის დროზე მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა წარმოადგენდა პროგრესულ ნაბიჯს, მაგრამ დღეს მასზე ჩაბღაუჭება და მისი შენარჩუნება სწორედაც, რომ მხოლოდ ხელისუფლებაში დარჩენის და ძალაუფლების უსამართლოდ გაზრდის საშიში, არადემოკრატიული ტენდენციაა. აღნიშნულის საპირისპიროდ, პროპორციული საარჩევნო სისტემა იცავს საარჩევნო სუბიექტებს და აძლევს საშუალებას მათ მიერ მოპოვებული ხმების პროპორციულად მიიღონ მანდატები საკანონმდებლო ორგანოში. ეს აძლევს პოლიტიკურ პარტიებს სტიმულს, რომ უფრო მეტი ხმა მოიპოვონ, უფრო მეტად მოახდინონ მობილიზება არჩევნების პროცესზე, შესაბამისად, ეს ხელს შეუწყობს ქვეყანაში პარტიების განვითარებას და გაზრდის მათდამი ინტერეს ამომეჩეველში.

გამოყენებული წყარო და ლიტერატურა

1. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები ნაწილი I (მეორე გადამუშვებული გამოცემა) პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, თბ. 2008;
2. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები ნაწილი II (მეორე გადამუშვებული გამოცემა) პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, თბ. 2008;
3. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები ნაწილი III, პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, თბ. 2006;
4. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები ნაწილი V, პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, თბ. 2007;
5. http://cesko.ge

Proportional election system as the face of a democratic election system

Nikoloz Pipia, Professor
Georgian Technical University

Summary

The presented article focuses on the necessity of fundamental reform of electoral system in Georgia, namely, democratic electoral environment and fair results that characterize proportional election system compared with majoritarian system.

Using practical examples, the presented article shows the shortcomings of the majoritarian system. In particular, the 2008, 2016 and 2020 parliamentary elections clearly show that the ruling party's majoritarian candidates are obtaining mandates in almost all majoritarian constituencies, which disproportionately increases the balance of power in parliament in favor of the ruling party. In contrast, a proportional electoral system allows parties to receive seats in the legislature in proportion to the votes cast by them.

keywords: Proportional electoral system, Democracy, Reform, Majoritarian system.

სასამართლო ოდონტოლოგია და კბილის კვალის ექსპერტიზა საქართველოში

ოთარ ხინიკაძე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნატალია მაისურაძე,
სამართლის მაგისტრი

რეზიუმე

წარმოდგენილი სტატია ემყარება პრაქტიკული სახის საავტორო კვლევას, რომელიც მოიცავს ნოვაციას, ქვეყანაში სასამართლო ექსპერტიზის ახალი დარგის, სასამართლო სტომატოლოგიის დაფუძნების სახით; ასევე, აღწერს აღნიშნული კბილის კვალის ექსპერტიზის მოქმედების ვრცელ არეალს, მის პრაქტიკულ მნიშვნელობასა და გამოყენების აუცილებლობას საგამოძიებო საქმიანობაში.

კვლევაში გამოყენებულია საქართველოში პრაქტიკულად მოღვაწე ექსპერტებისა და პროფესორების კომპეტენტური მოსაზრებები, რომლებიც ავტორებმა პირადად დააფიქსირეს მათთან სამუშაო ვიზიტების შედეგად.

საკვანძო სიტყვები: სასამართლო ოდონტოლოგია, ექსპერტიზა, სტომატოლოგია, ეროვნული ბიურო.

შესავალი

კბილის კვალი, ისევე, როგორც ადამიანის თითის ანაბეჭდი უნიკალურია და შეიცავს დიდ ინფორმაციას პიროვნების შესახებ. მისი გამოკვლევა აერთიანებს ზოგადი და კერძო ნიშნების ერთობლიობას, როგორებიცაა: კბილის ფორმა, ზომა, კბილებს შორის მანძილი, გატეხილი – გაფუჭებული კბილი, ან საერთოდ კბილის არ ქონა, ზედა და ქვედა ყბის ფორმები, ეს ის მონაცემებია რომელთა საშუალებითაც ხდება პიროვნების იდენტიფიკაცია.

პიროვნების იდენტიფიკაცია სტომატოლოგიური სტატუსის მიხედვით, ითვლება კვლევის ყველაზე საიმედო მეთოდად, ვინაიდან არ არსებობს ორი ერთნაირი სტომატოლოგიური სტატუსის მქონე პირი. სტატუსი არის - თანდაყოლილი და შეძენილი ინდივიდუალური სპეციფიკური თვისებების ნაკრები. (1, 1238-1243).

კბილის კვალის ექსპერტიზა საქართველოში. საქართველოში კბილის კვალის ტრასოლოგიური ექსპერტიზის შესახებ პრაქტიკული კვლევებით დავადგინეთ, რომ დღესდღეობით არც ალტერნატიულ საექსპერტო დაწესებულებებში და არც სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში, კბილის კვალის ტრასოლოგიური ექსპერტიზა არ წარმოებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 მარტის №43 დადგენილებით, (რომელიც სასამართლო-საექსპერტო მომსახურების ტარიფების დამტკიცებას ეხებოდა), ტრასოლოგიურ ექსპერტიზათა ჩამონათვალში წარმოდგენილი იყო ადამიანის კბილის კვალის ექსპერტიზაც.(7) საკითხის სიღრმისეული

კვლევისათვის, მივმართეთ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს. ბიუროს კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ბალისტიკური, ტრასოლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტ-ტრასოლოგმა, ლევან მაისურაძემ, ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ტრასოლოგების მიერ მიმდინარე წლების განმავლობაში პრაქტიკულად არ განხორციელებულა მსგავსი ექსპერტიზა და დღესდღეობით მათთვის უცხოა ტრასოლოგიური კვლევის ეს სფერო.

2012 წლის 8 მაისს, საქართველოს მთავრობის #171 დადგენილებით, განისაზღვრა ექსპერტიზის ბიუროს ახალი მომსახურების სახეები და მათი ტარიფები. ამჟამად, მოქმედებს კბილის კვალთან დაკავშირებული ერთადერთი ექსპერტიზა, რომელიც ტარდება სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტში და ეს არის ფიზიკურ პირზე (გვამზე) ასაკის დადგენა კბილების ცვეთის მიხედვით. (6)

მეტი ინფორმაციულობისა და დამატებითი კვლევისთვის, მივმართეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორს (სასამართლო სამედიცინო და ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის ყოფილ უფროსს), ქალბატონ რუსუდან ბერიაშვილს.

ქალბატონმა რუსუდანმა განგვიცხადა, რომ კბილის ცვეთის მიხედვით ადამიანის (გვამის) ასაკის დადგენის ექსპერტიზა ამჟამად, ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტში ტარდება, თუმცა, დღესდღეობით მიმართვიანობა მსგავსი ტიპის ექსპერტიზის ჩატარების თხოვნით, დეპარტამენტში შედარებით იშვიათია. სასამართლო სამედიცინო ექსპერტები ცალკე დეტალურად არ განიხილავენ ნაკბენის, როგორც დამოუკიდებელი კვალის წარმოშობის ისტორიას. ხდება მისი ზოგადი აღწერა, როდესაც ტარდება ექსპერტიზა ცოცხალი ადამიანის ან გვამის დაზიანების ფაქტზე. ზემოთაღნიშნულს განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი, კერძოდ:

1. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის წინაშე დასმულია კონკრეტული კითხვები, რომელთაც სცემენ ექსპერტები კვლევის პროცესში პასუხს და ვინაიდან არ ხდება კითხვების დასმა ნაკბენთან ან კბილის კვალთან დაკავშირებით, აღარ იკვლევენ მას საკუთარი ინიციატივით. გარდა ამისა, ექსპერტები მეტად შეზღუდულნი არიან მკაცრი სამუშაო ინსტრუქციებით და დაკვეთის შესრულების შემჭიდროვებული ვადებით;

2. საგამოძიებო ორგანოების თანამშრომლები და ექსპერტიზის დამნიშნავი სხვა პირები, არ ფლობენ კბილის კვალის, როგორც დამოუკიდებელი ექსპერტიზის არსებობის და მისი მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციას. შესაბამისად, არ ხდება პრაქტიკაში გამოყენებაც;

3. სტომატოლოგიური ექსპერტიზის (ოდონტოლოგიის) შესახებ ქვეყანაში მოქმედ ექსპერტებს (სამუშაო პროფილის მიუხედავად) არ აქვთ არც თეორიული და არც პრაქტიკული ცოდნა, აღნიშნულის გათვალისწინებით, ქვეყანას არ ყავს ექსპერტ-ოდონტოლოგი.

ქალბატონმა რუსუდანმა, ასევე დაგვიდასტურა, რომ ოდონტოლოგია, როგორც დამოუკიდებელი საექსპერტო მიმართულება, საქართველოში საერთოდ არ გვაქვს. მეზობელი სახელმწიფოები ამ მხრივ მეტად განვითარე-

ბულნი არიან, მაგალითად, თურქეთის რესპუბლიკაში უკვე ათეული წლებია აქტიურად გამოიყენება სასამართლო ექსპერტიზის ეს დარგი. საქართველოში კი სტომატოლოგები სწავლის პროცესში ეუფლებიან ოდონტოლოგიის მხოლოდ სამედიცინო ნაწილს, შესაბამისად, მათ საერთოდ არ იციან კბილის კვალის გამოკვლევის კრიმინალისტიკური ტექნიკა (შესადარებელი ნიმუშის აღება, ტვიფრის დამზადება, საექსპერტო ფოტოგადაღება, ექსპერტისთვის დადგენილი სისხლისსამართლებრივი უფლება-მოვალეობანი და სხვ.).

ქართულ ენაზე არ არსებობს არც შესაბამისი სასწავლო სახელმძღვანელოები. სასამართლო სტომატოლოგიური კვლევის მოკლე კურსს შეისწავლიან მხოლოდ სასამართლო სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტები, რომლებიც მომავალში სასამართლო სამედიცინო ექსპერტების და არა სასამართლო ოდონტოლოგების სახით აგრძელებენ საექსპერტო პრაქტიკულ საქმიანობას.

2. სასამართლო სტომატოლოგიური ექსპერტიზა - ოდონტოლოგია. განვითარებულ ქვეყნებში (ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში), ოდონტოლოგიურ ექსპერტიზას დიდი პრაქტიკული დატვირთვა გააჩნია საექსპერტო-კვლევით სივრცეში, ვინაიდან ადამიანის კბილის კვალის მიხედვით, შესაძლებელია განხორციელდეს პიროვნების იდენტიფიკაცია. ადამიანის კბილოვანი აპარატისა და კბილების გარეგანი აღნაგობა ინდივიდუალურია, რაც შესაძლებელს ხდის მათი მეშვეობით მოვახდინოთ პიროვნების იდენტიფიკაცია. ეს შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც მასში აღიბეჭდება პიროვნებისათვის დამახასიათებელი ზოგადი და კერძო ნიშნები. ადამიანის კბილებით ნაკბენი კვლების ხასიათისა და განლაგების მიხედვით შესაძლებელია დადგინდეს მათი წარმოქმნის გარემოებები.

ადამიანის კბილის კვალი, დიდი ინფორმაციის შემცველია და მთელ რიგ შემთხვევებში, იგი დანაშაულის ხასიათზეც მიუთითებს. კბილის კვალი შესაძლებელია დარჩეს შედარებით რბილი ზედაპირის მქონე სხეულზე (როგორიცაა სხვადასხვა საკვები: ვაშლი, შოკოლადი). გარდა ამისა, კბილის კვალი უმეტესად რჩება ადამიანის სხეულზე. ეს შეიძლება იყოს როგორც დაზარალებულის, ასევე დამნაშავის ორგანიზმი ან გვამი. (5)

როგორც წესი, ხშირია კომპლექსური ექსპერტიზის დანიშვნა კბილის კვალის გამოსაკვლევად, რომელიც ერთად მოიცავს სასამართლო სამედიცინო და კრიმინალისტიკურ ექსპერტიზებს, სადაც, ჩართული შეიძლება იყოს ასევე, სტომატოლოგიური ექსპერტიზაც.(2, 159)

რაც შეეხება კბილის კვალს, როგორც ტრასოლოგიური ექსპერტიზის ობიექტს, განვიხილავთ საგანზე დატოვებული კვალის მიხედვით. კბილის კვალი შეიძლება ვნახოთ როგორც ნახევრად შეჭმულ ვაშლზე, ასევე სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთებზე. მაგალითად, კალამსა და ფანქარზე. მოგეხსენებათ, ზოგიერთ ადამიანს ჩვევად აქვს კალმის ან ფანქრის ბოლოების კვნეტა, რაზეც იგი რა თქმა უნდა ტოვებს თავისი კბილების კვალს. (4) აღნიშნული მარტივი მაგალითი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, თუ როგორი ყურადღებით უნდა იქნეს შემთხვევის ადგილი დათვალიერებული,

რომ არ მოხდეს არცერთი საგნისა და გარემოების გამორჩენა, რომელსაც შესაძლებელია განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდეს დანაშაულის გამოძიებისა და გახსნის პროცესისათვის.

კრიმინალისტიკაში, როდესაც საქმე გვაქვს ადამიანის სხეულზე დატოვებულ კბილის კვალთან, ასევე შესაძლებელია დანაშაულის სახეობაზე მსჯელობა.

კბილების კვალი (ნაკბენი) სხეულზე, დამახასიათებელია სექსუალური და ძალმომრეობითი სახის დანაშაულისათვის. ასეთ შემთხვევაში დაზარალებულის სხეულზე ნაკბენები ძირითადად გვხვდება მკერდისა და ფეხების მიდამოზე, ხოლო მოძალადის სხეულზე ზედა კიდურებისა და ტრანგულაციური ღარის მიდამოზე. კბენით განვითარებულ დაზიანებას ორმაგი რკალის ფორმა აქვს. ამ რკალის ზომის მიხედვით გამოყოფენ ნაკბენი ბავშვისაა, თუ მოზრდილის. ნაკბენი ჭრილობის კვალზე თუ ეშვებს შორის მანძილი სამ სანტიმეტრს აღემატება, დაზიანება მოზრდილი ადამიანის მიერ მიყენებულად ითვლება. ნაკბენი კვალის საწყისი ნაწილი ასახავს კბილთა მწკრივის სტატიკურ მოქმედებას და კბილთა ინდივიდუალურ თავისებურებებს. კბილების დინამიკური მოქმედების ადგილებში კბილების თავისებურებები აისახება ნაჭდევების სახით. (3,328)

კბილის კვალის მდებარეობის მიხედვით შესაძლებელია განისაზღვროს დამნაშავის პოზიცია კვალის დატოვების პროცესში. მაგალითად, ყბის ფორმა წააგავს ლათინურ "U" ასოს. იმის მიხედვით თუ რომელ მხარეს აქვს მას თავი გახსნილი, შესაძლებელია კვალის დატოვების პოზიციის განსაზღვრა. (4) ამასთან ერთად, რა თქმა უნდა დგინდება ზედა თუ ქვედა ყბითაა დატოვებული ხსენებული კვალი.

ადამიანის ტანზე კბილების კვლების დაფიქსირება წარმოებს მათი ფოტოგადაღებით. კბილების კვლები კვების პროდუქტებიდან და სხვა საგნებიდან ამოიღება უშუალოდ ამ საგნებთან ერთად. მათი შენახვისას და ტრანსპორტირებისას დაცული უნდა იქნეს შესაბამისი ზომები, რათა არ მოხდეს მათი დაზიანება.

ტრასოლოგიური ექსპერტიზისთვის შესადარებელ ნიმუშებად გამოიყენება ასევე, ექსპერიმენტალური კვლები კბილპროთეზურ მასაზე, რომელსაც მიიღებს ექსპერტიზის მწარმოებელი ექსპერტი ან სპეციალისტი – ოდონტოლოგი.

3. სტომატოლოგიური ექსპერტიზისა და კბილის კვალის მნიშვნელობა.

დეტალურად განვიხილოთ, თუ რა სპეციფიკა და ღირებულება გააჩნია სტომატოლოგიურ ექსპერტიზას და რა სარგებლობას მოუტანს ქვეყნის საგამოძიებო და სამართალდამცავ სისტემებს სასამართლო ექსპერტიზის ამ კონკრეტული დარგის განვითარება.

ექსპერტ-სტომატოლოგებს, ასევე, იყენებენ ადამიანის ნეშტის ამოცნობის, პირის ღრუს ქსოვილების ტრავმების სამედიცინო-სამართლებრივი შეფასებისა და სტომატოლოგიური ქმედებების შესახებ ჩვენების მიცემისას.

ოდონტოლოგიის საკვლევი საკითხების განსაკუთრებული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ: კბილის კვალის გამოკვლევით ექსპერტს შეუძლია უპასუხოს შემდეგ კითხვებს:

1. არის თუ არა კბილის კვალი დატოვებული ეჭვმიტანილის მიერ;
2. რომელი კბილებით იყო დატოვებული კვალი (ეშვებით, საჭრელებით), ზედა ყბის კბილებით თუ ქვედა, მარჯვენა თუ მარცხენა მხრის;
3. არის თუ არა კბილთა მწკრივის ანომალია ან დეფორაცია;
4. მიეკუთვნება თუ არ ეჭვმიტანილს ან დაზარალებულს კბილების მიერ დაზიანებული კანი;
5. რა მდგომარეობაში იყო ეჭვმიტანილი და დაზარალებული კბენის მომენტში;
6. კბილის კვალი დატოვებულია ბუნებრივი, თუ ხელოვნური კბილებით (პროთეზით).

სასამართლო სტომატოლოგიის კვლევის ობიექტია:

- კბილები;
- კბილის პროტეზები;
- სახის ძვლები;
- სახის რბილი ქსოვილები;
- საღეჭი აპარატის მდგომარეობა.

ძირითადი გადასაწყვეტი საკითხებია:

- მექანიკური და სხვა ფაქტორებით გამოწვეული სახის რბილი ქსოვილების, სახის ძვლების და კბილების დაზიანებათა თავისებურებები;
- კბილებით მიყენებულ დაზიანებათა თავისებურებები;
- სტომატოლოგიური სტატუსით, მაგარი სასის რელიეფით, ენის ლორწოვანი გარსის სურათით პიროვნების იდენტიფიკაცია;
- კბილების ექსპერტიზით ასაკის, სქესის, პროფესიის დადგენა;
- სახის რბილი ქსოვილების, სახის ძვლების და კბილების დაზიანების სიმძიმის ხარისხის განსაზღვრა. (3, 325-327)

სასამართლო ექსპერტიზა, რომელიც ნაკბენის ნიშნის ტიპებს იხილავს (განსაკუთრებით მე-3 და მე-4 ჯგუფების შემთხვევაში), შესაძლოა გამოდგეს ჩვენებისთვის. ნაკბენის ნიშნებს ცოცხალ სხეულზე სხვაგვარი მახასიათებლები აქვს, ვიდრე მკვდარ სხეულზე. ასე რომ, ექსპერტს შეუძლია გამოძიებას დაეხმაროს თავდასხმის დროს ან სიკვდილის დადგომის დროის განსაზღვრაში.

საინტერესო და მნიშვნელოვანია ოდონტოლოგიაში გამოვკვეთოთ ისეთი მიმდინარეობები, როგორიცაა: სქესის დადგენა კბილების მიხედვით, რასობრივი განსხვავება და პროფესიის განსაზღვრა კბილების ექსპერტიზით.

კბილების ექსპერტიზით სქესის განსაზღვრა შესაძლებელია ქალისა და მამაკაცის ზედა საჭრელი კბილის გვირგვინების მიხედვით, რომელთაც განსხვავებული ფორმები აქვთ. თუმცა, ასეთი ექსპერტიზა მეტად სანდო მხოლოდ სხვა ექსპერტიზებთან ერთად კომბინაციაშია.

რასობრივი განსხვავება სტომატოლოგიური ექსპერტიზით უფრო მეტად თვალშისაცემი და გამოკვეთილია. განასხვავებენ მონგოლოიდური, ევროპეიდული და ნეგროიდული რასის წარმომადგენლებს ზედა საჭრელი და სიბრძნის კბილების მიხედვით.

ასევე, ძალიან საინტერესო ინფორმაციის შემცველია პროფესიულ

საქმიანობასთან დაკავშირებული კბილების ცვლილებების განხილვა. კბილების ტრამვულ დაზიანებებს იწვევს ზოგიერთი პროფესია ან სამუშაო გარემო, მაგალითად: შუშის მბერავებს ქვედა საჭრელი კბილების დაზიანება უვითარდებათ, ჩასაბერი ინსტრუმენტის მუსიკოსებს - წინა ზედა საჭრელების, კონდიტერებში ფქვილი და შაქარი იქვევს კარიესს და ა.შ. აღნიშნული ინფორმაცია რიგ შემთხვევაში მეტად ღირებული შეიძლება იყოს საგამოძიებო პროცესის სწორად წარმართვისათვის. (3, 336-338)

გასათვალისწინებელია, რომ ხელოვნული კბილები და ასევე, მოსახსნელი პროთეზი, ნაკლებად გამოხატულ დაზიანებებს იწვევს, ვიდრე ბუნებრივი კბილები.

აღსანიშნავია, რომ კრიმინალისტიკურ პრაქტიკაში ხშირად გვხვდება კბილებით მიყენებული თვითდაზიანების გადაწყვეტის საკითხიც (რაც დაკავშირებულია სხვა პირისთვის დანაშაულის გადაბრალებასა და სხეულის დაზიანების ხელოვნურ ინსცენირებასთან). ასეთ შემთხვევაში, კვლევაში ერთვებასასამართლოსამედიცინოექსპერტიცდადაზიანებასგანიხილავსმისი ლოკალიზაციის მიხედვით. თუ ადამიანისთვის ფიზიკურად შეუძლებელია საკუთარ დაზიანებულ ადგილებთან კონტაქტი (მაგალითად, კისერი, სახე, ზურგი და სხვ.) რა თქმა უნდა, გამოირიცხება ეჭვი თვითდაზიანებაზე. სხვა შემთხვევებში, ექსპერტი ატარებს საიდენტიფიკაციო გამოკვლევებს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ თვითდაზიანების შემთხვევაში კბენის ინტენსივობა და დაზიანების ხარისხი გაცილებით ნაკლებია.

4. ოდონტოლოგია, როგორც ნოვაცია ქართულ ექსპერტიზაში. აღსანიშ-ნავია, რომ საქართველოში პრაქტიკულად არ მომხდარა აღნიშნული საკითხის ძირეული კვლევა და არ წარმოჩენილა სასამართლო ოდონტოლოგიის განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა საგამოძიებო საქმეში.

კბილის კვალის ტრასოლოგიური ექსპერტიზა, რომელიც ნოვაციაა ქართული საექსპერტო სისტემისთვის, უკვე მრავალია წელია ეფექტურად ტარდება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის განვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის თურქეთის რესპუბლიკაში. საქართველოში, კი როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ ადამიანის სხეულზე ან გვამზე არსებული ნაკბენის იდენტიფიცირება ხდება, რაც დიდი ხარვეზია ქართული სასამართლო ექსპერტიზის სისტემაში.

ამ ხარვეზის გამოსასწორებლად, აუცილებელია შესაბამისი საფუძველი მომზადდეს სასამართლო ოდონტოლოგიის დასანერგად სასამართლო ექსპერტიზებში. მიუხედავად იმისა, რომ ისეთი განვითარებადი ქვეყნის-თვის, როგორიც საქართველოა, ექსპერტიზის ახალი დარგის დანერგვა კრი-მინალისტიკურ ტექნიკაში მეტად შრომატევადი და დროში გარკვეულწილად გაწელილი პროცესია, აუცილებელია დროულად გაკეთდეს აქცენტი საბო-ლოო შედეგზე, რომელიც ექსპერტიზის ახალი მიმართულების ჩამოყალი-ბების საშუალებას მოგვცემს და კიდევ უფრო დაგვაახლოვებს საერთაშორისო მოთხოვნებსა თუ სტანდარტებთან.

ჩვენს მიერ აღნიშნული საკითხის კვლევისას, გამოიკვეთა საქართველო-ში მიმდინარე პერიოდისთვის არსებული შემდეგი სახის პრობლემატიკა:

- საექსპერტო-კვლევით ცენტრებში მოქმედი ექსპერტ-ტრასოლოგები, ძირითადად არიან ტექნიკური განათლების მქონენი და შესაბამისად, რა თქმა უნდა, კვალიფიკაციის არქონის გამო, ვერ შეძლებენ სასამართლო სტომატოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებას;
- სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის თანამშრომლები, ამჟამად მუშაობენ ვიწრო მიმართულებით, მხოლოდ ადამიანის (გვამის) სხეულზე დატოვებული კბილის კვალის შესწავლაზე და იშვიათად, სტომატოლოგიური სტატუსით გვამის იდენტიფიკაციაზე;
- ამასთანავე, სასამართლო სამედიცინო ექსპერტები დატვირთული გრაფიკისა და მკაცრად გაწერილი სამუშაო აღწერილობებიდან გამომდინარე, ვერ შეძლებენ შეითავსონ სასამართლო ოდონტოლოგიური ექსპერტიზები;
- ქართულ სამედიცინო სასწავლებლებში არ არსებობს მიმართულება, რომელიც სტომატოლოგიურ ექსპერტიზას მოიცავს;
- საქართველოში მოქმედი სტომატოლოგები თავის მხრივ, ვერ შეძლებენ კბილის კვალის აღებას და მის იდენტიფიცირებას კრიმინალისტიკურ-ტრასოლოგიური კუთხით, შესაბამისი ტექნიკის არ ცოდნის, თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების არ ქონის გამო;
- შესაბამისად, საქართველოში ვერ ტარდება კბილის კვალის ტრასოლოგიური ექსპერტიზა და იკარგება უდიდესი საკვლევი მასალა, რომელიც შეიძლება გადამწყვეტი იყოს საგამოძიებო პროცესისა და დამნაშავის იდენტიფიკაციისთვის.

ამ პრობლემატიკური საკითხების გათვალისწინებით, აუცილებელია დღის წესრიგში დადგეს ქვეყნისთვის კვალიფიციური ექსპერტ-ოდონტოლოგების მომზადების საკითხი. ამისათვის საჭიროა, შეიქმნას ერთობლივი სამედიცინო-კრიმინალისტიკური მიმართულება სასამართლო - ოდონტოლოგია.

აღსანიშნავია, რომ ოდონტოლოგიის საჭიროების, როგორც დამოუკიდებელი საექსპერტო მიმართულების შესაბამისად წარმოჩენის შემთხვევაში, მისი განხორციელება რეალურ ჩარჩოში მოექცევა, ვინაიდან საქართველოს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ისევე, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს, ყავთ როგორც საელჩოების (ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო თბილისში), ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (Bureau of International Narcotics and Law Enforcement Affairs), სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის (The European Network of Forensic Science Institutes) და სხვადასხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების სახით, სერიოზული სპონსორები, რომელთაც დაინტერესების შემთხვევაში, შეუძლიათ გაიღონ სასამართლო ოდონტოლოგიის, როგორც ახალი და მეტად პრაგმატული საექსპერტო მიმართულების დანერგვისა და განვითარებისთვის საჭირო როგორც ადამიანური რესურსები, ასევე, მატერიალური ხარჯები.

დასკვნა

აღნიშნული სტატიაში, განხილულია სასამართლო ექსპერტიზის, კერძოდ კი კბილის კვალის შესწავლისა და გამოყენების პრაქტიკული მექანიზმები ქართულ საგამოძიებო და საექსპერტო კვლევით სივრცეში.

სტატიაში შეჯამებულია საექსპერტო ნოვაციის - ოდონტოლოგიის მნიშვნელობა და წარმოჩინებულია ის რეალური გზები, რომლებიც დაეხმარება საქართველოში მოქმედ შესაბამის საექსპერტო დაწესებულებებს, ექსპერტიზის ნოვატორული სახის - სასამართლო სტომატოლოგიის დაფუძნებასა და განვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Benson, B., Cottone, J., Bomberg, T., and Sperber, N., 1988, "Bite Mark Impressions: A Review of Techniques and Materials," Journal of Forensic Sciences, No. 5, Vol. 33. pp. 1238-1243;
2. გოგშელიძე რ. ფალიაშვილი ა. 2004. კრიმინალისტიკა. თბილისი: "მერიდიანი";
3. კილასონია ბ. 2011. სასამართლო მედიცინა. თბილისი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
4. Claridge J., Explore Forensics, "Bite Marks", http://www.exploreforensics.co.uk/bite-marks.html , www.exploreforensics.co.uk (15.12.2019);
5. Steven F. Fairlie, fairlie law, http://fairlielaw.net/is-bite-mark-analysis-a-reliable-forensic-science-washington-post-raises-questions/ , www.fairlielaw.net (18.01.2019);
6. საქართველო, საქართველოს მთავრობა, 2012, საქართველოს მთავრობის დადგენილება: „სასამართლო-საექსპერტო მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ" (171, 08.05.2012) თბილისი, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო http://www.forensics.ge/source/pdf/tarifebi%20sakanonmdeblo%20macnedan.pdf, (25.12.2019);
7. საქართველო, საქართველოს მთავრობა, 2005, საქართველოს მთავრობის დადგენილება: „სასამართლო-საექსპერტო მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ" (43, 11.03.2005) თბილისი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/11362 , (20.12.2019).

Forensic Odontology and Teeth traces examination in Georgia

Otar Khinikadze, associate professor
Georgian Technical University

Natalia Maisuradze, Master of Laws

Summary

The presented article is based on a practical research of authors, which includes innovation in the form of the establishment of a new field of forensic examination in the country, forensic dentistry.

Also, describes the wide scope of examination of teeth traces, practical significance and the necessity of its use in investigative activities.

The study uses the competent opinions of experts and professors of Georgia, which the authors personally observed as a result of working visits with them.

კვების პროდუქტების ხარისხის კვლევის თანამედროვე მეთოდების მნიშვნელობა

მზია წულუკიძე, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

თანამედროვე პირობებში საკვები პროდუქტების ხარისხისა და უვნებლობის განსაზღვრის, რაციონალური გამოყენების, კვებითი ღირებულებისა და სამომხმარებლო თვისებების ამაღლების პრობლემების გადაწყვეტა მათი შემადგენლობის, ფიზიკო-ქიმიური და რეოლოგიური თვისებების ღრმა კვლევების, საფუძველზე, ანალიზის თანამედეროვე მეთოდებით ხდება. ხარისხის პრობლების ფართო გაგებაში კვების პროდუქტების ხარისხის ამაღლებაც ჩართულია.

საკვანძო სიტყვები: მაკრო - და მიკროელემენტები, ნივთიერების სტრუქტურა, ქრომატოგრაფიული, სპექტრალური, ლუმინესცენციური, რეოლოგიური კვლევის მეთოდები, პესტიციდები, რადიოაქტიური იზოტოპები.

შესავალი

თანამედროვე მეთოდების გამოყენების აუცილებლობა განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ პროდუქტის კვებითი ღირებულება უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია შეთვისებადი ნივთიერებების და ელემენტების ოპტიმალურ თანაფარდობაზე. თუმცა დაბალანსებული კვების საშუალო სადღეღამისო რაციონში საკვები ნივთიერებების და ელემენტების შემცველობის შესახებ სხვადასხვა მეცნიერთა მონაცემები ადასტურებენ, რომ პროდუქტების კვებითი ღირებულება დამოკიდებულია არა მხოლოდ ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების, მაკრო და მიკრო ელემენტების ზოგად შემცველობაზე, არამედ გარკვეულწილად ცილების ამინომჟავურ შემადგენლობასა და ლიპიდების ცხიმმჟავურ შემადგენლობაზე.

ძირითადი ნაწილი

პროდუქტების კომპლექსური გამოკვლევა შესაძლებელია მხოლოდ ანალიზის თანამედროვე, უპირატესად ფიზიკო-ქიმიური მეთოდების გამოყენების შედეგად.

ასეთი მეთოდები თითოეული პროდუქტის შემადგენლობაში არსებული

ნივთიერებების სტრუქტურის ღრმა შესწავლის და მათი შემადგენლობისა და თვისებების ობიექტური შეფასების გაკეთების საშუალებას იძლევიან.

სტატიაში გაშუქებულია კვების პროდუქტების ხარისხის განსაზღვრის ქრომატოგრაფიული, სპექტრალური, ლუმინისცენციური და რეოლოგიური მეთოდების თეორიისა და პრაქტიკის ზოგიერთი საკითხები. მეტად ფართოდ გამოიყენება ქრომატოგრაფიული მეთოდები სხვადასხვა მოდიფიკაციით-შედარებით მარტივიდან (ქრომატოგრაფია ქაღალდზე და თხელ ფენებში) მეტად რთულ ავტომატიზირებულამდე (აირადი და თხევადი ქრომატოგრაფია). თანამედროვე ქრომატოგრაფები ავტომატურად იწერენ ლიპიდების ცხიმმჟავა შემადგენლობას, ცილების ამინომჟავურ შემადგენლობას და შეიძლება გამოყენებულ იქნას ნახშირწყლების, მჟავების, არომატული და სხვა ნაერთების განსაზღვრისთვისაც.

უკიდურესად მნიშვნელოვანი და ფართოა სპექტროსკოპიული და სპექტრო ფოტომეტრიული კვლევის მეთოდების გამოყენების სფერო და პერსპექტივები. რომლებიც მაკრო - და მიკროელემენტების ხარისხობრივი შემცველობის, ნივთიერებათა კონცენტრაციისა და მათი ხარისხობრივი თავისებურებების სიზუსტის მაღალი ხარისხით მოძებნის საშუალებას იძლევა.

პერსპექტიულია აგრეთვე ლუმინესცენციური ანალიზის მეთოდები, რომლებიც მათი ლუმინესცენციის მიხედვით ნივთიერებების შემადგენლობისა და რაოდენობრივ განსაზღვრაზეა დაფუძნებული. ამ მეთოდის უპირატესობას წარმოადგენს მაღალი მგრძნობელობა, რაც საკვები პროდუქტის გემოსა და სუნის შეუგრძნობელი ცვალებადობის ამოცნობის საშუალებას იძლევა. იგი გამოიყენება საკვები პროდუქტების ფუჭების დიაგნოსტიკისთვის და აგრეთვე ვიტამინების და სხვა ნივთიერებების განსაზღვრისთვის.

პროდუქტების სამომხმარებლო ღირებულება მჭიდროდაა დაკავშირებული მათ კონსისტენციასთან, რაც განპირობეულია სტრუქტურულ-მექანიკურ თვისებებთან - სიმტკიცესთან, დრეკადობასთან, პლასტიკურობასთან, სიბლანტესთან.

ხშირ შემთხვევაში კვებითი, გემოვანი და არომატული, ნივთიერებების მდგრადი შემცველობისას, სამომხმარებლო ღირებულების შეფასებისას, მაგ. პურის, საკონდიტრო ნაწარმის, ხორცისა და მრავალი სხვა პროდუქტების შემთხვევაში სტრუქტურულ-მექანიკურ თვისებებს გადამწყვეტი როლი ენიჭება. რეოლოგიურ კვლევებზე დაყრდნობით შესაძლებელია არა მარტო პროდუქტის კონსისტენციის დახასიათება, არამედ პრაქტიკულად ნებისმიერი მოცემული კონსისტენციის პროდუქტების მიღება.

კვების პროდუქტების კვლევის თანამედროვე მეთოდები შეუცვლადია პროდუქტების უვნელობის დადგენისთვისაც, რომლებიც მათში შეიძლება მოხვდეს შესაძლო ქიმიური ნა ერთებისგან, რომლებიც გამოიყენება სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლისათვის (პესტიციდები), რადიოაქტიური იზოტოპები, აგრეთვე ხელოვნური საღებავები, ქიმიური კონსერვანტები, პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადები. (პან).

კვების პროდუქტების კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენება

არა მარტო მათი თვისებების, ხარისხის და კვებითი ღირებულების ღრმა შესწავლის საშუალებას, არამედ აგრეთვე ორგანოლეპტიკური ან ფიზიკური და ქიმიური მეთოდებით გამოუვლენელი შემადგენლობის ცვალებადობის და რეოლოგიური თვისებების ახსნის, ხარისხის ცვალებადობის პროგნოზირების, შენახვის მეთოდებისა და ვადების დადგენის საშუალებას იძლევა. შენახვის პროცესების კონტროლისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტემპერატურის, ტენიანობის და შენახვის სხვა პირობების განსაზღვრის დისტანციურ მეთოდებს (განათება, შემადგენლობა და ჰაერის მოძრაობა), რომელთა საფუძველზეც შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს შენახვის ოპტიმალური რეჟიმი.

კვლევის ზემოთხსენებული თანამედროვე მეთოდების სამეცნიერო მიზნებისთვის, წარმოების პრაქტიკაში, სამომხმარებლო ქსელში და მასობრივი კვების ობიექტებზე შენახვისა და რეალიზაციისას გამოყენება სასურსათო პროდუქტების ხარისხის ამაღლების, კვებითი და სამომხმარებლო ღირებულების გაუმჯობესების, უვნებლობის, შენახვისუნარიანობის უზრუნველყოფის და კვებითი რესურსების ეფექტურად გამოყენების საფუძველი უნდა გახდეს, საკვები პროდუქტების ანალიზისთვის, 2 - თიო ბარბიტურის მჟავით ცხიმების დაჟანგვის ხარისხის განსაზღვრისთვის აბსორბციული სპექტროსკოპია გამოიყენება. ეს რეაქცია ფართოდ გამოიყენება მცენარეული და ცხოველური, რძის ცხიმების დაჟანგვის ხარისხის შეფასებისთვის ამ მაჩვენებლის მაღალი მგრძნობელობის, რეპროდუცირებისა და ხორცის სიახლის ორგანოლეპტიკურ შეფასებასთან ურთიერთკავშირის შედეგად.

იმასთან დაკავშირებით, რომ ამ რეაქციის მექანიზმი ბოლომდე არ არსი ცნობილი, ანალიზის შედეგები გამოისახება ოპტიკური სიმკვრივის ფარდობით ერთეულში.

დასკვნა

საკვები პროდუქტების ხარისხის როლი და მნიშვნელობა მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პირობებში განუხრელად იზრდება. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით დგება საკვები პროდუქტების თანამედროვე ფიზიკო-ქიმიური მეთოდების პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით მოსახერხებელი ფორმით განხილვის ამოცანა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ. ფადიურაშვილი, ა. მანაგაძე, ნ. ერემეიშვილი. ს. კოლომიკოვი, ი გარსევანიშვილი. კვებისპროდუქტებისტექნოლოგიისადაექსპერტიზის მეთოდები და საშუალებები. თბ. 2013, სტუ-ს გამომცემლობა.
2. მზია წულუკიძე - პროდუქციის ხარისხის მართვის თანამედროვე მიდგომები. თბილისი, 2013, გამომცემლობა „უნივერსალი“.
3. Л. В. Донченко. В.Д. Надика безопасность пишевой продукции. Москва. изд. ДелиПринт. 2007 г.
4. И.А. С негирева Ю.Н. Жвпнко. Т.Г. Родина. А.Н. Рукосуев. Современ-

ные методы исследования качества пишуевых продуктов. Москва. 1976. издво „Економика“.

5. Edward Elgar, Enrironmentae Redieation and food safety. International development Research centre. Ottava. 2005 y.

Значение современных методов исследования качества пищевых продуктов

Мзия Цулукидзе, Профессор
Грузинского Технического Университета

Резюме

В статье рассматривается;

В современных условиях проблемы определения качества и безвредности, рационального исспользования, повышения питательной ценности и потребительных достоинств пищевых продуктов, которые решаются на основе глубокого исследования их состава, физико – химических и реологических свойств с использованием современных методов анализа.

В широкое понимание проблемы качества и безвредности включается и повышение качества продуктов питания.

Ключевые слова: Макро – микро элементы, структура вещества, хроматографические, спектральные, спектроскопические, фотометрические, реологические, люминесцентные методы исследования, пестициды, радиоактивные изотопы.

მეორე რიგის ალგებრული წირების აგების ერთი მეთოდი

რუსუდან ბიწაძე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

სიმონ ბიწაძე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია პოდერის დახმარებით წირის აგების მეთოდი. ნაჩვენებია, რომ წრფისა და წრეწირისაგან პოდერის დახმარებით აიგება მეორე რიგის ალგებრული წირები. სახელდობრ, თუ მოცემული წერტილი მდებარეობს წრეწირის შიგნით, მაშინ მიიღება ელიფსი. თუ მოცემული წერტილი მდებარეობს წრეწირის გარეთ, მიიღება ჰიპერბოლა. თუ წრეწირის ნაცვლად აგებულია წრფე, მაშინ მიიღება პარაბოლა.

საკვანძო სიტყვები: პოდერა, წერტილი, ელიფსი, ფოკუსი, წირი.

შესავალი

მეორე რიგის ალგებრული წირები წარმოადგენენ ისეთ წირებს, რომელთა განტოლება დეკარტის კოორდინატებში ჩაიწერება სახით

$$P(x, y) = 0,$$

სადაც $P(x, y)$ მეორე რიგის მრავალწევრია. ასეთ წირებს მიეკუთ-ვნება ელიფსი, ჰიპერბოლა და პარაბოლა.

ელიფსი ეწოდება სიბრტყის ყველა იმ წერტილთა სიმრავლეს, რომელთა მანძილების ჯამი ამ სიბრტყეში მდებარე ორ მოცემულ წერტილამდე (ე.წ. F_1, F_2 ფოკუსებამდე) მუდმივი სიდიდეა (ნახ. 1).



ნახ. 1



ნახ. 2

ჰიპერბოლა ეწოდება სიბრტყის ყველა იმ წერტილთა სიმრავლეს, რომელთა მანძილების სხვაობის მოდული ამ სიბრტყეში მდებარე ორ მოცემულ წერტილამდე (ე.წ. F_1, F_2 ფოკუსებამდე) მუდმივი სიდიდეა (ნახ. 2).

პარაბოლა ეწოდება სიბრტყის ყველა იმ წერტილთა სიმრავლეს, რომლებიც თანაბარი მანძილით არიან დაშორებული ამავე სიბრტყის მოცემული წერტილიდან (ე.წ. F ფოკუსიდან) და ამავე სიბრტყის მოცემული წრფიდან (ე.წ. Q დირექტრისიდან) (ნახ. 3).



ნახ. 3

K წირის პოდერა AF წერტილის მიმართ ეწოდება K წირის ყველა მხებზე F წერტილიდან დაშვებულ მართობთა ფუძეებისგან შემდგარ წირს.

პირიქით, თუ F წერტილს შევაერთებთ პოდერის ყოველ წერტილთან და გავავლებთ მიღებული მონაკვეთების მართობებს, მაშინ ეს მართობები შექმნიან K წირის მომვლებს. ამ დროს ამბობენ, რომ K წირი აიგო პოდერის მეშვეობით.

ძირითადი ნაწილი

ავიღოთ R რადიუსიანი წრეწირი და მის შიგნით მდებარე F_1 წერტილი (ნახ. 4).



ნახ. 4

F_1 წერტილზე ნებისმიერად გავავლოთ წრფე, რომელიც წრეწირს გადაკვეთს A და A' წერტილებში. ამ წრფეზე ავიღოთ E და E' წერტილები ისე, რომ დაცული იყოს თანაფარდობები

$$F_1A = AE \text{ და } F_1A' = A'E'.$$

AA' შემდეგ A და A' წერტილებში გავავლოთ მონაკვეთის მართობები t და t'. ავიღოთ F_2 წერტილი ისე, რომ O იყოს F_1F_2 მონაკვეთის შუაწერტილი. F_2E-ს t-თან გადაკვეთის წერტილი აღვნიშნოთ B-თი, ხოლო F_2E'-ის გადაკვეთის წერტილი t'-თან B'-ით. მაშინ შუამართობის თვისების გამო $F_1B = BE$ და ამიტომ

$$F_1B + BF_2 = EF_2.$$

OA წარმოადგენს F_2F_1E სამკუთხედის შუა მონაკვეთს და მაშასადამე $EF_2 = 2OA = 2R$, სადაც R წრეწირის რადიუსია. ამრიგად,

$$BF_1 + BF_2 = 2R.$$

ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ B წერტილი ძევს F_1 და F_2 ფოკუსების მქონე ელიფსზე, რომლის დიდი ნახევარღერძია R.

აგების მიხედვით $EBA = ABF_1$, ე.ი. კუთხეები t-სა და ელიფსის რადიუს-ვექტორებს შორის ტოლია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ t ეხება ელიფსს B წერტილში. ანალოგიურად t' ეხება B' წერტილში.

ახლა F_1 წერტილი R რადიუსიანი წრეწირის გარეთ ავიღოთ (ნახ. 5).



ნახ. 5



ნახ. 6

ამ დროს B და B' წერტილები აღწერენ ჰიპერბოლის ორ განსხვავებულ შტოს, რადგან

$$BF_2 - BF_1 = F_1F_2 = B'^{F_1} - B'F_2 \text{ და } FF_2 = 2R.$$

ახლა განვიხილოთ ნახ. 6.

A, E წერტილები და t წრფე აგებულია წინა ორი აგების ანალოგიურად. E -დან დავუშვათ მართობი p წრფეზე. B იყოს ამ მართობის t-თან გადაკვეთის წერტილი. მაშინ $BF_1 = BE$. წინა ორი შემთხვევისაგან განსხვავებით, E წერტილი აღწერს ℓ წრფეს. აქედ ან გამომდინარე, B წერტილი აღწერს პარაბოლას ფოკუსით F_1 წერტილში და ℓ დირექტრისით. t წრფე EBF_1 კუთხეს ყოფს შუაზე, აქედან გამომდინარე, t წრფე პარაბოლას ეხება B წერტილში.

დასკვნა

ამრიგად, ელიფსი, ჰიპერბოლა და პარაბოლა აიგება პოდერის მეშვეობით წრეწირისა და წრფისაგან. თუ მოცემული F_1 წერტილი მდებარეობს O ცენტრის მქონე წრეწირის შიგნით, მაშინ მიიღება ელიფსი. ამასთან F_1 იქნება მისი ერთი ფოკუსი, მეორე ფოკუსი კი იქნება F_2 (F_1-ის სარკისებრი ანასახი O ცენტრის მიმართ). თუ F_1 წერტილი მდებარეობს წრეწირის გარეთ, მაშინ მიიღება ჰიპერბოლა, რომლის ფოკუსებია F_1 და F_2. თუ წრეწირის ნაცვლად ავიღებთ წრფეს, მივიღებთ პარაბოლას, რომლის ფოკუსიც იქნება F_1, ხოლო დირექტრისა p-ს პარალელური ℓ წრფე, რომელიც მდებარეობს p წრფიდან სხვა მხარეს იმავე მანძილზე, როგორც წერტილი F_1.

ლიტერატურა

1. А.Д. Мышкис, Лекции по высшей математике, Москва, 1964, с. 608.
2. Hilbert D., Cahn-Vossen S. Anschauliche geometrie, Berlin, 1943, 350 s.

One method of the algebraic second-order curves (conic section) construction

Rusudan Bitsadze, associate professor
Georgian Technical University

Simon Bitsadze, associate professor
Georgian Technical University

Summary

The method for conic section construction by means of podera is considered in the work. There is shown that the algebraic second-order conic sections are constructed from the line and circumference by means of podera. In particular, if the given point is located inside a circumference, than ellipse is received. If the given point is located outside a circumference, than hyperbola is received. And if a line is constructed instead of a circumference, than parabola is received.

მეორე რიგის ზედაპირების ერთი თვისების შესახებ

რუსუდან ბიწაძე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

სიმონ ბიწაძე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ძაფის გამოყენებით ელიფსოიდის აგების მეთოდი. მეთოდს საფუძვლად უდევს ელიფსისა და ჰიპერბოლისაგან შემდგარი მყარი კონსტრუქციის გამოყენება, რომელშიც ჰიპერბოლის სიბრტყე ელიფსის სიბრტყის მართობულია და შეიცავს ელიფსის დიდ ღერძს. ნაჩვენებია, რომ ერთი და იმავე ფოკალური წირების მქონე ელიფსოიდების, ცალკალთა და ორკალთა ჰიპერბოლოიდების ოჯახები ცალ-ცალკე შეავსებენ სივრცეს უწყვეტად და ერთგზის.

საკვანძო სიტყვები: ელიფსოიდი, ცალკალთა ჰიპერბოლოიდი, ორკალთა ჰიპერბოლოიდი, ელიფსი, ჰიპერბოლა.

შესავალი

განვიხილოთ სივრცეში დეკარტის მართკუთხა $Oxyz$ კოორდინატთა სისტემა და ამ სისტემის მიმართ განტოლება

$$\begin{aligned} &a_{11}x^2 + a_{22}y^2 + a_{33}z^2 + 2a_{12}xy + 2a_{13}xz + 2a_{21}yz + \\ &+2a_{14}x + 2a_{24}y + 2a_{34}z + a_{44} = 0 \end{aligned} \qquad (1)$$

$Oxyz$ სივრცის ყველა იმ წერტილთა სიმრავლეს, რომლის კოორდინატები აკმაყოფილებენ (1) განტოლებას, ეწოდება მეორე რიგის ზედაპირი.

(1) განტოლების კერძო შემთხვევებია

$$\frac{x^2}{a^2} + \frac{y^2}{b^2} + \frac{z^2}{c^2} = 1, \qquad (2)$$

$$\frac{x^2}{a^2} + \frac{y^2}{b^2} - \frac{z^2}{c^2} = 1, \qquad (3)$$

$$\frac{x^2}{a^2} + \frac{y^2}{b^2} - \frac{z^2}{c^2} = -1 \qquad (4)$$

სახის განტოლებები. ამ განტოლებათა შესაბამისი ზედაპირების ფორმის დასადგენად თუ გამოვიყენებთ კვეთების მეთოდს, ვნახავთ, რომ (2), (3), (4) განტოლებები წარმოადგენენ, შესაბამისად, ელიფსოიდის (ნახ. 1), ცალკალთა

ჰიპერბოლოიდისა (ნახ. 2) და ორკალთა ჰიპერბოლოიდის (ნახ. 3) კანონიკურ განტოლებებს.



ნახ. 1



ნახ. 2



ნახ. 3



ნახ. 4

ძირითადი ნაწილი

დიდი ხნის წინ გახდა ცნობილი ელიფსის აგების მეთოდი ძაფის გამოყენებით და რადგან მეორე რიგის ზედაპირები სივრცეში თამაშობენ იმავე როლს, რასაც მეორე რიგის წირები სიბრტყეზე, ამიტომ მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო ელიფსოიდის აგებაც ძაფის დახმარებით. შტაუბემ 1882 წელს მიუთითა ელიფსოიდის აგების ხერხი ძაფის გამოყენებით. ამ აგებას საფუძვლად უდევს იმ მყარი კონსტრუქციის გამოყენება, რომელიც შედგება ელიფსისა და ჰიპერბოლისგან, რომელშიც ჰიპერბოლის სიბრტყე ელიფსის სიბრტყის მართობულია და შეიცავს ელიფსის დიდ ღერძს (ნახ. 4).

ამასთან ელიფსის ფოკუსები F_1 და F_2 წარმოადგენენ ჰიპერბოლის წვეროებს, ხოლო ელიფსის A_1 და A_2 წვეროები, თავის მხრივ, წარმოადგენენ

ჰიპერბოლის ფოკუსებს. ეს პირობები ცალსახად განსაზღვრავენ ჰიპერბოლას. თუ ძაფის ბოლოს მივაბამთ ელიფსის ერთ-ერთ წვეროს, მაგალითად A_1-ს, შემდეგ ელიფსის სიბრტყის ქვეშ ძაფით შემოვრკალავთ ჰიპერბოლის შტოს A_1-თან უმოკლეს მანძილზე მდებარე B წერტილში, ძაფს გამოვიტანთ წინ და შემდეგ წინიდან შემოვრკალავთ ძაფით ელიფსს, 200ძაფს ავიტანთ ელიფსის სიბრტყის ზემოთ და ბოლოს ძაფს მივაბამთ F_2 წერტილში და ამის შემდეგ D წერტილში მოვჭიმავთ ძაფს, ეს უკანასკნელი მიიღებს A_1BDCF_2 ტეხილის ფორმას. შევნიშნოთ, რომ DBA_1 ტეხილი წარმოადგენს უმოკლეს გზას D და A_1 წერტილებს შორის, რომელიც გაივლის ჰიპერბოლას. ანალოგიური თვისება აქვს DCF_2 ტეხილსაც D და F_2 წერტილების მიმართ. ახლა თუ ძაფს დავტოვებთ დაჭიმულ მდგომარეობაში და შევცვლით D წერტილის მდებარეობას, მაშინ D წერტილი გადაადგილდება ელიფსოიდის ზედაპირზე. ნახ. 4-ზე მოცემულ შემთხვევაში D წერტილი აღწერს ელიფსოიდის წინა ქვედა მეოთხედს. დანარჩენი სამი მეოთხედი აღიწერება იმის მიხედვით, თუ A_1 და F_2 წერტილებში მიბმული ძაფი როგორ შემორკალავს ელიფსსა და ჰიპერბოლას. შევნიშნოთ, რომ ძაფის ბოლოები შეიძლება მივაბათ ელიფსისა და ჰიპერბოლის სხვა წერტილებშიც, თუ შესაძლებელია ძაფის დაჭიმვა აღწერილი სახით.

ელიფსოიდის აგებისას ელიფსი და ჰიპერბოლა თამაშობენ იგივე როლს, რასაც ფოკუსები ელიფსის აგებისას. აქედან გამომდინარე, მათ უწოდებენ ელიფსოიდის ფოკალურ წირებს. ზოგადად მეორე რიგის ზედაპირებს ფოკალურ წირებად აქვთ ელიფსი და ჰიპერბოლა, თუ ამ უკანასკნელთა სიბრტყეები წარმოადგენენ სიმეტრიის სიბრტყეებს და ზედაპირის გადაკვეთისას წარმოქმნიან მეორე რიგის წირებს, რომელთაც იგივე ფოკუსები აქვთ, რაც ფოკალურ წირებს. რადგან ელიფსოიდისა და ჰიპერბოლოიდის სიბრტყით კვეთა ან ელიფსია ან ჰიპერბოლა, გვექნება ოთხი განსხვავებული შემთხვევა. თუ ორივე კვეთა ელიფსია, მაშინ გვექნება ელიფსოიდი. თუ ორივე კვეთა ჰიპერბოლაა, მაშინ გვექნება ორკალთა ჰიპერბოლოიდი. თუ ფოკალური ჰიპერბოლის სიბრტყე გადაიკვეთება ზედაპირთან ჰიპერბოლაზე, ხოლო ფოკალური ელიფსის სიბრტყე - ელიფსზე, ზედაპირი იქნება ცალკალთა ჰიპერბოლოიდი. მეოთხე შემთხვევა წარმოსახვითია და ფიზიკურად ვერ განხორციელდება.

დასკვნა

ელიფსოიდის აგებისას თუ ვისარგებლებთ სხვადასხვა სიგრძის ძაფით, მივიღებთ ერთი და იმავე ფოკალური წირების მქონე ელიფსოიდების ოჯახს, რომელთა ერთობლიობა შეავსებს სივრცეს უწყვეტად და ერთგზის. ასევე ცალკალთა და ორკალთა ჰიპერბოლოიდების ოჯახები, რომელთაც იგივე ფოკალური წირები აქვთ, ცალ-ცალკე შეავსებენ სივრცეს უწყვეტად და ერთგზის.

ამრიგად, სივრცის ყოველ წერტილზე გადის ერთი ელიფსოიდი, ერთი ცალკალთა ჰიპერბოლოიდი და ერთი ორკალთა ჰიპერბოლოიდი.

ლიტერატურა

1. А.Д. Мышкис, Лекции по высшей математике, Москва, 1964, с. 608.
2. Hilbert D., Cahn-Vossen S. Anschauliche geometrie, Berlin, 1943, 350 s.

On one property of surfaces of second order

Rusudan Bitsadze, associate professor
Georgian Technical University

Simon Bitsadze, associate professor
Georgian Technical University

Summary

The method for ellipsoid construction using a thread is considered in the work. The method is based on the use of robust construction consisting of ellipse and hyperbola, in which a hyperbola plane is perpendicular to ellipse plane and contains major axis of ellipse. It is shown that a sets of ellipsoids, one-sheeted and two-sheeted hyperboloids having one and the same focal line will separately fill the space uninterruptedly and once.

„ინდუსტრია 4.0“-ის „ჭკვიან“ ქსელურ სისტემებში, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისა და განვითარების პრობლემების მიმოხილვა

არჩილ გრიგალაშვილი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქეთევან ილურიძე, ასისტენტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თეიმურაზ თუთბერიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ბოლოდროინდელ ინოვაციური ტექნოლოგიების მიღწევებმა, ელექტრო-ენერგიაზე მოთხოვნის გაზრდამ და მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის გაჩენამ გამოიწვია ჭკვიანი, ეფექტური და სანდო ენერგეტიკულ სისტემებზე მოთხოვნილების გაზრდა. ამ მოვლენამ ხელი შეუწყო ჭკვიანი ქსელის კონცეფციის გაჩენას. ჭკვიანი ქსელი წარმოადგენს ძველი ელექტრული ქსელის პოტენციურ ჩანაცვლებას, რომელსაც შეუძლია გაანაწილოს ენერგია მოთხოვნიდან გამომდინარე. ჭკვიანი ქსელი საკმაოდ რთული სისტემაა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა კომპონენტებს და მოითხოვს რეალურ დროში საიმედო მუშაობას. წინამდებარე სტატიაში განხილულია ჭკვიანი ქსელის სისტემები, ჭკვიანი ქსელის არქიტექტურა და სხვადასხვა კომპონენტები, რომლებიც საჭიროა ჭკვიანი ქსელის გამართული ფუნქცი-ონირებისთვის. გარდა ამისა, ნაშრომში განხილულია ისეთი გამოწვევები და საკითხები, რომელთა მოგვარებაც საჭიროა ჭკვიანი ქსელის წარმატებით დანერგვისთვის.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური ტექნოლოგიები, ინდუსტრია 4.0, ნივთების ინტერნეტი, ჭკვიანი ქსელი.

შესავალი

მეოთხე ინდუსტრიულმა რევოლუციამ, რომელიც ცნობილია, როგორც ინდუსტრია 4.0, გამოიწვია მკვლევარებისა და მწარმოებლების დისკუსია. ის ემყარება ჭკვიანი საწარმოო პროცესების გამოყენებასა და სისტემის სრულ ავტომატიზაციას. მისი მიზანია წარმოების პროცესის გაუმჯობესება, სწრაფი ინდუსტრიული განვითარება- მიწოდებისა და მოთხოვნის ინტეგრაცია. ინდუსტრია 4.0-ის ძირითადი კომპონენტებია დიდი მონაცემების (Big data) ანალიზი და ავტომატიზაცია.

ელექტროენერგიის ტარიფების ზრდის, კლიმატის ცვლილებებისა და ენერგორესურსების შემცირების გამო, ტრადიცული ელექტრული ქსელი ვერ უძლებს ინოვაციური ტექნოლოგიებისა და სამრეწველო ინოვაციების გაზრდილ მოთხოვნებს [1]. ჭკვიანი ქსელი განიხილება, როგორც შესაბამისი

გამოსავალი ამ გამოწვევის მოსაგვარლებლად. ჭკვიანი ქსელი უზრუნველ-ყოფს ინდუსტრიული რევოლუციის მეოთხე ფაზას, რომელსაც უწოდებენ „ჭკვიან ქსელს ინდუსტრია 4.0-ში."

ინდუსტრია 4.0 კონცეფცია მხოლოდ საწარმოო პროცესს არ მოიცავს, მასში იგულისხმება მთლიანი პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი, წარმოებიდან მომხმარებლამდე. ამ სასიცოცხლო ციკლის ავტომატიზაციის მიღწევა შესაძლებელია ინფორმაციული და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით, როგორიცაა დიდი მონაცემების ანალიზი. ჭკვიანი ქსელი მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპზე. ჭკვიანი ქსელი ინდუსტრია 4.0-ი მონიტორინგს უწევს საწარმოში ელექტროენერგიის განაწილებას.

ასევე აღსანიშნავია, რომ მსოფლიო მიისწრაფვის წიაღისეული საწვავი ჩანაცვლებული იქნას განახლებადი ეკოლოგიურად სუფთა რესურსებით, როგორიცაა ქარი, მზე და სხვა [2]. ჭკვიან ქსელს შეუძლია შეამციროს ელექტროენერგიის წარმოების დროს დანაკარგები, გაზარდოს საიმედოობა და ზუსტად მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდოს ელექტროენერგია ობიექტებს [3]. ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, ჭკვიან ქსელს შეუძლია მიიღოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ელექტროენერგიის მოთხოვნაზე დაყრდნობით, როგორიცაა რეალურ დროში ტარიფების დადგენა, ელექტროენერგიის მოხმარების დაგეგმვა. მსგავის მიდგომა ჭკვაინ ქსელს საშუალებას აძლევს გაამჯობესოს ენერგოსისტემის ეფექტურობა და ადამიანების ნაკლები ჩარევით იმუშაოს დამოუკიდებლად. ამრიგად, ჭკვიანი ქსელის სისტემაში თანამშრომელს, მომხმარებელსა და გენერაციის ობიექტებს შორის რეალურ დროში ხდება ინფორმაციის გაცვლა, რაც საშუალებას იძლევა შეიქმნას ელექტროენერგიის წარმოების მოდელი მაღალი მოქნილობით [4].

ინდუსტრია 4.0-სა და ჭკვიან ქსელს შორის ურთიერთობა შეიძლება იყოს სიმბიოზური, რადგან ჭკვიანი ქსელი ხელს უწყობს ენერგოსისტემების ეფექტურ გამოყენებას. ინდუსტრიას თავის მხრივ, შეუძლია შექმნას თავსე-ბადი გარემო ელექტროენერგიის ჭკვიანური მოხმარებისთვის, მაგრამ ტრა-დიციული ენერგოსისტემიდან გადასვლა „ჭკვიანი ქსელი ინდუსტრია 4.0"-ში საკმაოდ რთულია და მოითხოვს საკომუნიკაციო ქსელის ინფრასტრუქ-ტურის განვითრებას. გარდა ამისა, ჭკვიანი ქსელი წარმოადგენს რამდენიმე სისტემისა და ტექნოლოგიის ერთობლიობას, როგორებიცაა: ღრუბლოვანი გამოთვლები, დიდი მონაცემების მიმოცვლა, ნივთების ინტერნეტი (IoT) და სხვა.

ძირითადი ნაწილი

ჭკვიანი ქსელის საიმედო და ეფექტური მუშაობის მისაღწევად მნიშვნე-ლოვანია საკომუნიკაციო ქსელის ძლიერი ინფრასტრუქტურის შექმნა. არსებობს ჭკვიანი ქსელის მრავალი არქიტექტურული მოდელი, განვსაზ-ღვროთ მათგან სამი ძირითადი:

1. ენერგოსისტემის მოდელი: პასუხისმგებელია მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის გამომუშავებასა და მიწოდებაზე, როგორც

ტრადიციულ ელექტროენერგეტიკულ ქსელში;

2. კომუნიკაციის მოდელი: რომელიც უზრუნველყოფს სისტემის ყველა კომპონენტებს შორის ურთიერთკავშირს, მონაცემების შეგროვებას, მონაცემთა ცენტრში გადასაცემად და პირიქით.
3. პროგრამების მოდელი: ინფორმაცია მუშავდება მონიტორინგისა და კონტროლისთვის, რათა განხორციელდეს მონაცემების ისეთი გადაცემა, როგორიცაა მოთხოვნის მართვა, მრიცხველის მონაცემების ავტომატური კითხვა.

ჭკვიანი ქსელის სისტემები დამოკიდებულია მთელი რიგი ქსელების გამოყენებაზე, რომლებიც განსხვავდება ზომითა და მდებარეობით, როგორიცაა:

1. მომხმარებლის ქსელი (HAN), რომელიც აკავშირებს ჭკვიან მოწყობილობებს სახლის შიგნით არსებულ ჭკვიან მრიცხველთან და შეუძლია მონაცემთა საიმედო გაცვლა დაბალი სიჩქარის პირობებში.
2. შენობების არეალის ქსელი (BAN), ის მოიცავს უფრო დიდ შენობებს და შეიძლება შედგებოდეს მრავალი მცირე ზომის ქსელისგან.
3. სამრეწველო ქსელი (IAN), რომელიც უფრო რთულია და სპეციალიზირებულია ქარხნებისა და სამრეწველო შენობებისთვის;
4. სამეზობლო ქსელი- პასუხისმგებელია (NAN), მომხმარებლის ქსელი, შენობების ქსელი და სამრეწველო ქსელი დააკავშიროს გლობარულ ქსელთან, რომელიც გულისხმობს ათასობით ჭკვიანი მრიცხველიდან მიღებული მონაცემების დამუშავებასა და გადაცემას.
5. გლობალური ქსელი (WAN), რომელიც იყენებს სამეზობლო ქსელის მიერ მიღებული მონაცემების გადაგზავნას მართვის ცენტრში. გლობალური ქსელი მოითხოვს მონაცემთა გადაცემის მაღალ სიჩქარესა და დაფარვის დიდ მანძილს, ხოლო საკომუნიკაციო საშუალებად იყენებს ოპტიკურ ქსელს.

ჭკვიანი ქსელი წარმოადგენს რთულ სისტემას, რომელიც შედგება სხვადასხვა კომპონენტებისა და სატელეკომუნიკაციო სისტემებისგან. ქვემოთ განხილულია რამდენიმე ძირითადი ტექნოლოგია, რომელიც ჭკვიანი ქსელის სისტემის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

ნივთების ინტერნეტი (Iot)

ქსელი, რომელიც ინტერნეტის საშუალებით უკავშირდება ნებისმიერ ობიექტს და სხვადასხვა ჭკვიან მოწყობილებებს შორის ახორციელებს მონიტორინგის, მენეჯმენტის, იდენტიფიკაციის მონაცემების გაცვლას. ასეთ ქსელს უწოდებენ ნივთების ინტერნეტს. ნივთების ინტერნეტი ასევე სიახლედ ითვლება იმით, რომ ის არსებულ ქსელებს უმატებს ფუნქციებს და მათ საშუალებას აძლევს მიიღოს გადაწყვეტილება დროის კრიტიკულ მომენტში, მრავალ სხვადასვა სფეროში, როგორიცაა ჯანდაცვა, ლოჯისტიკა, წარმოება და სხვა .

ნივთების ინტერნეტის ტექნოლოგია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჭკვიან ქსელში, რადგან ის საშუალებას იძლევა მონაცემების ეფექტურად გადაცემას ჭკვიანი ქსელის სხვადასხვა კომპონენტებს შორის. ნივთების

ინტერნეტის სისტემები საჭიროა ელექტროგადამცემი ხაზების საიმედოობის გასაუმჯობესებლად და ენერგიის დანაკარგების შესამცირებლად.

ჭკვიანი ქსელის მომხმარებლებს შორის მონაცემთა გაცვლის წარმატებული კავშირის მისაღწევად საჭიროა რამოდენიმე კომპონენტის გამოყენება, როგორებიცაა - ჭკვიანი ქსელის მრიცხველები, მზის ენერგიის გამოყენების პროგრამები, ქსელის მონიტორინგის კონტროლი, ქსელის ინტერფეისი. ყველა ამ კომპონენტის გამართულად მუშაობა საჭიროა რეალურ დროში მონაცემების ზუსტი გადაცემისთვის.

საკომუნიკაციო ტექნოლოგიები „ჭკვიანი ქსელი ინდუსტრია 4.0-ში“

ჭკვიანი ქსელის ოპერირებისთვის არსებით მნიშვნელობას წარმოადგენს მონაცემთა გადაცემა, ამიტომ მასში გამოყენებულია საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფართო სპექტრი. ქსელს უნდა შეეძლოს ჭკვიანი მრიცხველებიდან ინფორმაციის მიღება-გაგზავნა დიდ მანძილზე და სათანადო კომუნიკაციას დამყარება ტრადიციულ ელექტრულ ქსელთან.

დასკვნა

მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის ფარგლებში, ჭკვიანი ქსელი თანდადათობით ცვლის ტრადიცულ ენერგეტიკულ ქსელს, რათა უზრუნველყოფილ იქნას ენერგოეფექტურობა და საიმედობა. ჭკვიანი ქსელის განვითარება უფრო და უფრო მიდის დეცენტრალიზაციისა და ავტომატიზაციის მიმართულებით. ამავე დროს, მნიშვნელოვანია შევისწავლოთ ჭკვიანი ქსელის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართული თანამედროვე ტექნოლოგიები.

ჭკვიანი ქსელის ძირითადი არქიტექტურა მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას: ელექტროენერგეტიკულ, საკომუნიკაციო და გამოყენებით სისტემებს. ჭკვიანი ქსელი ცალკეულ ნაწილებს შორის კომუნიკაციის გასამარტივებლად იყენებს სხვადასხვა ტიპის ქსელებს, მაგალითად: მომხმარებლის ქსელს, შენობების არეალის ქსელს, გლობალურ ქსელს და ა.შ. გარდა ამისა, ჭკვიანი ქსელი იყენებს სხვადასხვა კომპონენტებს თანამედროვე ტექნოლოგიიდან, მაგალითად, ნივთების ინტერნეტი (Iot).

ჭკვიანი ქსელის შექმნისთვის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს მონაცემთა შეგროვება და გადაცემა. არსებობს ახალი და უკვე არსებული ტექნოლოგიები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია, მაგალითად, 5G ტექნოლოგია - ფიჭურ და ოპტიკურ-ბოჭკოვან ქსელებში, პროგრამული უზრუნველყოფით განსაზღვრული ქსელი (SDN)- ქსელის მართვის მეთოდებში და ვირტუალიზაცია - ჭკვიანი ქსელის მწარმოებლურობის გასაუმჯობესებლად. ჭკვიანი ქსელის დანერგვისა და განვითარების გამოწვევები განპირობებულია მისი კიბერფიზიკური ხასიათის გამო. ეს გამოწვევები მოიცავს კომუნიკაციის სტანდარტების ნაკლებობას, მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების აუცილებლობას და ა.შ. ყველა ეს გამოწვევები, როგორიცაა კონფიდენციალურობა და კიბერშეტევები, წარმოადგენს პრობლემებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ჭკვიანი ქსელის დანერგვისა და ექსპლუატაციისას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. V. C. Gungor, D. Sahin, T. Kocak, S. Ergut, C. Buccella, C. Cecati, et al., "Smart grid technologies: Communication technologies and standards," IEEE transactions on Industrial informatics, vol. 7, pp. 529-539, 2011.
2. M. Moretti, S. N. Djomo, H. Azadi, K. May, K. De Vos, S. Van Passel, et al., "A systematic review of environmental and economic impacts of smart grids," Renewable and Sustainable Energy Reviews, vol. 68, pp. 888-898, 2017.
3. R. Deng, Z. Yang, M.-Y. Chow, and J. Chen, "A survey on demand response in smart grids: Mathematical models and approaches," IEEE Transactions on Industrial Informatics, vol. 11, pp. 570-582, 2015.
4. M. Fischetti, G. Sartor, and A. Zanette, "MIP-and-refine matheuristic for smart grid energy management," International Transactions in Operational Research, vol. 22, pp. 49-59, 2015.

Overview of problems in the deployment and development of innovative technologies in the "smart" network systems of "Industry 4.0"

Archil Grigalashvili, associate professor
Georgian Technical University

Ketevan Iluridze, PhD student
Georgian Technical University

Teimuraz Tutberidze, PhD student
Georgian Technical University

Summary

Recent advances in innovative technologies, increasing demand for electricity and the advent of the Fourth Industrial Revolution, have led to an increase in demand for smart, efficient and reliable energy systems. This event contributed to the emergence of the smart grid concept. A smart grid is a potential replacement for an old electrical grid that can distribute energy according to demand. This paper discusses smart grid systems, smart grid architecture, and outlines the various components needed to make it work properly. Smart networking systems incorporate innovative technologies and network management tools. In addition, the paper highlights the challenges and issues that need to be addressed for the successful implementation of a smart grid.

Keywords: Innovative Technologies, Industry 4.0, Internet of things ,Smart Grid.

ტყესაკაფი სამუშაო პროცესის ეკოლოგიურად უვნებელი ტექნოლოგია მთაგორიან პირობებში

მალხაზ ცუცქირიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ზაურ ბალამწარაშვილი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

თანამედროვე მექანიზაციის მაღალი დონის პირობებში, მთაგორიანი ტყესაკაფების ასათვისებლად დამუშავებულია ტყესაკაფი სამუშაო პროცესების ინდივიდუალური ტექნოლოგიური სქემა, რაც საშუალებას გვაძლევს გაუმჯობესდეს ხე-ტყის დამზადების, კერძოდ ტყესაკაფზე მორთრევის ტექნოლოგიური პროცესი.

დამუშავებული მეთოდიკის საფუძველზე ტყესაკაფზე ტყის მორთრევის ეკოლოგიური ტექნოლოგიის პრობლემის გადაჭრის მიზნით, დასმულია საკითხი, რთული მთაგორიანი ტყესაკაფების ასათვისებლად დამუშავდეს და შეიქმნას ახალი სქემები და მანქანა დანადგარები. ტექნოლოგიურ სქემებში მკაფიოდ გაწერილი სმუშაო პროცესების რიგითობით და მანქანა დანადგარების ეფექტური გამოყენებით.

საკვანძო სიტყვები: ტყესაკაფი, მაგისტრალური საკაბდო, სბაგირო დანადგარი, მორსათრევი თვითმტვირთავი აგრეგატი (მთა), ეკოლოგიურად უვნებელი კომპლექსური მექანიზაცია.

შესავალი

საქართველოს სატყეო რესურსების უმეტესი ნაწილი მთაგორიან, რთულ რელიეფურ ადგილებში მდებარეობენ, კერძოდ 25°- მდე -- 20%, 25°- 40°- მდე -- 65%, 40°- ზე მეტი -- 15%.

ტყესაკაფები სადაც წარმოებს ხე-ტყის დამზადება-მორთრევა, ტექნოლოგიური სქემების მიხედვით, შეიძლება დაიყოს სამი მაჩვენებლის, რელიეფის, ფერდობის დახრის კუთხის და ტყესაკაფის ავტოტყესაზიდ გზასთან მიბმიბმის მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთაგორიან პირობებში განლაგებული ტყესაკაფები შეიძლება წარმოდგენილი იყოს ოთხი ძირითადი ჯგუფის სახით:

- 20°- მდე დახრილობის ტყესაკაფები მიბმული ავტოტყესაზიდ გზასთან, მიეკუთვნებიან I ჯგუფს.
- 20°- მდე დახრილობის ტყესაკაფები ავტოტყესაზიდ გზებიდან დაცილებული და მათგან დიდი დახრილობის ფერდობით ან ხრამით გამოყოფილი, მიეკუთვნებიან II ჯგუფს.
- 20°- ზე მეტი დახრილობით ტყესაკაფები ავტოტყესაზიდ გზებთან მიბმული, მიეკუთვნებიან III ჯგუფს.
- ერთმანეთზე მიბმული ტყესაკაფები - ზემოთა 20°- მდე დახრილობით

(პლატო), ქვემოთა კი - საავტომობილო გზასთან გამოსვლით - 20° - ზე მეტი დახრილობით, მიეკუთვნებიან IV ჯგუფს.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატყეო ტექნიკურ დეპარტამენტში დამუშავებულია ტყესაკაფი სამუშაო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის თორმეტი ტექნოლოგიური სქემა. მიუხედავად ტექნოლოგიური სქემების სიმრავლისა, მაინც არის ისეთი ტყესაკაფები, რომელთა ასათვისებლად აღნიშნული ტექნოლოგიური სქემები ნაკლებად მისაღებია, როგორც სამუშაო პროცესის ოპერაციების რაოდენობის ასევე მათი თანმიმდევრობის სრულყოფის გათვალისწინებით.

დამუშავებულია ტექნოლოგიური სქემა № 1 ა (ნახ. 1), რომელიც მისაღებია იმ შემთხვევაში, როცა ფერდობის დახრის კუთხე იცვლება 20° - დან 30° - მდე და უშუალოდ ერთვის ავტოტყესაზიდ გზას. ასეთი ტყესაკაფი შეიძლება წარმოადგენდეს 20°- მდე დახრილობის ტყესაკაფის გაგრძელებას, როცა ტყესაკაფის 20°- იანი დახრილობა მატულობს და თანდათან გადადის 30° -იანი დახრილობის ტყესაკაფზე. ტყესაკაფის სიღრმე, ანუ მაგისტრალური სატრანსპორტო გზის სიგრძე 1000 მ-ია და შუაზე ყოფს ტყესაკაფს.



ნახ. 1. ტექნოლოგიური სქემა № 1ა.

1 - მაგისტრალური საკაბდო; 2 - ტყესაკაფი სათრევები (განშტოებები);
3 - მორსათრევი თვითმტვირთავი აგრეგატი; 4 - შოლტი;
5 - ზედა საწყობი (სატვირთო ბაქანი); 6 - ავტოტყესაზიდი გზა;
I-II-III-IV-V-VI - პირობითი ტყესაკაფი ზოლები

ხის წაქცევის, მოჭრის ადგილიდან ხე-ტყის მორთრევას აწარმოებენ სპეციალიზირებული მორსათრევი ტრაქტორ TT-4- ით ნახევრადდატვირთულ და მთა-ით მთლიანად დატვირთულ მდგომარეობაში. ამ შემთხვევაში ანუ №1ა ტექნოლოგიური სქემის გამოყენების დროს მორთრევის მექანიზებული ტექნოლოგიური პროცესი მოიცავს შემდეგ ოპერაციებს:

- უქმი სვლა ცენტრალური ავტოტყესაზიდი გზიდან ტყესაკაფზე, ჯერ მაგისტრალური საკაბდოთი ტყესაკაფის გრძივი მიმართულებით, ქვევიდან ზევით რომელიმე პირობით ტყესაკაფ ზოლოამდე, შემდეგ დამხმარე საკაბდოთი განივი მიმართულებით მოჭრილ ხემდე;

- ტრაქტორის ან მთა-ის გადაყვანა და მომზადება ჯალამბრის დახმარებით მოჭრილი ხის ქვევიდან ზევით ამოსათრევად;

- ჯალამბრის კაკვიანი საწევი ბაგირის ხელით ჩატანა მოჭრილ ხემდე და ჩოკერით ჩაბმა;

- მოჭრილი ხის ქვევიდან ზევით ამოთრევა ტრაქტორამდე-აგრეგატამდე, რომელიც გაჩერებულია ერთ-ერთ დამხმარე განივ საკაბდოზე;

- მოჭრილი ხის ან შოლტის მორთრევა განივი მიმართულებით მაგისტრალურ საკაბდოსთან მოწყობილ დროებით დამხმარე ბაქანზე და დამორვა;

- მაგისტრალური საკაბდოთი მორების მორთრევა ზედა საწყობზე TT-4 -ით ნახევრად დატვირთულ და მთა-ით მთლიანად დატვირთულ მდგომარეობაში;

- ზედა საწყობზე მორების ჩახსნა-ჩამოცლა და ტრაქტორის ან მთა-ის უკან დაბრუნება ტყესაკაფზე ციკლის გასამეორებლად.

№ 1 ა ტექნილოგიური სქემიდან ნათლად ჩანს რომ მორთრევის სამუშაო პროცესი მნიშვნელოვნად გართულებულია № 1 ტექნოლოგიურ სქემასთან შედარებით, რაც გამოწვეულია ტყესაკაფის რთული რელიეფური პირობებით, თუმცა ამ შემთხვევაშიც მორთრევა ხორციელდება ან ტრაქტორ TT-4 -ით ან მთა-ით.

№ 1 ა ტექნოლოგიური სქემიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, როცა ფერდობის დახრილობა იცვლება 20°-დან 30°-მდე ტყესაკაფის მოსამზადებლად აუცილებელია ტყესაკაფის მთელ სიგრძეზე წინასწარ გაიჩეხოს ტყის ვიწრო ზოლი და გაკეთდეს მაგისტრალური საკაბდო ტრაქტორის და აგრეგატის ორივე მიმართულებით შეუფერხებელი გადაადგილებისათვის. ამასთან, ტყესაკაფი დაყოფილია გარკვეული რაოდენობის პირობით ტყესაკაფ ზოლებად, თითოეული პირობითი ზოლისათვის მოწყობილია დამხმარე განივი საკაბდო და დამხმარე მცირე ზომის ბაქანი, მაგისტრალურ საკაბდოზე ხე-ტყის დასამორად.

№ 1 ა ტექნოლოგიური სქემა შეიძლება შეიცვალოს ისეთნაირად, რომ მაგისტრალური საკაბდოს ნაცვლად გაკეთდეს საბაგირო მორსათრევი დანადგარის ტრასა, გვერდებიდან დამხმარე საკაბდოებზე ტრაქტორებით განივი მიმართულებით მორთრეული ხე-ტყის ჩამოსაშვებად ზედა საწყობზე.

ახლად დამუშავებული № 1 ა ტექნოლოგიური სქემის უპირატესობა აშკარაა, რაც გამოიხატება მაგისტრალური საკაბდოს მორსათრევად გამოყენების შემთხვევაში, როცა მორთრევის ტექნოლოგიური პროცესი

ხორციელდება მუხლუხა ტრაქტორებით, ვიდრე საჰაერო საბაგირო მორსათრევი დანადგარის გამოყენების დროს, როცა ტრაქტორებით ტყესაკაფის გვერდებიდან მოზიდული ხე-ტყის ჩამოშვება წარმოებს საჰაერო საბაგირო დანადგარით, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია საბაგირო ტრასების გაყვანის, აგრეთვე საჰაერო საბაგირო დანადგარის მონტაჟის და დემონტაჟის სირთულეებთან.

დასკვნა

დამუშავებულია ტყესაკაფი სამუშაოების კომპლექსური მექანიზაციის № 1 ა ტექნოლოგიური სქემა; ტექნოლოგიურ სქემაში გათვალისწინებულია 20°-დან 30°-მდე დახრილობის ტყესაკაფების ათვისების სირთულეები და თავისებურებები. აღნიშნული პირობებისათვის შერჩეულია ტექნიკა, მორსათრევი აგრეგატების სახით, აღჭურვილი ძარისა და ისრის სახსრულ-ბერკეტული მექანიზმებით. აგრეთვე დასაბუთებულია ტექნოლოგიური პროცეის ოპერაციების რაოდენება და მათი შესრულების თანმიმდევრობა.

მღებული შედეგებიდან შეიძლება დავადგინოთ რომ, ხე-ტყის მორსათრევად და ზედა საწყობზე მისატანად, ტექნოლოგიური პროცესის განსახორციელებლად გამოყენებულია მორსათრევი თვითმტვირთავი აგრეგატები, რაც ოპტიმალურ ვარიანტს წარმოადგენს აღნიშნულ პირობებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზ. ბალამწარაშვილი, პ. დუნდუა, ზ. ჩიტიძე, ვ. აბაიშვილი, ი. გელაშვილი. ხე-ტყის დასამზადებელი მანქანები და მოწყობილობები. თბილისი, საქართველოს ტექნიკუროი უნივერსიტეტი. 2013, 200 გვ.
2. ზ. ბალამწარაშვილი, გ. კოკაია, პ. დუნდუა, თ. მჭედლიშვილი, ზ. ჩიტიძე, ტყეკაფითი სამუშაოების მანქანები და ტექნოლოგია მთიან პირობებში. თბილისი, სმმესკ ინსტიტუტი. 2008, 252 გვ.
3. Матвейко А. П., Федоренчик А. С. Технология и машины лесосечных работ. Минск УП ,,Технопринт,, 2002, 479 с.
4. Залегин Л. А., Воскобойников И. В., Еремеев Н. С. Машины и механизмы для канатной трелевки. Московский государственный университет леса. Москва, 2004, 446 с.

Environmentally friendly technology of logging activities

Malkhaz Tsutskiridze, PhD student
Georgian Technical University

Zaur Balamtsarashvili, professor
Georgian Technical University

Summary

In order to make the mountainous timber logging sites usable in the conditions of mechanization, an individual technological scheme for logging has been developed, in order to enable optimization of the timber skidding process.

Based on the developed methodology, new schemes and machines should be developed to solve the problem of the ecological impact of the wood skidding process on the forest floor of the timber logging sites, through determination of sequence of working processes by technological scheme and effective use of machines.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალ „განათლების“

ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალში გამოსაქვეყნებლად სტატიის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ნაბეჭდ გვერდს, აწყობილი უნდა იყოს A4 ფორმატის ფურცლის ცალ გვერდზე, 1.5 ინტერვალით, შრიფტი 12. სამუშაო ქაღალდის ველის ზომები: ზედა – 20 მმ, ქვედა – 20 მმ, მარცხენა – 30 მმ, მარჯვენა – 20 მმ;

აუცილებელია ნაშრომის ფიზიკური ვერსიის წარდგენა, ელექტრონული ვერსია კი შეიძლება წარმოადგინოთ დისკით, ან გამოაგზავნოთ ჟურნალის ელექტრონულ მისამართზე.

პირველი გვერდის ზედა მარჯვენა კუთხეში აღინიშნება ავტორის სახელი (სრულად), გვარი, სამეცნიერო წოდება, თანამდებობა, სამუშაო ადგილი.

სამეცნიერო სტატია შეიძლება დაწერილი იქნას ქართულ და უცხოურ ენებზე. მას უნდა ახლდეს რეზიუმე (დაახლოებით 150 სიტყვა). რეზიუმეშიც სტატიის სათაური და ავტორის/ავტორთა მონაცემები უნდა იყოს ინგლისურ ენაზე.

ნაშრომის სტრუქტურა:

1. **რეზიუმე ქართულ ენაზე;**
2. **საკვანძო სიტყვები;**
3. **შესავალი**
4. **ძირითადი ნაწილი**
5. **დასკვნა**
6. **ლიტერატურა**
7. **რეზიუმე უცხოურ ენაზე**

წარმოდგენილი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომი უნდა აიწყოს სილფაინის შრიფტით. უცხო ენებზე შერულებული ნაშრომი – Times New Roman შრიფტით;
- სტატია გაფორმებული უნდა იყოს წიგნიერად, სწორმეტყველებისა და ტერმინოლოგიის დაცვით, სტილისტური და ტექნიკური შეცდომების გარეშე;
- ავტორი (ავტორები) პასუხს აგებენ ნაშრომის შინაარსსა და ხარისხზე;
- კრებულის ერთ ტომში დაშვებულია ერთი და იმავე ავტორის მხოლოდ ერთი სტატიის გამოქვეყნება.
- ერთი სტატიის ავტორთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ორს;
- მაგისტრანტების ნაშრომი ერთპიროვნულად უნდა იყოს შესრულებული;
- გამოსაქვეყნებელ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი დარგის მიმართულების ხელმძღვანელის ან პროფესორის მოკლე რეცენზია-რეკომენდაცია.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების“ დეპარტამენტში (ოთახი 805 ᵇ, კორპ. 6).
ტელ.: 68-13 (შიდა); 599-557-993; 599-553-980; E-mail: ganatleba2018@gmail.com.